დავით ბერიაშვილი

ცდუნება ანუ გზააბნეული მგზავრი აღმოსავლეთიდან

დავით ბერიაშვილი

ცდუნება ანუ გზააბნეული მგზავრი აღმოსავლეთიდან

თბილისი

2014

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ დავით ბერიაშვილის - "ცდუნება ანუ გზააბნეული მგზავრი აღმოსავლეთიდან," მართლაც თანადროული ნაწარმოებია, რომელშიც სიუჟეტი არაორდინალურად ვითარდება და საინტერესოდ იკითხება - ლამის ერთი ამოსუნთქვით, ალბათ ასეცაა დაწერილი. მწერალი თავის გულის თანაღრებაზე გვიყვება, მის ყოველ სტრიქონში ჩვენი ბედუკუღმართი ისტორია იძერწება, რომელიც გაგრძელებას სერბეთში (მაშინდელ იუგოსლავიაში) ჰპოვებს, რაც ერთგვარი მინიშნებაა საერთო ტრაგედიისა. პირდაპირ ვიტყვი, ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ფაბულის ასეთი ოსტატობით შეკვრა, ავტორს აშკარად მწერლის ნიჭი მოსდგამს (თავად ხომ კარგი ჟურნალისტის ავტორიტეტი აქვს მოპოვებული), თორემ ასეთ რთულ ამოცანას, ადვილად ვით გაუმკლავდები კაცი. ვფიქრობ, ეს ნაწარმოები, ავტორის უდავო გამარჯვებაა და საინტერესო სიტყვაა ქართული მწერლობისათვის. ვულოცავ დავით ბერიაშვილს ამ წარმატებას და მკითხველს ვურჩევ, ნუ დაახანებს ამ წიგნის წაკითხვას, რამეთუ, დარწმუნებული ვარ, მისი გაცნობით, საკუთარ თავთან დარჩენილი კიდევ დიდხანს იფიქრებს მასზედ და არა მარტო იფიქრებს, გაითავისებს კიდეც.

ნოდარ კობერიძე (მწერალი)

ნიკო ნიკოლაძის, ნიკო ლორთქიფანიძის და დავით აღმაშენებლის პრემიათა ლაურეატი.

რედაქტორი **ნინო მაღალაშვილი**

ISBN 978-9941-450-31-0

დენისი მობილურის ზარმა გამოაღვიძა. მან თვალები ძლივს გაახილა და მის წინ, კედელზე ჩამოკიდებულ საათს შეხედა: ექვსი საათი სრულდებოდა. - ამ დილაადრიან რა რეკვა აუტყდათ?! - ჩაილაპარაკა უკმაყოფილომ და მარცხენა ხელით, იქვე, ჟურნალების მაგიდაზე დადებულ მობილურს გადასწვდა. ისე რომ, არც დაუხედავს ვინ რეკავდა, მწვანე ღილაკს თითი დააჭირა:

- გისმენთ!

- როგორ ხარ, მმაო, გაგაღვიძე?

- რობის გაუმარჯოს, მე კარგად ვარ, - დენისმა ხმაზე იცნო, რომ ეს მისი ბავშვობის მეგობარი, რობი იყო, - ჩამოხვედი უკვე თუ ...

- ჩამოვედი, ჩამოვედი, - შეაწყვეტინა რობიმ, - აქ ვარ და შენთან მოვდივარ, რაღაც სიურპრიზი მაქვს შენთვის. ახლა მანქანას გავაჩერებ და ორ წუთში მანდ ვიქნები! - დაასრულა რობიმ საუბარი და მობილური გათიშა.

- აუუუუუ, ეს რა მაგრად შენელებული კადრია, ამ დილაადრიან სიურპრიზი? ცოტა მოგვიანებით რომ მოეწყო ეს სიურპრიზი, არ შეიძლებოდა? თუმცა, ხომ ვიცი, რაღაც კონიაკი ექნება ჩემთვის საჩუქრად ჩამოტანილი და იმას მომიტანს, - გაიფიქრა დენისმა და ლოგინიდან ზანტად წამოიწია. მერე ზლაზვნით შარვალი ამოიცვა, სამზარეულოში გავიდა, მაცივრიდან ორი ქილა „კოკა-კოლა“ გამოიღო და ისევ თავის ოთახში შებრუნდა. ერთი ქილა გახსნა და მოსვა თუ არა, კარზე ზარის ხმაც გაისმა.

დერეფანში გასულმა დენისმა კარი გააღო და მის წინ რობი იდგა. ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ და მერე პირდაპირ დენისის ოთახში შევიდნენ.

- მომიყევი ახლა ტყუილი და მართალი, როგორ იმოგზაურე ევროპაში, დიდებული და საინტერესო რა ნახე? თუმცა, ჯერ ეს მითხარი, რომელ ევროპაში იყავი: დასავლეთში, ცენტრალურში თუ აღმოსავლეთში? - თქვა დენისმა და რობის სავარძელზე მიანიშნა, დაჯექიო, თავად კი საწოლზე ჩამოჯდა.

- თითქმის მთელი ბალკანეთი მოვიარე!

- მაინც სად იყავი?

-სად აღარ ვიყავით: თურქეთიო, ბულგარეთიო, რუმინეთიო, სერბეთიო, ხორვატიაო, სლოვენიაო, მაკედონიაო, საბერძნეთიო.

- სულ ეგ იყო? - ღიმილით გაიკვირვა დენისმა.

- ჰო, კიდევ, ალბანეთიო! - დაასრულა რობიმ და ხელები გაშალა.

- ბევრი ქვეყანა მოგივლია, მაგრამ ამ ქვეყნებში საინტერესო რა აღმოაჩინე, შენ ეს მითხარი, - უპასუხა დენისმა და რობის ჟურნალების მაგიდიდან „კოკა-კოლა“ მიაწოდა.

- „კოკა-კოლაზე“ გამახსენდა, კონიაკი ჩამოგიტანე, - თქვა რობიმ, მერე დენისის მიერ მოწოდებული „კოკა-კოლა“ისევ ჟურნალების მაგიდაზე დადგა და ჩანთიდან ლამაზი ბოთლი ამოაძვრინა, - დალევით მერე დავლიოთ, ახლა მე შენ ერთი რაღაც უნდა გაჩვენო... გაჩვენო და დაგიტოვო.

- მოკლედ, სიურპრიზების დილა დაიწყო! - გაიცინა დენისმა და რობის კონიაკის ბოთლი გამოართვა.

რობიმ ისევ ჩანთაში ჩაიხედა და იქიდან ძალიან სქელი ჟურნალი და ფურცლების შეკვრა ამოიღო.

- ეს რა არის, ინტელექტუალური სიურპრიზია? - გადაიხარხარა დენისმა და მის წინ მჯდარ რობის, ხელი მხარზე დაჰკრა.

ამაზე რობის სრულებით არ გასცინებია, ის კი არა, დენისმა მის თვალებში იმდენად სერიოზული გამოხედვა დაინახა, რომ გაოცებულმა შეხედა, მაგრამ, მაინც ლაზღანდარობა არჩია.

- ბოლოს და ბოლოს, არ მეტყვი, ეს რა ჟურნალი და ფურცლები მომიტანე?

რობი თითქოს ჯიუტად, კვლავ არაფერს პასუხობდა და ფურცლებს ერთიმეორეზე აწყობდა, თან შიგადაშიგ ჩახედავდა ხოლმე, ხომ არ ამერიაო. ბოლოს ფურცლების გადაწყობასა თუ გადახარისხებას რომ მორჩა, ერთ ხელში ჟურნალი, მეორეში ფურცლების დასტა დაიჭირა და ფეხზე წამოდგა.

- ეს შენ! - თქვა მან ძალიან სერიოზული სახით და დენისს ჟურნალიცა და ფურცლებიც, ორივე ერთად გაუწოდა.

- ჯერ ეს მითხარი, რას მაძლევ, იქნებ აკრძალულ ლიტერატურას ავრცელებ? - კვლავ გახუმრება ცადა დენისმა, მაგრამ, მისდა გასაოცრად, რობის სახის ერთი ნაკვთი რაა, ისიც არ ასტოკებია. - რა არის ეს, მაინც არ მეუბნები? - ამჯერად უკვე, აშკარად უკმაყოფილო ტონით იკითხა დენისმა.

- ჯერ გამომართვი! - იყო პასუხი.

დენისმა ჟურნალიცა და ფურცლებიც, ორივე ერთად გამოართვა, მაგრამ სქელი ჟურნალი მისთვის გაუგებარ ენაზე იყო დაბეჭდილი, სამაგიეროდ ფურცლების არანაკლებ სქელ დასტაზე ტექსტი ქართულად ეწერა.

- კარგი, თუ ასე ძალიან გინდა, ამას წავიკითხავ, - თქვა დენისმა და ხელში ფურცლების შეკვრა ააშრიალა, - ხოლო ამ ჟურნალს, ჩემთვის გაუგებარ ენაზე რომ არის გამოცემული, მხოლოდ სურათების დასათვალიერებლად გამოვიყენებ, ისე, როგორც, ბავშვობაში რომ ვიქცეოდით ხოლმე. მაინც რა ენაზეა ეს ჟურნალი, არ მეტყვი? - იკითხა ბოლოს.

- სერბულად! - უპასუხა რობიმ.

- და სერბული ჟურნალი, ჩემთან რატომ მოგაქვს, რომელი სერბოლოგი მე მნახე?

- დენის, თუ გახსოვს, შენ ჩემთვის, ერთი ამბავი რომ გაქვს მოყოლილი?!

- რა ამბავი? - გაუკვირდა დენისს.

– მე მგონი, მას შემდეგ ათ წელიწადზე მეტი დრო გავიდა! – ძალიან ნაღვლიანად ჩაილაპარაკა რობიმ.

– რის შემდეგ, აღარ მეტყვი? – კვლავ გაიკვირვა დენისმა.

- წლების წინ, 2000 წლის შემოდგომაზე, სრულიად შემთხვევით, იუგოსლავიაში რომ აღმოჩნდი, თუ გახსოვს?

არასასიამოვნო მოულოდნელობისგან დენისს საფეთქლები აეწვა, ამიტომ, ისევ საწოლზე ჩამოჯდა და თავი ჩაღუნა.

- მერე? - ისე იკითხა მან, რომ თავი არ აუწევია.

- დღეს იუგოსლავიას უკვე სერბეთი ჰქვია! - ჩაილაპარაკა რობიმ და ისიც ჩამოჯდა.

- ვიცი, მაგრამ, არა მგონია, მარტო მაგის თქმა გინდოდეს.

- დენის, ვიცი, რომ იმ დღეების გახსენება შენთვის მტკივნეულია, მაგრამ მე სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი.

- გააგრძელე!

- როგორც გითხარი, ჩვენს ტურისტულ მარშრუტში სერბეთიც შედიოდა, სადაც სულ ორი დღე დავყავით, მაგრამ მე ახლა სულ სხვა რამის თქმას ვაპირებ. პირველ დღეს, შუადღის საათებში, სასტუმროს ჰოლში რომ ვიჯექი და ჩვენი ნომრიდან ნუცასა და ანის ჩამოსვლას ველოდი, ჩემთან ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი გოგონა მოვიდა, რომელსაც სერბეთის ტერიტორიაზე ჩვენი მეთვალყურეობა ევალა, უფრო, გიდს რომ ეძახიან, მაგ საქმიანობას ეწეოდა. ჰოდა, იმას გეუბნებოდი, შუა დღეა, ვზივარ სასტუმროს ჰოლში, ველოდები როდის ჩამოვა ნომრიდან ჩემი ცოლი თავის დასთან ერთად და უცებ ეს გოგო (სხვათაშორის ძალიან ლამაზი გოგო იყო და სერბებს მართლაც მაგარი ქალები ჰყოლიათ) მოდის ჩემთან, აი, ამ სქელი ჟურნალით, მე რომ ახლა შენ მოგეცი და მორიდებით მეუბნება, ბატონო რობი, ამ ლიტერატურულ ჟურნალში ერთი ნაწარმოები თქვენს თანამემამულეზე წერია და ვფიქრობ, უნდა დაგაინტერესოთო. რა თქმა უნდა, დამაინტერესებს - მეთქი, რომ ვუთხარი, მან ეს ჟურნალი გადმომცა და ეს პატარა ინტერვიუც ზეპირად მითარგმნა. გახსოვს, შენ რომ იმ სვეტებიან, სამკითხველო დარბაზზე მელაპარაკებოდი, სწორედ იმ დარბაზის ხელმძღვანელთან არის ეს ინტერვიუ.

რობიმ სქელი ჟურნალი გადაშალა და დენისს წინ დაუდო. - აი, ამ კაცთან არის ინტერვიუ, - თქვა მან და ჭაღარა მამაკაცის ფოტოზე მიუთითა.

დენისმა დახედა თუ არა ფოტოს, უმალ იცნო და გული შეეკუმშა. – ეჰ, თურმე, როგორ დაბერებულა მაესტრო. საბრალოს თმა სულ გასჭაღარავებია, ხოლო სახეზე სიბერის დასტურად, ნაჭეები ღარებივით დამჩნევია, - გაიფიქრა მან.

- ეს რაღაა? - ჰკითხა დენისმა და კვლავ ფურცლების სქელი დასტა ააშრიალა.

- ეს ის ნაწარმოებია, ჯერ კიდევ წლების წინ რომ დაწერილა, გამოქვეყნებულა, მერე იმ სამკითხველო დარბაზში რომ შეუტანიათ და ამ ჟურნალში, ინტერვიუს შემდეგ რომ დაუბეჭდავთ. გადათარგმნის შემდეგ, წავიკითხე თუ არა ეს ნაწარმოები, მაშინვე მივხვდი, რომ სწორედ შენს თავგადასავალზეა აქ ლაპარაკი.

- სერბულიდან ქართულად, იქვე, როგორ გადათარგმნე? - გაუკვირდა დენისს.

- მაგრად გავწვალდი, მაგრამ არა უშავს. ჯერ იქვე, სასტუმროში თარჯიმანთა რაღაც ოფისი ვნახე, სადაც ორი გოგონა იჯდა. ჰოდა, სწრაფად რომ გადმოეთარგმნათ, ერთ თარჯიმანს ერთი ნაწილი ინგლისურად, მეორე თარჯიმანს, მეორე ნაწილი ფრანგულად გადმოვათარგმნინე. თან შენ წარმოიდგინე და, რომ გაიგეს ქართველი ვიყავი, იმის პატივსაცემად, რომ ეს ნაწარმოები ქართველზე იყო დაწერილი, ფული არ გამომართვეს, მაგრამ ვალში მაინც არ დავრჩენილვარ და ორივე გოგოს (სხვათა შორის ჩვენს გიდსაც) საკმაოდ ხარისხიანი სუნამო მივართვი. შემდეგ კი დარჩენილი მოგზაურობის განმავლობაში, ნუცასა და ანის თავი არ ავაწევინე, სანამ ეს ტექსტი ინგლისურიდან და ფრანგულიდან ქართულად არ გადამითარგმნეს. ასე რომ, გიტოვებ ამ სერბულ ჟურნალს, ამ ნაწარმოების გადმოკოპირებულ ვარიანტს და იმედია, დღესვე წაიკითხავ. აბა, ახლა უნდა წავიდე, ქალაქიდან გავდივარ, საღამოს დავბრუნდები და გნახავ.

ამის შემდეგ რობი წამოდგა და კარისკენ წავიდა. წამოდგა დენისიც, რათა მეგობარი გაეცილებინა. კარის გაღებისა და დამშვიდობების შემდეგ, რობი ეზოში გავიდა, დენისი კი უხალისოდ ოთახში შებრუნდა და ფანჯარასთან დადგა. სანამ რობი მანქანაში არ ჩაჯდა და ადგილიდან არ მოწყდა, იგი იქ იდგა. მერე მაგიდასთან მივიდა, ფურცლების სქელი დასტა ხელში აიღო, ლოგინზე ჩამოჯდა და კითხვას შეუდგა:

ცდუნება ანუ გზააბნეული მგზავრი აღმოსავლეთიდან

ვიდექი ბორცვზე და შემოდგომის მიერ მისუსტებული მზის ჩასვლით ვტკბებოდი. გარინდებული ზღვა ჩამავალ მზეს, ისე სევდიანად იხუტებდა, გეგონებოდათ სამყაროს მანათობელ ძალას სამუდამოდ ემშვიდობებაო. მთებზე, რომლებიც ამ გარინდებულ ზღვას გადმოჰყურებდნენ, შემოდგომის სიყვითლე ჩამოწოლილიყო, სიყვითლე, რომელსაც მწუხარე შემოდგომას ეძახიან. თუმცა, რა მწუხარე ან სევდიანიც არ უნდა უძახონ, მიყვარს შემოდგომის სიყვითლეში გამეფებული იდუმალება და ბორცვზე მდგარიც, სწორედ ბუნების ამ საოცრებით ვტკბებოდი. ამავე დროს, ისიც კარგად მესმოდა, რომ შემოდგომის ამ სურათით ჩემი ტკბობა, უპირველესად მშობლიურ ბუნებასთან და გარემოსთან დამშვიდობებას ნიშნავდა, რადგან გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა და წუთი-წუთზე მე ვტოვებდი ჩემს სამშობლოს, ანუ ქვეყანას, სადაც ყოველივე ისე გაყინულიყო და გადაგვარებულიყო, რომ ადამიანებს მხოლოდ ბუნების სილამაზეღა თუ შერჩენოდათ ნუგეშად, ხოლო სხვა ყველაფერი, რასაც კი გაბოროტებული არამზადების ხელი მისწვდენოდა, გულსაკლავად შებილწულიყო. ყველაზე ამაზრზენი მაინც ის გახლდათ, რომ ამ ქვეყანაში, ადამიანებს დაღამებასთან ერთად გათენებისაც ეშინოდათ, რამეთუ, თითოეულ ღამეს უკუნი და სიცივე, დილას კი მორიგი უიმედობა და დეპრესია მოჰქონდა.

მაშ ასე, მეძავთა მიერ მოტანილი მახინჯი დროება დამდგარიყო ჩემს სამშობლოში, სადაც ზემოხსენებული მეძავები, ყაჩაღებთან და ფლიდებთან ერთად, ისე კოხტად გრძნობდნენ თავს, როგორც ზვიგენი ოკეანის ტალღებში. დანარჩენ ადამიანთა უმეტესობა კი აკვარიუმიდან ამოვარდნილ თევზს ჰგავდა, თევზს, რომელიც იღუპებოდა, მაგრამ მშველელი არსაიდან ჩანდა, რომ უკან, ისევ აკვარიუმში ჩაებრუნებინა და სიცოცხლე შეენარჩუნებინა.

და როცა ყოველივე ამას; კარგსა თუ ცუდს, ჯანსაღსა თუ მახინჯს, კეთილსა თუ ბოროტს ბორცვზე მდგარი ვემშვიდობებოდი, როგორც ამ დროს ხდება ხოლმე, ყველა აქაური ნაკადულისა თუ მდინარის საამური ხმა ჩამესმა ყურში. მერე უცებ გამახსენდა ჩემი საყვარელი ვარდის ხეივნები, იასამნის ბაღები, თეთრად გადაპენტილი ტყემლის ხეები, ყაყაჩოებით მოფენილი მინდვრები და მოკლედ, აქაური ბუნების მთელი ის სიმდიდრე, რაც ჯოჯოხეთზე გადამხობილ ამ ქვეყანაში, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე, პატარა ხალისს მაინც მმატებდა და მომავლის იმედს მაძლევდა.

მივდიოდი შორს, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებდი, რომ ბუნების ამ სილამაზეს, რაც აქ მრჩებოდა, დროებით ვემშვიდობებოდი და ადრე თუ გვიან, საკუთარ სამშობლოში ისევ დავბრუნდებოდი. ამჯერად კი, ჩემდა სამწუხაროდ, აქაურობას უნდა გავცლოდი და ბედის საძიებლად დასავლეთისკენ ამეღო გეზი, რადგან ქაოსითა და უსამართლობით დამძიმებულ ამ ქვეყანაში, ჩემს არსებობას სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა.

ახლა დაბლა დავეშვები, გადავდგამ ორიოდე ნაბიჯს და უკვე თურქეთში ვარ, ხოლო იქიდან დასავლეთისკენ მიმავალ კოლონას შევუერთდები. გასაგებია, რომ თანხის ნაკლებობას განვიცდი, მაგრამ გერმანიის ვიზა მაქვს, ბილეთს იაფად თურქეთში ან ბულგარეთში ვიყიდი და ვფიქრობ, დანიშნულების ადგილამდე, მაინც

ჩავაღწევ. მთავარია, რომ ვიცი ვისთან და რომელ ქალაქში ჩავდივარ. შევალ თუ არა გერმანიის ტერიტორიაზე, გადავურეკავ და ისინი დამხვდებიან. მერე დავუჩოქებ და არ არსებობს, რომ არ მიმიღონ. რაც უნდათ, ის დამარქვან; პოლიტდევნილი, ლტოლვილი, გამოქცეული, თუ შევიწროვებული, არაფერი არ მაინტერესებს, მთავარია, ცოტა ხნით აქაურობას გავერიდო და იმათ თავისთან მიმიღონ, თორემ მეძავთა ხელში ჩავარდნილ ამ ქვეყანაში, ჩემისთანა ადამიანებს მომავალი არ უწერიათ.

წინ დიდი გზა მელის: თურქეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, უნგრეთი, ავსტრია და გერმანია, მაგრამ, რადაც არ უნდა დამიჯდეს, რა დაბრკოლებაც არ უნდა შემხვდეს, ბოლო წერტილამდე, ანუ გერმანიამდე აუცილებლად უნდა ჩავაღწიო. სხვა გზა არ დამრჩენია, არა!

- აბა, მშვიდობით, შენ! - მივმართე მშობლიურ ბუნებას, - ხოლო გზა მშვიდობისა, მე! - გზა დავულოცე საკუთარ თავს და დაღმართზე დავეშვი.

-მოქალაქევ, თუ შეიძლება, თქვენი პასპორტი! - თავაზიანად მომმართა ავტობუსში ამოსულმა მესაზღვრემ, რომელიც პასპორტებს აგროვებდა, თან შიგადაშიგ ჩახედავდა ხოლმე, რამე არ გამომრჩესო.

მეც ჩემი პასპორტი მესაზღვრეს გავუწოდე და არხეინად ფანჯარაში გავიხედე, სადაც ღამის წყვდიადში ჩაძირული სასაზღვრო ზოლი საომარ მზადყოფნაში მოყვანილ სამხედრო დანაყოფს წააგავდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ოფიცრები თუ უჩინონი საკუთარ საქმეს ყოველგვარი ხმაურისა და აყალმაყალის გარეშე აკეთებდნენ. ასეთი სურათით კმაყოფილმა კიდევ უფრო ღრმად შევცურე ფიქრებში, და ამ დროს მესაზღვრის მკაცრმა, მაგრამ გაოცებულმა ხმამ გამომაფხიზლა:

- მოქალაქევ, თქვენ, პასპორტში ვიზა არ გაქვთ?!

- რა ვიზა? - გავიკვირვე მე.

- ვიზა, ჩვეულებრივი ვიზა, რომლითაც იუგოსლავიის სახელმწიფო საზღვრიდან უნგრეთის სახელმწიფოში შესვლის უფლება გექნებათ.

- თქვენ რა ვიზასაც გულისხმობთ, მე ის ვიზა არ მჭირდება! - ვიმართლე თავი.

- რატომ, მსოფლიოს მოქალაქე ხართ? - გაოცდა მესაზღვრე, რომლის სამხრეებზე დასმულ ვარსკვლავებს, მხოლოდ ახლაღა მივაქციე ყურადღება.

- მე გერმანიაში მივდივარ, მაქვს გერმანიის ვიზა, მაგრამ მოხდა ისე, რომ მივდივარ ბულგარეთიდან, ავტობუსით, რომელმაც უნგრეთი უნდა გაიაროს. ამ ქვეყნის სატრანზიტო ვიზას კი ადგილზე ჩაგირტყამენო, ასე მითხრეს, - კვლავ თავი ვიმართლე მე.

- ასე სად გითხრეს? - მკითხა მესაზღვრემ და რაციაში რაღაც ჩაილაპარაკა.

- სად მითხრეს და ბულგარეთში, რომლებმაც, სხვათა შორის, სატრანზიტო ვიზა საზღვარზე ჩამირტყეს, - ვუპასუხე მესაზღვრეს.

- და იუგოსლავიის ვიზა ხომ გაქვთ? - ხელები გაშალა მან.

- დიახ, მაქვს, რადგან მითხრეს, რომ საქართველოს მოქალაქეებს იუგოსლავიაში შესასვლელად ვიზა სჭირდებათ, რომელიც ამ ქვეყნის საელჩოში უნდა აიღოთო. მეც სოფიაში მოვნახე იუგოსლავიის საელჩო და ამ ქვეყნის სატრანზიტო ვიზა ავიღე. ხოლო უნგრეთის ვიზაზე მითხრეს, არ გჭირდება და საზღვარზევე ჩაგირტყამენო.

- არა, რას ამბობთ?! ასე არ გამოვა, ტყუილი უთქვამთ თქვენთვის და, რადგან უნგრეთის ვიზა არ გაქვთ, ამ ქვეყანაში ვერ შეხვალთ! - ძალიან მშვიდად მომიგო მესაზღვრემ და ჩემს სპორტულ ჩანთაზე მითხრა, აიღეთ და ავტობუსიდან ჩამოდითო.

ამ დროს სხვა სამხედროებიც ამოვიდნენ და მთხოვეს, ჯობია უხმაუროდ ჩამოხვიდეთ ავტობუსიდან, რადგან თქვენ გარდა კიდევ უამრავი საქმე გვაქვსო. სხვა რა გზა მქონდა, ჩემს სპორტულ ჩანთას უხალისოდ მოვკიდე ხელი და დაბლა ჩავედი. ორ წუთში უკვე სასაზღვრო გამშვები პუნქტის სამორიგეო ნაწილის ერთ-ერთ ოთახში ვიყავი, სადაც მაგიდას დაახლოებით ორმოცდაათი წლის სამხედრო ოფიცერი უჯდა. მივხვდი, რომ ეს კაცი ამ სასაზღვრო ზოლის ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო. დანარჩენებმა სასწრაფოდ მოახსენეს საქმის ვითარება და ჩემი პასპორტი გადასცეს. მან ჯერ პასპორტს ჩახედა, ჩემი ვინაობა გაიგო, შემდეგ ამათვალიერ-ჩამათვალიერა და აშკარად გამოგონილი სიმკაცრით მომმართა:

-თქვენ, საქართველოს მოქალაქე, უნგრეთის სახელმწიფო საზღვარს, ვიზის გარეშე ვერ გადაკვეთთ. არის ამაში რაიმე გაუგებარი?

- ესე იგი, უნგრეთის მიმართულებით არ მიშვებთ? - ვკითხე მე.

- მე არ მითქვამს, რომ არ გიშვებთ, უბრალოდ, დაბრუნდით უკან, ბელგრადში, ან სოფიაში, ან, თუნდაც თქვენთან, საქართველოში, აიღეთ უნგრეთის ვიზა და მერე უკვე, კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა დუნაისპირა უნგრეთის სახელმწიფოში.

მივხვდი, რომ კამათს აზრი არ ჰქონდა და ბედს უნდა შევგუებოდი, ბედს, რომელმაც უკვე მერამდენედ, აშკარად მიმუხთლა და ამჯერად უკვე, სრულიად უცხო ქვეყანაში მარტოდმარტო დამტოვა. ინსტინქტურად ხელი ჯიბისკენ წავიღე და გონებაში იმ თანხის დათვლა დავიწყე, რაც დარჩენილი მქონდა. თუმცა, დასათვლელიც აღარაფერი იყო, რადგან გასწი-გამოსწი, ჯიბეში ოციოდე დოლარიღა თუ მექნებოდა დარჩენილი. ეს ოციოდე დოლარი კი, ცხადია, არც უნგრეთის ვიზის ასაღებად და არც გერმანიამდე ახალი ბილეთის საყიდლად არ მეყოფოდა, აღარაფერს ვამბობ, უკან, საქართველოში დაბრუნებაზე. მოკლედ, სამწუხარო რეალობის წინაშე დავდექი და მივხვდი, რომ ამ დაწყევლილ ტერიტორიაზე დარჩენილს, უკვე, არა გერმანიაში შესაღწევად, არამედ გადარჩენისთვის ბრძოლა მომიწევდა. საჭირო იყო გამოსავლის მოძებნა, მაგრამ, როგორ და რა გზებით? სწორედ ამაზე ვფიქრობდი და გული მეკუმშებოდა. ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ იმას, რომ ევროპის ორ ქვეყანას შორის, ასე, ღვთის ანაბარა დავრჩებოდი, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი. გერმანიაში ჩასვლას ვინღა ჩივის, საქმე ისე წამივიდა, რომ გზად, უნგრეთში არ შემიშვეს და იუგოსლავიის რომელიღაც დაუსახლებელ პუნქტთან ჩამომსვეს. ამაზეა ნათქვამი, გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო.

სამხედრო ოფიცერმა, რომელსაც ჩემი პასპორტი ხელთ ჰქონდა, მთხოვა, ცოტა ხნით დერეფანში დამელოდეთო, თან ჯარისკაცებს, რაღაც გადაულაპარაკა

(ალბათ უთხრა, თვალყური ადევნეთ, არსად გაგექცეთო) და თავად სხვა ოთახში შევიდა. უცებ თვალი ფანჯრისკენ გამექცა და დავინახე, როგორ დაიძრა ის ავტობუსი, რომლიდანაც მე ჩამომსვეს. ავტობუსი დაიძრა და უნგრეთის მიმართულებით წავიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მე დავრჩი მარტო, სრულიად მარტო. ცოტა ხანში სამხედრო ოფიცერიც გამოჩნდა და ჩემი პასპორტი გამომიწოდა.

- მადეპორტებთ? - ვკითხე მე.

- არა, საგანგაშო არაფერია, მიბრუნდით უკან, ბელგრადში, აიღეთ უნგრეთის ვიზა და შემდეგ უკვე დიდი სიამოვნებით გაგატარებთ უნგრეთის მიმართულებით, - დამამშვიდა მან და ხელით კარისკენ მსუბუქად მიბიძგა, რითაც მანიშნა, რომ ჩემთან ლაპარაკს მორჩა და მის განკარგულებაში არსებული ნაგებობა უნდა დამეტოვებინა.

შენობიდან გარეთ გამოსულმა, პირველი, რაც ვიგრძენი, სიცივე იყო, სიცივე, რომელიც ძვალსა და რბილში უსიამოვნოდ ატანდა. - ეჰ, ეს არ არის საქართველო, სადაც ოქტომბერში, ანუ წელიწადის ამ დროს, სიცივე ჯერ კიდევ ნაკლებად იგრძნობა, - გავიფიქრე და ქურთუკის საყელო ბოლომდე ავიწიე. ჩემთვის უკვე ცხადი გახდა, რომ სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად, ჩემი უმთავრესი საზრუნავი, ამ სიცივესთან გამკლავებაც იქნებოდა. თვალი შენობის თავზე დამაგრებულ საათისკენ გამექცა: უკვე ღამის თორმეტის ნახევარი სრულდებოდა და ამიტომაც იყო, სასაზღვრო ზოლთან ჩამწკრივებული ოფისებიდან, თუ მაღაზიებიდან, თითქმის ყველა დაკეტილი რომ იყო. მხოლოდ ორიოდე ფანჯრიდან თუ გამოდიოდა სინათლის სხივი და ოთახში შეყუჟულ ადამიანთა სილუეტები მოსჩანდა. ზედ სასაზღვრო ზოლთან მისული ავტომობილებიდან მძღოლები ძალიან მშვიდად გადმოდიოდნენ და საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ, კვლავ საკუთარ გზას აგრძელებდნენ. მე კი გულდაწყვეტილი ვიდექი და ამ ადამიანებს შევნატროდი.

მივხვდი, რომ აქ, სასაზღვრო ზოლთან სიახლოვეს დგომას აზრი არ ჰქონდა, მითუმეტეს, რომ ერთ-ერთმა მესაზღვრემ გამაფრთხილა, ამ ტერიტორიაზე დიდხანს ნუ გაჩერდებით, თორემ, შეიძლება, თქვენზე იეჭვიანონ და საზღვრის დარღვევის მცდელობის მოტივით, შარში გაგხვიონ, თან, ისიც გაითვალისწინეთ, რა დაძაბული, უფრო სწორად, გასამხედროებული მდგომარეობაა დღეს იუგოსლავიაში, და ამიტომაც, ფრთხილად, მეგობარო, ფრთხილად, გირჩევთ, დატოვოთ სასაზღვრო ზოლი და უკან გაბრუნდეთო. მეც ბედისა თუ იღბლის საძებრად, სასაზღვრო ზოლს მოვშორდი და ღამის ბინდ-ბუნდში შევიჭერი.

- ნეტავ, ის მაინც ვიცოდე, რომელ ქალაქში ვარ?! - გავიფიქრე გუნებაში, თუმცა, სიმართლე რომ ვთქვა, ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არც იმას ჰქონდა, იუგოსლავიის რომელ ქალაქში, სოფელში, დაბაში თუ უბრალოდ, დასახლებულ პუნქტში ვიმყოფებოდი, არ ჰქონდა, რადგან, ჩემთვის აქ ყველა და ყველაფერი ისედაც სრულიად უცხო იყო. ასე, ფიქრებით გულდამძიმებულმა კარგა დიდი მანძილი გავიარე და უკან რომ მივიხედე, იუგოსლავია-უნგრეთის სასაზღვრო ზოლის გამნათებელი, უზარმაზარი ნათურა, ასანთის ღეროდან ავარდნილ, მბჟუტავ ცეცხლს წააგავდა, ცეცხლს, რომელიც გგონია, ეს-ესაა უნდა ჩაქრესო. მოკლედ, სასაზღვრო ზოლს უკვე საკმაო მანძილით გავცდი და თავი

იუგოსლავიის სამხრეთისაკენ დავადე. მივყვებოდი ნათურებით განათებულ გზას და რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ, ჩემ თვალწინ დასახლებული ტერიტორია გადაიშალა, თავისი პატარა, მაგრამ კოხტა შენობებით. იქნებ სადმე შევიდე, სადაც ცოტათი მაინც დავისვენებ და გავთბები, თორემ, ასე, შეიძლება დილამდე ვეღარ გავატანო! - მეთქი, გავიფიქრე უკვე საკმაოდ მოქანცულმა და ჩემთვის სასურველი ობიექტის ძებნას შევუდექი. „საკანცელარიო მაღაზია“, „ქსეროქსი“, „ყველაფერი სახლისთვის“, „სილამაზის სალონი ლარისა“, ვკითხულობდი შენობების თავზე ან ფანჯრებზე აკრულ ინგლისურენოვან წარწერებს, მაგრამ, რად გინდა, ყველაფერი დაკეტილი იყო, მთლიანად ამ დასახლებულ პუნქტში კი, რაღაც სასაფლაოს სიჩუმე გამეფებულიყო. უკვე საათზე მეტი მაინც იქნებოდა, ამ გზას რომ მივუყვებოდი და ჩემდა გასაოცრად, მას შემდეგ, რაც იუგოსლავია-უნგრეთის საზღვარს გამოვცდი, არც ერთი მანქანა და არც ერთი ცოცხალი არსება არ შემხვედრია. ის კი არა, ერთი ჩამიჩუმი რა გახდა, ისიც არ გამიგია. რატომღაც საკუთარი ბავშვობა გამახსენდა, სოფელში დასასვენებლად ჩასულს, სასაფლაოს სიახლოვეს გავლის რომ მეშინოდა ხოლმე. და, აი, სრულიად უცხო ტერიტორიაზე ჩავარდნილ და მარტოდმარტო დარჩენილ 31 წლის კაცსაც, სწორედ იმგვარი, ბავშვობისდროინდელი შიში დამეუფლა და სიმართლე გითხრათ, საკუთარი თავის ცოტათი შემრცხვა კიდეც.

გავცდი ერთ შენობას, მეორეს, მესამეს და უცებ, შორიდან ყურში რაღაც მელოდიის ხმა ჩამესმა. - ხომ არ მომეჩვენა? - დავეჭვდი, მაგრამ რამდენიმე წამში, იგივე მელოდიის ხმა, კიდევ უფრო მკაფიოდ რომ გავიგონე, დავრწმუნდი, არაფერიც არ მეჩვენებოდა და მეც იმ მიმართულებით წავედი, საიდანაც ამ სასიამოვნო მელოდიის ხმა მოდიოდა. გადავუხვიე მარჯვნივ, ნაძვების მწკრივს გვერდი ავუარე და ორი ქუჩის გადაკვეთაზე აღმოვჩნდი, ხოლო მელოდია უფრო გაძლიერდა. გავყევი მის ხმას, ქუჩას ზემოთ ავუყევი და ერთ დიდ შენობასთან მოვხვდი. მელოდიის გაძლიერებული ჰანგებით მივხვდი, რომ ხმა სწორედ აქედან გამოდიოდა, მაგრამ ჩემ წინ მხოლოდ დაკეტილ კარსა და ჩაბნელებულ ფანჯრებს ვხედავდი. მოულოდნელად მელოდია შეწყდა და მივხვდი, რომ ჩემმა მელოდიურმა გზამკვლევმაც ზუსტად ისევე დამცინავად მიღალატა, როგორც ჩემმა იღბალმა. - რა იყო, ნუთუ არ შეიძლებოდა, კიდევ ცოტა ხნით გაგრძელებულიყო? - გავბრაზდი და რამდენიმე ნაბიჯით უკან დავიხიე, რათა ამ შენობისთვის, რომელიც ჩემგან მარცხნივ საკმაო მანძილზე გრძელდებოდა, კარგად შემეხედა. მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში ანთებული ერთადერთი ნათურა სუსტად ანათებდა, მაინც გავარჩიე, რომ ძალიან გრძელი შენობის წინ ვიდექი. მეც ამ შენობას მარცხნივ გავყევი და შემხვდა ერთი სადარბაზო, ჩაბნელებული ფანჯრებით, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... თუმცა, სადარბაზოო, ვამბობ, მაგრამ ეს უფრო გრძელი შენობის პირველ სართულზე ჩადგმული კარებები იყო, თავისი ფანჯრებით. მაშ, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე, და, აი, მეათე კართან მისულს, კვლავ იმ ჩემი ნატრული და დაკარგული მელოდიის ხმა შემომესმა... ფანჯრიდან კი, ჰოი, საოცრებავ, სინათლის მკრთალი შუქი გამოდიოდა. გახარებული მივედი ფანჯარასთან ახლოს, დავაკვირდი და შიგნით ადამიანები დავლანდე. - ნეტავ, რა დაწესებულებაა? - დამაინტერესა მე. ზევით ავიხედე და თვალში რკინის კარის თავზე დამაგრებული უზარმაზარი აბრა მომხვდა: - კაფე-ბარი „ევერესტი.“

ჩემი მწირი ფინანსები, იმის უფლებას ნამდვილად არ მომცემდა, რომ კაფეში, თუნდაც მსუბუქად წამეხემსა, მაგრამ, რომ გავთბებოდი და სულს მოვითქვამდი, ეს ცხადზე ცხადი იყო, და „ევერესტის“ კარიც, სწორედ ამ იმედით შევაღე.

შევედი შიგნით და უმალ მივხვდი, რომ ჩემს გზამკვლევ მელოდიას, დარბაზის ერთ კუთხეში, კარიდან მარცხენა ფანჯარასთან მიდგმული თეთრი როიალი გამოსცემდა, რომელსაც გიჟი მუსიკოსივით თმაგაწეწილი და საკმაოდ გამხდარი ქალბატონი მისჯდომოდა. შესასვლელიდან მარჯვნივ, დახლსა და ფანჯარას შორის კედელთან მდგარ მაგიდას, დაახლოებით ჩემი ასაკის ოთხი მამაკაცი უსხდა. ისინი არაყსა და ლუდს სვამდნენ და უკვე გარკვეულ კონდიციამდე მისულნი, ხმამაღლა, ყოველგვარი მორიდების გარეშე, ხან ჩემთვის გაუგებარ რაღაც (ალბათ ადგილობრივ) ენაზე, ხანაც, შიგადაშიგ რუსულად ლაპარაკობდნენ. მარცხენა რიგის ბოლო მაგიდასთან, ასე, 25 – 26 წლის, ფერმკრთალი სახის გოგონა იჯდა, რომელსაც უკან შეკრული და შუბლზე ჩამოშვებული ძალიან შავი თმა ჰქონდა. მას ორივე ხელით შუშის ჭიქა ეკავა, უფრო სწორად, გოგონა ისე იჯდა, რომ ზურგით კედელს იყო მიყრდნობილი და თვალდახუჭული მელოდიას უსმენდა. იგი აშკარად მუსიკის ჰანგებს ჰყვებოდა და თავს სულ ოდნავ, ხან მარცხნივ, ხანაც მარჯვნივ გადასწევდა ხოლმე. შუშის ჭიქა კი, რომელიც მას ორივე მუჭში მოექცია, მაგიდაზე გაუნძრევლად იდო. კაცს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ შუშის ჭიქაში ცხელი სასმელი ესხა და გოგონაც ამ ჭიქით ხელებს ითბობდა. მე იქვე, პირველივე მაგიდასთან ჩამოვჯექი და ცოტა ხნით თავი ჩავღუნე. ვაცალე, სანამ ძარღვებში გაყინული სისხლი ამოძრავდებოდა და გონზე მოვიდოდი. ნელ-ნელა სითბომ თავისი გაიტანა და თვალებიდან ისე გამოვიხედე, მშიერ კაცს, ნოყიერი ულუფით რომ გააძღობ.

- ახლა რა ვქნა? - ჯერ კარგად უნდა გავთბე და დავისვენო, ხოლო შემდეგ დანარჩენზე ვიფიქრო! - საკუთარ თავს თავადვე გავეცი პასუხი.

- უკაცრავად, როგორც გატყობთ, თქვენ აქაური არ ხართ და არ იცით, რომ აქ უქმედ ჯდომა არ შეიძლება. თუ გნებავთ, შეუკვეთეთ რამე, თუ არა და, შეგიძლიათ დაგვტოვოთ! - რუსულად, მაგრამ, რაღაც საოცარი არარუსული აქცენტით მომმართა დახლზე გადაყუდებულმა, შუახნის მამაკაცმა.

რა დროს შეკვეთა იყო, როცა ჯიბეში რაღაც გროშები მიკნაოდა. ამიტომ თავი განგებ არ ავწიე, თვალი კი დაბლა იატაკს გავუშტერე.

- მოქალაქევ, მე თქვენ გელაპარაკებით! - დახლზე გადაყუდებულმა მამაკაცმა, ამჯერად უფრო გაიმკაცრა ტონი.

სხვა რა გზა მქონდა, უხალისოდ წამოვდექი. - ჯანდაბას ამათი თავი, ერთ „კოკა - კოლას“ მაინც ვიყიდი, რომ სალაპარაკო აღარ ჰქონდეთ, - ჩავილაპარაკე ჩემთვის და დახლისკენ გავემართე.

-„კოკა - კოლა“ მომეცით! - ვუთხარი ბარმენს.

- რამდენი? - დამიბღვირა მან.

- ერთი! - დავუბღვირე მეც.

- ბოთლით თუ ქილით?

ისევ და ისევ, ჩემი მწირი ბიუჯეტის გამო, მინდოდა მეკითხა, რომელი უფრო იაფი ღირს, ან პატარა ბოთლის „კოკა-კოლა“ ხომ არ გაქვთ - მეთქი, მაგრამ

მომერიდა და ყოველგვარი მარჩიელობის გარეშე, არჩევანი ბოთლის „კოკა-კოლაზე“ შევაჩერე:

- ბოთლის! - ვუპასუხე მე და ჯიბიდან ამოღებული ორი ცალი ერთდოლარიანი დახლზე იმ იმედით დავდე, რომ თუ დავუშვათ და „კოკა-კოლა“ ერთ დოლარზე მეტი ეღირებოდა, ბარმენი ხურდას ადგილობრივ ვალუტაში დამიბრუნებდა.

- სხვა ფული არ გაქვთ?

- არა, არ მაქვს!

- დაჯექით და მოგიტანენ! - მითხრა მან და ბოთლის „კოკა-კოლა“ დახლზე დადო.

- ნუ შეწუხდებით, მე თვითონ წავიღებ! - ვუთხარი მე და ბოთლს ხელი დავავლე.

მივედი ჩემს მაგიდასთან, დავჯექი და შევამჩნიე, რომ კედელთან მჯდარ გოგონას, თავისი შავი თვალები უკვე გახელილი ჰქონდა და ძალიან სევდიანი მზერით იცქირებოდა. გვერდით მაგიდიდან იმ ოთხი, კარგად შეზარხოშებული მამაკაცის როხროხი ისმოდა. ისინი ისე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და ხარხარებდნენ, რომ ამ გნიასში, შიგადაშიგ მუსიკის ჰანგებიც იფარებოდა. საერთოდ, კაფეში ძალიან მძიმე სუნი იდგა, ისეთი მძიმე, რომ კაცი უეჭველად იფიქრებდა, ხის, ნიკოტინის, სითბოსა და ალკოჰოლის სუნი, ალბათ ერთმანეთში შეუზავებიათ და კაფეში გაუშვიათო. ეს იყო მიზეზი თუ სხვა რამ, არ ვიცი, მაგრამ ვიგრძენი, რომ ყელი საოცრად გამშრობოდა. ჰოდა, ის იყო, „კოკა-კოლას“ სახურავი მოვხსენი და პირთან მივიტანე, რომ ჩემ გვერდით კარი გაიღო და კაფეში ჩამოძონძილი ქალბატონი შემოვიდა. მას ტალახისგან გასვრილი, ჯერ კიდევ სველი ტანსაცმელი ეცვა. მაინცდამაინც მოხუცებული ქალის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. ჩემი აზრით, 45 – 50 წლისა იქნებოდა. უბრალოდ, აშკარა იყო, რომ მძიმე ცხოვრებას მის სახეზე და სხეულზეც ზუსტად ისეთივე დაღი დაესვა, როგორც მის ჭუჭყიან ტანსაცმელზე. კაფეში შემოსვლის შემდეგ, ქალმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უცებ გაჩერდა. მერე, თავი დახარა და ძალიან ნელი ნაბიჯებით იმ ოთხი მამაკაცისკენ წავიდა. თუმცა, წითელპულოვერიანმა და თავგადაპარსულმა მამაკაცმა, რომელიც ყველაზე მეტს ლაპარაკობდა, მკაცრი ჟესტით, ქალს უმალ ანიშნა, აქ არ მოხვიდეო და თან მუშტიც მოუღერა. დაბნეული და დარცხვენილი მათხოვარი შუა დარბაზში გაჩერდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო, ჩემკენ თუ ჩემ პირდაპირ მჯდარ გოგონასკენ. რამდენიმეწამიანი პაუზის შემდეგ, მან ჩემკენ წამოსვლა გადაწყვიტა, ალბათ, იმიტომ, რომ მისგან მე უფრო ახლოს ვიჯექი. იგი გამოემართა ჩემკენ და ამ დროს, საკუჭნაოდან თუ მეორე ოთახიდან ბარმენიც გამოვიდა და ქალს ერთი მაგრად დაუცაცხანა:

- აბა, სანამ ამ დანით არ ამიკუწიხარ, ახლავე გაეთრიე აქედან! - შესძახა მან მათხოვარს და კიდევ უფრო აგრესიული იერის მისაღებად, ხელი დანას წაავლო.

შემცბარი და დარცხვენილი მათხოვარი, მაინც ჩემი მიმართულებით წამოვიდა და თავდახრილმა, ისე, რომ თვალებში არ მიცქერდა, ძალიან დაბალი ხმით ჩაიბუტბუტა, - გთხოვთ, დამეხმაროთ!

მე ახლაღა შევამჩნიე, რომ ქალს ხელები დასისხლიანებული ჰქონდა და ზოგიერთ ნაიარევზე სისხლის შედედებული ფენა, ზოგიერთზე კი, ჯერ კიდევ

შეუდედებელი წითელი ლაქები ემჩნეოდა. აშკარად ეტყობოდა, რომ მისი ნაიარევი ხელები, სადმე წაქცევისგან, ახლადმიღებული ტრავმის შედეგი იყო.

- ქალბატონო, სამწუხაროდ, მე ახლა ვერაფრით დაგეხმარებით და ერთადერთი, რაც შემიძლია გიწილადოთ, ეს „კოკა-კოლაა." თუმცა, მოიცადეთ, მოიცადეთ, - ვუთხარი მე და ჩემი სპორტული ჩანთიდან ბინტის პატარა ნაჭერი, რომელიც ყოველი შემთხვევისთვის მქონდა წამოღებული, ამოვიღე. ქალმა თავი ასწია და გაოცებულმა შემომხედა. მე მას ძალიან სწრაფად, თუმცა, აშკარად არაპროფესიონალურად, ჯერ ერთი დასისხლიანებული ხელის მტევანი, შემდეგ კი მეორე გადავუხვიე. ქალმა მადლობის ნიშნად თავი დამიკრა და წასვლა დააპირა, მაგრამ მე ხელით ვანიშნე, კიდევ ერთი წამით მოიცადეთ - მეთქი.

მათხოვარი კვლავ უწინდელ პოზას დაუბრუნდა და მაგიდასთან თავდახრილი დადგა. მე ჩემი ჩანთის წინა ჯიბეში ხელი ჩავყავი და იქიდან ხელთათმანები ამოვიღე. იგი ჯერ ვერ მიხვდა, რას ვაპირებდი, მაგრამ ხელთათმანები ჯერ მარცხენა, შემდეგ მარჯვენა ხელზე რომ ჩამოვაცვი, მის გაოცებულ სახეს, უცებ ღიმილმა გადაუარა.

- ახლა კი შეგიძლიათ, ეს „კოკა-კოლა" წაიღოთ და მიირთვათ, - ვუთხარი მე, მაგრამ ის ისევ გაუნძრევლად იდგა და ვერ ბედავდა ბოთლისკენ ხელის წაღებას.

- აიღეთ, აიღეთ! - ორჯერ გავუმეორე და „კოკა-კოლა" ხელებში ჩავუდე.

ქალმა მადლობის თქმა ვეღარ მოასწრო, რომ დახლიდან გაკაპასებული ბარმენი, რომელიც სახედამანჭული გვიცქერდა, ისევ წამოენთო:

- სულელო დედაკაცო, მე შენ გასაგებად არ გთხოვე, რომ აქედან გათრეულიყავი?!

- წავალ! - ჩაილაპარაკა ქალმა, მერე მადლობის ნიშნად, თავი კიდევ ერთხელ დამიკრა და კარისკენ დაიძრა, მაგრამ ნელი ნაბიჯით მიმავალს, ზედ კართან ბარმენი წამოეწია და ქალს პირდაპირ ქეჩოში სწვდა.

- ბატივით შტერო ქალო, მაინცდამაინც მათხოვრობა რომ აგირჩევია, წადი, მეძავობა მაინც დაიწყე, მერწმუნე, მაგ საქმისთვის ჯერ კიდევ გამოდგები და ბლომად ფულებს მოაგროვებ. აბა, ამ მათხოვრობაში რა ნახე, დღედაღამ ასე, ხელგაწვდილი რომ დადიხარ?! - ღრიალებდა იგი. ბოლოს კი, კარებიდან გასულ ქალს ისეთი წიხლი ჰკრა, რომ საცოდავი მათხოვარი იქვე, წუმპეში გაიშხლართა. ყოველივე ეს, ფანჯრიდან დავინახე. მერე, სულ მთლად გატალახიანებული მათხოვარი, როგორც იქნა, ფეხზე წამოდგა და ღამის წყვდიადში მოჩვენებასავით გაუჩინარდა.

- ესეც ასე! ბინძური მათხოვარი, წავიდეს და მეძავობას მაინც მიჰყოს ხელი. მე აქ ჰოსპიტალი არ მაქვს, რომ ყველა დავრდომილს ჭრილობაზე მალამო წავუსვა და ბინტი გადავუხვიო! - ამაყად წარმოთქვა ბარმენმა და მე გადმომხედა.

მივხვდი, რომ მან ბინტი და ჭრილობა, აშკარად ჩემ გასაგონად თუ გასაღიზიანებლად თქვა.

თქვენ ვინღა ხართ? - ისე ვიკითხე მე, რომ თავი არ ამიწევია.

- რა ბრძანეთ? - შემომიტრიალდა ბარმენი.

- თქვენი ვინაობა მაინტერესებს, მეტი არაფერი! - დავუკონკრეტე გაოცებულს.

- მე ამ კაფე-ბარის ბარმენი ვარ და თუ რაღაც არ მოგეწონათ, შეგიძლიათ მიბრძანდეთ, ახლავე წამოდგეთ და მიბრძანდეთ, - დააყოლა მან თავის ნათქვამს და ხელით კარისკენ მიმითითა.

- აჰა, ესე იგი, ახლავე წამოვდგე და მივბრძანდე?

- დიახ, შეგიძლიათ მიბრძანდეთ!

- კი, მაგრამ, მე რომ ახლა წამოვდგე და კარისკენ წავიდე, დავიჯერო, თქვენ არ შემაჩერებთ და ასე გამიშვებთ? - ჩავეძიე მე.

ბარმენს გაოცებისგან ყბა გვერდზე მოექცა.

-ვერ გავიგე, რა გნებავთ?! მიბრძანდით, თავისუფალი ხართ! - მიბრძანა მან და კვლავ კარისკენ გაიხედა.

- აუცილებლად წავალ, ოღონდ, ახლა ეს მითხარით, თქვენ მართლა ბარმენი ხართ?

(პატარა პაუზის შემდეგ): - დიახ, ბარმენი გახლავართ.

- და არა მათხოვარი ან მეძავი? - ვკითხე და პასუხის მოლოდინში, სმენად ვიქეცი.

- რა თქვით? მე, სპეტაკ ადამიანს, რომელიც პატიოსანი შრომით არჩენს საკუთარ ოჯახს, ეს რა ჰკადრეთ?! - კვლავ გაკაპასდა იგი.

- გნებავთ, აგიხსნით, თუ რატომ გიწოდებთ მათხოვარს ან მეძავს?

- გისმენთ! - მომახალა მან და სკამზე მჯდარს, ზემოდან დოინჯშემორტყმულმა დამხედა.

- მე თქვენ ერთ ბოთლ „კოკა-კოლაში“ ორი ცალი ერთდოლარიანი მოგეცით, მაგრამ ისე მისტუმრებთ ამ შენობიდან, რომ ხურდის დაბრუნება არც გიფიქრიათ. ალბათ, იმიტომ, რომ რახან ტურისტი ვარ, გგონიათ, უცხო ქვეყანაში სიტუაციის გამწვავებას მოვერიდები და ყველაფერს მორჩილად ავიტან. ჰოდა, ახლა გეკითხებით, რა განსხვავებაა თქვენსა და იმ საცოდავ მათხოვარ ქალს შორის, რომელიც თქვენ აქედან პანღურებით გააგდეთ და რომელსაც მეძავის გზაზე დადგომა შესთავაზეთ?

არ ვიცი, ელოდა თუ არა ბარმენი ასეთ პრეტენზიებს, მაგრამ ჩემი შეკითხვის შემდეგ, იგი იმ დაბნეულ ბავშვს დაემსგავსა, რომელსაც დანაშაულზე წაასწრებენ და შემდეგ მიამიტურად, თავის მართლებას რომ იწყებს ხოლმე.

- მე მთელი ჩემი ცხოვრება პატიოსნად მიცხოვრია და მიმუშავია, და თუ ჩემი არ გჯერათ, შეგიძლიათ ჩვენს თანამშრომლებს ჰკითხოთ. თუ არა და, საჩივრის წიგნში ნახოთ, სადაც პირადად ჩემზე ვერც ერთ საყვედურს ვერ იპოვით. მე, როგორც ქრისტიანი ადამიანი, ჩემს შვილებს პატიოსან შრომას ვასწავლი და პატიოსნად ვზრდი! - აუკანკალდა მას ხმა და რატომღაც დასაკლავად განწირულ ხბოს დაემსგავსა.

- ჯერ ერთი - მე თქვენი საჩივრის წიგნი ისე მაინტერესებს, როგორც თქვენ, იმ საბრალო მათხოვარი ქალის მაჯის პულსი, და მეორეც - არა მგონია, ეს წვრილმანი თაღლითობა, რაც ჩემთან მიმართებაში ჩაიდინეთ, თქვენთვის პირველი იყოს და საკუთარ შვილებისთვის მართლაც ალალი შრომით მოპოვებული ლუკმა მიგქონდეთ. და თუ მე ვცდები, მაშინ სერიოზულად მაინტერესებს, რაღა მე ამითვალწუნეთ და მაინცდამაინც ჩემთან გაბედეთ ის უმსგავსობა, რაც სხვასთან არასოდეს ჩაგიდენიათ?

- რას გადამაყოლეთ მაგ თქვენს გროშებს, ათასი საქმით გადაღლილს არ გამახსენდა თქვენთვის ხურდა დამებრუნებინა და ამაზე ჯვარს უნდა მაცვათ? - თავი იმართლა მან.

- არ გაგახსენდათ... ის ხომ კარგად გაგახსენდათ, რომ თურმე თქვენს კაფე-ბარში უქმედ ჯდომა არ შეიძლება და რამე უნდა მეყიდა, ისიც ხომ კარგად გაგახსენდათ, იმ გაუბედურებული ქალისთვის გესწავლებინათ, რომ თურმე მეძავობით უფრო მეტი ფულის გაკეთება შეიძლება, ვიდრე მათხოვრობით, ან ისიც ხომ კარგად გაგახსენდათ, რომ მისთვის აუცილებლად წიხლი უნდა ჩაგეზილათ, ან ისიც ხომ კარგად გაგახსენდათ, რომ თურმე თქვენ ქრისტიანი ხართ და შვილებს პატიოსანი შრომით ზრდით... მოკლედ, ყველაფერი გაგახსენდათ, რაც თქვენ გაწყობთ, ხოლო კეთილი შრომით გადაღლილს, ჩემთვის ხურდის დაბრუნება, უბრალოდ, გადაგავიწყდათ, არა?

- ხურდას ახლავე მოგიტანთ და იმედია, მოისვენებთ! - მითხრა მან და დახლისკენ წავიდა.

- ახლა რა ვქნა, სად წავიდე, რა გზას დავადგე...- ის იყო, ამაზე ხელახლა ფიქრი დავიწყე, რომ ბარმენი უკვე თავზე მადგა. მან ხელის მსუბუქი მოძრაობით, თითქოს კამათელს აგორებსო, მაგიდაზე ადგილობრივი ვალუტის ხურდები დამიყარა.

- აჰა, ესეც თქვენ და ხურდის დაგვიანების გამო, გაზეთში თუ არ გამწერთ, ძალიან დამავალებთ.

- ხურდის გამო, გაზეთში გაწერა ჩემი სტილი არ გახლავთ, მაგრამ ჩემი ნება რომ იყოს, იმ საცოდავი მათხოვრის შეუარცხყოფისთვის, დიდ სასჯელს დაგაკისრებდით.

- ვის, მე?

- დიახ, თქვენ, ადამიანს, რომელიც ერთი შეხედვით ქრისტიანობით ამაყობს და შვილებსაც, თითქოს ქრისტიანებად ზრდის, მაგრამ, სინამდვილეში ისეთ საქმეს სჩადის, რაც ყველანაირ ქრისტიანულ კანონებს ეწინააღმდეგება.

- იცით, რას გეტყვით? მე თქვენგან ქრისტიანულ მოძღვრებებზე ჭკუის სწავლება არ მჭირდება! - კვლავ წამოენთო იგი.

- მაშინ, მათემატიკაში მაინც გაივარჯიშეთ, რომ სხვა დროს, იცოდეთ, ვის რამდენი ხურდა ერგება.

- რომ იცოდეთ, არც მათემატიკაში მიჭირს.

- მაშინ ზნეობრივი პრობლემები გქონიათ და ამ საკითხში მაინც არ გაწყენდათ გავარჯიშება. მერწმუნეთ, თუ ზნეობრივი თვალსაზრისით დაიხვეწებით, ყოველივე ეს, მათემატიკაზე არანაკლებ გამოგადგებათ.

- ეეეეეეეეე, ბარმენო, სად დაიკარგა თქვენი მიმტანი, მარტო მაგას რომ გადაჰყევით, ჩვენ რა, ხალხი არ ვართ? - გაისმა გვერდით მაგიდიდან, სადაც ოთხი, უკვე კარგად შეზარხოშებული მამაკაცი იჯდა.

- მაპატიეთ, მეგობრებო, ამ ვიღაც უცხოტომელმა სულ მთლად გამომაშტერა, ახლავე მოგხედავთ. რაც შეეხება მიმტან ქალბატონს, ხომ უკვე გითხარით, რომ იგი უკანა ოთახშია შესული და წუთი-წუთზე გამოვა. ისე, მითხარით, რა გნებავთ და მე მოგემსახურებით, - იმართლა თავი ბარმენმა და იმ მამაკაცების მაგიდასთან მივიდა, თან დახლის უკანა ოთახში ომახიანად შესძახა, - ჟანა, ჟანა, დროზე გამოდი, შენ მაგივრად კლიენტებს მე უნდა ვემსახურო?

- მოვდივარ! - გაისმა ქალის ხმა და დახლსუკანა ოთახიდან მიმტანიც გამოვიდა. იგი პირდაპირ ჩემკენ გამოემართა და თან უკმაყოფილო სახით ბუზღუნებდა. სანამ ჩემთან მოვიდოდა, მე თითით გვერდით მდგარ მაგიდისკენ ვანიშნე, რომ ისინი გეძახიან - მეთქი. მანაც, უცებ გვერდით მაგიდისკენ გადაინაცვლა და ახლა იქ მოჰყვა ბუზღუნს.

მე ისევ დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ რა უნდა მომემოქმედებინა იმისთვის, რათა ამ საშინელი კოშმარისთვის თავი დამეღწია. გონებაში ყველაფერი აღვიდგინე, თანმიმდევრობით დავალაგე და უცებ გამახსენდა, ბულგარეთში რომ ვაშლის ღვეზელი მივირთვი, მას შემდეგ, უკვე მეორე დღე იქნება, არაფერი მიჭამია. არადა, სიმართლე რომ ითქვას, ემოციებისგან იმდენად ვიყავი გამოფიტული, რომ საკვები არც მახსოვდა, თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანმა საკვები არა სიამოვნებისთვის, არამედ მხოლოდ ძალების აღდგენისთვის უნდა მიიღოს, და ბოლო-ბოლო იმისთვის, რომ სადმე არაქათგამოცლილი არ წაიქცეს. ჰოდა, ამიტომაც, ასეთი დილემის წინაშე დავდექი: ან შავი დღისთვის გადანახულ ჩემს ისედაც მცირე თანხებს ვხარჯავ და რაიმე საკვებს ვყიდულობ, ან არაფერსაც არ ვყიდულობ და ... თუმცა, აქ უკვე წინადადებას ვეღარ ვასრულებდი, რადგან გონებაში სრული სიცარიელე ისადგურებდა და გაურკვევლობის ბურუსში ვეხვეოდი.

-კარგი, დავუშვათ, დილამდე ამ კაფე-ბარში დავრჩი, მერე რა ვქნა, ბელგრადამდე რომც ჩავაღწიო (სადაც უნგრეთის ვიზას ვეღარ გავაკეთებ, რადგან საკმარისი თანხა აღარ დამრჩა), უკან, საქართველოში დასაბრუნებელი ბილეთი, როგორ ვიყიდო? - ვფიქრობდი ჩემთვის და ენითაუწერელი უიმედობა მიპყრობდა. გარეთ კი გულისგამაწვრილებლად ცრიდა, ხოლო, როცა წარმოვიდგინე, რომ სულ მალე ამ ამინდში გარეთ გასვლა და უგზო-უკვლოდ ხეტიალი მომიწევდა, უსიამოვნო შეგრძნებით, ლამის გული გამიჩერდა. - მაგრამ, კაშნე, ჩემი კაშნე, - გამახსენდა მოულოდნელად. - დიახ, ჩემი კაშნე. ხელთათმანები იმ ქალს გავატანე, მაგრამ კაშნე ხომ მაქვს? - ყოველ შემთხვევაში, მახსოვდა, რომ თბილისიდან წამოსვლის წინ, ჩანთაში კაშნე ჩავაგდე. ჩემი სპორტული ჩანთა მაგიდაზე შემოვდე და ქექვა დავიწყე. რასაც ხელი მოვავლე, ყველაფერი მაგიდაზე გადმოვალაგე და ბოლოს, როგორც იქნა, ჩანთის ძირში ჩადებულ კაშნესაც მივაგენი.

- ძალიან კარგი! - ჩავილაპარაკე ჩემთვის, კაშნე გვერდით დავიდე და სხვადასხვა ნივთების უკან, ჩანთაში ჩალაგება დავიწყე. ჩავდე ერთი ნივთი, ორი, სამი, ოთხი და უცებ, ხელში, ცელოფნის პარკში ჩადებული პატარა ყუთი შემრჩა. ყუთი სასწრაფოდ ამოვიღე პარკიდან და ახლაღა გამახსენდა: მე რომ ბულგარეთში ნაყიდი ვაშლის ორი ღვეზელიდან, ერთი მივირთვი, მეორე ხომ ჩანთაში ჩავდე და შავი დღისთვის შემოვინახე?! თუმცა, მოგეხსენებათ, ღვეზელი კონსერვი არ გახლავთ, რომ დიდი ხნით შეინახოთ და შემდეგ მიირთვათ. მაქსიმუმ, კიდევ ერთი დღეც და ეს ღვეზელი უკვე სრულიად გამოუსადეგარი გახდებოდა. მოკლედ, გადავწყვიტე, რომ ღვეზელი ორად გამეყო და ერთი ნაწილი მაშინვე მეჭამა, ხოლო მეორე ნაწილი, მაქსიმუმ მეორე დღისთვის შემომენახა. ამიტომაც, ღვეზელი შუაზე ორ ნაწილად გადავტეხე და ერთი ნაწილი ჩანთაში დავაბრუნე, აი, მეორე ნაწილი კი ავიღე თუ არა ხელში, უმალ ბარმენის არასასიამოვნო ხმა მომესმა:

- აქ საკვები პროდუქტებისა და დასალევის შემოტანა არ შეიძლება.

ხელი, რომლითაც ღვეზელი მეჭირა, ჰაერში გამიშეშდა. ასე, რამდენიმე წამს ვიყავი, და ბოლოს, რაც ძალი და ღონე მქონდა, ღვეზელი მაგიდაზე დავანარცხე, მისი ნამსხვრევებიდან ზოგი მაგიდაზე გაიშალა, ზოგიც იატაკზე გადაიყარა. გავიხედე დახლისკენ და ბარმენის კმაყოფილი სახის დანახვამ, ისე გამაღიზიანა, რომ სასწრაფოდ იქაურობის დატოვება გადავწყვიტე. - ამათი აღარც სითბო მინდა და აღარც მუსიკა, გავალ გარეთ და იქნებ სხვა, უკეთესი ადგილი მოვნახო, სადაც ასეთ გამაღიზიანებელ სახეებს არ დავინახავ, - გავიფიქრე გუნებაში და სკამიდან წამოვდექი.

მაშ ასე, სხვა ადგილი უნდა მომენახა, ამიტომ ქურთუკი შევიკარი, კაშნე შემოვიხვიე, ჩემი სპორტული ჩანთა მხარზე გადავიკიდე და ფანჯარასთან მივედი იმის წინასწარ დასადგენად, თუ რა მიმართულებით უნდა წავსულიყავი. დავდექი ფანჯარასთან და უმალ მივხვდი, რომ მაინცდამაინც დიდი არჩევანი არ მქონდა. ან საერთოდ, რა ძნელი მიხვედრა სჭირდებოდა იმას, რომ ამ ქუჩის მარცხნიდან მოსულ მგზავრს, ამჯერად გზა მარჯვნივ უნდა გამეგრძელებინა, მარჯვნივ, სადაც ქუჩა გრძელდებოდა და თითქმის უსასრულო სიბნელეში იკარგებოდა.

- ტურისტო! ტურისტო! - მომესმა უკნიდან ვიღაცის ხმა.

მივიხედე და იმ ოთხი, უკვე კარგად გამაძღარი მამაკაციდან, წითელ პულოვერში გამოწყობილი, თავგადაპარსული მამაკაცი, რომელიც ყველაზე მეტს ლაპარაკობდა, რაღაცას მანიშნებდა.

- რა გნებავთ?! - გავძახე ადგილიდან, ისე, რომ ფანჯარას არ მოვცილებივარ.

მან ჩანგალი გვერდზე გადადო, მის წინ დადგმული თეფშიდან უკვე ხორცშემოჭმული ძვალი აიღო და ზემოთ ისე დემონსტრაციულად ასწია, თითქოს რაღაცას მანიშნებსო. ამის დანახვაზე დანარჩენებმა ძველებურად ხარხარი ატეხეს, მხოლოდ ყავისფერპიჯაკიანი, ოდნავ ჩასხმული ახალგაზრდა მამაკაცი იჯდა კოპებშეკრული და წითელპულოვერიან მეგობარს ანიშნებდა, ხელი ჩამოუშვიო.

- რა გნებავთ?! - გავუმეორე კითხვა.

მან მაღლა აღმართული ძვალი დაბლა ჩამოსწია, დარჩენილი ხორცი კბილებით გამოაცალა და გამოხრილი ძვალი იატაკზე დააგდო, მერე ფეხი ისე მიარტყა, რომ მის მიერ გამოხრილ-გამოღეჭილი ძვალი პირდაპირ ჩემს ფეხებთან მოსრიალდა.

- ჭამე, გემრიელია! - მომმართა მან და შეშლილივით გადაიხარხარა.

მე ვიგრძენი, როგორ მომაწვა საფეთქლებთან სისხლი და წამიერად, თვალთ როგორ დამიბნელდა. რომ არ წავქცეულიყავი, ხელი ფანჯრის სახელურს მოვკიდე. მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ, ოდნავ ცნობიერება რომ დამიბრუნდა, ჩემი სპორტული ჩანთა ფანჯრის რაფაზე ჩამოვდე და იმათ მაგიდასთან მივედი.

- რა იყო, ქათმის ძვალს არ ჭამ? - გამიღიმა წითელპულოვერიანმა და მეგობრებს კმაყოფილი იერით გადახედა.

- არა, დღეს რაღაც ადამიანის ხორცის ჭამა მომინდა. ისე, რომ იცოდეთ, რაც უფრო მყრალი სულისაა ადამიანი, მით უფრო გემრიელი შესაჭმელია! - ვუპასუხე მე და ორივე ხელით მაგიდას დავეყრდენი, თან მარჯვენა ხელის მტევანი სანახევროდ მაგიდის კუთხეში ამოვდე, რათა მისი სიმძიმე შემემოწმებინა.

- აბა, ახლავე აქედან მოუსვი, თორემ... - დაიწყო მან და წამოდგომა დააპირა, მაგრამ სათქმელის დამთავრება ვეღარ მოასწრო, რადგან მაგიდა მარჯვენა მხრიდან, უცებ ზემოთ ავწიე და სანამ ისინი რამეს მოიფიქრებდნენ, ერთი მოძრაობით, მთელი სუფრა თავგადაპარსული მამაკაცის ცხვირზე იყო მიკრული. გაისმა დამსხვრეული ჭურჭლის ხმა, მაგიდიდან წამოსული თეფშები, ჭიქები, ბოთლები და საყვავილე, ჯერ წითელპულოვერიანის გადაპარსულ თავზე და სახეზე იმსხვრეოდა, შემდეგ კი იატაკზე იყრებოდა.

აჰა, მიწყნარდა ჭურჭლის მსხვრევის არასასიამოვნო ხმა, ოთხივე დასვრილი მამაკაცი ფეხზე წამოდგა და... მე დავინახე, ყავისფერპიჯაკიანმა, როგორ მოუქნია მუშტი წითელპულოვერიან მეგობარს და ეს უკანასკნელი, გულაღმა, როგორ გადაესვენა მეორე მაგიდაზე.

- შე ღორო, უკვე მერამდენე დროსტარება უნდა ჩამაშხამო, უკვე მერამდენე? - გაჰკიოდა იგი, და თან მარჯვენა მუშტს ისრესდა. მერე მე მომიბრუნდა, საჩვენებელი თითი ჩემკენ გამოიშვირა და მომმართა: - ეს ღორი ტყუის, მაგრამ, იცოდე, არც შენ ხარ ანგელოზი!

- მე არც არასოდეს მითქვამს, რომ ანგელოზი ვარ! - ვუპასუხე ყავისფერპიჯაკიანს და დახლისკენ გავიხედე, საიდანაც ბარმენი და მიმტანი ქალი წივილ-კივილით მორბოდნენ.

- მოქალაქევ, რას დაამსგავსეთ აქაურობა, ის მაინც თუ იცით, რომ ეს ჭურჭელი ჩინეთიდან გვქონდა ჩამოტანილი, თქვენ კი ყველაფერი ნამსხვრევებად გვიქციეთ. ჟანა, ჟანაااااااა, გესმის შენ ჩემი, ახლავე პოლიციას გამოუძახე! - ღრიალებდა ბარმენი.

და უცებ, მკლავში უკნიდან ვიღაცის შეხება ვიგრძენი, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, უკნიდან ვიღაცა მექაჩებოდა. მივიხედე და ის შავთმიანი გოგონა, რომელიც ჩემგან მოპირდაპირე მაგიდასთან უხმოდ იჯდა და მუსიკას უსმენდა, ხელით უკან მქაჩავდა.

- წამოდი, სასწრაფოდ გაეცალე აქაურობას, თორემ ესენი პოლიციას გამოუძახებენ. წამოდი, რომ გეუბნები, წამოდი! - ჩურჩულით მითხრა მან და ხელი მკლავში გამომდო.

- არსადაც არ წახვალთ! - წამოენთო ბარმენი, - სანამ დამსხვრეული ჭურჭლის თანხას არ გადაიხდით, არსადაც არ გაგიშვებთ. და თუ არ გადაიხდით, მაშინ, იცოდეთ, რომ პოლიციაში გადაგახდევინებენ! - თქვა მან და დანა ხელში შეათამაშა.

- ვერ გადაგიხდით, ერთი უბრალო მიზეზის გამო, რომ მაგდენი თანხა ნამდვილად არ მაქვს, - ვთქვი მე.

- პოლიციაში გადაგახდევინებენ, პოლიციაში! - არ მომეშვა ბარმენი და დახლისკენ წავიდა.

- სად მიდიხარ? - ჰკითხა გოგონამ, რომელიც ხელს არ მიშვებდა.

- სად მივდივარ და პოლიციაში დასარეკად!

- არ გინდა, გაფიცებ, ეგ არ ქნა, - გამოედევნა გოგონა და ბარმენს დახლის შიგნით შეჰყვა.

ისინი იქ ორიოდე წუთით იდგნენ და ჩუმად, რაღაცას ჩურჩულებდნენ. მერე მე დავინახე, როგორ ჩაიყო გოგონამ ჯინსის შარვლის ჯიბეში ხელი, როგორ ამოიღო იქიდან პატარა საფულე და როგორ გადაუთვალა ბარმენს რაღაც

რაოდენობის თანხა. მერე ისიც შევამჩნიე, როგორ უზომოდ გაუბრწყინდა ბარმენს თვალები, ხოლო აქეთ, ამოყირავებულ მაგიდასთან, წითელპულოვერიანს, სამი მეგობარი, როგორი გულმოდგინებით ასულიერებდა.

- წავედით, ცოტა სწრაფად, თორემ შენ აქ ხიფათის მეტს ვერაფერს გამორჩები, - მითხრა დახლიდან გამოსულმა გოგონამ და მაგიდისკენ გაიხედა, სადაც რამდენიმე წუთის წინ ვიჯექი. - სად არის შენი ჩანთა, აიღე და იჩქარე, თორემ ხიფათი გიახლოვდება! - კვლავ შემახსენა მან.

სასწრაფოდ დავავლე ჩანთას ხელი და ოთახისთვის კიდევ ერთხელ თვალის შევლებაც ვერ მოვასწარი, რომ გოგონამ ხელკავი გამიკეთა და კარისკენ წავედით.

- თუმცა, არა, აქედან არ გავალთ, მეორე კარებიდან ჯობია, - მითხრა მან და ახლა უკვე დარბაზის ბოლოსკენ გამაქანა. გავედით დარბაზის მეორე კარებიდან და როგორც ჩანს, კაფე-ბარის ფანჯრები რომ გაჰყურებდა, იმ ქუჩის პარალელურ ქუჩაზე აღმოვჩნდით.

- იჩქარე, ცოტა სწრაფად გამოადგი ფეხი! - განწირული ხმით კიოდა გოგონა და ისე მიმათრევდა, დედები რომ შვილებს, კბილის ექიმთან მიათრევენ ხოლმე.

- კი, მაგრამ, სად მივდივართ? - ვკითხე ჩემს მეგზურს.

- შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

ისე, რომ დავფიქრდი, ჩემთვის მართლაც არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ საით წავიდოდი ან ქარი საით წამიღებდა, რადგან, მე ხომ უცხო ქვეყანაში სრულიად მოულოდნელად მოხვედრილი და გზააბნეული ის მგზავრი ვიყავი, რომლისთვისაც სულ ერთი იყო, ამ წუთისთვის რომელ ქალაქში, სოფელში თუ უბრალოდ დასახლებულ პუნქტში ვიმყოფებოდი. ჩემთვის ამ ქვეყანაში ყველა და ყველაფერი ერთნაირად უცხო და უცნობი იყო. ამიტომაც, კარგად მესმოდა, რომ იუგოსლავიის რომელ ქალაქშიც არ უნდა მებორიალა, ყველგან გზააბნეული ადამიანი ვიქნებოდი და ვერსად, თუნდაც ერთ ნაცნობ სახესაც ვერ გადავაწყდებოდი.

ჩვენ კი მივრბოდით, ოღონდ სად, მე ეს ნამდვილად არ ვიცოდი, იცოდა მხოლოდ ამ გოგონამ, რომელსაც ჩემთვის ხელკავი ჰქონდა გაკეთებული და უცნობი ქალაქის, უცნობ დასახლებაში მთელი სისწრაფით მიმაქროლებდა.

- აქეთ, მოკლეზე ჯობია, - კიდევ ერთხელ მომმართა მან და ნახევრადჩაბნელებული სკვერისკენ გავიქეცით. სკვერი გადავჭერით, რამდენიმე მეტრი კიდევ ვირბინეთ და დაღლა დამეტყო. ნაბიჯს შევუნელე, რადგან ცოტათი მაინც ამომესუნთქა.

- ნუ ჩერდები, შენ გგონია, უკვე გადარჩი? არა, ჯერ არ გადარჩენილხარ. ვიცი, ჩვენ გამოვედით თუ არა, ის მელაკუდა ბარმენი პოლიციას გამოუძახებდა, ხოლო იმათ ხელში ჩვენი მტერი ჩავარდეს. ნუ ჩერდები, გამოადგი ფეხი, ცოცხლად, ცოცხლად! - კიოდა გოგონა.

სკვერის შემდეგ ჩამწკრივებულ შენობებს გავცდით თუ არა, გოგონამ ნაბიჯი შეანელა, მერე სულ მთლად შეჩერდა, ჩემთან ძალიან ახლოს მოვიდა, პატარა ხელები სახეზე აიფარა და ჩურჩულით დაიწყო:

- მოვიდნენ, მოვიდნენ, გესმის, პოლიცია მოსულია და უკვე შენობაში შევიდა.

- სად? - ვკითხე მე.

- „ევერესტში!“

უნებურად უკან გავიხედე, მაგრამ უცხო შენობების მეტი ვერაფერი დავინახე, ხოლო „ევერესტი“, რომელსაც უკვე კარგა ხანია გამოვცდით, აღარსად ჩანდა.

- სად ჩანს აქ „ევერესტი“, ჩვენ ხომ მას უკვე, კარგა ხანია გამოვცდით? - ვიკითხე გაოცებულმა.

- მე ვხედავ, პოლიცია უკვე შენობაშია, ამიტომ, სწრაფად, სწრაფად, თორემ განსაცდელი გიახლოვდება.

- კი, მაგრამ, ისეთი განსაკუთრებული, მე არაფერი დამიშავებია და ბრალს რისთვის დამდებენ, ან რისი უნდა მეშინოდეს?

გოგონამ სახიდან ხელები ჩამოიღო და ძალიან მშვიდად მიპასუხა:

- მაშ, გაინტერესებს, რისთვის დაგდებენ ბრალს, არა?

- ნამდვილად მაინტერესებს!

- რისთვის და კაფე-ბარში ატეხილი დეზოშისთვის, დამსხვრეული ჭურჭლისთვის, და თუ დასჭირდათ, იმ ძაღლის ნაშიერის ცემასაც, საკუთარმა მეგობარმა რომ მიბეგვა, შენ დაგაბრალებენ. ჰოდა, გეკითხები, ყოველივე ეს, ცოტაა? მერე გზადაგზა, შეიძლება კიდევ რაღაც შავი საქმეც მოგაკერონ. მოკლედ, ბევრს რომ არ მივედ-მოვედოთ, შენ თუ ამ ქვეყანაში, მხოლოდ საპყრობილის სანახავად ხარ ჩამოსული, მაშინ პირდაპირ მითხარი და ჩემივე ხელით ჩაგაბარებ პოლიციას, - ღიმილით მიპასუხა გოგონამ და ახლაღა შევამჩნიე, რომ მას ძალიან უხდებოდა გაღიმება, - ასე რომ, მომყევი, თანაც, სასურველია, სწრაფად, - კიდევ ერთხელ მთხოვა მან და ისევ ხელკავი გამიკეთა.

ღამისგან თუ სხვა უბედურებისგან ჩამკვდარ ამ დასახლებაში, რამდენი წუთი ვირბინეთ, ნამდვილად არ მახსოვს, მაგრამ უკვე კარგად დაღლილ-დაქანცულებმა, ერთ ამაღლებულ ადგილს მივაღწიეთ, საიდანაც გაჩახჩახებული ქალაქი მოჩანდა.

- აი, იქ უნდა ჩავიდეთ, - თქვა გოგონამ და საჩვენებელი თითი შორს ჩამდგარ, ერთ დიდ შენობისკენ გაიშვირა.

- ჩვენ, ახლა ქალაქში ვართ?

- დიახ, ქალაქ სუბოტიცაში ვართ! - მომიგო მან.

- აბა, ის რა იყო, ჩაბნელებული, გაციებული და უცხვირპირო დასახლებული პუნქტი?

- რომელზე მეკითხები?

- რომელზე და საიდანაც მოვდივართ, „ევერესტი“ სადაც იყო.

-არ ღირს ფიქრი იმ წარსულზე, რომელსაც ვერ გამოასწორებ, იფიქრე მხოლოდ იმ წარსულზე, რომლის გამოსწორებაც მომავალში შეიძლება. ასე რომ, იმას, რაც ახლახან გადაგხდა, ვეღარ შეცვლი. ახლა, ჯობია, გამომყვე!

ჩვენ თავქვე დავეშვით და რამდენიმე წუთში, უკვე ფერადი ნათურებით გაჩახჩახებულ ქალაქში აღმოვჩნდით. მიუხედავად ღამის საათებისა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ქალაქის მაჯისცემა იგრძნობოდა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, კაფე-ბარები, რესტორნები, მაღაზიები, კინო-თეატრები, კაზინოები და მოკლედ, ყველაფერი ის, რაც თანამედროვე ქალაქის მშფოთვარე ცხოვრების რიტმს განაპირობებს. გავიარეთ ერთი შუქნიშანი, გადავუხვიეთ მეორე ქუჩისკენ, გავიარეთ მეორე შუქნიშანი და ჩემი მეგზური თუ გადამრჩენელი გოგონა

გაჩერდა, მან ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, მერე ამოისუნთქა, ხელები გაშალა და უზომოდ კმაყოფილმა შემომხედა.

- გადავრჩით, შეიძლება ითქვას, რომ სამშვიდობოს ვართ გასულები. აქ უკვე ვერავინ ხელსაც ვერ გახლებს! - დამამშვიდა მან და ისევ ხელკავი გამომდო.

- რატომ, ეს უკვე სხვა სახელმწიფოა?

- არა, სახელმწიფო იგივეა, უბრალოდ, ის დასახლება, საიდანაც ახლა მოვდივართ, ძალიან მძიმე დასახლებაა. სიმართლე გითხრა, იქ გავლა არც მე მიყვარს ხოლმე. დღეს, უბრალოდ, სხვა გზა არ მქონდა, უნდა წავსულიყავი და ხომ ხედავ, რა გვიანობამდე შემოვრჩი. ახლა კი აქ შევიდეთ.

შენობა, რომელიც ჩემმა ახალმა მეგობარმა ჯერ კიდევ ამაღლებული ადგილიდან დამანახა, ავტოსადგური აღმოჩნდა. დიდ დარბაზს, რომელშიც შევედით, გარშემო შუშის კედლები ეკრა. გარეთ, ეზოში მიკროავტობუსების რამდენიმე მწკრივი მოსჩანდა, ხოლო თავად დარბაზში ხალხის სიმცირე იგრძნობოდა, თუმცა, ღამის საათებში სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. გრძელ სკამებზე ჩამომსხდარი ადამიანებიდან, ზოგი გაზეთს ან წიგნს კითხულობდა, ზოგი თვლემდა, ზოგიც, ისე, უბრალოდ იჯდა და დარბაზში კანტიკუნტად შემოსულ მგზავრებს ათვალიერებდა. ჩვენ დარბაზის ბოლოსკენ წავედით, იქვე მრგვალ კიბეს ავუყევით და შენობის მეორე სართულზე აღმოვჩნდით, საიდანაც მთელი ეზო, სადაც მიკრო და დიდი ზომის ავტობუსები იდგა, ხელისგულივით მოჩანდა. დარბაზის მეორე სართულზე ჩამდგარ გრძელ სკამებს გავცდით და მკრთალი შუქით განათებულ, პატარა კაფეში შევედით. ეს კაფე, „ევერესტივით“ ფართო არ ჩანდა, თუმცა, უფრო კომფორტულად გამოიყურებოდა, და რაც მთავარია, აქაური სუნი ადამიანს აშკარად სასიამოვნო შეგრძნებას უტოვებდა, და არა ისე ამაზრზენად განაწყობდა, როგორც ეს, ჩემთვის ავადმოსაგონარ „ევერესტში“იყო.

- აქ დავსხდეთ! - მითხრა გოგონამ და ფანჯრის წინ მდგარ მაგიდასთან მივიდა.

- დავსხდეთ, მაგრამ, ძალიან მაინტერესებს, რას ვაპირებთ? - ვიკითხე გულწრფელად და მაგიდასთან ჩამოვჯექი.

- რომ იცოდე, ჩვენ ახლა ავტოსადგურის კაფეში ვიმყოფებით. რაც შეეხება იმას, თუ რას ვაპირებთ, გიპასუხებ, რომ რაღაც შენი სახის ფერი არ მომწონს, გეტყობა, მშიერი, დაღლილი და განერვიულებული ხარ, ამიტომ, ვფიქრობ, პატარა წავახშმება და მერე დასვენება, არ გაწყენდა. ახლა შენ ეს მითხარი, რას დალევ, ჩაის, ყავას, თუ სხვა რამეს? მითხარი, რომელი გინდა?

- რასაც თქვენ დალევთ, მეც იგივეს გეახლებით.

- შხამსაც?

- თუ ამხელა მანძილზე მხოლოდ შხამის დასალევად მარბენინეთ, მაშინ, რას მერჩოდით, ის შხამი იქვე, იმ დაწყევლილ „ევერესტში“ დაგელევინებინათ ჩემთვის და ცოტათი დასვენებული მაინც განვუტევებდი სულს, - გავიხუმრე მე და, ამაზე გოგონას ისეთი სიცილი აუვარდა, რომ დარბაზში მსხდომმა, რამდენიმე უცხო ადამიანმა გაოცებით შემოგვხედა.

-მომწონს, როცა ადამიანები კრიტიკულ სიტუაციებშიც არ კარგავენ იუმორის გრძნობას, - შემაქო მან და გახსნილი ქურთუკის ქვემოთ, ჩემს პულოვერს დააკვირდა:

– მე მგონი, იმ მაგიდის ამოყირავების შემდეგ, შენც კარგად დასვრილხარ, - მითხრა მან და თავისი თეთრი ცხვირსახოცით, ჩემს პულოვერზე დასხმული ლაქების წმენდა დაიწყო, მაგრამ მალევე შეჩერდა და უკმაყოფილომ დახლისკენ გაიხედა. - არა, ასე არაფერი გამოვა, წავალ, წყალს მოვიტან და ისე გაგიწმენდ. იგი ფეხზე წამოდგა და დახლისკენ გაემართა, თუმცა, მაშინვე შემობრუნდა და მკითხა:

- რა მოვიტანო, ჩაი თუ ყავა?

- ჩაი არ მიყვარს. ისე, რომ იცოდეთ, ცხელი სასმელების მოყვარული არ გახლავართ, მაგრამ თუ თქვენ ყავას მიირთმევთ, მაშინ, მეც იგივეს გეახლებით.

- მშვენიერია, ვფიქრობ, ჩვენ გავუგებთ ერთმანეთს, უბრალოდ, ერთი თხოვნა მექნება.

- რა თხოვნა?

- რომ მოვბრუნდები, თქვენობით აღარ დამელაპარაკო!

- გპირდებით! რომ მობრუნდებით, აუცილებლად შევასრულებ თქვენს თხოვნას, - დავაიმედე მე.

იგი ნელი ნაბიჯით წავიდა და დახლსიქით მდგარი, საკმაოდ გადაპრანჭული, ქერა გოგონა გადაკოცნა. ჩაცმულობაზევე შევატყე, რომ ის ქერა გოგონა ამ კაფის თანამშრომელი უნდა ყოფილიყო. ისინი იდგნენ და მშვიდად საუბრობდნენ. ჩემი მეგზური გოგონა ხანდახან ჩემკენ გამოიხედავდა ხოლმე, ხელს ამიწევდა და მანიშნებდა, ახლავე მოვალო. მეც ჩემი მხრივ, ხელით ვანიშნებდი ხოლმე, არაფერია, ჩემზე ნუ დარდობ - მეთქი. ასე რომ, ვიჯექი მარტო და უკვე დამშვიდებით ვაკვირდებოდი ჩემს მეგზურ გოგონას, როგორც შავზე შავ და სწორ თმას, ისე მის აღნაგობას, რომელიც სიმაღლით, საშუალო სიმაღლის იქნებოდა. რაც შეეხება ჩაცმულობას, რაიმეთი გამორჩეული ან მყვირალა სამოსი მის ტანზე არ შემიმჩნევია. ეცვა ლურჯი ჯინსის შარვალი და მუქი ლურჯი ქურთუკი. სახეზე და თვალებზე კი საერთოდ არაფერი ესვა. მოკლედ, ჩემი ახალი მეგობარი, უფრო სადა, ბუნებრივი სილამაზის მქონე გოგონას შთაბეჭდილებას ტოვებდა.

და აი, როგორც იქნა, მორჩნენ საუბარს და ორივემ ერთ ლანგარზე, რაღაც პროდუქტების დალაგება დაიწყო. რაც ადგილიდან გავარჩიე „კოკა-კოლა“ და სავარაუდოდ, კრემიანი ნამცხვარი იყო. ლანგარი უცებ გაივსო, მერე ორივემ ერთმანეთს ღიმილით შეხედა და ჩემი ნაცნობი გოგონა, ასე ხელდამშვენებული ჩემკენ წამოვიდა.

- ხომ არ მოიწყინე? - მკითხა მან, როცა მომიახლოვდა.

- ეჰ, მოწყენა მაშინ უნდა მენახა, შენ რომ არ შეგხვედროდი! - ამოვიოხრე მე.

- კარგია, როცა ადამიანი გულწრფელია! - თავის მხრივ შემაქო მან და ლანგრის დაცლას შეუდგა. ყველაფერი, რაც ლანგარზე ეწყო, მაგიდაზე გადმოვალაგეთ. შევხედე გულუხვად გაშლილ სუფრას და დავასკვენი, რომ ჩემს მეგობარს ან ძალიან მოშიებოდა, ან მე ვეგონე ძალიან დიდი მადის პატრონი. თავად კი დაჯდომას არ ჩქარობდა და გაშლილ სუფრას ისე დაჰყურებდა, სახლის დიასახლისებმა, საკუთარი ნახელავის ცქერით, ტკბობა რომ იციან ხოლმე. მან ჯერ ერთ თეფშს შეუცვალა ადგილი, მერე მეორეს, მერე ცარიელ ჭიქებს მისწვდა, ბოლოს, გული რომ იჯერა, წყლით სავსე ჭიქას დაავლო ხელი

და ჩემ წინ დადგა. მერე ჯიბიდან ისევ ის თეთრი ფერის ცხვირსახოცი ამოიღო და წყალში დასველების შემდეგ, ჩემს პულოვერზე დამჩნეული ლაქების ჩამოწმენდას შეუდგა.

- ამას მეც გავაკეთებ, არ შეწუხდე, - ვუთხარი მე და ხელი მაჯაში მოვკიდე.

- პირიქით, შენ რომ არ შეწუხდე, ამას, მე იმიტომ ვაკეთებ, - მიპასუხა მან და ისევ გამიღიმა.

რა მეთქვა, აღარ ვიცოდი. ვიჯექი მაგიდასთან და ამ სათნო გოგონას ქმედებით, რომელმაც, ვინ იცის, რა უბედურებას გამომარიდა, ენა მქონდა ჩავარდნილი.

-ბედნიერი ადამიანი ხარ, ამდენი სიკეთის გაკეთება რომ შეგიძლია, - როგორც იქნა, ამოვღერღე.

- სიკეთეს რას ეძახი, ნამცხვარი და სხვა სახის სასუსნავი რომ მოვიტანე, რომლითაც, ორივენი ერთნაირად რომ უნდა დავნაყრდეთ? - მკითხა მან და თვალი თვალში გამიყარა.

- მარტო სასუსნავს არ ვგულისხმობ.

- აბა, კიდევ რას გულისხმობ?

-თუნდაც იმას, რომ შენ ჩემზე, ანუ სრულიად უცხო მამაკაცზე ზრუნავ და ტანსაცმლიდან ლაქებს მწმენდ.

-მამაკაცზე ზრუნვა, ყველა კატეგორიის ქალში ზის, ხოლო ბედნიერია ის ქალი, ვინც საკუთარ მეორე ნახევარს ფეხებს ბანს, ტანსაცმელს ურეცხავს და გულით ემსახურება. - აქ მან მცირე პაუზა გააკეთა და ცოტა ხნით ხმას არ იღებდა. მერე ძალიან ნაღვლიანად ჩაილაპარაკა, - ბედნიერია ის ქალი, ვინც საკუთარ მეუღლეზე ზრუნავს. ბედნიერია, ბედნიერი, გესმის შენ?

-და შენ, ეგ ბედნიერება არ განგიცდია? - ვკითხე და ცხვირსახოციანი ხელი დაბლა ჩამოვაშვებინე.

- არა, არასოდეს განმიცდია, - მიპასუხა მან.

- მომავალში აუცილებლად განიცდი! - ღიმილით დავაიმედე მე და შავ თმაზე ალერსიანად გადავუსვი ხელი.

- არა მგონია, რომ განვიცადო! - ისეთი სევდიანი და უიმედო იყო მისი პასუხი, რომ ლამის გული ჩამწყდა.

-რა სისულელეს ლაპარაკობ, ნეტავ, თავად თუ გესმის?! - გავბრაზდი მე და ხელები ჩამოვაშვებინე.

- ნეტავ, მართლა სისულელეს ვლაპარაკობდე.

გამოგიტყდებით და ნამდვილად ვერ მივხვდი, ეს სიცოცხლით სავსე, მაგრამ ხანდახან სევდიანი თვალებით მომზირალი გოგონა, რას გულისხმობდა და საერთოდ, რა დარდს ატარებდა გულში. თუმცა, მე შემეძლო მეკითხა და უფრო დაწვრილებით გამეგო მისი უიმედობის მიზეზი, მაგრამ ვერ გავბედე, რადგან გულით ვგრძნობდი, რომ გოგონა ან რაღაცას დამიმალავდა, ან ისეთ მიზეზს მეტყოდა, რაც ისედაც წახდენილ ჩემს განწყობას, სულ მთლად გაანადგურებდა და მიწასთან გაასწორებდა. მოკლედ, ეს ის შემთხვევა იყო, როცა, რაღაც ზედაპირულად გრძნობ შენ გვერდით მყოფი ადამიანის პრობლემას, მაგრამ იმის შიშით, რომ მის უიმედო მდგომარეობას ვერ უშველი, ცდილობ იმ პრობლემებს აღარ ჩაუღრმავდე და მხოლოდ კარგზე იფიქრო. სხვათა შორის, მაშინაც კი, როცა კარგი და საიმედო ცოტა რამ თუ ხდება შენ გარშემო.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ვხვდებოდი, რომ ჩემი ერთგული მეგობარი გულში დიდ ტკივილს ატარებდა, მაგრამ ვერ გამეგო და ვერც ვბედავდი, ამ ტკივილის შესახებ დაწვრილებით გამომეკითხა. - თუმცა, ახლა თუ არა, ცოტა მოგვიანებით მაინც შევიტყობ, ჩამივარდება მაგის დრო და ყველაფერს დაწვრილებით გამოვკითხავ. ან შეიძლება თავადაც მითხრას, ვითომ, რატომაც არ შეიძლება, დამიჯდეს გვერდით და ყველაფერი მომიყვეს, ან, იქნებ დახმარებაც შევძლო? - ამ ფიქრებში გართული, მოულოდნელად, რაღაც შეძახილმა გამომაფხიზლა:

- მივესალმები ექსტრასენსთა დედოფალს! - დასჭექა უკნიდან ვიღაცამ.

ორივემ ერთდროულად მივიხედეთ და ჩვენ უკან, რამდენიმე მაგიდის იქით, სრულიად ახალგაზრდა, 16 – 17 წლის გაღიმებული ბიჭი იდგა. გოგონას უცებ თვალები გაუბრწყინდა. ბიჭუნა ხელს გვიქნევდა და გვიღიმოდა. მერე გოგონამაც დაუქნია ხელი და გასძახა:

- მოდი აქ, პეტრო, მოდი!

- არ შემიძლია, რუფ, მე მგონი, დავაგვიანე, - გამოგვძახა მან და წასვლა დააპირა.

- რუფა ჰქვია! - გავიფიქრე ჩემთვის და საკუთარი თავი მკაცრად დავტუქსე, სახელი რატომ აქამდე არ ვკითხე - მეთქი.

გოგონამ ბოდიში მომიხადა, ერთი წუთითო, მითხრა და იმ ბიჭუნასკენ გაემართა. იგი მივიდა მასთან, ჯერ ერთ ლოყაზე აკოცა, მერე მეორეზე, მერე შუბლზე, მერე ისევ ერთ ლოყაზე, მერე მეორეზე... და ასე სამჯერ გაიმეორა. მერე პიჯაკის შიგნით პერანგი შეუსწორა, პიჯაკზე ხელი ჩამოუსვა, თითქოს მტვერს უფერთხავსო, მერე ისევ ლოყაზე და შუბლზე აკოცა, გულში ჩაიკრა და ამის შემდეგ ხელის დაქნევით დაემშვიდობა.

- ჩემი ძმისშვილია, პეტრო ჰქვია! - ღიმილით მითხრა თავის ადგილზე დაბრუნებულმა რუფამ.

- აქ რას აკეთებს?

- გვერდით სექციაში მუშაობს, დახლთან დგას და სასმელს ყიდის, ახლა ღამის ცვლაა და იმიტომ მოვიდა ასე გვიან.

- ბარმენია?

- ჯერ მთლად პროფესიონალი ბარმენი არ არის, მაგრამ ნელ-ნელა ითვისებს მაგ საქმეს. რაც მთავარია, პატიოსანი ბიჭია, სწავლობს და თან, როგორც მაგ ასაკის ახალგაზრდებს სჩვევიათ ხოლმე, გართობის მიზნით, მუშაობს კიდეც. ზუსტად ისეთია, როგორიც ჩემი ძმის შვილი უნდა იყოს.

- შენი ძმა, ალბათ კმაყოფილი იქნება, მისი შვილი ამ ასაკში, უკვე პატიოსნად რომ შრომობს.

- ჩემი ძმა კმაყოფილი იქნებოდა, ნამდვილად იქნებოდა.

- რას ჰქვია, იქნებოდა? - გავოცდი მე.

- სამწუხაროდ, უკვე რვა წელია, რაც ჩემი ძმა ცოცხალი აღარ არის. მან ძალიან ახალგაზრდამ მოასწრო დაოჯახება და შემდეგ, ახალგაზრდულ ასაკში ამ ქვეყნიდან წავიდა.

- ავტოკატასტროფაში დაიღუპა?

- არა, სისხლის გათეთრებამ შეიწირა.

მას თვალებში სევდა ჩაუდგა და ცრემლი მოაწვა. მე კი მივხვდი, რომ საუბარი სხვა თემაზე უნდა გადამეტანა და ამ დროს, ბედად, დახლიდან ქერათმიან გოგონას ხმა გავიგონე:

- რუფ, ყავას ახლა დალევთ?

- რა თქმა უნდა, ჩემი სტუმარი მაგ ყავას მოუთმენლად ელის, - გასძახა უკვე ფეხზე წამომდგარმა რუფამ და დახლისკენ წასვლა დააპირა, მაგრამ, სანამ წავიდოდა, ოდნავ დაიხარა და ყურში ჩამჩურჩულა: - ჩემი მეგობარია, ლინდა ჰქვია, ამ კაფის დირექტორიც ეგ არის და მზარეულიც, ორი გოგონა კი ჰყავს დამხმარედ, მაგრამ ყველაფერს, მაინც თავად აკეთებს.

ამის შემდეგ ისევ ლინდას ხმა გაისმა:

- არა, რუფ, იყავი მანდ, მე მოგიტანთ! - გამოსძახა მან, მაგრამ რუფა წამებში უკვე დახლთან იყო მისული და ყავიდან ამოსულ ცხელ ოხშივარს ვნებიანად ყნოსავდა. მერე ორივე ფინჯანი ხელში დაიჭირა და ძალიან ნელი ნაბიჯებით ჩემკენ წამოვიდა. მანამდე მე სუფრაზე პატარა გადაადგილებები მოვახდინე, რათა ჩემი და რუფას ფინჯანი გადავსებულ მაგიდაზე, სადმე ჩატეულიყო.

- ყავაც მზად არის! - წარმოთქვა კმაყოფილმა რუფამ, როცა ორივე ფინჯანი მაგიდაზე დადო და მოხერხებულად მოკალათდა. მერე, უცებ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, ისე მკითხა:

- რომელი ქვეყნიდან ხარ?

- საქართველოდან! - ვუპასუხე მე და ყავა მოვსვი.

- აღმოსავლეთი ხომ? - მკითხა ისევ.

- დიახ, საქართველო აქედან აღმოსავლეთ ევროპაშია.

- თითქმის ყველა რელიგია ერთი საწყისიდან, თანაც აღმოსავლეთიდან მოდის, ოღონდ მე აქ აზიას ვგულისხმობ, - თქვა რუფამ.

- თითქმის ყველა რელიგია რომ ერთი საწყისიდან მოდის, ეგ იმას ნიშნავს, რომ ღმერთი ერთია, რელიგია კი მრავალი, ქრისტე ერთი იყო, ქრისტიანობაზე კი მრავალი რელიგიური მიმდევრობა დებს თავს, - ჩემი მხრივ დავამატე მე.

- და შენ წარმოიდგინე, რომ აღმოსავლეთი კულტურის მხრივაც დასაფასებელია. მე მას დღევანდელი კაცობრიობის წიაღს ვეძახი. თუმცა, მე ახლა, შენგან სულ სხვა რამ მაინტერესებს.

- შეგიძლია მკითხო!

- აქ, ამ ქვეყანაში, სადაც ოქტომბრის დასაწყისისთვის, ასე ნაადრევად აცივდა, სადაც საერთაშორისო სანქციები გვაქვს დაწესებული, რის გამოც აქაური ბანკები საერთაშორისო გადარიცხვებს ვერ აწარმოებენ, და დღეს თუ არა ხვალ, შეიძლება დიდი სისხლისღვრა გაჩაღდეს, რა ბედმა გადმოგაგდო და როგორ მოხვდი?

- გეტყვი და, იმედია, გამიგებ.

- დავუშვათ და, თუ ვერ გაგიგე, ყოველ შემთხვევაში, იმის იმედი მაინც უნდა გქონდეს, რომ „ევერესტის“ ბარმენივით, აქედან არავინ გაგაგდებს. ამის პირობას ნამდვილად გაძლევ.

- ჰოდა, მაშინ უფრო თამამად გეტყვი... ძნელია, როცა ადამიანი საკუთარ ქვეყანაში ადგილს ვერ პოულობ და ხვდები, რომ არავის სჭირდები. ეს არ გახლავთ დღეებისა და თვეების ამბავი, ყოველივე ამას წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება გაგრძნობინებს. აი, მაგალითად, წარმოიდგინე, გადის წლები; ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, მაგრამ შენს უიღბლობას ბოლო არ

უჩანს. გრძნობ მხოლოდ იმას, რომ არც პირადად შენს ცხოვრებაში და არც ქვეყანაში არაფერი სასიკეთო არ ხდება და არაფერი სასიკეთოდ არ იცვლება, ის კი არა, ყველაფერი ისეთი საშინელი სისწრაფით მიქრის უკან, რომ თვალის დახამხამებასაც ვერ ასწრებ. არადა, როგორც გითხარი, წლები გადის, თითქოს ცხოვრებისეული გამოცდილებაც გემატება, მაგრამ ვის რაში სჭირდება შენი ცხოვრებისეული გამოცდილება, ცოდნა, დიდბუნოვნება და პატიოსნება, როცა ქვეყანა მლიქვნელებით გაივსო და მეძავთა მიერ წაბილწულ საროსკიპოს დაემსგავსა?! მერწმუნე, ძნელია იმ ქვეყანაში და საზოგადოებაში ცხოვრება, სადაც პატიოსანი ადამიანისთვის თითოეულ ახალ წელს არაფერი სიკეთე და სიახლე არ მოაქვს, და ერთადერთი, რაც ყოველ ახალ წელს პატიოსანი ადამიანისთვის მოაქვს, სიბერესთან და სიკვდილთან კიდევ უფრო დაახლოებაა.

აქ ცოტა ხნით შევჩერდი და ყავა მოვსვი. რუფას კი ნიკაპი ხელისგულებზე დაეყრდნო და ისე მისმენდა. მე არ ვჩქარობდი, ყავის ერთ ყლუპს, მეორე მივაყოლე, მერე მესამე, მეოთხე, და ამ დროს, რუფაც გამოერკვა, - მერე, მერე? - თქვა მან და ხელით მანიშნა, გააგრძელეო.

- მერე ის, რომ ასეთ გახრწნილ საზოგადოებაში ჩავარდნილი ადამიანისთვის სიცოცხლე სიკვდილსგან, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება. და რადგან, ასეთი სიცოცხლე სიკვდილს ჰგავს, მაშინ, ამგვარ სიცოცხლესაც ზუსტად ისევე უნდა გაექცე, როგორც სიკვდილს გაურბიხარ.

- ღმერთო ჩემო, რა ყველაფერი აღმოსავლეთიდან მოდის? - ისე იკითხა რუფამ, თითქოს არა ჩემთან, არამედ ვიღაც სხვასთან ლაპარაკობდა.

- რა თქვი? - გავიკვირვე მე.

- არაფერი, გააგრძელე, გააგრძელე! - მითხრა მან და ნიკაპით, ისევ ხელისგულებს დაეყრდნო.

- მაგრამ, გაექცე ასეთ მახინჯ სიცოცხლეს ანუ ცხოვრებას და ახალი, უფრო ჯანსაღი სიცოცხლე იპოვო, წარმოუდგენელზე წარმოუდგენელია. ყოველ შემთხვევაში, მე და კიდევ უამრავი ჩემისთანა ადამიანი, ამას ვერ ვახერხებთ. და განა იმიტომ ვერ ვახერხებთ, რომ ვინმეს ჩვენზე მეტი წყალობა აქვს უფლისგან, ან ვინმეს ჩვენზე უფრო პატიოსანი ბილიკებით მოუვლია ამქვეყნიური შარაგზები?! არა და არა, გთხოვ, არ გაბრიყვდე და ასეთი ზღაპრების არ დაიჯერო, თითქოს - იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქვეყანა, სადაც ცხოვრობდა ერთი კეთილი ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში ყველაფერი ნულიდან დაუწყია და რომელიც ისეთი პატიოსნების განსახიერება ყოფილა, რომ თვით ღმერთსაც აოცებდა... ჰოდა, დაუწყია ამ კეთილ კაცს პატიოსნად შრომა და ცხოვრება, თურმე ადებდა აგურს აგურზე, წვალობდა, შრომობდა, იღვწოდა, თანაც ამ ყველაფერს ისე აკეთებდა, რომ ღმერთი ყოველთვის მის გვერდით მდგარა. დიდი გაჭირვების ჟამს, როცა ქვეყნად შიმშილი და უბედურება ისადგურებდა, უფალი ამ თავის რჩეულ კაცს, ქვას პურად გადაუქცევდა ხოლმე, მის მტრებს კი ზემოდან ცეცხლს აფრქვევდა და ამით, ამ ჩვენს ზღაპრის გმირს, ყველანაირ განსაცდელს არიდებდა. მოკლედ, ღვთისმოშიში და სიკეთის განსახიერება კაცი, რომელსაც ღმერთი უყვარდა და რომელიც ასევე ღმერთსაც უყვარდა, უფლისავე დახმარებით ფეხზე დამდგარა, წელში გამართულა, მოჰკიდებია ცხოვრებას და მთელი ქვეყნისთვის სამაგალითო ადამიანად ქცეულა... ახლა, როგორ დავასრულო ჩემ მიერ შეთხზული ეს დიდების ზღაპარი, აღარ ვიცი, რადგან ვხედავ, ძალიან

მოვწყდი რეალობას და მგონი, შენც უნდა დამეთანხმო, რომ ჩვენი ცხოვრება ისეთი ლამაზი და თბილი ფერებით არ არის აღსავსე, როგორც ბავშვობისდროინდელი ზღაპრებიდან გვახსოვს. მითხარი, ეს ჩემი მონაჩმახი ზღაპარი, რომელიც ახლა მოგიყევი, თქვენს ქვეყანაში კეთილი და პატიოსანი ადამიანისთვის ადვილად ასახდენია?

- ზღაპარი იმისაა, რომ რეალობას უნდა იყოს მოწყვეტილი. ისე, რატომ გგონია, რომ თუ შენს ქვეყანაში არ ხდება კეთილი ზღაპრების ახდენა, აქ, ამ ქვეყანაში ყველაფერი საათივით აწყობილია და ხალხი ზღაპარში ცხოვრობს? არ დაგავიწყდეს, რომ შენ ახლა იმ ტერიტორიების სიახლოვეს იმყოფები, სადაც, არცთუ ისე დიდი ხნის წინ ბავშვებს ბავშვობა ჰქონდათ დაკარგული. სხვათა შორის, მე ის თაობა ვარ, რომელმაც ეს ყველაფერი საკუთარ თავზე გამოცადა და რომელსაც, ისევე არ ჰქონია უდარდელი ბავშვობა, როგორც ჩემი თაობის სხვა ადამიანებს. და მაინც, შენ არ გითქვამს, აქ, იუგოსლავიაში, როგორ მოხვდი?

- ახლავე მოგახსენებ! მაშ ასე, როცა ადამიანი ატყობს, რომ საკუთარ ქვეყანაში ყველაფერს ფასი აქვს დაკარგული და ბავშვობისდროინდელი ზღაპრებიც ოცნებებთან ერთად მსხვრევისკენ მიდის, მას სხვა გზა აღარ რჩება, გარდა იმისა, რომ აიკრას გუდა-ნაბადი და დასავლეთისკენ მიმავალ, ჩვენი დროის ქარავანს შეუერთდეს...

- მოიცა, მოიცა, ჩვენი დროის ქარავანი, ეგ რას ნიშნავს? - შემაწყვეტინა რუფამ და გაოცებული თვალებით შემომხედა.

- არაფერი განსაკუთრებული. თუ ადრე ქალაქიდან ქალაქებში და ქვეყნიდან ქვეყნებში აქლემებით ან ცხენებით დადიოდნენ, დღეს მათი ადგილი თანამედროვე, კომფორტულმა ავტობუსებმა ან თვითმფრინავებმა დაიკავეს.

- აჰა, ახლა უკვე მივხვდი, ესე იგი, რკინის ქარავანი, არა? - საკუთარ ნათქვამზევე გაეცინა მას.

- დიახ, რკინის ქარავანი. სწორედ ასეთ რკინის ქარავანს შევუერთდი მეც, რათა ბედის საძიებლად დასავლეთისკენ ამეღო გეზი. აქვე გეტყვი, რომ ჩემი ქვეყნიდან ამავე მიზეზით ძალიან ბევრი, ათასობით და ასიათასობით ადამიანი მიაწყდა ცივილიზებულ დასავლეთს, რათა ამ ქვეყნიერებაზე საკუთარი ადგილი მოენახა და გამოსცდენოდა იმ უსამართლობას, რაც ჩემს სამშობლოში ხდება. ჰოდა, ასე, იმ იმედით, რომ იქნებ ცხოვრებაში ერთხელ მაინც, ბედს ჩემთვის ისე გაეღიმა, როგორც, მაგალითად, შენ მიღიმი, ავიღე გერმანიის ვიზა, ჩავალაგე ჩემი ბარგი და დასავლეთის გზას დავადექი, თუმცა, აქვე უნდა გითხრა, რომ ჩემი მწირი ფინანსების გამო, წასვლა ბულგარეთიდან გადავწყვიტე, რადგან, მითხრეს, გერმანიის ბილეთები იქიდან უფრო იაფი ღირსო. თავად ბულგარეთში კი თურქეთიდან ჩავედი, ავიღე გერმანიის ბილეთი, მაგრამ იმ ფირმაში, სადაც ბილეთი შევიძინე, გამაფრთხილეს, გერმანიამდე ავტობუსით იუგოსლავია უნდა გაიაროთ და ამიტომ, აქვე, ბულგარეთში, მიაკითხეთ იუგოსლავიის საელჩოს და ამ ქვეყნის სატრანზიტო ვიზა აიღეთო. რაც შეეხება უნგრეთს, საქართველოს მოქალაქეებს ამ ქვეყნის სატრანზიტო ვიზას საზღვარზევე ჩაგირტყამენ, ავსტრიას კი, გერმანიის ვიზის მქონე ადამიანი უპრობლემოდ გაივლითო. მეც ზუსტად ისე მოვიქეცი, როგორც მირჩიეს. ბულგარეთში ავიღე თქვენი ქვეყნის - იუგოსლავიის ვიზა და ჩავჯექი სოფია-კიოლნის ავტობუსში: ჯერ გავცდით ბულგარეთს, შემდეგ შემოვედით თქვენს ქვეყანაში - იუგოსლავიაში, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ

გადავსერეთ მთელი იუგოსლავია და ზედ იუგოსლავია-უნგრეთის საზღვართან, როცა ერთ-ერთმა მესაზღვრემ უნგრეთის ვიზა მომთხოვა, მივხვდი, რომ ბედმა, როგორც მას ჩემთან მიმართებაში სჩვევია ხოლმე, ამჯერადაც საშინლად მიმუხთლა და სრულიად უცხო ქვეყანაში ღვთის ანაბარა დამტოვა. მერე მოხდა ისე, რომ ამ საზიზღარ ღამეს, სრულიად უცხო ქვეყანაში დავადექი სრულიად უცხო გზას, მაგრამ სად მივდიოდი, ან რას ვაპირებდი, ეს თავადაც არ ვიცოდი. ბევრი ვიარე თუ ცოტა, ასე გაურკვევლობითა და აქაური ოქტომბრის სუსხით გულგაციებული „ევერესტის“ კარს მივადექი, ხოლო შემდეგ, რაც მოხდა, ეს შენც კარგად მოგეხსენება.

- წარმოგიდგენია, რომ ჩემი ქვეყნის ვიზა ნანახი არ მაქვს. ამიტომ, თუ შეიძლება, შენს პასპორტში ჩარტყმული იუგოსლავიის ვიზა მაჩვენე. - მთხოვა რუფამ.

- მაგაზე როგორ გაწყენინებ?! - ვუთხარი მე და გულის ჯიბიდან ჩემი პასპორტი ამოვიღე, იმ გვერდზე გადავშალე, სადაც იუგოსლავიის ვიზა ერტყა და რუფას გავუწოდე.

რუფამ დახედა თუ არა იუგოსლავიის ვიზას, ტუჩები გაბუტული ბავშვივით გამოსწია და უკმაყოფილომ თავი დახარა.

- რა მოხდა? - ვკითხე გაოცებულმა.

- ჩემი ქვეყნის ვიზა უფრო ლამაზი წარმომედგინა და თურმე ვცდებოდი, - თქვა მან გულდაწყვეტით. მერე პასპორტი იმ გვერდზე გადაშალა, სადაც პიროვნების პირადი მონაცემები წერია. ჩემს სურათს დიდხანს უცქირა, ხან მე შემომხედავდა ხოლმე, ხან ისევ პასპორტში ჩაიხედებოდა, ბოლოს, თითქოს მარცვლავსო, ჩემი გვარისა და სახელის ამოკითხვა დაიწყო.

- დ ე ნ ი ს ბ ე რ ი ა? - მკითხა და თავი ზევით ასწია.

- დიახ, დენის ბერია.

- დენისი კარგი სახელია.

- შენი სახელი მთლად უკეთესია, - ვუთხარი მე და ცერა თითის აწევით ვანიშნე.

- მერედა, შენ ჩემი სახელი საიდან იცი, როცა არ გიკითხავს და არც მე მითქვამს?

- შენმა ძმისშვილმა და ლინდამ რომ დაგიძახეს, იქიდან მახსოვს. ესე იგი, რუფა გქვია, ჰო? - დავაზუსტე მე.

- რუფა, რუფ, საახლობლოში რუფინიასაც მეძახიან, ოღონდ, ჩემი თხოვნა იქნება, რომ რუფაჩკა არასოდეს დამიძახო.

- კარგი, არ დაგიძახებ, მაგრამ, ის მაინც მითხარი, რატომ არ გინდა ამ სახელის დაძახება?

- ერთი თაყვანისმცემელი მყავდა და ის მეძახდა ხოლმე რუფაჩკას, მერე ის ბიჭი გაგიჟდა და ამიტომაცაა, რომ მაგ სახელის გახსენება, ჩემში ცუდ მოგონებებს იწვევს.

- გაგიჟდა? რატომ, ალბათ ძალიან წუნია ხარ და შენმა სიყვარულმა გააგიჟა.

- არა, სიყვარულის გამო არ გაგიჟებულა, და რახან ასე დაინტერესდი, გეტყვი: მაშინ, მთელი ჩვენი ოჯახით სარაევოში ვცხოვრობდით. ისე, იცი ალბათ, სარაევო...

- რა თქმა უნდა, სარაევო ბოსნიის დედაქალაქი რომ არის, ვიცი, - ვუპასუხე მე და ყავის ფინჯანი კიდევ ერთხელ მივიტანე პირთან.

- მოიცა, მოიცა, რა დროს სარაევო და ბოსნიაა, როცა შენ, აღმოსავლეთიდან წამოსულ ადამიანს, ყავის სმა არ გცოდნია, - გავიგონე რუფას განაწყენებული ხმა.

- ჯერ ერთი, - რახან მე შენთვის აღმოსავლეთ ევროპიდან ვარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყავის სმის დიდი კულტურა და ტრადიციები უნდა გაგვაჩნდეს, და მეორეც, - კარგი რა, ყავის სმას რაღა დიდი ცოდნა სჭირდება?! აიღე ჭიქა, მიიტანე პირთან, დალიე და დადგი, სულ ეს არის მთელი ყავის ფილოსოფია, შენ კიდევ მიმტკიცებ, რომ, თურმე, ყავის სმა არ მცოდნია, - ვუპასუხე განაწყენებულმა.

- კაი ახლა, მე არაფერს არ გიმტკიცებ და არაფერს არ გავალდებულებ, უბრალოდ, რახან ერთად ვსხედვართ, გთხოვ, რომ ახლა, ამჯერად, ვიმეორებ, მხოლოდ ამჯერად მაინც, ყავა დალიო ისე, როგორც მე გთხოვ.

- რა გაეწყობა, თუ შენ ასე გსურს, ყავას სწორედ ისე დავლევ, როგორც გნებავს, - ვუთხარი მე და ყავა ტუჩებთან მივიტანე.

- მე მგონი, უკვე მორჩი, არა? - მკითხა რუფამ?

- კი, მე მგონი, მოვრჩი.

- ჰოდა, ახლა ეგ ფინჯანი ოდნავ დაატრიალე.

მეც სხვა რა გზა მქონდა, თითქმის ნალექამდე დასული ყავის ფინჯანი ოდნავ დავატრიალე და საკუთარ თავზე გამეცინა.

- ძალიან კარგია, ახლა ეგ ფინჯანი ცოტათი შენკენ გადმოსწიე და დარჩენილი ყავა თეფშზე გადმოღვარე... ჰო, კარგია, ახლა შენგან წინ გადაატრიალე და ყავა წინ გადაღვარე... კარგია, კარგი! - მკარნახობდა რუფა.

მერე მან ჩემი ყავის ფინჯანი ხელში აიღო, ჩახედა და გადმობრუნებულ მდგომარეობაში თეფშზე დადო.

- ჰოდა, იმას გიყვებოდი, ჩემი თაყვანისმცემელი როგორ გაგიჟდა - მეთქი. მაშინ იუგოსლავია ერთიანი ქვეყანა იყო და მე სარაევოში ვცხოვრობდი...

- რა ეროვნების ხარ? - შევაწყვეტინე ამბის მოყოლა.

- ეროვნებით სერბი ვარ, მაგრამ, მაშინ ანუ ომამდე სარაევოში ვცხოვრობდით, სწორედ იქ დავიბადე და გავიზარდე. მერე ომიც დაიწყო, თუმცა, ომიო ვამბობ, მაგრამ ეს უფრო გაბოროტებული ადამიანების მიერ, თითქოს ველური დროიდან გადმოყოლილი სისასტიკე იყო. მთელი ქვეყანა სისხლმა, ნგრევამ და უბედურებამ მოიცვა. იმ საშინელ პერიოდში, სიცოცხლემ ფასი საერთოდ დაკარგა, რადგან ადამიანები ერთმანეთს ქათმებივით აძრობდნენ თავებს, ხოლო ქუჩები გვამებით გაივსო. თითქოს ცა მოიქუფრა და შედედებული სისხლისფერი გახდა, ხალხს ერთი უბრალო გაღიმება რაა, ისიც გადაავიწყდა, ქვეყანაში გლოვის ჟამმა დაისადგურა. ამ განუკითხაობაში, სულიერი მამები მეორედ მოსვლის ნიშნებსაც ხედავდნენ და ამბობდნენ, რომ ეს უკვე არმაგედონის დასაწყისიაო. ასეთ დროს, რა გასაკვირია, რომ ხალხი ქვეყნის საზღვრებს მიაწყდებოდა და დასავლეთისკენ აიღებდა გეზს. ასეც მოხდა, ადამიანები ყოველგვარი ბარგისა და საგზლის გარეშე დასავლეთის მიმართულებით უკანმოუხედავად გარბოდნენ. ზოგი ბოსნიაზე არანაკლებ განადგურებულ ხორვატიაში გადადიოდა და იქიდან ზღვით, ზოგი თვითმფრინავით, ზოგიც, უბრალოდ, ოთხბორბლიანი, ნებისმიერი ტრანსპორტით გადიოდა სამშვიდობოს. აი, ის მართლაც რკინის ქარავანი იყო,

ქარავანი, რომელსაც გაწამებული და იარაღის ჟღარუნზე, ლამის ფსიქოზამდე მისული ადამიანები, დასავლეთის მიმართულებით გადაჰყავდა. სწორედ მაშინ მოხდა ის უბედურებაც. ერთ-ერთი საჰაერო თუ სახმელეთო დაბომბვის დროს, იმ ჩემმა თაყვანისმცემელმა საკუთარი თვალით იხილა, მისგან რამდენიმე მეტრში აფეთქებულმა ყუმბარამ, როგორ იმსხვერპლა მისი ოჯახის წევრები; დედა, მამა და მისი ხუთი წლის ძმა. მისთვის ყველაზე შოკისმომგვრელი კი, ხუთი წლის ძმის, ნაფლეთებადქცეული სხეულის ხილვა ყოფილა. მე ამ ფაქტს არ შევსწრებივარ, მაგრამ, როგორც მერე მითხრეს, სწორედ ხუთი წლის ძმის დანაწევრებული სხეულის ხილვის შემდეგ გადასულა ჭკუიდანო.

აქ რუფა შეჩერდა და ცოტა ხნით თვალებდახუჭული იჯდა. მერე მან ხელში კვლავ ჩემი ყავის ფინჯანი აიღო და შიგ ჩაიხედა. მე არ ვიცი, იგი იმ წუთს რას ფიქრობდა, ან საერთოდ, რას ხედავდა, მაგრამ, უცებ, რაღაც გაოცებული სახით შემომხედა.

- ვითომ, რატომ არ შეიძლება, რომ აღმოსავლეთი დაგვეხმაროს? - იკითხა მან.

- რა თქვი? - ვერ მივხვდი მის ნათქვამს.

- ჯერჯერობით არაფერი, ცოტა მოგვიანებით გეტყვი.

- როგორც გენებოს, ისე იყოს, ოღონდ, იცოდე, რომ შენს თაყვანისმცემელზე მოყოლა არ დაგისრულებია.

- მოსაყოლი თითქმის აღარაფერია, გარდა იმისა, რომ მაშინ იგი ფსიქიატრიულში მოუთავსებიათ.

- და დღესაც იქ არის?

- ფსიქიატრიულში მოხვედრილს კი, არ ვიცი როგორ, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაცნაირად შენობის სახურავზე აპარვა და იქიდან გადმოხტომა მოუხერხებია. მოკლედ, ასე ტრაგიკულად დასრულდა, როგორც პირადად მისი, ისე მთლიანად მისი ოჯახის ცხოვრებაც. ალბათ დამეთანხმები, რომ, რაც ახლა მოგიყევი, გაბოროტებულ ადამიანთა მიერ მოწყობილი, ყოვლად გაუმართლებელი სასაკლაოს შედეგია.

- ჩვენ, ადამიანები ერთმანეთის ხორცს არ ვჭამთ, მაგრამ ერთმანეთს მტაცებელ ცხოველებზე უფრო მეტად ვასახიჩრებთ. არ მეთანხმები? - ვკითხე რუფას.

- დღევანდელი სამყაროს უპირველესი პრობლემა ის გახდა, რომ სიკვდილი ადამიანთა ხელობად იქცა, ხოლო ზოგიერთები ამ საქმეში ჯილდოებსა თუ ორდენებსაც იღებენ. მაგრამ, მერწმუნე, რისთვისაც არ უნდა იბრძოდეს ადამიანი, და რა იდეასაც არ უნდა ემსახურებოდეს, მე მაინც, ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია, რომ ასეთ პიროვნებებს, თუნდაც მამაცური ბრძოლისთვის, ანუ ადამიანთა გაჟლეტისთვის, მადლობა გადაუხადო და რაიმე სახის ჯილდო გადასცე. თუმცა, მე ვინ რას მაკითხებს, როცა დღევანდელი კაცობრიობისთვის მთავარი საკუთარი ძალების დემონსტრირება გამხდარა.

- ჩემი არ იყოს, შენც გეტყობა, რომ ბევრი რამ არ მოგწონს.

- აი, მაგალითად, წარმოიდგინე ორ ქვეყანასა თუ ერს შორის საომარი მდგომარეობაა გამოცხადებული, ადამიანები ერთმანეთს უსასტიკესი მეთოდებით უსწორდებიან და იღვრება, როგორც კონფლიქტში მონაწილე სამხედროების, ისე, სრულიად უდანაშაულო ადამიანების სისხლი... მაშ ასე, იღვრება სრულიად

უდანაშაულო ადამიანების სისხლი და საინტერესოა, ამ დროს რას აკეთებს ეკლესია? ეკლესია აკეთებს იმას, რაც პირადად ჩემთვის ამაზრზენზე ამაზრზენია. მაგალითად, სულიერი მოძღვრები, ნაცვლად იმისა, რომ კონფლიქტში დაპირისპირებულ მხარეთა შორის ჩადგნენ და შემრიგებლის ფუნქციით დაკავდნენ, აქეთ კბილებამდე შეიარაღებულ სამხედრო პირებს კურთხევას აძლევენ და საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად გზას ულოცავენ. ვინ ჩადიან ამას? ვინ და სულიერი მოძღვრები, ანუ ის ღვთისმსახურები, რომლებიც მერე შევლენ წმინდა ტაძრებში და საკუთარ მრევლს მშვიდობასა და კაცთმოყვარეობაზე უნამუსოდ დაუწყებენ ქადაგებას. ამიტომ, დენის, ძალიან მაინტერესებს, პირადად შენ, რამდენად დასაშვებად მიგაჩნია ის, რომ ღვთის მსახური ადამიანებს ერთდროულად ომში საბრძოლველადაც აძლევდეს კურთხევას და ამავე დროს, მაღალი საეკლესიო ტრიბუნიდან იმასაც ქადაგებდეს, თუ ერთ ლოყაში გაგარტყეს, მეორეც მიუშვირეთო, არა კაც ჰკლათო, შეიყვარეთ მტერი თქვენი და ილოცეთ მათზეო? ხომ არ შეიძლება, ადამიანმა სიმართლე ორ ადგილას ეძებოს? ვინც არ უნდა იყო შენ, გინდა სულიერი მოძღვარი და გინდ უბრალო მრევლი, უნდა გახსოვდეს, რომ ომში საბრძოლველად წასვლა და სახარების იმ მუხლით ცხოვრება, რომ ვითომ კაცი არ უნდა მოკლა და უნდა გიყვარდეს მტერი შენი, ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელი რამ არის. ხოლო ვინც იტყვის, რომ მე ერთსაც გავაკეთებ და მეორესაცო, ის ცრუობს და მას ეკლესიაში სიარული, სამსახურში ან დისკოთეკაზე გასართობად სიარულისგან ვერ განუსხვავებია.

- იცი, რას ვფიქრობ? ადამიანი სწორედ მაშინ დაშორდა ჭეშმარიტად რელიგიურ გზას, როდესაც ეკლესიამ საკუთარი მრევლი კლიენტად, ხოლო ამ კლიენტმა ეკლესია - ქარვასლად აქცია. მე ახლა არ ვიცი, შენ რა წარმოდგენა გაქვს სამოთხეზე, ჯოჯოხეთზე ან საერთოდ, საიქიო სასუფეველზე, მაგრამ არა მგონია, შენც ისევე გულგრილად უცქერდე საეკლესიო მრევლის გაბრიყვებას, როგორც საზოგადოების უდიდესი ნაწილი უცქერის.

- დენის, ვისაც სამოთხისა და ჯოჯოხეთის არ სჯერა, მას ღმერთისაც არ სწამს. ადამიანი სწორედ იმით განსხვავდება ყველა სხვა ბიოლოგიური არსებისგან, რომ მას აქვს რწმენა, მან იცის, რა მისიით მოდის დედამიწაზე, რატომ მიდის, სად მიდის (მე აქ ისევ უფალთან მისვლას ვგულისხმობ), და რა უნდა გააკეთოს იმისთვის, რათა ამქვეყნიური ცხოვრების დასრულების შემდეგ სიცოცხლე კვლავაც გააგრძელოს და მარადიულობაში ღირსეულად გადავიდეს. თუმცა, არც ის არის დასამალი, რომ დედამიწა სავსეა ისეთი ადამიანებით, რომელთაც...

- არა, შენ, ალბათ ვერ გამიგე, - შევაწყვეტინე მე, - შენ ნამდვილად ვერ გამიგე, რისი თქმაც მსურდა. მე სამოთხე, ჯოჯოხეთი და საერთოდ, საიქიო სასუფეველი იმისთვის არ მიხსენებია, რომ ახლა, ამ წუთას რელიგიისადმი ადამიანურ ეჭვებზე ვისაუბროთ, თუმცა, თუ ამის საშუალება მოგვეცემა, სხვა დროს ამაზეც შეიძლება ლაპარაკი. მე, უბრალოდ, სულიერი მოძღვრების მიერ ხელდასმული მრევლის გულუბრყვილობა, გნებავს, ყოვლად უსაფუძვლო რელიგიური ფანატიზმი მაოცებს. აი, მაგალითად, შენი ძმა ახალგაზრდულ ასაკში წასულა ამქვეყნიდან და როგორც შენგან შევიტყვე, მართლაც ღირსეული პიროვნება ყოფილა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვენ არ ვიცით, უფალი როგორ

განსჯის და რა საიქიო გზაზე დააყენებს მას. დიახ, არ ვიცით და მით უმეტეს, ჩვენ აქედან, რამდენიც არ უნდა ვეცადოთ, მისი სულის გადასარჩენად თუ ღვთის სასუფეველში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად, ვერაფერს გავხდებით, რადგან მან აქ იცხოვრა იმ ცხოვრებით, როგორც თავად ჩათვალა საჭირო და სასუფეველსაც ზუსტად იმ განვლილი გზის მიხედვით დაიმკვიდრებს, რა გზაც აქ გაუვლია.

- კი, გეთანხმები და, განა ვინმე სხვაგვარად ფიქრობს?

- მე არა მარტო გამიგია, არამედ საკუთარი თვალითაც მინახავს, თუ რა საქმოსანი ადამიანის იერით აგროვებდა მრევლი გარკვეულ თანხას, რათა ეს თანხა მოძღვრისთვის მიეცათ, ხოლო ამ უკანასკნელს კი გულმხურვალედ ელოცა, რომ ამ გაბრიყვებული მრევლის გარდაცვლილი ახლობლები სამოთხის კარიბჭემდე მისულიყვნენ.

- შენ რას დაარქმევდი ყოველივე ამას? - არ მომეშვა რუფა.

- რას და, რელიგიურ კორუფციას დავარქმევდი. განა შეიძლება მრევლის ასე ამჩატება, რომ მას ნებისმიერი თანხით ნაყიდი სამოთხისა სჯეროდეს? არადა, მათ სჯერათ ამისი, უფრო სწორად, უნდათ, რომ ასე იყოს, და ამიტომაცაა, ასეთ სიბრიყვეს რომ იჯერებენ. მაშ თუ ასეა საქმე, გამოდის, რომ ღვთის სასუფეველში ღირსეული ადგილის დამკვიდრება, ადამიანის მიერ არა ამქვეყნად განვლილ გზაზე, ან ჩადენილ ცოდვათა სიმძიმეზე, ან სიმსუბუქეზე, არამედ ამ ადამიანის აქ დარჩენილ ახლობელთა მარიფათსა და ფინანსურ მდგომარეობაზე ყოფილა დამოკიდებული. ესე იგი, ვიღაც ნაძირალას, რომელმაც ამ ცხოვრებაში დიდი ცოდვებით იცხოვრა, შეიძლება ჩალიჩა ახლობლებმა, არც სიკვდილის შემდეგ მოაკლონ ყურადღება, დიდი თანხა შეუგროვონ, ვინმე მოძღვარს ჯიბეში ჩაუკუჭონ და საქმეც გაიჩარხება, რადგან მოძღვარი იმდენს ილოცებს, სანამ ამ ნაძირალას სამოთხის კართან არ აატუზებს. სასაცილოა ეს ყველაფერი, არა? რადგან ასეა საქმე, მაშინ იმ მცირედმორწმუნე ადამიანებმა რაღა ქნან, რომლთათვისაც ამქვეყნიურ ცხოვრებას შავი ღრუბლების მეტი, არაფერი გაუმეტებია, ხოლო, როცა დაიხოცნენ, აქ არც ჩალიჩა ახლობლები და არც გამხსენებელი არავინ დარჩენიათ?! მაინტერესებს, როგორ წარიმართება მათი ბედი, ღვთის სამსჯავროზე?

- ღმერთმა შექმნა ადამიანი და მას შემდეგ, ეს გონიერი არსება ცდილობს სამყაროს შემოქმედს თავი მოაწონოს, რათა იმქვეყნიური მარადიულობა მოიპოვოს. - რაღაც გულდაწყვეტილმა თქვა რუფამ და ისევ ჩემს ყავის ფინჯანს გადმოსწვდა.

- და შენ გგონია, რომ ადამიანთა უმეტესობა მხოლოდ იმქვეყნიური მარადიულობისთვის აწონებს უფალს საკუთარ თავს? - ვკითხე მე.

- აბა, სხვა რა უნდა ითხოვოს ადამიანმა ღმერთისგან? - გაოცებით შემომხედა მან.

- რუფა, არა მგონია, იმას ვერ ხვდებოდე, რასაც ახლა მე ვგულისხმობ.

- სიმართლე რომ გითხრა, მართლა ვერ ვხვდები, იმქვეყნიური მარადიულობის გარდა, ადამიანები, რას შეიძლება შესთხოვდნენ უფალს?

- როგორ, ნუთუ შენ არ გაგიგია ან არ გინახავს, წმინდა ტაძრის კედლებთან ატუზული ადამიანები, ყველაზე ხშირად, რას სთხოვენ უფალს?

- ჯანმრთელობას!

- ჯანმრთელობას და კიდევ ყველაფერ იმას, რაც ადამიანს ამქვეყნიურ ცხოვრებაში ისე სჭირდება, როგორც თვალისჩინი.

- მე მგონი, ახლა უკვე მივხვდი, - ისე თქვა რუფამ, რომ ჩემი ყავის ფინჯნიდან თავი არ აუწევია.

- კარგია რომ მიხვდი, მაგრამ ცუდია, რომ ადამიანთა უმეტესობას ღმერთი წვერებიან „სანტა - კლაუსად“ წარმოუდგენია და კარგი ქცევის სანაცვლოდ, მისგან მატერიალურ დახმარებას მოელის. ჰო, ეგრეა, თუ „სანტა - კლაუსი“ კანფეტებსა და სათამაშოებს არიგებს, ამ გაბრიყვებულ ხალხს ჰგონია, რომ ამქვეყნად კარგი ქცევის სანაცვლოდ, უფალი ყველა მიწიერ სურვილს აუსრულებს და მათ სალაროს სულ ოქროს მონეტებით შეუვსებს. ეჰ, ასე ჰგონიათ ამ ბრიყვებს და რა ქნან? ამიტომაც არის, რომ ეს ჭკუასუსტი არსებები ლოცვებშიც კი ისეთ რამეს ითხოვენ, რაც ყველა ნორმალურ ადამიანს ღიმილს უნდა ჰგვრიდეს. კი, მესმის, რომ შეიძლება ლოცვებში უფალს საკუთარი, შერყეული ჯანმრთელობა შეახსენო, მაგრამ, დადგე და, იგივე უფალს; ფული, ოქრო-ვერცხლი, სამსახური, კარიერა და საერთოდ, ამქვეყნიური დიდება მოსთხოვო, ისეთივე ჭკუასუსტობა მგონია, როგორც ეკლესიაში ანთებული სიგარეტით შესვლა და იქ გაბოლება. შეხედე, დღეს რა ხდება: მრევლის უმეტესობა ეკლესიებში წირვებს, არა სულიერი, არამედ ხორციელი დაინტერესებისთვის ესწრება და ამიტომაა, რომ მათ საერთოდ არ აინტერესებთ, რას ბუტბუტებს მოძღვარი. მათი უმეტესობა ეკლესიაში ყოფნის დროს საათზე ხშირად იხედება და ჩქარობს წირვის დასრულებას, რადგან გარეთ უამრავი საქმე ელოდება. რაც მთავარია, სანთლის ანთებისა და ტაძარში გატარებული ერთსაათიანი მთქნარების შემდეგ, ისინი შინაგანად ისეთი განწყობით ტოვებენ წმინდა ადგილს, თითქოს უფლის წინაშე საკუთარი ვალი პირნათლად მოიხადეს და ახლა უკვე მათი ყველა ოცნება, ნელ-ნელა აღსრულებისკენ წავა. მაგალითად, ვისაც არა აქვს, მას სულ მალე აუცილებლად ექნება; ბინა, მანქანა, თანამდებობა და მოკლედ, ყველაფერი ის, რაც ადამიანს ამქვეყნიური ცხოვრებისთვის სჭირდება, ხოლო ყოველივე ეს, ვისაც უკვე აქვს, ისინი იმ იმედით ტოვებენ ტაძარს, რომ მათი ხვალინდელი დღე დღევანდელზე ბევრად უფრო საინტერესო და ზღაპრული იქნება. არადა, ამ მართლაც ბრიყვებს არ ახსოვთ, რომ თავად ქრისტეს არც ერთი მოციქულიც კი ამქვეყნიური დიდებით არ შემოსილა. ის კი არა, უმეტესობამ საკუთარი, ამქვეყნიური სიცოცხლე არა ტკბილი სიბერით, რომელზეც ჩვენი ეკლესიების, ვითომ ღრმადმორწმუნე მრევლი ლოცვებში ნატრულობს, არამედ სრულ სიღატაკეში, მოწამეობრივი სიკვდილით დაასრულა. ჩვენ კი, ჩვენი რწმენით, რაოდენ შორს ვართ, ქრისტეს, თუნდაც ერთ, ყველაზე მერყევი მოციქულისგან, არა? რაც ახლა გითხარი, ეს ფაქტია და ამ საკითხზე სულ მცირე კამათიც გაუმართლებლად მიმაჩნია, მაგრამ ახლა ხომ ის დროა, როცა ასეთი ფაქტები არავის აინტერესებს, რადგან ადამიანთათვის მთავარი საკუთარი გონებითვე შეთხზულ ცრუ ილუზიებში ჩაფერფვლა და თავის მოტყუება ყოფილა. დრო გადის და ესენიც სულ უფრო ღრმად ეფლობიან ილუზიების მორევში. ეფლობიან და ბრიყვულად იჯერებენ იმას, რომ, თუ ადამიანი მარხვის ჟამს მხოლოდ სამარხვო ტორტებსა და შოკოლადებზე გადავა, ეკლესიაში ხშირად ივლის, მერე იქ, ხელის ცახცახით სანთლებს აანთებს და იქვე მდგარ შესაწირ ყუთში, რაღაც მოჭარბებულ გროშებს ჩააჩხრიალებს, თურმე ამით

უფალი ისე აღფრთოვანდება, რომ ამ ადამიანს ყველანაირ ამქვეყნიურ ნატვრას აუხდენს და შესაწირ ყუთში ჩაყრილ გროშებსაც, სულ ოქროს ზოდებად მიუბრუნებს უკან. სამწუხაროა, რომ ბევრს ჯერ კიდევ სჯერა ასეთი ზღაპრების, თუმცა, დავაზუსტებ და ვიტყვი, ასეთ შემთხვევაში ამ ხალხის თავდაჯერება, მხოლოდ მათ სურვილებს ეფუძნება და მეტს არაფერს. არადა, ძალიან მიკვირს, რატომ ვერ შეიგნო ამ ხალხმა, რომ ხშირ შემთხვევებში მთავარი არა სურვილი, არამედ ჩვენ გარშემო შექმნილი რეალობაა, რეალობა, რომელსაც ყველამ თვალი უნდა გავუსწოროთ.

- ესე იგი, შენ თვლი, რომ ადამიანს სიმდიდრე არ სჭირდება და მან ეს არ უნდა ინატროს?

- მე არ ვამბობ, რომ ადამიანს სიმდიდრე არ სჭირდება - მეთქი, უბრალოდ, მე ვთვლი, რომ ადამიანი სიმდიდრის მოსაპოვებლად ეკლესიაში არ უნდა შედიოდეს, და თუ იქ შესვლას მაინც გადაწყვეტს, მაშინ არა ხორციელ, არამედ სულიერ დაპურებაზე უნდა იზრუნოს. ვფიქრობ, ყოველივე ადამიანის გონებრივი სიბნელის ნიშანია, როცა პიროვნებას გულით სჯერა, რომ სიმდიდრე, რაც მას მოუხვეჭია, უფლისგან მადლობის ნიშნად გადმოგდებული წყალობა ყოფილა.

- მაშ, ვინ და რისთვის უნდა იაროს ეკლესიაში?

- ეკლესიაში ყველას შეუძლია იაროს, ოღონდ ღარიბებმა არა გასამდიდრებლად და მდიდრებმა - არა კიდევ უფრო გასაძღომად. ისე, ძალიან ბევრი ადამიანი ვიცი, რომელთაც არა მარტო ეკლესიის კარი არ იციან სად არის, არამედ მთელი თავისი ცხოვრება ღვთის გმობაში და სიბილწე-მლიქვნელობაში აქვთ გატარებული, მაგრამ, რად გინდა, ისეთი ტკბილი, ჰარმონიული და სანეტარო ცხოვრებით ცხოვრობენ, რომ შეიძლება ვინმეს შეშურდეს კიდეც. ვთქვათ სიმართლე და შეშურდება თუ არა, ადამიანს, რაღაც პროტესტის გრძნობა მაინც გაუჩნდება, როცა ხედავს, რომ ასეთი კატეგორიის ნაძირლებს აქვთ ყველაფერი, რაც ნებისმიერ კაცსა თუ ქალს, ამქვეყნიური განცხრომისთვის სჭირდება. ხოლო ყოველივე ეს ხდება იმ დროს, როცა ადამიანთა ის მცირე კატეგორია, რომლებიც წლების განმავლობაში ყველანაირ გასაჭირს უპრეტენზიოდ იტანენ და მუხლებზე დაჩოქილნი, დღედაღამ სულ ლოცვებში ატარებენ, ვერავითარ ნუგეშს ვერ გრძნობენ და საკუთარ ცხოვრებას უკიდურეს სიღარიბეში ატარებენ. თან ისიც არ დაგავიწყდეს, რომ უმეტეს შემთხვევებში, მდიდრები ჯანმრთელებიც არიან, რადგან, ცნობილი ამბავია, რომ თუ ადამიანს აქვს ფული, ის საკუთარ თავს უვლის და, ესე იგი, მას აქვს ჯანმრთელობა.

რუფამ ნაღვლიანი თვალებით შემომხედა და ძალიან მორიდებით, ერთი სიტყვით მკითხა:

- ვითომ?

- დიახ, დიახ, ვისაც დიდი ფინანსები აქვს, ხშირ შემთხვევაში, მისი ჯანმრთელობაც სხვაზე უკეთესია, ხოლო ის ადამიანები, რომელთაც ფული არ გააჩნიათ, სამწუხაროდ მხოლოდ გულმხურვალე ლოცვების შედეგად გამოჯანმრთელების იმედადღა არიან დარჩენილნი. ამ სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ყველა ჩვენგანისთვის საოცნებო სიმდიდრის მოსახვეჭად, სულაც არ ყოფილა საჭირო ღვთის წყალობა და ეკლესიაში სიარული. ასე რომ, დამიჯერე, სიმდიდრეზე მეოცნებეთათვის ეკლესიაში

სიარული, მხოლოდ დროის ფუჭად კარგვაა, რადგან ეკლესია კაზინო ან ოქროს ბირჟა არ გახლავთ, რომ იქ სიმდიდრის მოსახვეჭად შეიარო.

- და შენ, რისთვის შედიხარ ხოლმე ეკლესიაში?

- მე თუ ეკლესიაში შევდივარ, იმისთვის ნამდვილად არ შევდივარ, რომ უფალს მატერიალურ პრობლემებზე ვეწუწუნო და ოქროს ზოდების გადმოყრა მოვთხოვო, აზრს ვერ ვხედავ ყოველივე ამაში და იმიტომ. თუმცა, გამოგიტყდები და სიმდიდრეზე, ანუ დალხენილ ცხოვრებაზე მეც ისევე ვოცნებობ, როგორც მოკვდავთა უმეტესობა.

- შენ მაინც არ გითქვამს, ეკლესიაში შესვლისას, რას შესთხოვ ხოლმე უფალს?

- იძულებით ჩადენილი ცოდვების პატიებას.

- იძულებით ჩადენილი ცოდვები, ეგ როგორ გავიგო?

- შენ როგორც გენებოს, ისე გაიგე, მე კი გეტყვი, რას ვგულისხმობ, როდესაც იძულებით ჩადენილ ცოდვებს ვახსენებ. მაგალითად, ავიღოთ ჩემი დღევანდელი მდგომარეობა. მოხდა ისე, რომ ბედის დაცინვით თუ ჩემთვის უკვე თავსმობეზრებული უიღბლობით, მოვხვდი სრულიად უცხო ხალხში და ქვეყანაში, სადაც, შენ რომ არ გამოჩენილიყავი, შეიძლება, ჩემთვის ყველაფერი ტრაგიკულად წარმართულიყო. რაც მთავარია, როგორც შენგან შევიტყვე, თურმე ამ ქვეყანაში სანქციების დაწესების გამო, აქაური ბანკები გადარიცხვა-გადმორიცხვებს ვერ ახორციელებენ. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ ჩემს ქვეყანაში რომც დავრეკო, მაინც ვერავინ დამეხმარება და იმ თანხას, რაც, თუნდაც უკან, ჩემს სამშობლოში დასაბრუნებლად მჭირდება, ვერავინ გამომიგზავნის. ასე რომ, რადგან ჩრდილოეთის მიმართულებით უნგრეთის ვიზის უქონლობის გამო არ გამიშვეს, და ვერც სამშობლოში ვბრუნდები, დავრჩი მარტოდმარტო. პარადოქსია, ნამდვილი პარადოქსი, ქვეყნიდან ვერ გავდივარ, აქ დარჩენა კი მანამდე შემიძლია, სანამ ჩემს იუგოსლავიის ერთკვირიან სატრანზიტო ვიზას ვადა არ გაუვა და თქვენი პოლიცია, სულ კინწისკვრით არ გამადეპორტებს აქედან. კარგი, სხვა რა გაეწყობა, ვიქნები აქ ერთი კვირის განმავლობაში, მაგრამ, მოგეხსენება, ადამიანი ჰაერით არ იკვებება და თან არანაკლებ მნიშვნელოვანია ის საკითხიც, თუ ღამეები სად გავათიო? მოკლედ, დამიგროვდა პრობლემები, რომელთა გადაჭრაც ჩემი კატეგორიის ადამიანისთვის, თითქმის წარმოუდგენელია. შენ, ალბათ, მკითხავ, ნეტავ რა კატეგორიის ადამიანი ხარ ასეთიო. მეც, ჩემი მხრივ, ახლავე მოგახსენებ: ამ მდგომარეობიდან, რომელშიც მე ახლა ჩავვარდი, სამი გამოსავალი არსებობს; პირველი გამოსავალია ის, რომ დავიკაპიწო ხელები და ასეთ ბნელ ღამეებში, როგორიც ახლაა, ძარცვა - ყაჩაღობა დავიწყო, მაგრამ, მე რომ ასეთი კატეგორიის ადამიანი ვიყო, მაშინ ჩემს ქვეყანაშიც უტკბილესი ცხოვრება მექნებოდა და ასე შორს გადახვეწა, ნამდვილად აღარ დამჭირდებოდა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, პირველი გამოსავალი თუ ვარიანტი გამოირიცხა, ამიტომაც გადავიდეთ მეორე ვარიანტზე, რომელიც ამგვარად გამოიყურება: მე ახლა, როგორმე უნდა ჩავაღწიო თქვენს დედაქალაქ ბელგრადამდე, სადაც უნდა მოვნახო საქართველოს საელჩო და ისინი უნდა დამეხმარნონ, მაგრამ საქართველოს იუგოსლავიაში საელჩო არ გააჩნია და, გამოდის, რომ თავისთავად, ეს ვარიანტიც გამოირიცხა. და მესამე ვარიანტად

დამრჩა ის, რომ ვინმე ადამიანს უნდა გადავაწყდე, რომელიც გამიგებს და ამ ლაბირინთებიდან გზას გამაკვლევინებს...

- ამ სამი ვარიანტიდან თუ გამოსავლიდან, პირველი ორი შენთვის არ არსებობს, მაგრამ მესამე ვარიანტი ხომ გამოგიჩნდა?! ამიტომ სანერვიულოც აღარაფერია, - შემაწყვეტინა რუფამ.

- მეც ზუსტად ეგ მაინტერესებს, შენ რომ არ გამოჩენილიყავი, რა გზას დავადგებოდი? თავიდან, ალბათ ვიტყოდი, სხვა რა გაეწყობაო და ვივლიდი ასე გათოშილი ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე, და დარწმუნებული ვარ, ამ დროის განმავლობაში, ჩემი ისედაც მწირი ბიუჯეტი, სულ მთლად ნულამდე დავიდოდა, შემცივდებოდა, მაგრამ სითბოს ვერ მოვნახავდი, მომშივდებოდა, მაგრამ ვერაფერს შევჭამდი. ისე, იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ მიუხედავად ასეთი მოზღვავებული პრობლემებისა, როგორც არ უნდა გამჭირვებოდა, არავის სახლში არ შევუვარდებოდი, ბანკს არ გავტეხდი და ძარცვის მიზნით, ღამითაც არავის დავხვდებოდი. თუმცა, როცა ადამიანს ძალიან უჭირს და სხვა გამოსავალიც აღარ დარჩენია, არ არის გამორიცხული, მან თავი ვერ შეიკავოს და ხელი ისეთ რამეზე წაუცდეს, რაც, შეიძლება დიდ დანაშაულად არ ითვლება და მანამდე მას, ასეთი რამ არ უკადრებია.

- მაინც რა დანაშაულია ასეთი? - თვალები გაუფართოვდა რუფას და სახეზე ღიმილმა გადაუარა.

- მე ტყუილად არ მიხსენებია იძულებით ჩადენილი ცოდვები.

- რა შეიძლება იყოს, ეს იძულებით ჩადენილი ცოდვა?

- რაზეც განწირულ ადამიანს ხელი წაუცდება.

- რაზე შეიძლება განწირულ ადამიანს ხელი წაუცდეს?

- ყოველგვარ წვრილმანზე, რაც იმ მომენტში განწირული ადამიანისთვის შეიძლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს, ხოლო სხვისთვის, მხოლოდ ღიმილის მომგვრელი.

მე ამ დროს ფეხზე წამოვდექი, მერე მაგიდას გადავავლე თვალი, ხელი იმ თეფშისკენ წავიღე, სადაც რამდენიმე ცალი ხორცის ღვეზელი ეწყო, ავიღე ერთი ღვეზელი, ჩავკბიჩე და იქვე, ჩვენი მაგიდის გვერდით ჩარაზულ ფანჯარასთან მივედი. გარეთ ისევ ცრიდა და კვლავაც უჟმური ღამე ჩამოწოლილიყო. ასეთი სურათის შემხედვარემ, ჩემდა უნებურად, გულში გავიფიქრე, - რუფა რომ არ შემხვედროდა, ნეტავ, ახლა სად ვიქნებოდი? - სად ვიქნებოდი, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ, ძალიან ცუდ მდგომარეობაში რომ ვიქნებოდი, ამას წყალი არ გაუვა, - გავეცი საკუთარ თავს პასუხი.

- დენის, შეკითხვაზე პასუხს არ მცემ? - მაინც არ მომეშვა რუფა.

- რუფა, ერთი რამ შეიგნე, რომ, როცა ადამიანს ძალიან უჭირს და გამოუვალი მდგომარეობა აქვს, შეიძლება მას ასეთ სასაცილო წვრილმანზე წაუცდეს ხელი, - ვთქვი მე და განახევრებული ხორცის ღვეზელი, რუფას ცხვირთან მივუტანე, - ახლა თავს ნურავინ დადებს და ნუ იტყვის, რომ მსგავს სიტუაციაში ასე არ მოვიქცევი და უფრო კეთილშობილურ გამოსავალს მოვნახავო. მოკლედ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანი, თუ იმას გააკეთებს, რაც მე გითხარი, ეს იძულებით ჩადენილ ცოდვად ჩაითვლება, ხოლო, როცა ადამიანი, იგივე საქმეს, არა გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი, არამედ, როგორც პროფესიონალი ქურდბაცაცა, ისე აკეთებს, მაშინ საქმე უკვე არა

იძულებით ჩადენილ ცოდვა - დანაშაულთან, არამედ უმძიმეს ცოდვა-ბრალთან გვქონია. მე აღარაფერს ვამბობ ისეთ დანაშაულებზე, როცა ყაჩაღები საკუთარ ცხოვრებას, სხვისი სისხლისა და ცრემლის ხარჯზე იწყობენ. მე მგონი, ყველაფერი გასაგებად აგიხსენი, არა?

- ესე იგი, შენ მაგ წვრილმან ცოდვას ჩაიდენდი?!

- მე დარწმუნებით არ მითქვამს, რომ აუცილებლად ასეთ ცოდვას ჩავიდენდი - მეთქი. მე მხოლოდ იმას ვამტკიცებ, რომ თუ მსგავს სიტუაციაში ადამიანმა ასეთი რამ ჩაიდინა, ყოველივე იძულებით ჩადენილი ცოდვა იქნება და მეტი არაფერი. შენ მკითხე, რა შეიძლება იძულებით ჩადენილი ცოდვა გახდესო და მეც ერთ-ერთი უბრალო მაგალითი მოგიყვანე, სულ ეს არის და ეს. კონკრეტულად ჩემს შემთხვევაში რა მოხდებოდა, შენ რომ არ გამოჩენილიყავი, არავინ იცის, მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენე, იმაზე თავს დავდებ, რომ რა გაჭირვებაშიც არ უნდა ჩავვარდნილიყავი, სახლში მაინც არავის შევუვარდებოდი და არც ძარცვის მიზნით დავხვდებოდი ქუჩაში ვინმეს.

- პირადად ჩემთვის, ძალიან სასიამოვნოა შენგან იმის მოსმენა, რომ რა გასაჭირშიც არ უნდა აღმოჩენილიყავი, საკუთარ სახეს მაინც არ დაკარგავდი და ერთ ნაძირალა ყაჩაღად არ გადაიქცეოდი. კიდევ ერთხელ ვაღიარებ, რომ მე პირადად, ძალიან მახარებს შენგან ამ სიტყვების მოსმენა, თუმცა, აქვე უნდა გამოგიტყდე, რომ ადამიანების ამგვარ პატიოსნებაში, მაინცდამაინც დიდ გმირობას ვერ ვხედავ, რადგან, ეს ხომ ისედაც ასე უნდა იყოს, რომ ნებისმიერ გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანს, შავ-ბნელმა ზრახვებმა არ უნდა სძლიოს?!

- მართალი ხარ, პატიოსნება გმირობად არ უნდა ითვლებოდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, დღევანდელი სამყარო იმდენად გადაგვარდა და იმდენად გაუფასურდა, რომ თუ გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანი ხელში იარაღს არ აიღებს და არ იყაჩაღებს, ეს უკვე დიდ გმირობად მიაჩნიათ. ისე, შენ თუ შეგიძლია მითხრა, მაგალითად მე, რა გასაჭირშიც არ უნდა ჩავვარდე, რატომ ვარ ასე დარწმუნებული იმაში, რომ ხელში იარაღს არ ავიღებ და ყაჩაღობას არ დავიწყებ?

- დენის, მაგას რა ძნელი მიხვედრა უნდა, რომ, ისე, როგორც ყველა წესიერმა ადამიანმა, შენც არ გსურს ღვთისგან იმქვეყნიური სასჯელი დაიმსახურო, ხოლო ამქვეყნად ციხის საკანი ხეხო. ეს ასეც უნდა იყოს, მე ძალიან კარგად მესმის შენი და შეგიძლია ჩათვალო, რომ მეც შენი თანამოაზრე ვარ.

-აი, სწორედ მაგაშია პრობლემა და შენ წარმოიდგინე, რომ არ გეთანხმები.

- მაინც რაში არ მეთანხმები?

- ესე იგი, შენი აზრით, მე რომ დღეს ხელში იარაღი არ მიჭირავს, ყაჩაღად არ ვარ გავარდნილი და უდანაშაულო ადამიანების სისხლით არ ვძღები, ამის მიზეზი ღვთის სამსჯავრო და ციხის ნესტიან საკანში მოხვედრის შიში ყოფილა?! შენ თუ ასე ფიქრობ, ცდები, რუფა, ძალიან ცდები.

- იქნებ გამარკვიო, რაში ვცდები?

- რადგან ასეა საქმე, შევეცდები გაგარკვიო. მაშ ასე, მე თუ დღეს არ ვყაჩაღობ, განა იმიტომ არ ვყაჩაღობ, რომ რაღაცის მეშინია, არამედ, იმიტომ არ ვყაჩაღობ, რომ ყაჩაღობა ჩემს ბუნებაში არ ზის და არ მეხერხება. მე რომ ცხოვრებაში ადამიანი არ მომიკლავს, განა, იმიტომ არ მომიკლავს, რომ

დღენიადაგ ღვთის სასჯელისა და ციხის შიშით ვცახცახებ, არამედ, იმიტომ არ მომიკლავს, რომ მკვლელობა ჩემი ხელობა არ არის. ასევე, მე რომ ცხოვრებაში არავინ გამიძარცვავს, განა, იმიტომ არ გამიძარცვავს, რომ აქაც ღვთის სასჯელისა და ციხის საკნის შიში არ მასვენებს, არამედ, იმიტომ არ გამიძარცვავს, რომ არც ძარცვაა ჩემი ხელობა, და მე რომ ცხოვრებაში არავის მიმართ დიდი თაღლითობა არ ჩამიდენია, განა, იმიტომ არ ჩამიდენია, რომ ამ საქმეშიც ღვთისა და ციხის აჩრდილი არ მასვენებს, არამედ იმიტომ არ ჩამიდენია, რომ აფიორაც ისევე შორსაა ჩემგან, როგორც მკვლელობა და ძარცვა.

- კარგი, დავუშვათ, რომ, როცა ცუდ საქმეს არ ჩადიხარ, ყოველივე ამას არა ღვთის შიში, არამედ შენი პიროვნული თვისებები გკარნახობს, მაგრამ, როცა სიკეთეს აკეთებ, განა არ ელი, რომ შენ მიერ ჩადენილ თითოეულ კეთილ საქმეს ღმერთი დაინახავს და ყოველმხრივ დაგიფასებს?

- შენ რა იცი, იქნებ მე საერთოდ არ მაქვს სიკეთე ჩადენილი, ან იქნებ, ის მაინც მითხრა, შენ რას ეძახი სიკეთეს?

- რატომ, დენის, მე მაგალითად, მომსწრე ვარ იმისა, თუ რამდენიმე საათის წინ, შენ რა ღირსეულად მოექეცი იმ გასაცოდავებულ მათხოვარ ქალს.

- არადა, რომ იცოდე, როგორ მზარავს, როცა ვუცქერ კარგად ნაჭამ-ნასვამი ადამიანები, თავისთვის მოჭარბებულ რაღაც გროშებს რომ ჩაუჩხრიალებენ ხოლმე მათხოვრებს, მერე უცოდველი ხბოს თვალებით, პირჯვარს ისეთი ნეტარებით რომ გადაიწერენ ხოლმე, თითქოს ერთი უდანაშაულო ადამიანი სიკვდილისგან გადაერჩინოთ და სიცოცხლის გზაზე დაეყენებინოთ. ყოველივე ამის დანახვა მზარავს იმდენად, რამდენადაც ვიცი, რომ ეს არაფრისმთქმელი გროშები არც მათხოვარს შემატებს რამეს და არც იმ კარგად ნაჭამ-ნასვამი ადამიანების ბიუჯეტს აზარალებს. ამიტომაც ვამბობ, რომ მე არ მწამს ისეთი დახმარების, როცა ადამიანები არაფრისმთქმელ ხურდა ფულს, რომლითაც ისედაც ვერაფერს ყიდულობენ, გადაგდების ნაცვლად, მათხოვარს უყრიან ჯიბეში ან რომელიმე შესაწირ ყუთში ათავსებენ. კიდევ ერთხელ გეუბნები, მათხოვრისთვის მოჭარბებული ხურდა ფულის ჩაყრა, მე არ მიმაჩნია სიკეთედ, რადგან ასეთ დროს ადამიანები, რეალურად მათხოვარს კი არ ეხმარებიან, არამედ ზედმეტი რკინეულობისგან ითავისუფლებენ ჯიბეებს.

რუფამ კიდევ ერთხელ აიღო ჩემი ჭიქა ხელში, ამოატრიალა და შიგნით დალექილ ყავის გამოსახულებებს იმაზე უფრო დიდხანს დააკვირდა, ვიდრე წინა ორ შემთხვევაში, მერე, თითქოს შეკრთაო, ისე შემომხედა და მომმართა:

- დენის, მე შენთან ერთი თხოვნა მაქვს.

მე, ცხადია, გავოცდი, რადგან ვერ წარმომედგინა, რომ ამ გოგონას, რომელმაც ჩემთვის სრულიად უცხო მხარეში უდიდეს განსაცდელს გამომარიდა, შეიძლება ჩემთან რაიმე სახის თხოვნა ჰქონოდა. როგორ, რა უნდა ეთხოვა მას ახლა ჩემთვის ისეთი, რომ მისთვის უარი მეთქვა?! - გამორიცხულია, რომ მე მას რამეზე უარი ვუთხრა, ბოლოს და ბოლოს, თავის მოკვლას ხომ არ მომთხოვს? - გავიფიქრე გულში.

- მე საკმაოდ სერიოზული თხოვნა მაქვს! - გაიმეორა მან.

- მთხოვე, რაც გინდა!

- შენ უნდა წამოხვიდე ჩემთან და ერთი ლამაზი ლიტერატურული ნაწარმოების შექმნაში დაგვეხმარო.

მისი ეს თხოვნა, ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო და გაოცებისგან ისე გავშეშდი, რომ რუფამ ჩემი გონზე მოყვანა თავისებურად გადაწყვიტა. მან ჩემი ორივე ხელის მტევანი საკუთარ მაჯებში მოიქცია, თვალები დახუჭა და თითქოს პულსს მისინჯავსო, ისე გაირინდა...

... გაირინდა, და უცებ, მე ვიგრძენი ჩემი ხელის მტევნებიდან იდაყვების, მხრების, ტანისა და მთლიანად სხეულის მიმართულებით, რაღაც დიდი და თბილი ენერგია, როგორი საოცარი სისწრაფით წამოვიდა. იმ წუთას ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს მთელმა დაღლილობამ და ნერვულმა სტრესებმა, რაც ბოლო პერიოდში გადავიტანე, ჩემი სხეულიდან გამოდინება დაიწყო. იმ წუთას, მე ვგავდი ადამიანს, რომელიც ხვდება, რომ ეს ნეტარება დროებითია და ამიტომაც, ცდილობს, რომ თითოეული წამისგან მაქსიმალური სიამოვნება მიიღოს და გაუფრთხილდეს მას. სწორედ ასეთი შეგრძნება დამეუფლა მეც და თვალები დავხუჭე, რათა გავფრთხილებოდი იმ წამებს, ენითაუწერელ სიამოვნებას რომ მანიჭებდნენ.

ჩემი ვარაუდით, გავიდა დაახლოებით სამიოდე წუთი და მე ვიგრძენი, რუფას ხელის მტევნებმა როგორ დაიწყეს ჩემი მაჯების გათავისუფლება. საბოლოოდ კი, ნელ-ნელა პირვანდელ მდგომარეობას დავუბრუნდი.

- რატომ გაოცდი? - გამომაფხიზლა რუფას ხმამ.

- გასაოცარია, აბა, რა არის, როცა მე, ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანს ლიტერატურული ნაწარმოების დაწერას მთავაზობ.

- მე არ მითქვამს, რომ ლიტერატურული ნაწარმოები დაგვიწერე - მეთქი, შენ შეგიძლია და აუცილებელიც არის, რომ მის შექმნაში მიიღო მონაწილეობა.

- იქნებ ამიხსნა, რა ლიტერატურულ ნაწარმოებზე მელაპარაკები და საერთოდ, როგორ ფიქრობ, მე აქ ლიტერატურული შედევრების შესათხზავად ვარ ჩამოსული? ისე, მე, როგორც ჟურნალისტს, რაც აქამდე მიჯღაბნია, ნეტავ იმ ნაწერებმა მიაღწიონ მიზანს და პირობას გაძლევ, შემდეგ უკვე ლიტერატურული შედევრების შეთხზვასაც აღარაფერი დაუდგება წინ.

- შენ აქ კალმის აღებასა და რომანის დაწერას არავინ მოგთხოვს, შენ მხოლოდ წამომყევი და შემდეგ რა ფორმით მოხდება იმ ლიტერატურული ნაწარმოების შექმნა, ამას მოგვიანებით გავარკვევთ.

რუფას ამგვარი შემოთავაზება, ჩემში ღიმილთან ერთად გაოცებასაც იწვევდა, რადგან იმას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ უცხო მხარეში ასეთ რამეს შემომთავაზებდნენ. მოკლედ, როგორ და რა ფორმით უნდა მომხდარიყო ამ ლიტერატურული ნაწარმოების შექმნაში ჩემი ჩართვა, ამას ნამდვილად ვერ ვხვდებოდი და ყველაზე საოცარი, მაინც ის გახლდათ, რომ ამ საკითხზე თავად რუფაც კონკრეტულად არაფერს მეუბნებოდა. რამდენჯერაც მე მას გავუმეორე ჩემი შეკითხვა, თუ რა ფორმით უნდა მომხდარიყო ამ ლიტერატურულ ნაწარმოებში ჩემი ჩართვა, მისი პასუხი ყოველთვის ასე ჟღერდა: „ამას ცოტა მოგვიანებით შევიტყობთ!“

- კარგი, მე რა ფორმით ჩავერთვები მაგ თქვენი ლიტერატურული ნაწარმოების შექმნაში, დავუშვათ, ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით შევიტყობ, მაგრამ, ის მაინც ხომ უნდა ვიცოდე, რა შინაარსისა და პერსონაჟების გარშემო იქმნება ეგ ნაწარმოები? - ვკითხე რუფას.

- ოჰ, ისევ ნაწარმოებები, წიგნები, პერსონაჟები, ხალხო, ცოტათი მაინც დაისვენეთ, თორემ ასე მგონია, რომ თქვენ მაგივრად მე ვიღლები, - მომესმა გოგონას ხმა. ავიხედე და თავზე რუფას მეგობარი, ქერათმიანი ლინდა გვადგა. მას ხელში შუშის უეტიკეტო ბოთლი ეკავა, საიდანაც მუქი ყავისფერი სითხე მოჩანდა.

- რას იტყვით, მეგობრებო, ცოტათი მაინც არ დაისვენებთ? - კიდევ ერთი შეკითხვა დაგვისვა მან. მე კი, ისე რომ წამოდგომა არ დამჭირვებია, გვერდით მაგიდისკენ ერთ სკამს გადავწვდი და ის სკამი ჩვენს მრგვალ მაგიდასთან, ჩემსა და რუფას შორის ჩავდგი.

- დაბრძანდით! - მივმართე ლინდას და ჩემგან ოდნავ მარჯვნივ გადავიწიე. მან ჯერ შუშის ბოთლი დადგა მაგიდაზე, მერე ორივეს კიდევ ერთხელ ღიმილით გადმოგვხედა და ჩემსა და რუფას შორის ჩადგმულ სკამზე მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოჯდა.

- სამწუხაროდ თქვენთან დიდხანს ვერ დავრჩები, რადგან უამრავი საქმე მაქვს, მე აქ მხოლოდ რამდენიმე წუთს გავატარებ და შემდეგ, ისევ ჩემს საქმეებს მივხედავ. ისე, იმედია, ჩემი კონიაკი მოგეწონება, - თქვა ლინდამ და ახლა უკვე მე შემომხედა.

- თქვენი ყველაფერი მომწონს და, რაღა ეს კონიაკი გამიცრუებს იმედებს? - ჩემი მხრივ კითხვით ვუპასუხე მე, რაზეც რუფამ და ლინდამ ერთმანეთს გადახედეს, მერე ერთდროულად მე შემომხედეს და გულიანად გადაიკისკისეს.

გოგონებმა კისკისით გული რომ იჯერეს, ლინდას მიერ მოტანილი კონიაკით პატარა ჭიქების შევსება დავაპირე, მაგრამ კონიაკის ბოთლი ხელში ავიღე თუ არა, რუფამ საკუთარ ჭიქას უმალ მარცხენა ხელი დააფარა, რითაც მანიშნა, მე ნუ დამისხამო, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი კი ლინდასკენ გაიშვირა, იმას დაუსხიო. მეც ჯერ ლინდას ჭიქა შევავსე, შემდეგ ჩემთვის დავისხი.

-რუფა არ დალევს, მაგრამ, თქვენ როგორ მოიქცევით? - მივმართე ლინდას.

- რომ არა სამსახური, დიდი სიამოვნებით დავლევდი, მაგრამ...- გულდაწყვეტით მიპასუხა ლინდამ და დახლისკენ გაიხედა.

- რაო, ლინდა, ძვირფასო, დალევის დროს შენი პრობლემა მხოლოდ სამსახურია? - გაიკვირვა რუფამ.

- მანქანა დამტვრეული მყავს, ბავშვს დედაჩემი დასტრიალებს, მეუღლე კი აღარ მყავს და, აბა, სამსახურის გარდა, სხვა რამ უნდა შემიშალოს ხელი ერთი-ორი ჭიქის გადაკვრაში? - გაოცებით იკითხა ლინდამ და საკუთარი ჭიქა ბოლომდე გამოცალა, - ამის შემდეგ კიდევ ერთს დავლევ და მორჩა, - დაამატა ბოლოს.

- დენის, ახლა კი დროა, ჩემი მეგობარი ლინდა გაიცნო, - მომმართა რუფამ და მეგობარს გადახედა.

ლინდამ ხელი გამომიწოდა, მეც იგივე გავაკეთე, ოღონდ სკამიდან ოდნავ წამოვიწიე და თავი დავუკარი.

- თუ გახსოვთ, მე რომ მოვედი, თქვენ, მე მგონი, რაღაც ნაწარმოებებზე თუ პერსონაჟებზე საუბრობდით. - ისევ იმ თემასთან მიგვაბრუნა ლინდამ და თავისთვის კიდევ ერთი ჭიქის დასხმა და გადაკვრა მოასწრო.

- კი, ლინდა, ვსაუბრობდით და, რომ იცოდე, დენისი თანახმაა ახალი ლიტერატურული ნაწარმოების შექმნაში დახმარება გაგვიწიოს. ამიტომაც მიმყავს ჩემთან, სადაც ვაჩვენებ გარემოს და იმედია ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც მე ვვარაუდობ, - უპასუხა რუფამ.

- ესე იგი, შენთან მაგ საქმისთვის მიგყავს?

- კი, მაგ საქმისთვის. რა, გგონია, ვერ შეძლებს?

- ვერ შეძლებს კი არა, ზედგამოჭრილია, რუფ, ზედგამოჭრილი.

- მეც ეგრე ვფიქრობ, ლინდა, ძვირფასო.

მე ჩემი მხრივ ვიჯექი და დიდი მოთმინებით ვუსმენდი ამ ორ გოგონას საიდუმლოებით შემკულ საუბარს. საიდუმლოებით შემკულ საუბარს - მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ჩემთვის ყველაფერი ბურუსით გახლდათ მოცული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემი გადამრჩენელი, ამ შემთხვევაში უკვე მასპინძელი - რუფა, დეტალებში მაინც არაფერს მეუბნებოდა.

- დენის, ლინდამ უკვე ორი ჭიქის გადაკვრა მოასწრო და დღევანდელი გეგმაც შეასრულა, ხოლო შენ, ჯერ ერთიც არ გაგისინჯავს, - მითხრა რუფამ.

- თქვენ უკვე თამაშგარეთ ხართ? - მივმართე ლინდას და კონიაკის ბოთლზე მივანიშნე.

- რას ამბობ, ახლა ჩემთვის ესეც ბევრია, - დაღონებით მიპასუხა ლინდამ და კონიაკის ბოთლი ჩემ წინ იმის ნიშნად დადო, რომ ეს სითხე, მხოლოდ მე უნდა ამეთვისებინა.

- დიახ, მწვანეთვალება ჟურნალისტო, ეს კონიაკი სულ შენ უნდა დალიო. რას იტყვი, დენის, დამლევი ხარ? - ღიმილით შემომანათა თავისი შავი და დიდრონი თვალები რუფამ.

მე, ისე, რომ პასუხი არ გამიცია, ფეხზე წამოვდექი, ბოთლს ხელი დავავლე და მთელი კონიაკი ჩემ წინ მდგარ იმ მაღალ ჭიქაში გადავუშვი, რომელიც მხოლოდ გამაგრილებელი სასმელებისთვის თუ კოქტეილებისთვის იყო განკუთვნილი.

- დენის, რას შვრები, მწარეა! - ხელში მეცა რუფა.

- ტკბილი თაფლიანი წყალია.

- დენის, დაგათრობს! - ეს უკვე ლინდას გაფრთხილება იყო.

- დამათრობს და დამათროს, მერე რა მოხდა? მთვრალ კაცს მხოლოდ ნაბიჯი შეიძლება შეეშალოს და მეტი არაფერი. თქვენ დარწმუნებული იყავით, რომ თუ მე რამე შემეშალა, ეს შეიძლება მხოლოდ ნაბიჯი იყოს, და არაფერი სხვა, ნაბიჯის გარდა. ამიტომ, მოდით, იმ ადამიანს გაუმარჯოს, ვინც, ამ უკუღმართი ცხოვრებისგან ბოძებული უამრავი პრობლემის მიუხედავად, არ ბოროტდება, ღირსებას მაინც არ კარგავს და საკუთარი შეცდომების მინიმუმამდე დაყვანას ცდილობს. ასეთი ადამიანი, ჯერ მარტო მცდელობისთვის არის დასაფასებელი, თუნდაც იმის მცდელობისთვის, რომ თუ საჭირო გახდა, ეს ადამიანი მზად არის, ამქვეყნად განტევების ვაცადაც კი იქცეს და არამზადებისგან წაბილწულ სამყაროში სრულყოფილებისკენ მიმავალ გზებს დაუწყოს ძებნა.

დავასრულე ჩემი სათქმელი და კონიაკით სავსე ჭიქა სწრაფად, ერთ გადაკვრაზე გამოვცალე. ისე, ჭაჭით დაოსტატებულ კაცს, კონიაკი რომ დიდად ვერ მომერეოდა, ამაში დარწმუნებული ვიყავი, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ამ

ყავისფერმა სითხემ, თავისი ფუნქცია მაინც შეასრულა და მთელი სხეული სითბოთი ამივსო.

- მაშ, კონიაკი დალეულია და გადაწყვეტილებაც მიღებულია, ესე იგი, მივდივართ! - ხელები გაშალა აშკარად კმაყოფილმა რუფამ.

- კი, მივდივართ, ოღონდ სად მივდივართ, ნამდვილად არ ვიცი! - დავამატე მე და ლინდას გადავხედე.

- რისთვისაც მივდივართ, უკვე იცი, ხოლო სად მივდივართ, ამას ახლავე გეტყვი: მივდივართ ჩემთან, სახლში, სადაც ხვალ საინტერესო დღე გველის და იმედია, შენც ამ საინტერესო დღის ერთ-ერთი მონაწილე გახდები, - დამაიმედა რუფამ და თავად ფეხზე წამოდგა.

- რა, უკვე მივდივართ? - წამოდგომა დავაპირე მეც.

- არა, ჯერ არ მივდივართ, მე ახლა ქვემოთ, ავტოსადგურში ჩავირბენ, გავარკვევ, რომელ ავტობუსს უნდა გავყვეთ და მალევე მოვბრუნდები, მანამდე შენ ლინდასთან დაგტოვებ.

- მეც გამოგყვები! - ისევ დავაპირე წამოდგომა, მაგრამ რუფამ ხელები მხრებზე დამადო და კვლავ სკამზე დამაბრუნა. - მარტო ხომ არ წახვალ? - ისევ გავიბრძოლე მე და კვლავ წამოდგომა დავაპირე, მაგრამ რუფამ წინანდელივით სკამზე დამსვა.

- დენის, მთელი ჩემი ცხოვრება მარტო დავდივარ, მაგრამ, როგორც ხედავ, არავის შევუჭამივარ, და რაღა ახლა გადამეყრება რუხი მგელი? - კისკისით მიპასუხა რუფამ და კიბისკენ წავიდა, მერე ასევე კისკისით დაეშვა კიბეზე და სანამ ბოლოში ჩავიდოდა, უკან მოიხედა.

- დენის, ნუ გეშინია, არ მიგატოვებ, გავიგებ გასვლის დროს და ისევ მოვბრუნდები.

მე არ ვიცი, ნუ გეშინია, არ მიგატოვებო, ეს სიტყვები რუფამ რატომ ახსენა, მაგრამ ერთი კი მახსოვს, იმ მომენტში, გულის სიღრმეში პატარა უიმედობამ თუ შიშმა ნამდვილად გამიელვა, რომ ეს გოგონა, რომელმაც უდიდეს განსაცდელს გამომარიდა, მხოლოდ დროსტარებაზე ორიენტირებული, არასერიოზული გოგონა არ გამომდგარიყო და ამ უცხო მხარეში, უკვე მეორედ არ დავრჩენილიყავი სრულიად მარტოდმარტო, რაც, ვფიქრობ, საბოლოოდ მომიღებდა ბოლოს და სულ მთლად მიწასთან გამასწორებდა. - მაგრამ, ლინდა ხომ მისი მეგობარია და დავიჯერო, ნუთუ, ესეც მატყუებს? რა ვიცი, იქნებ მატყუებენ და წინ უარესი განსაცდელი მელის? - უცებ, სწორედ ასეთმა ავმა აზრებმა დამიწყეს გულის ღრღნა, მაგრამ ერთადერთ ნუგეშად, მხოლოდ რუფას დიდრონი და ალალი თვალები მესახებოდა. - გამორიცხულია, რომ ასეთი თვალების მქონე გოგონა მატყუარა და თაღლითი იყოს, გამორიცხულია! გამორიცხული! - დავასკვენი კიდევ ერთხელ და ამასობაში შუშის დიდი ფანჯრებიდან, ნახევრადჩაბნელებულ ეზოში რუფას მოვკარი თვალი, რომელიც მოპირდაპირე მხარეს ჩამდგარ და სიბნელეში ჩაკარგულ ჯიხურებისკენ გარბოდა.

ლინდამ შეხედა თუ არა ნახევრადჩაბნელებულ ეზოში გაქცეულ რუფას, მისი თვალები უმალ ცრემლით აივსო.

- ღმერთო ჩემო, სად არის შენი სამართალი, ეს სიცოცხლით სავსე გოგონა, ასე ადრე რომ მიგყავს შენთან?

მე უცებ ყურები ვცქვიტე და ტანში უსიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა.

- ლინდა, სამწუხაროდ, რა სამართალიც ღმერთს გააჩნია, ჩვენ, ადამიანები, იმისგან სრულიად განსხვავებული სამართლით ვცხოვრობთ, - ვთქვი ძალიან ფრთხილად, რადგან, ვატყობდი, რომ ლინდამ რუფას შესახებ, სწორედ იმ თემაზე ჩამოაგდო საუბარი, რაც მე არ ვიცოდი და რისი გაგებაც ასე ძალიან მეწადა.

- დენის, მე და შენ ხომ კარგად ვიცით, რომ რუფას სიკვდილი არა მარტო უსამართლობა, არამედ ტრაგედიაც იქნება ჩემთვის, შენთვის და კიდევ ძალიან ბევრი ადამიანისთვის... აღარ ვიცი, რა ვთქვა. ნუთუ ღმერთს ეს უნდა, რომ ასეთი სიცოცხლით სავსე გოგონა, ასე ახალგაზრდულ ასაკში წავიდეს ამქვეყნიდან? არადა, მდგომარეობა უკვე კრიზისულია, მისი სისხლი კი სითეთრისკენ მიიპარება და საშველი არსაიდან ჩანს. შენ ხომ იცი, რა საშინელი დაავადებაც არის სისხლის გათეთრება?! ალბათ გეცოდინება, რომ დღესაც ყოფილა რუფა თავის ექიმბაშთან, მაგრამ დამაიმედებელი მასაც ვერაფერი უთქვამს. ახლა, სწორედ იქიდან მოდის. საწყალი, საწყალი... - ატირდა ლინდა და სახეზე ხელები აიფარა.

ესე იგი, სისხლის გათეთრება?! აი, თურმე, მიუხედავად გაღიმებისა, მის თვალებში, ყოველთვის რატომ ვგრძნობდი ენით აუწერელ სევდას და გულდაწყვეტით რატომ მითხრა, რომ მე მეუღლეს ვერ ვეღირსებიო. თითქოს ჩემი უბედურება არ მყოფნიდა, რომ ახლა, ასე მოულოდნელად, რუფას შესახებ ისეთი გულსაკლავი ამბავი გავიგე, რომ ლამის მუხლები მომეკვეთა. - როგორ, ნუთუ ეს, ერთი შეხედვით სიცოცხლით სავსე გოგონა ასეთ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დგას? დაუჯერებელია, ნამდვილად დაუჯერებელი, - ვანუგეშებდი საკუთარ თავს, მაგრამ უმალვე ვხვდებოდი, რომ მე, როგორც ნებისმიერ მოკვდავ ადამიანს, არ მსურდა ჩემთვის სამწუხარო ამბის დაჯერება, თორემ იმაში, რომ რუფა ამ საშინელი სენით იყო შეპყრობილი, დაუჯერებელი, თავისთავად არაფერი იყო.

- მაგრამ მისი ძმა? - გამახსენდა მე, - მისი ძმაც ხომ ამ დაავადებით დაიღუპა?! არადა, ვიცოდი, რომ სისხლის გათეთრება არც მემკვიდრეობითია და არც გადამდებ დაავადებად არ ითვლება. მაშ, რა უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ ჯერ ძმა, ახლა კიდევ და დაავადდა ამ საშინელი სენით? - ალბათ ძალიან ცუდ, უფრო ზუსტად, ამაზრზენ დამთხვევასთან გვაქვს საქმე. - გავიფიქრე გუნებაში.

- რუფას ძმაც სისხლის გათეთრებით დაიღუპა! - ვთქვი დამწუხრებულმა და ლინდას შევხედე.

- კი, მისი ძმაც ამ დაავადებამ შეიწირა.

- ძალიან საწყენია, არადა, რუფას შესახებ, ეს ამბავი არ ვიცოდი.

- რა არ იცოდი? - თითქოს გამოერკვა ლინდა.

- რუფას რომ სისხლის გათეთრება ჰქონია.

- მოიცა, შენ რა, არ იცოდი, რუფას ეს დაავადება რომ ჰქონდა?

- არა, არ ვიცოდი, ან საიდან უნდა მცოდნოდა, როცა რუფამ მხოლოდ თავის ძმაზე მითხრა, საკუთარ თავზე კი არ უთქვამს.

- ეს რა სულელი ვარ, - თავში წაიშინა ხელები და ენაზე იკბინა ლინდამ, - ეს რა სულელი ვარ და ენა რა ყველაფერში წინ მისწრებს. არ უნდა მეთქვა, მაგრამ მეგონა, შენ უკვე იცოდი, რადგან, როგორც წესი, რუფა ამ ამბავს არავის უმალავს და ყველას ეუბნება ხოლმე, შენ კი, რატომ დაგიმალა და რისი

მოერიდა, არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი. არა, მაინც არ უნდა მეთქვა, არა! - ისევ გოდებას მოჰყვა ლინდა.

- რომ მითხარით, ამით არაფერიც არ დაშავებულა, ის კი არა, პირიქით, მადლობელიც ვარ საქმის კურსში ჩაყენებისთვის. ხოლო რუფა, დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, მაინც მეტყოდა ამ ამბავს.

- ჯობდა თავად რუფას ეთქვა და არა მე, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ენამ გამისწრო წინ. ჰოდა, ყოველთვის ენა რომ მისწრებს, ამიტომაც არის, ამხელა ქალი, ისევ ისეთი ბატის ჭკუით რომ დავდივარ, რითაც დავიბადე.

- ნუ წყევლით საკუთარ თავს და დროა ამ თემაზე ლაპარაკს მოვრჩეთ, რადგან ვხედავ, რომ რუფა მოდის, - ვთქვი მე და ფანჯრისკენ გავიხედე, საიდანაც ჩანდა, რომ რუფა უკვე შენობაში შემორბოდა.

ლინდამ სასწრაფოდ ცხვირსახოცი ამოიღო და აცრემლებული თვალების შემშრალება დაიწყო. ამასობაში კიბეზე რუფაც გამოჩნდა, იგი ისეთი ქოშინით მოვარდა მაგიდასთან და ფეხზე მდგარივე ისეთი ნეტარებით დაეწაფა ფორთოხლის წვენს, რომ გეგონებოდათ, ეს-ესაა დიდი მარათონიდან დაბრუნდაო. დალევას რომ მორჩა, ერთი ღრმად ამოისუნთქა, გაგვიღიმა და საკუთარ სკამზე მხოლოდ ამის შემდეგ დაჯდა.

-რა იყო, რუფა, რუხი მგლები ხომ არ მოგდევდნენ? - ვკითხე მე, მერე წამოვდექი, ჩემს სკამს ხელი დავავლე, მაგიდას შემოვუარე და რუფას გვერდით დავჯექი.

მან გაიცინა, სახეზე ხელები აიფარა და თავი დახარა.

- რა გავარკვიეთ, რუფა? - ახლა ლინდამ ჰკითხა.

- გავარკვიე ის, რომ ამ შუაღამისას, აქედან არაფერი გადის.

- ტაქსები მაინც არ დადის? - გავიკვირვე მე.

- აქედან დილამდე არაფერი გადის. ტაქსებს რაც შეეხება, დენის, შენ დაგავიწყდა სად იმყოფები? ხვალ აქ, შეიძლება ბომბები ჩამოყარონ და არა ტაქსების, არამედ ტანკების ხილვა მოგვიწიოს.

- რუფა, თუ ადამიანს ფეხსაცმელი უჭერს, მან ფეხშიშველამ კი არ უნდა იაროს, არამედ შესაბამისი ზომის ფეხსაცმელი უნდა მოირგოს. ხომ მეთანხმები? - ვკითხე რუფას და თვალებზე ჩამოშლილი თმები გვერდზე გადავუწიე.

- რა თქმა უნდა, გეთანხმები! - მომიგო მან და ისევ თავი დახარა.

- ჰოდა, თუ აქედან არაფერი გადის, მაშინ გავიდეთ ცენტრალურ გზაზე და იქიდან ნებისმიერ გამვლელ ავტობუსს ან უბრალო ავტომობილს გავყვეთ.

- მშვენიერი იდეაა, - გაეხარდა რუფას, - შენ რომ არა, მე მგონი, დილამდე ლინდასთან დარჩენა მომიწევდა.

- კი, მაგრამ, აქედან სახლში სხვა დროს არ წასულხარ? - ვკითხე მე.

- როგორ არ წავსულვარ, მაგრამ, როცა მივდიოდი, ხან ლინდას მივყავდი საკუთარი მანქანით, ხანაც ისეთ დროს მივდიოდი, როცა ავტობუსები დადიოდნენ. ახლა კი, ამ შუაღამისას, ხომ ხედავ, რომ ყველაფერი გაწყვეტილია, - მიპასუხა უკვე ფეხზე წამომდგარმა რუფამ და ქურთუკის შეკვრა დაიწყო.

მეც წამოვდექი, ქურთუკი შევიკარი, ჩემი სპორტული ჩანთა მხარზე გადავიგდე და ლინდას გავხედე:

- ლინდა, თქვენ რაღას იზამთ, ჩვენთან ერთად წამოხვალთ, თუ ამ სანიმუშო კვების ობიექტს ბოლომდე უერთგულებთ? - ვკითხე მე.

- სამწუხაროდ, მე ახლა ვერ წამოგყვებით. დილით მოვლენ ჩემი დამხმარე გოგონები და მაშინვე თქვენკენ გამოვეშურები.

- ოღონდ, შენებურად არ დააგვიანო, რა, - სთხოვა რუფამ.

- ვეცდები! - დააიმედა ლინდამ. მერე მათ ერთმანეთი გადაკოცნეს და ორივემ ერთდროულად მე შემომხედა.

- აბა, კეთილი მგზავრობა! - ახლა მე მომმართა ლინდამ და ხელი გამომიწოდა.

- ყველაფრისთვის დიდი მადლობა, ლინდა, ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი და იმედს ვიტოვებ, რომ ხვალაც გიხილავთ. - ვუპასუხე მე და ლინდას გამოწვდილ ხელს ჩემი ხელიც შევაგებე.

- წავედით! - გასცა ბრძანება რუფამ, მერე ხელკავი გამომდო და ორივემ კიბე ჩავიარეთ, გავიარეთ მთელ პირველ სართულზე გადაჭიმული დარბაზი და ქუჩაში გავედით, ქუჩაში, სადაც, კვლავაც გულისგამაწვრილებლად ცრიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე და რუფა ისე დაფეთებულები აღარ გავრბოდით, როგორც რამდენიმე საათის წინ. ჩვენი ნაბიჯები ამჯერად უკვე ნელი და აუჩქარებელი იყო. ასე ნელ-ნელა მივყვებოდით ღამის ქალაქის ქუჩებს და რუფა ხან ერთი შენობა-ნაგებობის ისტორიას მიყვებოდა, ხან - მეორის, ხან ერთ მაღაზიის ვიტრინასთან შეჩერდებოდა და იქ გამოფენილ საქონელზე მელაპარაკებოდა, ხან მეორე მაღაზიასთან გაჩერდებოდა და ამ მაღაზიაში როდის, რა შეუძენია, იმას იხსენებდა. მოკლედ, ვინმეს რომ ჩვენთვის შემოეხედა, მე და რუფა, ღამის ქალაქში მობოდიალე ტურისტსა და მის გიდს ვგავდით.

ასე ნელი ნაბიჯებით საუბარში გავცდით რამდენიმე ქუჩას და მთავარ გზაზეც გავედით.

-აჰა, მოვედით, აქ გამოივლის რამე და გავყვებით! - დამაიმედა სიცივისგან მობუზულმა რუფამ და ქურთუკის საყელო ზევით აიწია.

მე სასწრაფოდ ჩემი კაშნე მოვიხსენი და რუფას შემოვახვიე.

- შენ? - გაიკვირვა მან.

- რა მე?! - არანაკლებ გამიკვირდა მე.

- შენ რომ შეგცივა?

- რუფა, ერთი ეს მითხარი: ასეთ სიცივეში, მამაკაცთან ერთად ქალაქში გამოსული, ბოლოს, რომელ საუკუნეში იყავი?

ამაზე რუფას ისეთი სიცილი აუვარდა, მე მგონი, სიცივე სულ მთლად გადაავიწყდა. ბოლოს, სიცილით რომ გული იჯერა, კაშნედან ცხვირი ამოსწია, ორივე ხელით ჩემს მარჯვენა მკლავს ჩამოეყრდნო და მკითხა:

- დენის, რატომ დამცინი? ნუთუ, მართლა ასე ძველმოდურად გამოვიყურები? ისე, შენი ნამდვილად მესმის, იმდენი გაქვს დალეული, რომ სიცივეს ვეღარ გრძნობ და ალბათ, კაშნეც ამიტომ აღარ გჭირდება.

- აჰა, გამოდის, რომ ისევ იმ თემას ვუბრუნდებით, არა?

- რომელ თემას?

- ესე იგი, მე რომ არ ვყაჩაღობ, შენ გგონია, მაინცდამაინც ღმერთისა და ციხის შიშით ხდება ყოველივე ეს, ან მე თუ რაიმე მცირე სიკეთეს ვაკეთებ, შენ გგონია, მხოლოდ ღმერთისთვის თავის მოსაწონებლად ვიქცევი ამგვარად... და ბოლოს, შენ რომ ახლა კაშნე შემოგახვიე, თურმე, ასე მხოლოდ იმის გამო მოვიქეცი, რომ ნასვამი ვარ და ამ ოქტომბრის ცივ ღამეს დამცხა, არა? შენ,

ალბათ ფიქრობ, მე რომ კონიაკი არ მქონდეს დალეული და ოდნავ შეხურებული არ ვიყო, ამ ძონძებს შენთვის არ გავიმეტებდი?! თუ ასეა საქმე, მაშინ, გეკითხები და გამეცი პასუხი: შენ რაღაზე გამიწიე ამხელა დახმარება და რისთვის მიმათრევ სახლში, ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ, როცა იქნება, ღმერთმა თავზე ხელი გადაგისვას და გითხრას, ეს რა კარგი გოგონა ყოფილხარო? რუფა, მაგ ლოგიკით, გამოდის, რომ შენ ერთ გზააბნეულ ადამიანს კი არ მეხმარები, არამედ მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავ და თუ რაიმე სიკეთეს აკეთებ, ყოველივე ამას მხოლოდ იმის სანაცვლოდ ჩადიხარ, რომ როცა იქნება, აქედან რაღაც სარგებელი მიიღო.

- და შენ, როგორ ფიქრობ, რატომ გეხმარები? - მკითხა რუფამ და ორივე ხელით დაბლა დამქაჩა.

- ეს შენთვის უნდა მეკითხა.

- მაშინ, გეტყვი: მომწონს შენისთანა, მწვანეთვალება ჟურნალისტები და იმიტომ, - მიპასუხა რუფამ და ღიმილით ამომხედა.

- შენი შავი თვალების პატრონი, კიდევ სხვის თვალებს აქებ?

რუფამ მორიდებით თავი დახარა და ისე თქვა: - არა, მე მწვანე თვალები მომწონს.

- ნათქვამია, ვისაც მწვანე თვალები აქვს, დიდხანს იცოცხლებს, ოღონდ ბედნიერი არ იქნებაო. შენ ეს თუ გაქვს გაგონილი? - ვკითხე რუფას, რაზეც მან უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

- კარგი, თვალების ფერს თავი დავანებოთ და შენ ეს მითხარი, ხვალ, შენთან სახლში რა ღონისძიება იმართება, ლინდასაც რომ ეპატიჟები და მეც რომ მიგყავარ?

- ერთი წიგნის პრეზენტაცია იმართება და ვფიქრობ, საინტერესო შეხვედრა იქნება. ჩვენს ქალაქში თუ მსგავსი ტიპის პრეზენტაციები ეწყობა, როგორც წესი, ის ჩვენთან, ჩვენს სამკითხველო დარბაზში იმართება. ლინდასთვის ასეთ პრეზენტაციებზე დასწრება უცხო არ არის, შენ კი ჩვენს სამკითხველო დარბაზში პირველად იქნები და ვიმედოვნებ, აქამდე ჯერ არნახული და არგაგონილი შთაბეჭდილებებით აღივსები.

- და ეს ყველაფერი თქვენთან, სახლში მოხდება?

- დიახ, სახლში ჩატარდება. სამკითხველო, რომელზეც ახლა გესაუბრები, მამამ მოაწყო და ყველაფერს, რაც იქ ინახება, თვალის ჩინივით უფრთხილდება. რაც შეეხება ახალი წიგნის პრეზენტაციას, გვეყოლება უამრავი სტუმარი, როგორც სხვადასხვა ქალაქებიდან, ისე მეზობელი ქვეყნებიდან. მოკლედ, მაღალი საზოგადოების ნაწილიდან გამოჩეკილ ელიტას იხილავ. იქნება შამპანური, ტკბილეული, ღიმილი, ურთიერთგაგება, პატივისცემა და ყველაფერი ის, რაც ელიტარული საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრებს ახლავს ხოლმე. და რაც მთავარია, ამ შეხვედრაზე ქალები ღრმა დეკოლტითა და მაქსიმალურად ჩახსნილი კაბებით ივლიან, ზუსტად ისე, როგორც თქვენ, მამაკაცებს რომ მოგწონთ ხოლმე. ამ ქალების უმეტესობა მეუღლესთან იქნება, მაგრამ ეს შენთვის პრობლემა არ გახდება, რადგან თუ ჭკუით მოიქცევი, საკუთარ თავს ამქვეყნიურ რაინდად წარმოაჩენ და ენას დაიშაქრავ, არ არის გამორიცხული, რომ ერთ-ორ თავქარიან ქალს, იქვე დაეუფლო, ხოლო დანარჩენებს, კოორდინატები მაინც გამოსტყუო და რომანტიკული საღამოების მოწყობას, სხვა დროისთვის მაინც შეპირდე. ოღონდ არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ამ ქალების გაბრიყვებულ

მეუღლეებს, რომლებიც შავი ღვინითა და შამპანურით უკვე კარგად შებუჟბუჟებულები იქნებიან, რაც შეიძლება ღრმად, შინაარსიანად და რაც მთავარია, დამაჯერებლად უნდა ესაუბრო მეგობრობის არსზე, ვაჟკაცობაზე, სპორტზე, ფილოსოფიაზე, ბიზნესპარტნიორობაზე, ადამიანობაზე, რელიგიაზე, პოლიტიკასა და ურთიერთგაგებაზე...

- რუფა, ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, რომ ან დამცინი, ან სულელი ხარ, - შევაწყვეტინე რუფას.

- რა იყო, დენის, მკერდამოწეული და კაბაჩახსნილი ქალები არ გიზიდავს?

- რომელ ქალებზე მელაპარაკები, მათ მეუღლეებთან რომ ფილოსოფიაზე, ბიზნესპარტნიორობაზე, სპორტზე და ადამიანობაზე უნდა ვისაუბრო, თან შამპანური, ან შავი ღვინო რომ უნდა მივირთვა?

-მაგ თავქარიანი ქალებისთვის, საკუთარი მეუღლეები უკვე მეათასეხარისხოვან როლს თამაშობენ. ისე, შენ ნუ დარდობ, რადგან საქმეზე არავინ წაგასწრებს, და რომც წაგასწრონ, შენ გგონია, რომ პირველი მზეჭაბუკი იქნები, ვინც მათ ლამაზ მეუღლეებთან ნებივრობს და დროს ატარებს? ერთი იცოდე, რომ მათთვის ცოლქმრობა მხოლოდ მოვალეობაა და სხვა არაფერი მოვალეობის გარდა. ერთმანეთის ღალატი კი მაგ ადამიანებისთვის, ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც ზამთარში თოვლი.

- როგორ, მამაკაცთან ურთიერთობაში შევიდე, მასში ღირსეული ადამიანი დავინახო, მასთან სასმისი ავწიო, გარკვეულ თემებზე საერთო ენა გამოვნახო და მერე მის მეუღლეს თვალის პაჭუნი დავუწყო? არა, რუფა, არა, მე მგონი, შენ სულ სხვაგვარი წარმოდგენა გქონია ჩემზე.

- რატომ, დენის, ის მამაკაცები შენი მეგობრები ხომ არ არიან? შენ თუ არა, მაშინ, მათ ლამაზ მეუღლეებს სხვა დაიპყრობს და შენ დარჩები ასე ხახამშრალი. ისე, არ მითხრა ახლა, თუ ქალის მეუღლეს ვიცნობ, იმ ქალთან საქმეს არ დავიჭერო. ასე არ მითხრა, თორემ მაგრად გამაცინებ.

- მე აქ მაგისთვის არ ჩამოვსულვარ.

- დენის, ძალიან ალალი და პატიოსანი ადამიანი რომ ხარ, იმიტომ მომწონხარ, სამწუხარო კი ის არის, რომ ეს უკუღმართი ცხოვრება შენისთანა პატიოსანი ადამიანებისთვის არ არის მოწყობილი, გესმის შენ ჩემი? არ არის მოწყობილი, არა. ძალიან მაინტერესებს, დასავლეთის მიმართულებით გადახვეწა რომ ამოგიჭრია გულში, მაინც სად გარბიხარ, სად, როცა, რაც უფრო შორს გადაიხვეწები, მით უფრო ბინძურ და ამაზრზენ სიტუაციებს გადაეყრები, ისეთ სიტუაციებს, სადაც შენისთანა პატიოსანი ადამიანი შვებას ვერ იგრძნობს. თუმცა, იმაშიც დარწმუნებული ვარ, შენ რომ სხვა, უბინძურეს გარემოში ჩავარდე, არ არის გამორიცხული, გარკვეული პერიოდის შემდეგ, იმ ბინძურ გარემოს ისე შეერწყა და შეეზარდო, როგორც ეს უსამართლო ცხოვრება გიკარნახებს. აი, ამისთვის კი მეცოდები, მართლა მეცოდები, რადგან, დარწმუნებული ვარ, რომ სიკვდილი, ყაჩაღობა და მლიქვნელობა, შენი ხელობა ნამდვილად არ არის.

- რუფა, რატომ ფანტაზიორობ?

- მე რომ არ ვფანტაზიორობ და სრულ ჭეშმარიტებას ვამბობ, ამაში სულ მალე დარწმუნდები, ჩემო მწვანეთვალება ჟურნალისტო. ახლა კი მოემზადე, მე მგონი, გვეშველა, - მითხრა რუფამ და გზისკენ გაიხედა, საიდანაც ორსართულიანი ავტობუსი გვიახლოვდებოდა. - დააწერონ მაინც, საიდან მოდის,

ან საით მიდის?! ასე, მოდი ახლა და გაიგე ამ ტრანსპორტის მარშრუტი, - ჩაილაპარაკა უკმაყოფილო რუფამ და ავტობუსს ხელი აუწია, რის შემდეგაც ავტობუსმა სვლა შეანელა და ზუსტად ჩვენ წინ დაამუხრუჭა. კარის გაღების შემდეგ პირველი რუფა ავიდა, მერე მე ავყევი, მაგრამ ჯერ კიდევ კიბეებზე მდგარს, რუფამ ხელით მანიშნა, მოიცადეო, მერე თავად მძღოლისკენ გადაიხარა და მას რაღაცა ჰკითხა, რაზეც მძღოლმა თავი დაუქნია, შემდეგ რუფამ მძღოლს, ისევ რაღაც ჰკითხა, მძღოლმაც ისევ თავი დაუქნია, ახლა რუფამ შარვლის ჯიბიდან პატარა საფულე ამოაძვრინა და იქიდან რაღაც თანხა ამოიღო, გადათვალა და მძღოლს წინ დაუდო, რაზეც მძღოლმა კიდევ ერთხელ დაუქნია თავი და თითი ავტობუსის ბოლოსკენ გაიშვირა.

- უკან დასხედითო, ასე გვიბრძანა მძღოლმა! - ჩამჩურჩულა ჩემკენ შემობრუნებულმა რუფამ და ჩვენც სალონის ბოლოსკენ გავეშურეთ. გადავდგით რამდენიმე ნაბიჯი და შევამჩნიე, რომ მთელი ავტობუსი, ფაქტობრივად ცარიელი იყო, მხოლოდ წინა სავარძლებზე იჯდა რამდენიმე ადამიანი და ისინიც ისეთ ღრმა ძილში იყვნენ, რომ ჩვენი ასვლა არც გაუგიათ.

- მეორე სართულზე ასვლა არ გვინდა, აქვე დავსხდეთ, - მითხრა რუფამ და ბოლოდან მესამე სავარძელზე ჩამოჯდა, მერე თვითონ ფანჯრისკენ გადაიწია და მეც მის გვერდით მოვკალათდი.

- მალე ჩავალთ? - ვიკითხე მე.

- მთავარია, რომ თვალის მოტყუებას მოვასწრებთ. ასე რომ, ახლა დავისვენოთ, თორემ ძალიან დავიღალე, - თქვა რუფამ და თავისი სავარძელი უკან გადასწია.

ჩემი მხრივ, მეც გადავწიე ჩემი სავარძელი და თვალი მოვხუჭე. ასე რამდენიმე წუთით ვიყავი და უცებ, რაღაც დაბალმა ხმამ გამომაფხიზლა. გავახილე თვალი და სალონის თავში ჩამდგარ ეკრანზე მულტფილმი ჩაერთოთ. - ნეტავ ვის ჩაურთეს ეს მულტფილმი, როცა სალონში სულ ზრდასრული ადამიანები ვსხედვართ? - გავიფიქრე უკმაყოფილომ და რუფას გადავხედე, რომელსაც უკვე ისეთი ღრმა ძილით ეძინა, რომ შემეშინდა დანიშნულების ადგილს არ გავცდენოდით. ამიტომ ფეხზე წამოვდექი და მძღოლთან მივედი.

- მეგობარო! - მივმართე მძღოლს, - თქვენ ხომ გახსოვთ, ჩვენ სადაც ჩავდივართ?

მძღოლმა, ისედაც დაბალ ხმაზე ჩართულ ეკრანს, სულ მთლად ჩაუწია და გამომხედა:

- კი, როგორ არ მახსოვს. თქვენ და ის გოგონა ხომ ერთად ხართ? - მკითხა მან.

- დიახ, ერთად ვართ და რომ მივალთ, თუ მაგ დროს გვეძინება, გაგვაღვიძეთ, თუ არ გვეძინება, მაშინ, უბრალოდ, გაგვაფრთხილეთ.

- აუცილებლად, მეგობარო, მშვიდად იყავით! - დამაიმედა მძღოლმა და ხმას ისევ აუწია.

ამის შემდეგ, მე მძღოლს მადლობა გადავუხადე და ჩვენი ადგილისაკენ წამოვედი. მივედი სავარძელთან, კარგად მოვკალათდი, თვალები დავხუჭე და, ამ დროს, რუფას ხმა გავიგონე:

- რაო მძღოლმა, რა მინდაო?

- ოჰ, მობრუნდი, ლამაზო? მე შენ ჯერ კიდევ შუა ძილში მეგონე და შენ კიდევ, თურმე ისე აკონტროლებ სიტუაციას, რომ მძღოლთან ჩემი მისვლაც არ

გამოგრჩენია, - გადავულაპარაკე რუფას და მარჯვენა ხელი თავზე გადავუსვი, რის შემდეგაც მან თავი ოდნავ წინ წამოსწია, თვალები მოიფშვნიტა, შემდეგ მთელ სალონს გადახედა და ისევ უკან, სავარძელში გადაწვა.

- მაინც რა გითხრა მძღოლმა, არ მეტყვი? - გამიმეორა მან.

- თქვენი თხოვნა შესრულებული იქნებაო.

- შენ რა სთხოვე?

- დანიშნულების ადგილზე რომ მივალთ, რა მდგომარეობაშიც არ უნდა ვიყოთ, გვაცნობეთ - მეთქი, - ვთქვი მე და გავიღიმე.

- ნუ გეშინია, მძღოლის დახმარება არ დაგვჭირდება, ახლა ცოტა შენც წაუძინე, რომ ხვალ დილით ჯანსაღად გამოიყურებოდე. - მთხოვა რუფამ და თავი ამჯერად მხარზე დამადო.

- ვეცდები დაძინებას. - დავაიმედე მე და თვალები დავხუჭე.

ასე, თვალდახუჭული რამდენიმე ხანს ვიყავი, მაგრამ ძილი არა და არ მოდიოდა. მალე მძღოლმა ეკრანიც გამორთო და ამის შემდეგ სალონში, მართლაც სრული სიმშვიდე გამეფდა. ოღონდ ერთადერთი, რასაც მაშინ ვგრძნობდი, მხოლოდ რუფას სუნთქვა იყო.

- ნეტავ, რატომ არ მეძინება? - დავუსვი საკუთარ თავს შეკითხვა და იქვე პასუხიც გამახსენდა: - ყავა! ეტყობა ყავის ბრალია, თორემ ამდენი დღე-ღამის ნამგზავრსა და გადაღლილს, ახლა ნამდვილად უნდა ჩამძინებოდა. ნუ, რას ვიზამ, ვეღარაფერს შევცვლი, ახლა მთავარია, რომ... თუმცა, რა არის მთავარი, ეს ვეღარ გავიგე, რადგან, სადაც მივდიოდი, იქ ვეღარ მივდივარ, სამაგიეროდ, ჩემივე ფეხით იმ გაურკვეველ გზას მივუყვები, სადაც, კაცმა არ იცის, ვინ ან რა მელის?! ეჰ, ეს რა მჭირს და რა მემართება, არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი. არადა, მთელი ჩემი ცხოვრება არ მომწონდა, როცა ადამიანები ვინმეს ან რაიმეს მიმართ ავადმყოფურ უნდობლობას იჩენდნენ, მაგრამ, ამავე დროს, ვერც იმ ადამიანებს ვუწონებდი საქციელს, რომლებიც უცხო ადამიანების მიმართ სრულიად მიამიტურ ნდობას გამოხატავდნენ და შემდეგ სანანებლად იხდიდნენ საქმეს. ოქროს შუალედი, ანუ არც ნამეტანი უნდობლობა და არც ზედმეტი ნდობა, აი, ასე უნდა იქცეოდეს ადამიანი სხვათა მიმართ. სწორედ ამას ვამტკიცებდი ყოველთვის, თუმცა, აქვე ხაზს ვუსვამდი, რომ ყოველივე ეს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობაშია ჩავარდნილი ადამიანი და მას რამდენად აქვს იმის საშუალება, რომ ეს ოქროს შუალედი დაიჭიროს?! მაგრამ, ისიც ხომ ცხადია, რომ ხანდახან არის სიტუაციები, როდესაც ადამიანს არა თუ ოქროს შუალედის დაჭერა არ შეუძლია, არამედ ერთი გზის გარდა, სხვა გზა აღარ დარჩენია და ისიც იძულებული ხდება, იმ რისკიან გზას დაადგეს, რაც, სულაც არ არის გამორიცხული, რომ მისთვის საბედისწერო, ან პირიქით, წარმატების მომტანი გამოდგეს. დაახლოებით მსგავს სიტუაციაში ვიყავი ჩავარდნილი მეც, რადგან იმ უცნობი და ჩემგან გაუკვალავი გზის გარდა, რა გზასაც მაშინ ვადექი, სხვა გზა ნამდვილად არ გამაჩნდა და მეც იძულებული გახლდით, რისკის მორევს ჩავყოლოდი. მოკლედ, რა გზასაც მაშინ ვადექი, ეს იყო რისკი, და არა საკუთარ ბედს დამორჩილება, რადგან მე მაშინ ვთვლიდი, რომ რუფას მიერ ბოძებულ, თუნდაც ერთადერთ ბუნდოვან შანსზე უარის თქმაც კი, ამ უცხო ქვეყნის ღია ცის ქვეშ, ჩემთვის მარტოდმარტო დარჩენას ნიშნავდა, რაც, ბუნებრივია, ჩემს, როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ მდგომარეობას საგრძნობლად დაამძიმებდა. ასე

რომ, ის რისკიანი გზა, რომელსაც მაშინ მივყვებოდი, ჩემს მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანისთვის, სავსებით ბუნებრივად მიმაჩნდა და ამიტომაც იყო, ამ ნაბიჯის გამო საკუთარ თავს არავითარ შემთხვევაში არ ვკიცხავდი. ხოლო ვისაც იმ დროს, მართლა ვკიცხავდი და ვემდუროდი, მხოლოდ იღბალი იყო, იღბალი, რომელმაც ამჯერადაც არ უღალატა საკუთარ მზაკვრულ ტრადიციას და ჩემგან ისე შორს დადგა, როგორ შორსაც, ჩემგან, იმ წუთისთვის ჩემი სამშობლო იყო. ამ ფიქრებით გაბრუებული ვიყავი და ამ დროს მძღოლმა თუ მისმა დამხმარე პერსონამ, რომელიც მის გვერდით იჯდა, რომელიღაც გამოღვიძებული მგზავრის თხოვნით, ეკრანი ისევ ჩართო. ამის შემდეგ, მე სხვა გზა აღარ დამრჩენოდა, კიდევ უფრო კომფორტულად მოვწყობილიყავი სავარძელში, თვალები დამეხუჭა და კიდევ ერთხელ ძილ-ბურანში წასვლა მეცადა... ასეც მოვიქეცი, ვცადე დაძინება და ჩემდა საბედნიეროდ საწადელსაც მივაღწიე, თვალები ნელ-ნელა დამიმძიმდა და ჩავთვლიმე კიდეც.

რამდენ ხანს გაგრძელდა ჩემი ძილი, არ ვიცი, მაგრამ, მახსოვს, რუფა რომ მაღვიძებდა:

- დენის, მოემზადე, ჩავდივართ!

თვალები რომ გავახილე, რუფა უკვე ქურთუკს იკრავდა და წამოსადგომად ემზადებოდა.

- მოვედით? - ვკითხე მე.

- მოვედით! - მიპასუხა მან.

ამის შემდეგ წამოვდექი და სავარძლების ორ რიგს შორის, შუაში დავდექი. მერე რუფაც წამოდგა და ერთი ხელით მხარზე დამეყრდნო, მეორე ხელი კი სავარძლის საზურგეს დაადო, რომელზეც მე ვიჯექი, და ასე მსუბუქად დაბლა ჩამოხტა.

ამასობაში ავტობუსიც გაჩერდა და მძღოლმა მე და რუფას იმის ნიშნად გადმოგვხედა, რომ ენიშნებინა, თქვენი ჩასვლის დროაო. ორივემ მძღოლს მადლობა გადავუხადეთ, ჩამოვედით ავტობუსიდან და ჩემ წინ, კვლავ სიბნელეში ჩაძირული ერთი დიდი ტერიტორია გადაიშალა. მთავარ გზას გავაყოლე თუ არა თვალი, ჩვენგან არცთუ ისე შორს ერთი საშუალო სიდიდის შენობა დავინახე, რომლის წინაც რამდენიმე ავტობუსი და მსუბუქი ავტომობილი იდგა, ხოლო თავად შენობა სრულიად ჩაბნელებული იყო.

- ეს, ქალაქი სომბორია, სადაც მე ვცხოვრობ, ხოლო ეს - ჩვენი ავტოსადგურია, ამ გზიდან ბელგრადისკენ და იმის იქით მიდის ტრანსპორტი. ჩვენ ახლა, ამ გზას უნდა გავყვეთ პირდაპირ, მერე დაახლოებით ასიოდე მეტრში მარჯვნივ უნდა ჩავუხვიოთ და, აი, ის უკვე ჩემი სახლია, - სიბნელეში აკაშკაშებულ, რამდენიმე ფერად ნათურისკენ გაიშვირა ხელი რუფამ.

გავიარეთ ასიოდე მეტრი, ხოლო შემდეგ, როგორც რუფამ თქვა, მარჯვნივ ჩავუხვიეთ და სწორ გზას დავადექით. ისე, გზაო ვამბობ, მაგრამ, ეს უფრო არა ასფალტით დაგებული, არამედ შემოდგომის მიერ ლამაზად გაყვითლებულ ხეებს შორის გაკვალული ბილიკი უფრო იყო. მივყვებოდით ამ გაკვალულ ბილიკს, მესმოდა ხეებიდან ჩვენს ფერხთით უხვად ჩამოყრილი ფოთლების ხრაშახრუში და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს ლამაზ ბაღში, ან სადმე დასასვენებელ პარკში მივსეირნობდით. ასე ნელი ნაბიჯებით სიარულის შემდეგ, მანძილი ჩვენსა და იმ ფერად ნათურებს შორის, რომლებიც, ალბათ რუფას

სახლის მიმდებარე ტერიტორიას ანათებდნენ, სულ უფრო და უფრო მცირდებოდა.

აი, მივადექით ფერად ნათურებს და ჩემ წინ ძალიან მაღალი სახლი აღიმართა, რომელსაც გარშემო ქვის კედელი ჰქონდა შემორტყმული. რუფა რკინის დიდ კარებთან შეჩერდა და ჯერ ღილაკს დააჭირა თითი, ხოლო შემდეგ, რკინის კარზე რამდენჯერმე დააბრახუნა.

- ჰმ, სძინავთ, - თქვა აშკარად უკმაყოფილომ და მე გადმომხედა.

- რუფა, რატომ ბრაზობ, ყველა ჩვენნაირად გზაგამრუდებული კი არ არის, რომ ამ შუაღამისას გარეთ დაბოდიალობდეს?! სძინავს ხალხს, სძინავს, ჩემო კარგო, - ვუთხარი მე და რკინის კარზე, ახლა უკვე მე დავიწყე ენერგიული ბრახუნი.

- ნუ აბრახუნებ, თორემ გაიღვიძებენ, - ხელებში მეცა რუფა და გაღიმებულმა თვალი ჩამიკრა.

ამასობაში რკინის კარმა შიგნიდან გაიჩხაკუნა და შემდეგ რამდენიმე საკეტის ერთდროულად გადატრიალების ხმა გაისმა, რის შედეგადაც კარი გაიღო და ჩვენ წინ, ვიღაც ჩაფსკვნილი მამაკაცი იდგა, რომელმაც რუფას აშკარად უკმაყოფილო ტონით, მათ ენაზე რაღაც უთხრა.

რუფამ ეს მამაკაცი ჯერ გადაკოცნა, ხოლო შემდეგ გაიღიმა და ხელკავგაყრილმა შენობისკენ წამიყვანა.

- ბიძაა ჩემი, მამაჩემის ძმა! რატომ დაიგვიანეო, მისაყვედურა. - მშვიდად მითხრა რუფამ, მერე შეჩერდა, უკან მიიხედა და ბიძამისს რაღაც გასძახა, რაზეც იგი დაუყოვნებლივ ჩვენთან მოვიდა, მერე გასაღებების ასხმიდან ერთ-ერთი გასაღები გამოაძრო და რუფას გადასცა.

- ჰო, დენის, ახლა გაიცანით ერთმანეთი, ბიძაჩემს ბორა ჰქვია, - კვლავ მომმართა რუფამ და ბიძამისს ისევ რაღაც გადაულაპარაკა.

ბორამ თავის მხრივ ენერგიულად გამომიწოდა ხელი და გამიღიმა, რაზეც, ჩემგანაც ხელის ჩამორთმევა და ანალოგიური პასუხი მიიღო.

შევედით შენობაში და, რაც თვალში მომხვდა, კედლებზე გაკრული ნახატები, ხოლო ოთახის შუაში დადგმული რამდენიმე სავარძელი იყო. ეს ადგილი უფრო მისაღები ოთახის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ ჩვენ იქ არ შევჩერებულვართ და ოთახის ბოლოს აღმართულ ხვეულ კიბეს ავუყევით. ავედით თუ არა მეორე სართულზე, რუფა პირველივე კართან შეჩერდა, მერე გასაღები მოიმარჯვა, კარების საკეტში გაუყარა, ოდნავ გადაატრიალა და სახელურის ჩამოწევის შემდეგ ოთახში შევიდა. - შემოდი! - დამიძახა მან ჯერ კიდევ დერეფანში მდგარს და ოთახში შუქი აანთო. მეც შევედი, შუაში დავდექი და ოთახს თვალი გადავავლე. ამ ოთახს მარცხნივ დიდი ფანჯარა და შუშის კარი ჰქონდა ჩასმული, რომელიც პირდაპირ აივანზე გადიოდა, საიდანაც მთელი ეზო და სახლის მიმდებარე ტერიტორია მოსჩანდა. - დღისით, აქედან კარგი პეიზაჟი იქნება, - გავიფიქრე და ახლა ოთახის მარჯვნივ გავიხედე, სადაც მსგავსი კარ-ფანჯარა ჩაესვათ და, სხვათა შორის, ამ ფანჯრის მიღმაც აივანი მოჩანდა. ასეთი ტიპის სახლს, ერთ ოთახში ორი აივანი რაში სჭირდებოდა, ნამდვილად გამიკვირდა და მარჯვენა ფანჯარასთან მივედი. შევაღე კარი და ჩემ თვალწინ, დაბლა უზარმაზარი დარბაზი გადაიშალა. დარბაზი სავსე იყო შუშისგან შეკრული და შემდეგ აღმართული სვეტებით. თითოეულ სვეტს კი ქვემოდან ერთი ფერადი ნათურა ანათებდა და ამიტომაც იყო, ზოგი სვეტი წითლად, ზოგი

მწვანედ, ზოგი ლურჯად, ზოგიც ყვითლად რომ კაშკაშებდა. რამდენი სვეტი იდგა ამ დარბაზში, არ ვიცი, რადგან მისი დათვლა არ დამიწყია. ისე, მე რომ იმ შუშის სვეტების დათვლა დამეწყო, ეს იგივე იქნებოდა, კაცმა ტყეში, ხეების დათვლა რომ დაიწყოს. ავიხედე მაღლა და შევამჩნიე, რომ იმ აივნის გარდა, რომელზეც მე ვიდექი, ამ დარბაზს, კიდევ ძალიან ბევრი აივანი გადაჰყურებდა. დაბლა მთელ კედელთან, ერთ მწკრივზე დიდი ქოთნები იდგა, საიდანაც ულამაზესი ყვავილები და სხვადასხვა სახეობის მცენარეები ამოზრდილყო. თითოეული მცენარე კედელზე ადიოდა და შემდეგ, ამავე კედელზე გამოკიდებულ აივნებს ზღაპრულ სილამაზეს აძლევდა.

- ეს რა არის? - გაოცებულმა ვკითხე რუფას.

- ეს ის სამკითხველო დარბაზია, რომელზეც გელაპარაკებოდი, - მიპასუხა მან.

-სამკითხველო თუ საკარნავალო დარბაზი? - გავიღიმე მე და რუფას გადავხედე.

- ეს დარბაზი კარნავალისთვისაცაა გამოსადეგი, ასე რომ, შენთვის ინტუიციას არ უღალატია.

- არ ჩავიდეთ? - ვცადე ნებართვის აღება.

- როგორც გენებოს!

რუფას ამჯერად ჩემთვის ხელკავი არ გაუკეთებია, მან ხელი მომკიდა და ჩვენც აივნიდან პირდაპირ დარბაზში ჩამავალ კიბეზე დავეშვით.

- მე მგონი, ამას, არა სამკითხველო, არამედ სვეტებიანი დარბაზი უნდა ერქვას, შუშის სვეტებიანი დარბაზი, - ვთქვი მე და ერთ-ერთ სვეტს მივუახლოვდი, რომელზეც ერთ მხარეს, ზემოდან ქვემოთ ჩაყოლებაზე, რაღაც ტექსტი ეწერა. დავაკვირდი სვეტის ზედა ნაწილს და თვალში, დანარჩენ ტექსტთან შედარებით, გამორჩეული ასოებით გამოყვანილი წარწერა მომხვდა: „რელიგია - კაცობრიობის ნუგეში.“

- რუფა, ეს წარწერა რას ნიშნავს?

- ეს წარწერა კი არა, სათაურია, წიგნის სათაური. - დააზუსტა რუფამ.

- წიგნი სადღაა?

- მაგ სათაურის ქვემოთ, სვეტის თავიდან ბოლომდე, რაც წვრილი ასოებით წერია, წიგნიც ეგ არის.

- ااااااااا, მე მგონი, უკვე ვხვდები. ესე იგი, ყველა შუშის სვეტზე, თავიდან ბოლომდე, რაღაც წიგნია დაწერილი, არა?

- დიახ, შენ არც ამჯერად გიღალატა ინტუიციამ. - ისევ შემაქო რუფამ.

- მაგრამ, ეს რას ნიშნავს, როცა, მაგალითად ამ სვეტზე, ჩვენი მხრიდან...

- ეგ იმას ნიშნავს, რომ, - შემაწყვეტინა რუფამ, - თითო სვეტზე ერთი წიგნი რამდენიმე ენაზე წერია. მაგალითად, ეს წიგნი: „რელიგია - კაცობრიობის ნუგეში,“ სვეტის აქეთ მხარეს ინგლისურად, იმის გვერდით ჩამოყოლებაზე ფრანგულად, კიდევ გვერდით რუსულად, კიდევ იქეთ სერბულად, ხოლო კიდევ იმის გვერდით ჩინურად წერია.

- სულ რამდენ ენაზეა აქ ეს წიგნები გამოფენილი?

- ჯერჯერობით მხოლოდ სერბულად, ინგლისურად, ფრანგულად, რუსულად და ჩინურად.

- ჩინურად ამ წიგნებს ვინ გითარგმნით?

- მე ვთარგმნი, - მიპასუხა რუფამ.

- რამდენი ენა გცოდნია?!

- არც ისე ბევრი; ინგლისური, ფრანგული, რუსული და ჩინური.

- სერბულს რატომ არ თვლი? - გამიკვირდა მე.

- სერბული ჩემი მშობლიური ენაა და ისედაც ვალდებული ვარ, ვიცოდე.

მე ახლა უკვე სხვა სვეტისკენ გადავინაცვლე და სვეტის თავში გაკეთებული სათაური ამოვიკითხე: „ჩემში მხეცი არ გააღვიძო.“ ამ სათაურის წაკითხვამ, ჩემდაუნებურად ღიმილი მომგვარა.

- სხვათა შორის, მაგ წიგნის პრეზენტაცია წინა შაბათს გვქონდა, - მითხრა რუფამ.

- მერე რაო, ავტორმა რა თქვა?

- ავტორმა რაც დაწერა, იმის მეტი რაღა უნდა თქვას? ამჯერად საკუთარი სათქმელი იმ ადამიანებს უნდა ეთქვათ, რომელთაც ამ წიგნის წაკითხვა უკვე მოესწროთ, და ვთვლი, რომ პრეზენტაციამ წარმატებით ჩაიარა.

- საბოლოო ჯამში, მხეცი მაინც არ გაგიღვიძებიათ? - ვკითხე რუფას.

- მე მხოლოდ იმას ვისურვებდი, რომ მხეცს არც ერთ ადამიანში არ გაეღვიძოს.

- და თუ ის იქ არ არის, მაშინ ვერ გაიღვიძებს და საშიშიც არაფერი ყოფილა.

- ნუთუ შენ, დედამიწაზე გეგულება ადამიანი, რომელშიც მხეცი არ ზის?

მე არაფერი მითქვამს, მხოლოდ რუფას წინ დავდექი და ზურგით იმ შუშის სვეტს მივეყრდენი, რომელ წიგნზეც ახლა ვსაუბრობდით, თუმცა, უცებ გამახსენდა წარწერებზე რომ ვიყავი მიყრდნობილი და ელდანაცემივით სვეტს მოვშორდი. რუფა, ბუნებრივია, მიხვდა ჩემი სიფრთხილის მიზეზს და ღიმილით ახლა თავად აეკრა სხვა სვეტს.

- ნუ გეშინია, აქ ისეა ყველაფერი ამოტვიფრული, ძალიანაც რომ მოინდომო, ვერაფერს წაშლი... და, სხვათა შორის, ვერც ამ შუშის სვეტს ჩაამტვრევ.

- არ წაიშლება და ამას რა ჯობია, - ვთქვი მე და კვლავ რუფას წინ აღმართულ შუშის სვეტს მივეყრდენი.

- დენის, შენ მაინც არ მიპასუხე, რატომ გგონია, რომ მხეცი ყველა ადამიანში არ ზის?

მე მხოლოდ თავი დავხარე და დაველოდე, რუფა რას იტყოდა. ის კი მიყრდნობილი იყო სვეტზე და მაღლა ჭერში იცქირებოდა. მერე მან თვალები დახუჭა და, ისე დაიწყო ლაპარაკი:

- მხეცი ყველა ადამიანში, და მათ შორის ჩვენშიც ზის. მე სწორედ იმის მეშინია, რომ ამ უსამართლობითა და სიბილწით დამძიმებულმა ცხოვრებამ შენზე დამთრგუნველად არ იმოქმედოს, არ გაგაბოროტოს და შენს სულში ჩაბუდებული ის მხეცი არ გამოაღვიძოს, რომელიც შენი ალალი ბუნებიდან გამომდინარე, თითქოსდა საუკუნოდაა მიძინებული. მე ახლა შენი წარსული ცხოვრების სიღრმეებში ქექვას ვერ დავიწყებ, მაგრამ შენ რომ დღეს მკვლელი არ ხარ, შენ რომ დღეს გახრწნილი პიროვნება არ ხარ, შენ რომ დღეს გაიძვერა არ ხარ, და შენ რომ დღეს ყაჩაღი არ ხარ, ყოველივე ეს მარტო შენი ალალი გულისა და მეტ-ნაკლებად სუფთა სულის დამსახურება კი არა, იმ გარემოცვის დამსახურებაცაა, სადაც შენ აღიზარდე და პიროვნებად ჩამოყალიბდი. გასაგებია,

შენ ისე გაურბიხარ საკუთარ ქვეყანაში არსებულ სიბინძურეს, რომ უკან გახედვაც აღარ გინდა, მაგრამ, მოდი ახლა და შენი ლამაზი გარემოცვა გაიხსენე; შენი ოჯახი, შენი ბავშვობის, სიყრმისა და უფრო გვიანი წლების ახლო მეგობრები. დიახ, გაიხსენე ყველა ეს ადამიანი და დაფიქრდი, მათ შორის იყო ვინმე ისეთი, რომელიც უზნეობისკენ გიბიძგებდა? ან გყოლია საკუთარ გარემოცვაში ისეთი ადამიანი, რომლისთვისაც სიკვდილი ხელობა იყო? ან ოდესმე მეგობრად გყოლია ისეთი ადამიანი, რომელსაც ფლიდობა სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი და შენც ასეთი გზით ცხოვრებისკენ გიბიძგებდა? დარწმუნებული ვარ, ასეთი ხალხი საკუთარ სიახლოვეს არასდროს გყოლია (შეიძლება თავად არ იკარებდი), თორემ შენ რომ ცხოვრებაში ამგვარი გარემოცვა გყოლოდა, ის მხეცი, რომელიც შენში, თითქოს საუკუნოდ მიძინებულია, უკვე დიდი ხნის გამოღვიძებული იქნებოდა და შედეგად, დღეს არც ჩემთან იქნებოდი და არც საკუთარ სამშობლოდან მოგიწევდა ასე შორს გადახვეწა. ამიტომაც არის, რომ ძალიან იშვიათი გამონაკლისის გარდა, სასულიერო პირთა გარემოცვაში აღზრდილი ადამიანი რელიგიურ გზას ირჩევს, მძარცველთა გარემოცვაში აღზრდილი ძარცვას სწავლობს, მეცნიერთა გარემოცვიდან მეცნიერები გამოდიან, ხოლო მსახიობებში აღზრდილს მსახიობობა სწადია. ეს ასეა და მერწმუნე, კიდევ კარგა ხნით, ამას ვერავინ შეცვლის, ვერავინ. აქედან დასკვნა: როცა ადამიანი განსაცდელში ვარდება, ხშირად მასში ცხოველური ინსტინქტები იღვიძებს, იგი ყველაფერს ივიწყებს და გონებადაბინდული, საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით ყველანაირ უმსგავსობაზე მიდის. მოკლედ, იბრძვის დაშვებული თუ დაუშვებელი მეთოდებით, უსწორდება ყველა მოწინააღმდეგეს და ბევრი რომ არ გავაგრძელო, მასში სწორედ ის მიძინებული მხეცი იღვიძებს, რომელზეც ახლა გესაუბრები. და როცა ადამიანში მხეცი იღვიძებს, იგი ზომიერებასთან ერთად კარგავს საკუთარ სახეს, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, თურმე ამაში არაფერი დასაძრახისი არ ყოფილა, რადგან ზოგიერთი ბრიყვის მტკიცებით, ასეთ დროს, ადამიანში მხეცმა და ნაძირალამ კი არ გაიღვიძა, არამედ მასში მხოლოდ და მხოლოდ ფარული რეზერვი ამოქმედებულა... ახლა კი, დენის, იმედია, მაესტროს გაცნობაზე უარს არ იტყვი, მით უმეტეს, რომ იგი შენთვის გაუგებარ - სერბულ ენაზე არ დაგელაპარაკება. - მოულოდნელად საუბრის თემა შეცვალა რუფამ.

- მაესტრო? - გავიკვირვე მე.

- დიახ, მაესტრო, მისი ნამდვილი სახელია დავორი. მამაჩემზე გელაპარაკები, და ის ახლა ჩვენ გვიახლოვდება.

მე იქით შევბრუნდი, საითაც რუფა იცქირებოდა და დავინახე, რომ ასე, სამოც წლამდე ასაკის მამაკაცი გვიახლოვდებოდა. იგი ნელი ნაბიჯებით მოგვიახლოვდა, მერე მე მოწიწებით თავი დამიკრა და პირდაპირ რუფას წინ დადგა. ამის შემდეგ მან რუფა გულში ჩაიკრა და რამდენიმე წამი ასე გაჩერდა, მერე მას ჯერ ერთ ლოყაზე აკოცა, შემდეგ მეორე ლოყაზე და შუბლზე, მერე ისევ გულში ჩაიკრა და იგივე რიტუალი, კვლავაც რომ გაიმეორა, ჩემკენ მხოლოდ ამის შემდეგ მობრუნდა.

- მაპატიეთ, მეგობარო, მაპატიეთ, ყურადღება რომ ვერ მოგაქციეთ. შვილის სიყვარულმა ასე იცის. ალბათ, თქვენც ასე ხართ საკუთარი შვილების მიმართ და ისინი თქვენც ასე გიყვართ, არა? - მკითხა მან.

მე მხოლოდ უხერხულად შევიშმუშნე და ღიმილით რუფას შევხედე.

- ხომ გყავთ შვილი? - გამიმეორა კითხვა.

- არა, შვილი არ მყავს, - ვუპასუხე მე.

- როგორ, სულ არ გყავთ, არც მეუღლე და არც შვილი?

- არც მეუღლე და არც შვილი!

- იცნობდე, ეს დენისია, - ჩაერთო ლაპარაკში რუფა, - აღმოსავლეთ ევროპიდან მოდის, საქართველოდან.

- და სად მიდის? - იკითხა რუფას მამამ.

- მიდიოდა დასავლეთში, მაგრამ ჩვენთვის კარგად ნაცნობ რკინის ქარავანს ჩამორჩა და სრულიად მოულოდნელად აქ, ჩვენს ქვეყანაში აღმოჩნდა.

- ესე იგი, სტუმარი ყოფილა!

- დიახ, სტუმარია!

- მერე, რაღას უცდი, ვახშამი და დასვენება, ამას ახლა, ამ წუთას სხვა არაფერი ენდომება! - დაასკვნა მაესტრომ.

- უკვე ვივახშმეთ, მაგრამ, ეგეც რომ არა, ამას ახლა ისე აქვს დრო და განზომილება არეული, რომ მისთვის ვახშამი, საუზმე და სადილი ერთია, - სიცილით უპასუხა რუფამ.

- თქვენ რას იტყვით, მეგობარო? - ახლა მე მომმართა მაესტრომ.

- მართალს ამბობს რუფა! - ღიმილით ვუპასუხე მე.

- მოსვენებაზე რაღას იტყვით?

- მაგაზე უარის თქმის უფლება ნამდვილად არ მაქვს.

- მაშინ, რუფა, აჩვენე ჩვენს სტუმარს საძინებელი ოთახი და ჩვენც წავიდეთ დასაძინებლად, თორემ უკვე დაგვათენდა თავზე და ეგაა.

- უკვე ვაჩვენე! - უპასუხა რუფამ.

- თუ ეგრეა საქმე, ღამე მშვიდობისა, მეგობარო! - დამემშვიდობა მაესტრო და ნელი ნაბიჯებით დარბაზიდან გასასვლელ, შუშის დიდ კარისკენ გაემართა.

- ღამე მშვიდობისა! - დავემშვიდობე მეც და რუფასკენ ნაბიჯის გადადგმა დავაპირე, მაგრამ რუფა უკვე ჩემ წინ იდგა და თავისი დიდრონი თვალებით მიცქერდა.

- ესე იგი, წავედით დასაძინებლად?! - ვუთხარი მე.

- თუ რაიმე მოგინდეს, სამზარეულო შენი ოთახის ქვემოთ, პირველ სართულზეა, იქვეა აბაზანაც და საპირფარეშოც. ეს ისე, რომ იცოდე, ახლა კი ღამე მშვიდობისა და ეცადე, დილისთვის ძალები აღიდგინო, - მითხრა რუფამ და დამშვიდობების ნიშნად ხელი დამიქნია.

- თუ კორიდაზე მიშვებ ხარებთან საბრძოლველად, მაშინ, წინასწარ გეტყვი, რომ რამდენიც არ უნდა ძალები აღვიდგინო, ყველა ვარიანტში დამარცხებისთვის ვარ განწირული.

- კორიდაზე უარესი გელის, - ღიმილით მიპასუხა რუფამ და მამამისს გაედევნა.

- ღამე მშვიდობისა! - მივაძახე მე და ჩემი ოთახისაკენ ამავალ კიბეს ავუყევი.

ნელ-ნელა ავიარე ყველა კიბე, შევედი ოთახში და საწოლამდე ისე მივედი, რომ სინათლე არ ამინთია. ჩამოვჯექი საწოლზე და ცოტა სული რომ მოვითქვი, მერე მივხვდი, თუ როგორ დავღლილვარ. ქურთუკი საწოლის უკან მდგარ სავარძელზე მივაგდე, ფეხსაცმელი გავიხადე და ეგრევე მივწექი. აჰა, როგორც იქნა მეღირსა თბილი ლოგინი და თბილი ოთახი, მოკლედ, ყველაფერი ის, რასაც, უკვე რამდენიმე დღეა, მონატრებული ვიყავი. მეღირსა დასვენება, ჩემს

გემოზე ლოგინში წოლა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე იმ დროს, ალბათ მაინც საბრძოლველად შემართულ მებრძოლს ვგავდი, რომელიც კი არ იძინებს, არამედ თვალს ატყუებს და მზად არის, პირველსავე დამახილზე რკინის მუზარადი მოირგოს და საბრძოლველად გავარდეს. არადა, თითქოს ძილ-ბურანიც მოვიდა, მაგრამ, აშკარად ვგრძნობდი, რომ ეს არ იყო ძილი, რომლის დროსაც გათიშულს გძინავს და მოწყვეტილი ხარ გარესამყაროს. საოცარია პირდაპირ, ქუთუთოებდამძიმებულსა და თვალებდახუჭულს, თითქოს მეძინა, მაგრამ, ამავე დროს კარგად ვგრძნობდი, რომ არც იქ ვიყავი და არც - აქ, ანუ არც ძილში ვიყავი და არც ცხადში ვითვლებოდი. ის კი არა, კარგა ხნით, ეზოდან, რაღაც ხმები მესმოდა. მერე საკუთარ თავზე სიცილი ამივარდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ამით დავასკვენი, რომ ყოველივე არა სიზმარში, არამედ ცხადში ხდებოდა. ჩემი სიცილის მიზეზი, რუფას დარიგების გახსენება იყო, დილისთვის ძალები აღიდგინეო, რომ მითხრა. - ეჰ, მე მგონი, ეს გოგო მართლა კორიდაზე გაშვებას მიპირებს, - გავიფიქრე ჩემთვის და უცებ ხუმრობის ხასიათზე დავდექი. თუმცა, ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ, ჩემთვის უპირველეს ყოვლისა, საინტერესო ის იყო, თუ რისთვის მამზადებდა და საერთოდ, რას მიპირებდა რუფა? ჯერ იყო და, იმ ლიტერატურული ნაწარმოების შექმნაზე რომ ვკითხე, კონკრეტული არაფერი მიპასუხა, ახლა კიდევ, დილისთვის ძალები აღიდგინეო. - ხუმრობს, ალბათ, ხუმრობს, თორემ, მართლა კორიდაზე საბრძოლველად ხომ არ ვენდომები? - წავედი ისევ ფიქრებში. მოკლედ, ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა და უთავბოლო ფიქრები რამდენ ხანს გაგრძელდა, აღარ მახსოვს, მაგრამ ის კი ვიგრძენი, რომ ეს ფიქრები, სადღაც, ღამის რომელიღაც მონაკვეთზე შეწყდა და გარესამყაროს ზუსტად ისე მოვწყდი, როგორც ძილის დროს უნდა ხდებოდეს ხოლმე.

დილით, რაღაც ხმაურმა გამომაფხიზლა. თვალები რომ გავახილე და ხმაურს ყური მივუგდე, მივხვდი, რომ ეს მიკროფონით მოლაპარაკე ადამიანის ხმა იყო. დამაინტერესა და ლოგინზე წამოვჯექი. ხმას კიდევ ერთხელ მივუგდე ყური და დავრწმუნდი, რომ მიკროფონით მოლაპარაკე ადამიანის ხმა არა ეზოდან, არამედ დარბაზიდან ამოდიოდა, იმ სამკითხველო დარბაზიდან, რომელსაც ჩემი აივანი გადაჰყურებდა. სასწრაფოდ ფეხსაცმელი ჩავიცვი და ფანჯარაში გავიხედე, სადაც შემოდგომის მიერ ხელდასმული, ძალიან ლამაზი დილა თენდებოდა და ოქტომბრის მზე უხვად აფრქვევდა სხივებს. გადაყვითლებული ხეებისა და ციდან უხვად ჩამოღვრილი მზის სხივების შემხედვარეს, წუხანდელი უჟმური ამინდი და გულისგამაწვრილებელი წვიმა სულ მთლად გადამავიწყდა.

შემოდგომის უმშვენიერესი პეიზაჟისგან მიღებული ტკბობის მიუხედავად, ფანჯარასთან დიდხანს არ ვმდგარვარ და დარბაზის აივნისკენ წავედი. ჯერ დარბაზში გადასახედ ფანჯარასთან გავჩერდი, გადავიხედე და თვალებს არ დავუჯერე, მთელი დარბაზი ხალხით იყო სავსე და ვიღაც მამაკაცი სიტყვით გამოდიოდა. სასწრაფოდ პირველ სართულზე ჩავირბინე, აბაზანა მოვნახე, პირზე წყალი შევისხი, მოვწესრიგდი და ისევ ჩემი ოთახის აივანზე გავედი. აქედან მთელი სამკითხველო დარბაზი, სადაც სიგარეტისა და ალკოჰოლის მძაფრი სუნი გამეფებულიყო, ხელისგულივით მოჩანდა. სვეტებს შორის მაგიდები იდგა, რომლებზეც ხილი და სხვადასხვა სახის ტკბილეულობა ეწყო, ხოლო მიმტანი

გოგონები რეაქტიული სისწრაფით დაქროდნენ და ძირითადად ფეხზე მდგარ საზოგადოებას ემსახურებოდნენ. გადავავლე დარბაზს თვალი და იქვე, ჩემი აივნიდან მარჯვნივ რუფა შევნიშნე. მას მოკლესახელოებიანი და კოჭებამდე გრძელი, თეთრი კაბა ეცვა, მხრებზე ასევე თეთრი ფერის თავშალი მოესხა, ხოლო ხელში, მაღალ ღეროდან გადმოშლილი, წითელი ვარდი ეჭირა. იგი ყველასგან სრულიად განმარტოებით იდგა და თვალდახუჭული ზურგით კედელს მიყრდნობოდა.

კიბე სასწრაფოდ ჩავირბინე, ფეხაკრეფით რუფასთან მივედი და მის გვერდით, მეც ზუსტად ისევე მივეყრდენი კედელს, როგორც იგი იდგა. არაფერი მითქვამს, საერთოდ არაფერი, მხოლოდ ის იყო, რომ ჩემი მხარი მის მხარს ოდნავ შეეხო. მან, ისე რომ თვალი არ გაუხელია, ძალიან დაბალი ხმით მკითხა:

- მოხვედი?

- კი, მოვედი!

- ახლა ვაპირებდი შენს გაღვიძებას, მაგრამ, რომ წარმოვიდგინე, რა დაღლილიც ხარ, შემეცოდე და აღარ გაგაღვიძე.

მე არაფერი მითქვამს, მხოლოდ რუფასკენ შევბრუნდი და ამჯერად უკვე კედელს მხრით მივეყრდენი. რუფა კი ისევ თვალდახუჭული იდგა და სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. გავჩერდი ასე, რამდენიმე წამს და რუფა რომ არც თვალს ახელდა და არც არაფერს მეკითხებოდა, კედელს მოვშორდი, რუფას წინ დავდექი, მისი ხელები ჩემს მუჭში მოვიქციე, თავი ოდნავ დავხარე და იმ ვარდის სურნელი, რომელიც რუფას ორივე ხელით ეჭირა, ღრმად ჩავისუნთქე.

- გიყვარს ვარდი? - მკითხა მან.

- ძალიან, ძალიან მიყვარს, შეიძლება ითქვას, სიგიჟემდე მიყვარს, ოღონდ...

- რა ოღონდ? - ამჯერად უკვე თვალი გაახილა რუფამ და ისე შემომხედა, თითქოს პირველად მხედავსო.

- მე ძალიან მიყვარს ვარდი, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ უდიდეს სიამოვნებას, მხოლოდ ვარდით გავსებული ბაღი ან ვარდით შეკრული ხეივანი მგვრის. რაც შეეხება მოწყვეტილ ვარდს ან ნებისმიერ მოწყვეტილ ყვავილს, მე მძულს მისი ხილვა, რადგან მასში ნაადრევად შეწყვეტილ სიცოცხლეს ვხედავ და ის ჩემთვის მხოლოდ სიკვდილთან ასოცირდება. ეს არის მიზეზი იმისა, რომ მე არ მიყვარს, უფრო სწორად, შავი ჭირივით მეზარება ყვავილების მაღაზიის ან ყვავილების ბაზრობის გვერდით ჩავლა, ვინაიდან იქ იმდენ მოწყვეტილ ანუ მკვდარ ყვავილს ვხედავ, რომ თავი სასაფლაოზე მგონია ხოლმე. ამიტომაც არის, რომ იმ ადგილებს, სადაც ყვავილებს ყიდიან, ყოველთვის ვცდილობ, შეძლებისდაგვარად გვერდი ავუარო. მოკლედ, მე სიცოცხლე მიყვარს და არა სიკვდილი, მე მიწიდან ამოსული, სიცოცხლით სავსე ვარდი მიყვარს და არა ისეთი ვარდი, რომელიც, ვიცი, რომ რამდენიმე დღეში საცოდავად დაჭკნება და სიკვდილის ფერი გახდება... ჰოდა, ჩემო ლამაზო და მშვენიერო რუფა, მე რომ ახლა ამ ვარდს დავყნოსე, შეგიძლია ჩათვალო, რომ ყოველივე ეს, ამ ერთ დროს, მართლაც სიცოცხლით სავსე არსებასთან ჩემი გამოსათხოვარი იყო.

მოვრჩი ჩემს სათქმელს, მაგრამ, კარგა ხანს რუფა თავდახრილი იდგა და ხმას არ იღებდა, მერე მან, როგორც იქნა თავი ასწია და ხმადაკარგულმა მკითხა:

- სიკვდილის გეშინია?

- სიმართლე გითხრა, მე თუ სიკვდილის მეშინია, განა იმიტომ მეშინია, რომ აქაურ ცხოვრებას ვერ ველევი და არ მინდა ამქვეყნიური სიმყუდროვე დამერღვეს. არა და არა. თუ მაინცდამაინც შიშზე მიდგა საქმე, მე სიკვდილის მხოლოდ იმიტომ მეშინია, რომ არ მინდა, ჩემთვის მოულოდნელად, სიკვდილი მხოლოდ სიცარიელე გამოდგეს და სხვა არაფერი სიცარიელის გარდა. დიახ, სიცარიელე, ანუ არა გარდაცვალება, არამედ სიკვდილის შემდეგ საუკუნოდ გაქრობა და არაფერში გადასვლა... იმ არაფერში გადასვლა, სადაც არა დაპირებული, სიკვდილის შემდგომი მარადიული სიცოცხლე, არამედ არაფერიც არ იქნება, ხოლო სული რომ სულია, მისი არსებობაც კი ტყუილი გამოდგება და ჩვენ, ადამიანები, ამ სამყაროდან საუკუნოდ ისევე გავქრებით, როგორც ყოველივე ეს, სიკვდილის შემდგომ ცხოველებს ან მცენარეებს ემართებათ ხოლმე. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, თუ მაინცდამაინც სიკვდილის შიშზე მიდგა საქმე, ჩემი შიში მხოლოდ ამას ეფუძნება და სხვას არაფერს.

- დენის, რაც ახლა შენგან მოვისმინე, ყოველივე ეს, იმ ადამიანის მიერ გამომჟღავნებული უნდობლობაა, რომელსაც ცხოვრებაში უამრავი უსამართლობა გადახდენია თავს და ამიტომაცაა, რომ ამქვეყნად ყველას და ყველაფრის მიმართ ნდობა დაუკარგავს. როცა შენ ამგვარ შიშს (რომელზეც ახლა ილაპარაკე) ახსენებ, ეს გარკვეულწილად, უფრო უნდობლობაა, რომელიც შენდაუნებურად ჩამოგიყალიბდა. მე მესმის შენი, მაგრამ შენ სხვა გზა არ დაგრჩენია და ვალდებული ხარ, ის საზოგადოება, რომელშიც ცხოვრობ, უნდა შეისისხლხორცო და მასთან კი არ უნდა გაუცხოვდე, არამედ მისი შემადგენელი ნაწილი უნდა გახდე. გძულს, არ გძულს, სხვა საქმეა, მაგრამ უნდა ეცადო და მისი შემადგენელი ნაწილი გახდე, თორემ, ხომ ხედავ, რომ ამ საზოგადოებისგან შენი განცალკევება, უკვე შენს რწმენაშიც გარკვეულ ბზარებს აჩენს.

- იცი, რა არის? - ვთქვი მე და ისევ კედელს მივეყრდენი.

- მითხარი, მითხარი, მე ყველაფერი მინდა შენ შესახებ ვიცოდე, - მითხრა რუფამ და კედელს მხრით, ახლა ის მიეყრდნო.

- ამ ქვეყანაზე, მხოლოდ პირადი სარგებლობის გამონახვის მიზნით, იმდენ ცრუ წინასწარმეტყველადშერაცხულ და საკუთარ ფანტაზიაში ჩაფლულ ცრუპენტელას ვხედავ, რომ ხანდახან ამგვარი მკრეხელური აზრიც გამიელვებს ხოლმე თავში: მაგალითად, ნეტავ, ბიბლიაც ასეთი სიცრუიდან აღმოცენებული ფანტაზიის მქონე ადამიანების გონების ნაყოფი ხომ არ არის - მეთქი? რა დასამალია და ხანდახან ასეთი აზრი მართლა მომდის თავში, მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, იქვე, უმალ ვგრძნობ ჩემი მეორე „მე“-ს არსებობას, რომელიც ყოველთვის საპირისპიროში მარწმუნებს და სიმშვიდეს მგვრის. ეს სწორედ ის ჩემი მეორე „მე“-ა, რომლის ხელობაც არასოდეს არ ყოფილა მკვლელობა, ფლიდობა და ძარცვა-ყაჩაღობა, ხოლო თუ ვინმე ამქვეყნად წესიერ ადამიანად მიცნობს, სწორედ ამ ჩემი მეორე „მე“-ს დამსახურებაა. ამის მეტი რაღა გითხრა, უკვე ათეული წლებია ასე დაუნდობლად მიდის ბრძოლა ორად გაყოფილ ჩემს ორ „მე“-ს შორის, ხოლო საბოლოოდ გამარჯვება რომელ „მე“-ს დარჩება, ძნელი სათქმელია. რას იტყვი, რუფა, გაგიკვირდა ჩემგან ამის მოსმენა?

- ერთი ეს მითხარი, რა უნდა გამკვირვებოდა?! დედამიწაზე დასახლებულ ადამიანში რომ ამქვეყნიური ეჭვები, თუნდაც ის შიშები, რაც შენ ახსენე, იმძლავრებს, განა, ამაში რამეა გასაოცარი? კარგად დაიხსომე, რომ არც ერთი

ჩვენგანი მესია არ არის და ბუნებრივია, ნებისმიერ მოკვდავ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს გარკვეული ეჭვები, შიშები და ვარაუდები, მანამ, სანამ ყოველივეს ფარდა არ აეხდება და ყველაფერი ცხადი არ გახდება.

- და როდის გახდება ყოველივე ცხადი? - ვიკითხე მე.

ამაზე რუფას არაფერი უთქვამს, მან მხოლოდ ხელი მომკიდა და დარბაზის სიღრმისკენ წამიყვანა, იქით, სადაც უამრავი ადამიანი იყო შეგროვილი. ისინი ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ერთმანეთში ძალიან მშვიდი გამომეტყველებით საუბრობდნენ. საუბრის დროს ზოგი იღიმოდა, ზოგიც თანამოსაუბრის სიტყვებზე აშკარად ყალბ გაოცებასა თუ აღფრთოვანებას გამოხატავდა. მამაკაცებს პიჯაკები ეცვათ და ყელზე ჰალსტუხი ან შავი ბაფთა ეკეთათ. რაც შეეხება მაღალქუსლიან ფეხსაცმლებზე შემდგარ ქალებს, ისინი დიდი ნეტარებით შოკოლადს მიირთმევდნენ, თან შამპანურს წრუპავდნენ და თვალებს აჟუჟუნებდნენ.

ჩვენ სულ უფრო და უფრო ღრმად წავედით წინ, გავცდით ერთ სვეტს, მეორეს, ერთ მაგიდას, მეორეს, ადამიანთა ერთ ჯგუფს, მეორეს, მესამეს, მეოთხეს, მაგრამ ისევ წინ სიარულს ვაგრძელებდით... რუფა ყველა შემხვედრს ღიმილით თავს უხრიდა, ესალმებოდა და გვერდს უვლიდა, თან უკან გამომხედავდა ხოლმე. ბოლოს, როგორც იქნა ერთ-ერთ სვეტთან შევჩერდით და რუფამ ცოტა ხნის ძებნის შემდეგ, ერთ ადგილზე მიმანიშნა:

- დენის, მოდი და ეს ადგილი წაიკითხე. ვფიქრობ, მოგეწონება.

- ეს რა არის, ლექსია?

- მხოლოდ ამონარიდია, მაგრამ ამ ორიოდე წინადადებაშიც ბევრი რამ არის ჩადებული.

მე სვეტს მივუახლოვდი და იმ ადგილის კითხვა დავიწყე. ლექსი დაახლოებით ასე ითარგმნებოდა:

„მოვდივარ ულმობელ, ბებერ დროიდან,
მოვალ და უამრავ სიმართლეს მოვიტან.
არ ვიხსნი უწმინდურს ბრბოდან, ხროვიდან,
სიკეთეს გავარიდებ ფლიდებთან ბრძოლიდან.
ჯვარცმას მეორედ, მე ვეღარ ავიტან,
სამყაროს შევქმნი ჩემებურს, - თავიდან.
მოვდივარ განკითხვად, ულმობელ დროიდან,
მოვალ და უამრავ სიმართლეს მოვიტან.“

- რას იტყვი? - მკითხა რუფამ, სტრიქონების კითხვა რომ დავამთავრე.

- ავტორზე უკეთესს, ვეღარაფერს ვიტყვი, - ვუპასუხე მე და სტრიქონები კიდევ ერთხელ ჩავიკითხე.

- გეტყობათ, ჩემი პოეზია ძალიან მოგეწონათ, - მომესმა ვიღაცის ხმა. უკან შევბრუნდი და დაახლოებით 50 – 55 წლის მამაკაცი იდგა, რომელსაც გვერდს წითლად თმაშეღებილი გოგონა უმშვენებდა.

რუფამ ორივე მათგანს გაუღიმა, თავი დაუკრა და მერე მე მომმართა:

- დენის, იცნობდე, ეს მარკოა, ამ მშვენიერი სტრიქონების ავტორი, შენ რომ წაიკითხე და აღფრთოვანება ვერ დამალე. ეს კი მისი მეუღლე - სუზია.

ამის საპასუხოდ, მარკომაც და სუზიმაც, ორივემ ერთდროულად საკუთარი ხელი გამომიწოდა, მეც ჯერ სუზის, შემდეგ მარკოს ჩამოვართვი ხელი და ჩემი სახელი ვუთხარი.

- მაშ, მეგობარო, ჩემი პოეზია მოგეწონათ? - აშკარად ქედმაღლურად მომმართა მარკომ და ჰალსტუხი შეისწორა.

- თქვენი პოეზიიდან, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი ამონარიდი წავიკითხე და მართლაც ძალიან მომეწონა. ისე, იმედი მაქვს, რომ თქვენს დანარჩენ ლექსებსაც თუ წავიკითხავ, დიდ სიამოვნებას განვიცდი.

- მერე, თქვენც დადექით და წაიკითხეთ. აბა, სამოთხეში შესვლა რომ გინდათ, ჩემი პოეზიის გარეშე იქ ვინ შეგიშვებთ?! - დაიტრაბახა მარკომ, მერე თავის მშვენიერ მეუღლეს ხელკავი გამოსდო და გაგვშორდა. სუზიმ ისღა მოასწრო, თავისი მოჟუჟუნე თვალებით რუფასკენ გამოეხედა და სიცილით მხრები აეჩეჩა, ალბათ იმის ნიშნად, რომ მაპატიეთ, ჩემი ბრალი არ არისო.

- ნიჭიერი, მაგრამ ცანცარა და მკვეხარა! - ჩაილაპარაკა უკმაყოფილო რუფამ და მერე მე მომიბრუნდა.

- წამოდი, ხალხში გავერიოთ, გავიგოთ, რას ლაპარაკობენ, - მითხრა მან.

- არა, ცოტა ხნით აქ ჩამოვსხდეთ! - ვუთხარი მე და იქვე, აივნის ქვემოთ, კედელთან მიდგმულ, ერთ დიდ ქოთნის კიდეზე ჩამოვჯექი.

- მოიწყინე? - მკითხა რუფამ და ისიც ჩემ გვერდით ჩამოჯდა.

- რუფა, ხომ იცი, რომ არ მიყვარს ასეთი მლიქვნელი საზოგადოების ცქერა. რა ხალხსაც შენ ახლა აქ ხედავ, ისინი შეიძლება ვიღაცისთვის ელიტარულ საზოგადოებას წარმოადგენენ, მაგრამ ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ ამ უკუღმართი ცხოვრების მიერ გამაძღარი მედროვეები არიან... ვინაიდან ამათი ცხოვრების კრედო მხოლოდ ანგარება და პირფერობა გამხდარა, ამიტომაც არის, რომ მე მათ თითოეულ ნაბიჯში არტისტს ვხედავ, არტისტს, რომელსაც ნებისმიერი საკუთარი ნაბიჯი გათვლილი აქვს და რომელიც ცდილობს პუბლიკას დაანახვოს არა ის, რაც თავად არის, არამედ ის, რაც კონკრეტულ მომენტში მის ინტერესებს სჭირდება. მერწმუნე, მათ ღიმილში სიყალბის, ხოლო გამოხედვაში მლიქვნელობის მეტი არაფერი გამოსჭვივის. ისინი ჩემთვის, მხოლოდ ქონითა და ძვლებით გამოტენილი ტომრები არიან, ოღონდ მოსიარულე ტომრები. სიმართლე გითხრა, მე პირადად, ყოველთვის გული მერევა, როგორც ამ ფარისევლების, ისე მთლიანად იმ გამოთაყვანებული საზოგადოების ცქერაზე, რომლებიც ასეთ მედროვე არამზადებს დაუმსახურებლად აღმერთებენ და ამათ უნიჭო ლექსებზე სიმღერებს წერენ, ხოლო ნაწარმოებებზე სპექტაკლებს დგამენ ან ფილმებს იღებენ.

- ესენი რასაც წარმოადგენენ, ამას ვერ შევცვლით, მაგრამ შენ ეს მითხარი, რატომ მოიწყინე?

- რაღაც სიყალბესა და ფარისევლობას ვხედავ ამ სახეებში და იმიტომ.

- პირადად შენთან რომ არავინ მოდის, არავინ გიღიმის და თვალებს არ გიჟუჟუნებს, ამან დაგაღონა?

- ისე, სხვათა შორის, არც ისეთი სიტუაცია ყოფილა აქ, შენ რომ მიხატავდი: ქალების დათრევა იქვე შეგეძლებაო, თუ კარგად მოინდომებ და თუ კარგად მოიქცევიო, - შევახსენე თავისივე ნათქვამი რუფას, - რას ერჩი, საკმაოდ თავშეკავებულად იქცევიან, - დავასკვენი ბოლოს.

- დენის, განა შენ ერთი პატარა საიდუმლო არ იცი?

- რა საიდუმლო?

- საიდუმლო, რომლის ძალითაც, ეს, ერთი შეხედვით, თითქოს თავდაჭერილი ქალები, კისერზე ჩამოგეკიდებიან და თუ დასჭირდათ, საკუთარ მეუღლეებსაც უღალატებენ.

- რა საიდუმლო იცი ასეთი? - გამიკვირდა მე და რუფას გაოცებულმა შევხედე.

- არაფერი განსაკუთრებული ამაში არ არის. ყველა ქალი ჩემნაირი გადარეული როდია. შეიძლება არ უნდა ვამბობდე, მაგრამ, მაინც გეუბნები: თუ ქალმა შენში ცხოვრებისეული პერსპექტივა დაინახა, ჩათვალე, რომ ის ქალი შენია, და თუ მან შენში ვერავითარი პერსპექტივა ვერ აღმოაჩინა, მაშინ მის გარშემო რამდენიც არ უნდა იტრიალო, ვერაფერს გახდები. ხოლო ამ უაზრო ტრიალით თავბრუ დაგეხვევა და გონებადაკარგული უადგილო ადგილას ისე ჩაიკეცები, რომ ვიღაც თავქარიანების დასაცინი, აქეთ შენ გახდები. ასე რომ, მერწმუნე, შენი გარეგნობა, მწვანე თვალები და შენ წარმოიდგინე, განათლებაც კი, ყველა ქალისთვის მეათასეხარისხოვანია. გესმის შენ ჩემი? ქალს მამაკაცისგან არა განათლება ან გარეგნობა, არამედ პერსპექტივა სჭირდება, პერსპექტივა, რომელიც მას ნებისმიერ სურვილს აუსრულებს და თავს დედოფლად აგრძნობინებს. ოღონდ, ისიც იცოდე, რომ, როგორც წესი, არც ერთი ქალი ცოცხალი თავით ყოველივე ამას არ აღიარებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ის კი არ არის, ვინ რას იტყვის, არამედ მნიშვნელოვანია ის, თუ ვინ რას აკეთებს. ხოლო ესენი, ანუ ქალები, რასაც სჩადიან, ამას ძალიან კარგად ვხედავ. ახლა ერთ რამეს გკითხავ და გამეცი პასუხი: ქალს რომ ორ სხვადასხვა მამაკაცისგან ჰქონდეს შეთავაზება, მაგრამ ერთი მამაკაცი განათლებული, ახოვანი, თუმცა უპერსპექტივო, ხოლო მეორე - გაუნათლებელი, მაგრამ მდიდარი და პერსპექტივის მიმცემი იყოს, შენ როგორ ფიქრობ, ასეთ დროს, ქალების უმეტესობა, როგორ მამაკაცს აირჩევდა? ოღონდ, თუ ღმერთი გწამს, შენ რომ გძულს, ახლა იმ არამზადებივით მოჩვენებითი ჰუმანურობა და არტისტობა არ დამიწყო... პირდაპირ მიპასუხე, ასეთ შემთხვევაში, ქალი რომელ მამაკაცზე გააკეთებდა არჩევანს?

- ქალების ნაცვლად მე ვერ ვილაპარაკებ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ შემთხვევაში, ქალების უმეტესობა არჩევანს მომავლის პერსპექტივაზე, ანუ სიმდიდრეზე გააკეთებდა.

- მართალი ხარ და ერთი რამ გახსოვდეს: თუ ქალმა სხვა, თუნდაც უვიც მამაკაცში პერსპექტივა დაინახა, შენ, განათლებულმა, მაგრამ უპერსპექტივო მამაკაცმა, რამდენიც არ უნდა გარს უარო, ის ქალი, მომავლის პერსპექტივისთვის, ვიღაც კვაზიმოდოს მსგავს არსებას ჩამოეკიდება კისერზე და ამით შენ უდიდეს სულიერ ტკივილსა და დარტყმას მოგაყენებს. პერსპექტივა, დენის, პერსპექტივა დაანახვე ქალს და ის მანამდე იდგება შენ გვერდით, რამდენსაც თავად მოისურვებ და უკარნახებ.

- ქალი, პერსპექტივა, გვერდში დგომა... მაშ თუ ასეა საქმე, მე შენთვის არაფერი გამიკეთებია, მაგრამ, რატომ მიდგახარ გვერდში და რატომ გადამყევი? - ვკითხე რუფას და მისკენ შევბრუნდი.

- ამაზე უკვე გითხარი, ყველა ქალი ჩემნაირი გადარეული კი არ არის - მეთქი, მაგრამ შენ ახლა გულს ნუ გაიტეხ, არის ერთი საიდუმლო, რომელზეც დავიწყე ლაპარაკი, მაგრამ ვერ დავამთავრე.

- რა საიდუმლოა ასეთი?

- სიტყვა, ჩემო მწვანეთვალება ჟურნალისტო, სიტყვა, უფრო კონკრეტულად რომ გითხრა, სიტყვათა წყობა. შენ ახლა არავითარი სიმდიდრე და შესაბამისად, არც პერსპექტივა არ გაგაჩნია, მაგრამ სიტყვებს მაინც ხომ არავინ გვართმევს? მოდი, გამოვძებნოთ ლამაზი სიტყვები და ისინი მძივივით ავკინძოთ.

- რამდენიც გინდა, აკინძე, მაგრამ, მე მაინც ვერ გავიგე, რას მთავაზობ?! - ღმილით ვუთხარი რუფას.

- ვითამაშოთ, დენის, ვითამაშოთ, გავერთოთ და განვიტვირთოთ. მაგალითად, ავაწყოთ ლამაზი სიტყვები და ამ ადამიანებამდე მივიტანოთ. მოდი, ასე მოვიქცეთ, დღევანდელი შეხვედრის წამყვანს გამოვაცხადებინოთ, რომ შენ ხარ, ვინმე დიდი... - აქ რუფა ჩაფიქრდა, მერე მან რაღაც გაიხსენა, თავი ასწია და განაგრძო, - მაგალითად, შენ ხარ აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი ულამაზესი ქვეყნის, უმსხვილესი საბანკო ქსელის ხელმძღვანელი, რომელიც თან წიგნებსაც წერ და თან საბანკო ქსელსაც განაგებ. მოკლედ, დიდად საქმიანი და დაფასებული ადამიანი ხარ, რომელმაც, მიუხედავად ასეთი დაძაბული ვითარებისა, მაინც დაგვდე პატივი და ჩვენს ქვეყანაში, მაინც შემოიარე.

- მერე ამით, ჩემში რაიმე შეიცვლება და მართლა წარმატებული ადამიანი გავხდები, თუ როგორ არის საქმე?

- რა თქმა უნდა, ამით წარმატებული ადამიანი ვერ გახდები, მაგრამ აქ, ამ შეხვედრაზე, და საერთოდ, ამ ქალაქში, სულ მცირე ხნით მაინც, მბრძანებლად იქცევი. ქალები მართლა კისერზე ჩამოგეკიდებიან, ხოლო მათი გაბრიყვებული მეუღლეები...- აქ რუფა გაჩერდა და ქოთნიდან ამოსულ ყვავილს დააცქერდა.

- მათი გაბრიყვებული მეუღლეები რას იზამენ, რატომ გაჩერდი? - ვკითხე რუფას.

- ამას თავად ნახავ, ოღონდ, გახსოვდეს, რომ ამ თამაშში არსებობს წითელი ხაზები, რომელთა გადაკვეთაც არ შეიძლება, - თქვა მან და ფეხზე წამოდგა.

- სად მიდიხარ? - დავინტერესდი მე.

- იქით, სიღრმეში, - მიპასუხა რუფამ და ხელი ხალხისკენ გაიშვირა.

- მოიცა, მოიცა, ვერ გავიგე, რას აპირებ. რა თამაში, რის გართობა, და საერთოდ, რა წითელი ხაზები, რის წითელი ხაზები, შენ, მართლა ხომ არ გადაირიე? - ხელი ჩავავლე რუფას და ჩემკენ მოვქაჩე.

- განსაკუთრებულს არაფერს ვაპირებ, უბრალოდ, ძალიან მინდა, რომ თუნდაც სულ მცირე ხნით მაინც, არა ხელმოცარულ, არამედ კმაყოფილ და საკუთარ თავში დარწმუნებულ ადამიანად გიხილო. ვიცი, რომ ყოველივე ეს მხოლოდ თამაში იქნება, ისიც ვიცი, რომ ამით გარკვეულ ცოდვასაც ჩავდივარ, მაგრამ, ნეტავ მხოლოდ ეს იყოს ჩვენი უკანასკნელი ცოდვა და ამქვეყნად ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება.

- სისულელეებს თავი დაანებე და გვერდით მომიჯექი! - რაც შემეძლო, მკაცრი გამომეტყველება მივიღე და რუფას ხელი მოვკიდე.

- იმის პირობას გაძლევ, რომ ჩემი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე, შენ შემდეგ, აღარავის გვერდით აღარ მივუჯდები და არავისზე ასე გულით აღარ

ვიზრუნებ, როგორც ახლა, ამას, შენზე ვაკეთებ, - მითხრა რუფამ და ხელი გაითავისუფლა, მერე ჩემ წინ დადგა და ალერსიანად მკითხა:

- რას დალევ?

- რასაც შენ დალევ, მეც იგივეს.

- მე ფორთოხლის წვენს დავლევ.

- ჰოდა, დაჯექი აქ და მე მოგიტან! - ვთქვი და ფეხზე წამოდგომა დავაპირე, მაგრამ რუფამ ხელები მხრებზე დამადო, და მეც ისევ უკან დავბრუნდი. - დასალევს მე მოვიტან, რადგან მასპინძელი ვარ და ვალდებულება მაქვს, შენზე ბოლომდე ვიზრუნო, - თქვა რუფამ და მაგიდისკენ დაიძრა.

მაგიდასთან მისულმა, ხელში ორი მოზრდილი ჭიქა აიღო და იმ მიმართულებით წავიდა, სადაც მიკროფონი იდგა. იქ ჯერ ერთ მამაკაცს გადაულაპარაკა რაღაც, მერე მეორეს, მერე ვიღაც გრძელთმიან, ქერა გოგონასთან გააბა საუბარი. ამ უკანასკნელთან ლაპარაკს რომ მორჩა, მერე ამ შეხვედრის წამყვანთან მივიდა და იმასთან დაიწყო ლაპარაკი. ცოტა ხანში რუფამ ის მამაკაცი ჩემკენ გამოახედა. მე შევამჩნიე, რომ აშკარად კმაყოფილ მამაკაცს თვალები გაუფართოვდა და მან რუფას რამდენჯერმე ენერგიულად დაუკრა თავი. ამის შემდეგ, ორი ჭიქით ხელდამშვენებული რუფა ჩემკენ წამოვიდა, რომელიც გზად ყველა შემხვედრს უღიმოდა და თავს უკრავდა.

- აჰა, შენ ეს ღვინო! - მომმართა მან.

- აქ ორი ჭიქაა, ესე იგი, შენც სვამ?

- არა, მე არ ვსვამ, ორივე შენ უნდა დალიო, - თქვა რუფამ, მერე ორივე ჭიქა ქოთნის კიდეზე ჩამოდო და თავად ისევ მაგიდისკენ წავიდა. იქ ერთი ყვითელი სითხით სავსე ჭიქა აიღო და უკან მობრუნდა.

- მე ფორთოხლის წვენს დავლევ, შენ ღვინო მიირთვი! - გამიღიმა კმაყოფილმა და ჩემ გვერდით ჩამოჯდა.

სულ მალე დარბაზში ტაშისკვრა ატყდა და ყველამ ჩვენკენ დაიწყო ცქერა.

- რა ხდება? - ვიკითხე გაოცებულმა.

- არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, სრეჩკომ შენი წარდგენა დაიწყო.

- ჯერ ეს მითხარი, სრეჩკო ვინ არის?

- აი, ის, შავპიჯაკიანი მამაკაცი, მიკროფონთან რომ დგას და ამ შეხვედრას უძღვება, ის არის სრეჩკო. ახლა ჯობია წამოვდგეთ და უფრო ახლოს მივიდეთ, თორემ უხერხულია, - მითხრა რუფამ და ფეხზე წამოდგა, თან ხელით მანიშნა, მომყევიო.

იმ მომენტში, ძალიან მომინდა, რუფასთვის მეთქვა, მე რა შუაში ვარ, რად გინდოდა ჩემი თავი რომ გამოაცხადებინე, რატომ მაგდებ უხერხულ მდგომარეობაში, ან საერთოდ, სად მიგყავარ - მეთქი, მაგრამ რუფა უკვე ჩემგან იმდენად შორს იყო წასული, რომ მივხვდი, აქედან ძახილს აზრი აღარ ჰქონდა. მოკლედ, წამიერად რუფაზე გავბრაზდი კიდეც, მაგრამ გამახსენდა რა, მისი მდგომარეობა, რომელზეც წინა ღამით ლინდა მესაუბრა, უცებ მოვტყდი და თვინიერ არსებად ვიქეცი. არსებად, რომელიც საყვარელი ადამიანის გამო, მზად არის, გაურკვეველი მისია იტვირთოს და თუ საჭირო გახდა, მსხვერპლიც გაიღოს. „თუ მას, ჩემი ასე საჯაროდ წარდგენა რაიმე სიამოვნებას მიანიჭებს, მე მზად ვარ, ყველაფერი მორჩილად ავიტანო.“ სწორედ ამაზე ფიქრითა და ღვინის

ორი ჭიქით დამძიმებული მივადექი იმ მაგიდას, რომელთანაც რუფა იდგა. ერთი ჭიქა მაგიდაზე დავდგი, მეორიდან ღვინო მოვსვი და რუფას გვერდით დავდექი.

- მეგობრებო, თანამემამულენო და ჩვენი ქვეყნის სტუმრებო, აი, ისიც მოვიდა! გთხოვთ, რომ აპლოდისმენტებით შევეგებოთ ჩვენს უძვირფასეს სტუმარს, - დასჭექა სრეჩკომ მიკროფონში.

დარბაზს ისევ ტაშმა გადაუარა და ყველამ მე დამიწყო ცქერა.

- როგორც მოგახსენეთ, - განაგრძო სრეჩკომ, - ეს ახალგაზრდა მამაკაცი აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ ულამაზესი ქვეყნიდან გვესტუმრა. იგი საკუთარ ქვეყანაში რამდენიმე უმსხვილესი კომპანიისა და ბანკის მფლობელია, მაგრამ ჩვენთან მისი სტუმრობის მიზეზი სულ სხვა რამ გახლავთ... - აქ სრეჩკომ პაუზა გააკეთა და მოლოდინით გარინდებულ დარბაზს გადახედა.

მე ცხოვრებაში პირველად და ალბათ უკანასკნელად, სწორედ მაშინ ვიხილე პირღია, მომღიმარი და ამავე დროს, თვალებაჟუჟუნებული ადამიანები, რომლებიც თან ორატორის სიტყვებს ყლაპავდნენ და თან მოწიწებით ჩემკენ იცქირებოდნენ.

- მაშ, რისთვის ჩამობრძანებულა ჩვენი ძვირფასი სტუმარი? - იკითხა ერთ-ერთმა მამაკაცმა, რომელსაც ერთ ხელში წიგნი, ხოლო მეორეში სუშის ნაჭერი ეჭირა და თან მადიანად შეექცეოდა.

- ჩემო ძვირფასო მეგობრებო, მოგახსენებთ, რომ, - განაგრძო სრეჩკომ, - ეს წარმოსადეგი ახალგაზრდა, გარდა იმისა, რომ წარმატებული ბიზნესმენია, თან წიგნზეც მუშაობს, თუმცა, თავად კი ამბობს, მწერლობა მხოლოდ ჩემი ჰობიაო, მაგრამ ასეთ დროს, როდესაც ადამიანი ორივე საქმეში წარმატებულია და ორივე საქმით ანცვიფრებს საზოგადოებას, უკვე ძნელი სათქმელია, მისთვის რომელია ჰობი და რომელია, - პროფესია, ბიზნესი თუ მწერლობა? ახლა, მოდით და დაასკვენით, რომელია აქედან ამ მართლაც საოცრად ნიჭიერი და გულისხმიერი ადამიანის ჰობი?! და კიდევ, მეგობრებო, ამ ახალგაზრდას, საკუთარ ქვეყანაში და ქვეყნის სამეზობლოში, ქალთა გულთამპყრობლის სახელი აქვს გავარდნილი. ასე რომ, მამაკაცებო, გაუფრთხილდით თქვენს ქალბატონებს, თორემ, შეიძლება ძალიან გულდაწყვეტილები დარჩეთ...

აქ დარბაზში ისეთი სიცილი ატყდა, რომ სრეჩკო იძულებული გახდა მცირე ხნით შეჩერებულიყო. სიცილ-ხარხარი რომ ოდნავ მინელდა, ყველამ მე შემომხედა, თუმცა, ვიგრძენი, რომ მამაკაცები აშკარად შურით, ქალები კი გამომცდელი თვალებით მიცქერდნენ.

- ამან, მე მგონი, მაგრად გაუბერა, ხომ იცი, შენ?! - გადავუჩურჩულე რუფას და სრეჩკოზე ვანიშნე.

- რას ერჩი, ბრწყინვალედ ასრულებს თავის მოვალეობას, - სიცილით მიპასუხა რუფამ და მარცხენა მკლავზე დამეყრდნო.

- თქვენ მაინც არ გითქვამთ, ბოლოს და ბოლოს, რისთვის გვესტუმრა ეს წარმოსადეგი ახალგაზრდა. დავიჯერო, ნუთუ, მართლა ჩვენი მეუღლეების გასაბახებლად არის ჩამოსული? - ისევ იკითხა ჩასუქებულმა მამაკაცმა, რომელსაც სუშის ნაჭერი უკვე შეესანსლა და ახლა შავ ღვინოს წრუპავდა.

ამ კაცის ნათქვამზე დარბაზში ისეთი ხარხარი ატყდა, რომ გვეცინებოდა ყველას; მათ შორის მეც, რუფასაც, სრეჩკოსაც და თავად ამ შეკითხვის დამსმელ მამაკაცსაც.

- წიგნის დასაწერად ჩამოვიდა, წიგნის. მას სურს, რომ სხვა ქვეყნის ხალხზე, მათ ტრადიციებზე, კულტურაზე, წარსულზე, აწმყოზე და თქვენ წარმოიდგინეთ, მომავალზეც, რაიმე სახის ნაწარმოები შექმნას, და რაოდენ სასიამოვნოა, რომ მან, მაინცდამაინც ჩვენი ქვეყანა აირჩია...

- კი, რაზეა ლაპარაკი, ნამდვილად სასიამოვნოა, თანაც იმდენად სასიამოვნო, რომ ლამის ახლავე გავიქცე სახლში, ჩემი დედაბერი საკუთარი ხელითვე აქ წამოვათრიო და ამ მართლაც სიმპათიურ ახალგაზრდას, დროებით მაინც მივაბარო, - კვლავ გაიქაჩა ჩასუქებული მამაკაცი.

მისმა ამ ხუმრობამ, ამჯერად წინაზე უფრო დიდი ეფექტი მოახდინა და ჩაბჟირებული ადამიანები ერთმანეთს ასკდებოდნენ, ხოლო, როცა უკვე ყველაფერი მიწყნარდა, ის მამაკაცი ჩემთან მოვიდა და თავაზიანად წარმომიდგა:

- მე, ჩემო მეგობარო, სამხედრო ოფიცერი, ჩინით გენერალი, ამჟამად უკვე პენსიაზე მყოფი, ანდრე ლუკიჩი გახლავართ. ისე, მე მგონი, კარგი ხუმრობა გამომივიდა, არა? - მკითხა ბოლოს.

- საუცხოო ხუმრობა იყო, თანაც ისეთი, რომ სრეჩკოს სიტყვების, ლამის მეც დავიჯერე. - ამაზე ორივეს გაგვეცინა, მერე ანდრემ თავაზიანად მომიბოდიშა, ჯანმრთელობა ვერ მიწყობს ხელს, ამიტომ უნდა დაგტოვოთო და დამშვიდობების ნიშნად ხელი ჩამომართვა.

ამასობაში ერთი ღვინის ჭიქა გამოვცალე. მივედი მაგიდასთან, დავდგი ცარიელი ჭიქა და ის იყო, მეორე ჭიქის აღებას ვაპირებდი, რომ დარბაზში, რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. ხალხი ორად გაიყო და ყველამ დაბლა დაიწყო ცქერა. ზოგი იცინოდა, ზოგიც გაოცებული გამომეტყველებით ადევნებდა თვალს, ოღონდ რას ადევნებდა ეს ხალხი თვალს, მე ჯერ არ ვიცოდი და ამიტომ, იმ მიმართულებით წავედი, სადაც ხალხი იცქირებოდა. სულ მალე, რაღაც ცეცხლოვანი რგოლის მსგავსს მოვკარი თვალი, რომელიც საოცარი სისწრაფით მოძრაობდა და როგორც სვეტებს, ისე მაგიდებს, სავარძლებსა და დაფეთებულ ადამიანებს გვერდს უვლიდა. წივილ-კივილისა და ჟრიამულის შემდეგ, როგორც იქნა ცეცხლოვანმა რგოლმა სვლა შეანელა და მერეღა შევამჩნიე, რომ ეს იყო არა რგოლი, არამედ ცეცხლისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანი, რომელიც საოცარი ბრუნვით, ისე, როგორც აკრობატებს სჩვევიათ ხოლმე, მთელ დარბაზში წრიულად მოძრაობდა.

მან სვლა შეანელა, ბოლოს სულ შეჩერდა და ხელგაშლილი დამსწრე საზოგადოებას მიესალმა.

- ეს ვინ არის? - ვკითხე რუფას, რომელიც ჩემს მკლავზე დაყრდნობილი უცქერდა ამ სანახაობას.

- ერთი, სულით ავადმყოფი ვინმეა, ამ ქალაქში, ვინც კი შავი მაგიით არის დაინტერესებული, ყველა მასთან იყრის თავს. რაღაც ჯადოსნურ ძალას მართლა ფლობს, მაგრამ მეცოდება, რადგან ეშმაკისთვის სული აქვს მიყიდული და თავად ამას ვერ ხვდება.

- შავი მაგია?

- დიახ, შავი მაგიაა და მასთან საქმე არ დაიჭირო!

- მე კიდევ, ცირკის კლოუნი მეგონა, - ვთქვი და გამეცინა.

- რა უგავს ცირკის კლოუნს? - გაუკვირდა რუფას.

- ჭრელი ტანსაცმელი, ფერადი თმები, დიდი ცხვირი და ის მოძრაობები, რომლებიც მან ახლახანს შემოგვთავაზა.

- მართალი ხარ! - მითხრა რუფამ და თავი დამიკრა.

- რა ჰქვია?

- ვის?

- მაგას, შავი მაგიაა თუ ვინც არის, სახელი არა აქვს?

- ნანდო ჰქვია!

სანამ მე და რუფა ვსაუბრობდით, ნანდო ერთ-ერთ მაგიდასთან მივიდა და დიდი ნეტარებით კონიაკს დაეწაფა. ჭიქა ბოლომდე რომ გამოცალა, კმაყოფილმა ისევ დარბაზს გადაავლო თვალი, სადაც ხალხი პირვანდელ პოზიციაზე დაბრუნებულიყო და ჯგუფ-ჯგუფად დამდგარიყო. ნანდო ჯერ ერთ მაგიდასთან მივიდა და რაღაც თქვა, მერე მეორესთან, მესამესთან, მეოთხესთან... ყველა მაგიდასთან მდგარ ხალხს, რაღაც სიტყვას ეუბნებოდა და შემდეგ თავის გზას აგრძელებდა. მოვიდა ჩვენთანაც, სადაც მხოლოდ მე და რუფა ვიდექით, შეჩერდა, თვალი თვალში გამიყარა (მე შევამჩნიე, რომ მას მარცხენა თვალი ცისფრად, მარჯვენა კი შავად უელავდა), საჩვენებელი თითი, ლამის ცხვირამდე მომიტანა და გამყინავი ხმით დამჩხავლა:

- შენ ცდუნდები, შენ აუცილებლად ცდუნდები. გესმის ჩემი?

ამის შემდეგ მან გადაიხარხარა და ისევ იმ ცეცხლოვან რგოლად თუ ბორბლად იქცა, რამდენიმე წუთის წინ რომ იყო. თუმცა, მას დარბაზის შუაგულში აღარ დაუწყია ტრიალი, ამჯერად კედელთან მივიდა და ასე ბრუნვით, დარბაზის გარშემო წრის დარტყმა დაიწყო.

- ბატონო დენის, ჯანსაღი საზოგადოება დახავსებულისგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ მას ჰყავს მოაზროვნე საზოგადო მოღვაწეები, მაგალითად ისეთი, როგორიც თქვენ ბრძანდებით. ახლა არ მითხრათ, რომ ასე არ არისო, თორემ მეწყინება. გონების ვარჯიში და საზოგადოებისთვის სასარგებლო აზროვნება, ნებისმიერი ერის გაჯანსაღებისა და სწორ გზაზე დაყენების უებარი წამალია. როგორც ჩანს, თქვენ სწორედ ამისთვის იღვწით და ამდენ ოფლს ღვრით. მართლაც დასაფასებელია თქვენი შემართება, მეგობარო, დასაფასებელი, რადგან თქვენ, ამ ასაკში გააკეთეთ იმდენი, რაც ნებისმიერ ხანდაზმულ ადამიანს შეშურდებოდა, ოღონდ შეშურდებოდა კეთილი შურით, და არა ისეთი ბოროტი შურით, როგორიც ადამიანების უმეტესობას ახასიათებს. მე ახლა ბედნიერი ადამიანი გახლავართ იმით, რომ თქვენ დღეს ამ დარბაზში იმყოფებით და საშუალება მომეცა უფრო ახლოს გავიცნო ის ადამიანი, რომელზეც ლეგენდები დადის. ამავე დროს, მსურს ჩემი წიგნი გიბოძოთ, რა თქმა უნდა, ჩემივე ხელმოწერით. დღეიდან ვიცნობდეთ ერთმანეთს, მე პასკო ნიკოლიჩი გახლავართ. - ასე მხნედ და ამაღელვებლად გამეცნო სასმლისგან უკვე კარგად გამომთვრალი, ვიღაც მამაკაცი, რომელმაც ჯერ სერიოზული სახით საკუთარი წიგნი გადმომცა, ხოლო შემდეგ გამიღიმა. საპასუხოდ, მას მეც გავუღიმე და თავი დავუკარი.

- ვიცი, რომ თქვენ, სამხრეთელებს ღვინო გიყვართ, ამიტომ, ეს სითხე, თქვენთან ერთად რომ არ დავლიო, ისე ვერ მოვისვენებ, - მითხრა პასკომ და უახლოეს მაგიდასთან მიმიპატიჟა.

- მაშ, დავლიოთ! - წავახალისე მეც და მაგიდასთან მივედი.

- ეს ჩვენი გაცნობისა იყოს, ბატონო დენის! - წარმოთქვა სადღეგრძელო და ჭიქა ბოლომდე ჩაცალა.

- ჩვენი გაცნობისა იყოს, ოღონდ თქვენი პროფესიული საქმიანობის შესახებ თუ მეტყვით რამეს, უკეთესი იქნება, - ვუთხარი მე და ღვინის ჭიქა გამოვცალე.

- მე ერთ-ერთი აქაური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავართ. ისე, ხანდახან ლექსებსაც ვწერ, რომელთა უმეტესობასაც ჩემს მეუღლეს ვუძღვნი ხოლმე, რომელიც ჩვენი თეატრის წარმატებული მსახიობია. როგორც ხედავთ, ხელოვანი კაცი ვარ, მაგრამ დღეს ისეთი დრო დადგა, რომ ვის რაში სჭირდება ხელოვანი ხალხი და საერთოდ, ხელოვნება?! ამ ქალაქში, თუნდაც ერთი თქვენისთანა ქველმოქმედი კაცი რომ გვყავდეს, დარწმუნებული ვარ, ჩვენთან არავის გაუჭირდებოდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ...

- შენ კიდევ სვამ, არა? მერე დადგები და იმ შენს ისედაც მათხოვრულ შემოსავალს წამლებში დახარჯავ. რა გჭირს უბედურო, რა გჭირს?! - ამ სიტყვებით, ჩემსა და პასკოს შორის, ქერათმიანი და საკმაოდ სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონი ჩადგა. მერე მან უკან შეკრული თმები გაიშალა და უკვე პირადად მე მომმართა:

- მაპატიეთ, ასე რომ შემოგეჭერით, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს.

- უპატიებელი არაფერი ჩაგიდენიათ, ქალბატონო! - მივმართე მე და წასვლა დავაპირე, მაგრამ პასკომ ხელი მაჯაში ჩამავლო.

- ბატონო დენის, იცნობდეთ, ეს ჩემი უსაყვარლესი მეუღლეა, - მითხრა პასკომ და საკუთარ მეუღლეს ხელი გადახვია. მაგრამ ცხვირაბზუებულმა ქალმა, მეუღლეს ხელი უმალ ჩამოაღებინა და გაბრაზებულმა გვერდით გაიხედა.

- არა, მე ნამდვილად წავალ! - ვთქვი და ისევ წასვლა დავაპირე, მაგრამ პასკო ჩასაფრებულივით კვლავ ხელში მწვდა და თავისთან დამტოვა. ამით განრისხებულმა ქალმა, ერთი ღვინის ჭიქა ბოლომდე გამოცალა, მერე მეორეს დაავლო ხელი და დარბაზიდან გასასვლელი შუშის კარისკენ წავიდა.

- თუ შეიძლება, კიდევ დავლიოთ, - მთხოვა პასკომ.

- დავლიოთ, ოღონდ ამის მეტი აღარ გინდათ. ისე, თქვენი მეუღლე გარეთ გავიდა.

- მერე რა რომ გავიდა?! როგორც გავიდა, ისე შემოვა. თქვენ ახლა, ჯობია, ის მითხრათ, ამის მეტი, რატომ არ უნდა დავლიო?

- თქვენს ჯანმრთელობასა და ლამაზ მეუღლეს გაუფრთხილდით, ბატონო პასკო, რადგან ისინი ერთმანეთთან უშუალო კავშირშია, - ვუპასუხე მე და კიდევ ერთი ჭიქა გამოვცალე.

- აუცილებლად! - დამაიმედა პასკომ და ამჯერად კონიაკი გადაიმხო პირში.

- მე მგონი, მართლა დავთვერი! - აშკარად გულდაწყვეტით თქვა მან და ჭიქებს გადახედა.

- დიახ, დათვერით და ამიტომ, თქვენ ახლა მოსვენება გჭირდებათ. გნებავთ, ჩემს ოთახში აგიყვანთ და იქ მოგასვენებთ, ან აქვე, სავარძელში ჩამოჯექით.

მას არაფერი უთქვამს, მხოლოდ ხელი მომკიდა და ასე ბარბაცით სავარძლამდე მივიდა. - მხოლოდ რამდენიმე წუთით წავთვლემ და ისევ დაგიბრუნდებით, - მომიგო მან.

- აუცილებლად! - დავამშვიდე მე და იმ კარისკენ წავედი, სადაც საკუთარ მეუღლეზე გაბრაზებული ქერათმიანი ქალი გავარდა. თუმცა, სანამ გარეთ

გავიდოდი, უკან შემოვბრუნდი და მთელ დარბაზს რამდენჯერმე თვალი გადავავლე. რუფა არსად ჩანდა. - ძალიან კარგი, ალბათ ისვენებს, ჩემთვის კი დროა, ამ თამაშში უფრო აქტიურ მოქმედებებზე გადავიდე, - საკუთარ თავს სამოქმედო გეგმა დავუსახე და დარბაზიდან გარეთ გავედი.

ეზო სრულიად ცარიელი იყო. მე შადრევნებისკენ გადავუხვიე, რა მიმართულებითაც ქერა ქალი წავიდა. გავიარე მთელი ეზო და ბოლოში, საიდანაც უკვე კოხტად მოვლილი ბაღი იწყებოდა, ისიც დავინახე. იგი ერთ დიდ ხის კუნძზე იჯდა. ღვინის ჭიქა გვერდზე დაედგა და სახეზე ხელები ჰქონდა აფარებული. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ტიროდა. მე უხმოდ მივედი და მის გვერდით კუნძზე ჩამოვჯექი. ამის შემდეგ მან თავი ასწია და ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა შემომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს, მხოლოდ ღვინის ჭიქას დაავლო ხელი, ბოლომდე გამოსცალა და ნერვიულად, ისევ კუნძზე დადო.

- გნებავთ, კიდევ მოგიტანთ! - ვუთხარი მე და ღვინის ჭიქაზე მივანიშნე.

მას არაფერი უთქვამს, მხოლოდ თავი დამიქნია.

მე ისევ ფეხზე წამოვდექი და დარბაზში შევბრუნდი, ოღონდ ძალიან ფრთხილად, რომ არავის შევემჩნიე. ჩემდა ბედად, მიკროფონში ვიღაც მამაკაცი რაღაცას ქაქანებდა და მთელი ხალხიც სწორედ იმ ადგილთან იყო შექუჩული. მივედი პირველივე მაგიდასთან, ღვინის ერთი ბოთლი და ორი ცარიელი ჭიქა ავიღე, დავდგი ერთ დიდ თეფშზე, გარშემო ვაშლის რამდენიმე ნაჭერი მივუწყე და ასე გავედი გარეთ.

- ეს თქვენ, როგორც ლამაზ ქალბატონს! - ვთქვი ამაყად და თეფში მისგან მარჯვნივ დავდე, ხოლო მე - მისგან მარცხნიც ჩამოვჯექი.

- ამ ლამაზ ქალბატონს, რომელსაც თქვენ ახლა გვერდს უმშვენებთ, მერი ჰქვია, - მითხრა მან.

- ახლა უკვე მეცოდინება. მე დენისი გახლავართ!

- ვიცი!

- საიდან იცით? - გავოცდი მე.

- როგორ თუ საიდან ვიცი, დღეს მთელი ეს დარბაზი, ძირითადად, იუგოსლავიაში შექმნილ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაზე და თქვენზე ლაპარაკობს. სხვა სალაპარაკო თემა აქ, თითქმის აღარ არსებობს. ასეთი ქველმოქმედების შემდეგ, რასაც თქვენ ეწევით, მართლა ბედნიერი ადამიანი ხართ.

მისი ამ სიტყვების შემდეგ, მე უთავმდაბლესი ქველმოქმედივით ხელი ჩავიქნიე და ამით ვანიშნე, სხვა თემაზე გადავიდეთ - მეთქი.

- მერი, როგორც ჩანს, საკუთარ მეუღლეზე ძალიან გაბრაზდით.

- სულელი, იდიოტი, დალევის თავი მაინც ჰქონდეს, დალევს ორ ჭიქას და მერე მთელი კვირა წამლებით იჭყიპება. უკვე შეუძლებელი ხდება ჩემთვის ამის ატანა. ხანდახან ისე გამოვდივარ ხოლმე წყობილებიდან, რომ ეგ იდიოტი ტყვიისთვისაც არ მენანება. ისე ვარ გამწარებული, მომენტი რომ ჩამივარდეს, ვუღალატებ კიდეც, მერე დადგეს და მომიძღვნას თავისი უნიჭო პიესები და ლექსები. ვინმე ღირსეული მამაკაცი მაინც რომ მყავდეს სიახლოვეს, გეფიცებით, ერთი წუთითაც არ დავფიქრდებოდი და ამ გამოშტერებულს, უმალ ვუღალატებდი.

- თქვენ როგორ ფიქრობთ, თუ მეუღლეს უღალატებთ, მერე უფრო გამოსწორდება და თქვენი ურთიერთობა უფრო ჰარმონიული გახდება? მე გეუბნებით, რომ ასეთ შემთხვევაში ყველაფერი პირიქით მოხდება და მას უფრო დიდი სიძულვილით შეხედავთ. არც ის დაგავიწყდეთ, რომ ასეთი სიტუაციიდან გამოსავალი, არც ტყვიაა.

- მაშ რა ვქნა, როგორ მოვიქცე, მეც ხომ მინდა ცხოვრება?

- მე იმას გიმტკიცებთ, რომ ღალატი და მით უმეტეს ტყვია, თქვენს მდგომარეობას კი არ შეამსუბუქებს, არამედ კიდევ უფრო დაამძიმებს. მე ასე მწამს და ამას გირჩევთ: თუ ხართ მეუღლესთან, შეეგუეთ ისეთს, როგორიც არის და ნუ უღალატებთ, ხოლო თუ თქვენს ცხოვრებაში თეთრ ცხენზე ამხედრებული, ვინმე მზეჭაბუკი გამოჩნდა, მაშინ მეუღლეს განა უნდა უღალატოთ, არამედ უნდა გაშორდეთ და იმ ახალ აღმოჩენა მზეჭაბუკსაც, ზუსტად ისევე მიუჯდეთ გვერდში, როგორც ახლა ჩემთან ზიხართ.

ამის შემდეგ მერიმ კიდევ ერთი ჭიქა გადაკრა და ისევ სახეზე აიფარა ხელები. მერე უკვე ჩემს ჭიქას გადმოსწვდა და ისიც სულმოუთქმელად გამოცალა.

- ახლა შევიდეთ დარბაზში, თორემ გაცივდებით, - ვუთხარი მე და წამოდგომა დავაპირე.

- არ წახვიდეთ! - მთხოვა მერიმ და ხელი ჩამავლო, - მეუღლე გყავთ? - მკითხა პაუზის შემდეგ.

- არა, არ მყავს. აქ, ასე გაცივდებით, ნუთუ არ გცივათ?

- კი, მცივა! - მიპასუხა მან და თავი მხარზე დამადო.

- მერე, შიგნით რატომ არ შედიხართ?

- მე აქ, თქვენთან მირჩევნია.

- შიგნით მეც შემოვალ, აქ დარჩენას ნამდვილად არ ვაპირებ.

- არა, შიგნით მაინც არ მინდა, ხელს შეგვიშლიან, აქ უკეთესია.

- რა გაეწყობა, ვიყოთ აქ, ოღონდ ცოტა ხნით და მერე ისევ შიგნით შევიდეთ. თანახმა ხართ? - ვუთხარი მე და ხელი გადავხვიე.

- ახლა უკვე აღარ მცივა, - თქვა აკანკალებულმა მერიმ და კიდევ უფრო მომეკრა. - თქვენ ხომ არ გცივათ? - მკითხა მან.

- არა, თქვენთან რა შემამცივნებს, - ვუპასუხე მე და შემოდგომის ფოთლებივით ყვითელ თმაზე ხელი გადავუსვი.

- ოოო, აი, თურმე, თქვენ სად შეყუჟულხართ, მე კიდევ გადავაბრუნე მთელი დარბაზი! - ავიხედე და თავზე პასკო გვადგა.

- არაფერია ძვირფასო, უბრალოდ, რაღაც შეუძლოდ შევიქმენი და გარეთ, სუფთა ჰაერზე გამოვედი. - წამოდგა ფეხზე მერი და ამჯერად უკვე მეუღლეს მიეკრა.

- არა, მაინც რას აკეთებდით აქ? - იკითხა პასკომ, მერე კეფა მოიფხანა და გამომცდელად მე შემომხედა.

- არაფერს ძვირფასო! - გაუღიმა მერიმ.

- კიდევ კარგი, მართლა არაფერს აკეთებდით, თორემ გულიც გამისკდებოდა. - დაასკვნა კმაყოფილმა პასკომ, მერე ისევ ჩემკენ შემოტრიალდა და მკითხა:

- თქვენ რაღას იტყვით?

- მე აქაც იგივეს ვიტყვი, რაც დარბაზში გითხარით: თქვენს ჯანმრთელობასა და ლამაზ მეუღლეს გაუფრთხილდით!

- უეჭველი ასე მოვიქცევი, ოღონდ ახლა სახლში წავიდეთ, თორემ, რაღაც თავი ამტკივდა, - თქვა კმაყოფილმა პასკომ და მეუღლეს ხელი გადახვია.

- კი, ძვირფასო, წავიდეთ სახლში. აქ მაინც, ისეთი მნიშვნელოვანი აღარაფერი მოხდება, - უპასუხა მერიმ და ჩემთან დამშვიდობების შემდეგ, ასე ერთმანეთს ჩახუტებულები, ორივენი ეზოდან გარეთ გასასვლელი კარისკენ წავიდნენ. კართან რომ მივიდნენ, ისე, რომ პასკოს არ შეემჩნია, მერიმ მალულად ჩემკენ გამოიხედა და დამშვიდობების ნიშნად, ხელი დამიქნია. მეც დავუქნიე ხელი და დარბაზში შევედი.

აჰა, შევედი დარბაზში და: - ბატონო დენის, იქნებ ჩემს წიგნზე ავტოგრაფი დაგეტოვათ? - გამომიწოდა ვიღაცამ საკუთარი წიგნი. წიგნზე ავტოგრაფი გავაკეთე და ახლა უკვე სხვა მამაკაცი მომვარდა:

- ბატონო დენის, მე კარგად ვიცნობ თქვენს ქვეყანას; მაგალითად, სტალინი, შევარდნაძე, არველაძე, ქინქლაძე... ახლა უკვე თქვენც!

ამ უკანასკნელს მადლობის ნიშნად, ღიმილით მხარზე ხელი დავარტყი და უახლოეს მაგიდასთან მივედი. ავიღე ღვინის ჭიქა, გადავკარი და ყურში გოგონას ძალიან ნაზი ხმა ჩამესმა:

- ბატონო დენის, მოგესალმებით და თქვენთან ერთი სათხოვარი მექნება.

ჩემგან მარცხნივ შევბრუნდი და ჩემ წინ ძალიან მოკლედ თმაშეჭრილი და ძალიან მოკლე კაბაში გამოპრანჭული, ასე, 18-19 წლის გოგონა იდგა.

- მეც მოგესალმებით და გისმენთ!

- მე ბელგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, ლორა ანტიჩი გახლავართ. სწავლის პარალელურად, თან რედაქციაშიც ვმუშაობ. - ჩამომირაკრაკა მან და დოინჯშემორტყმული წინ დამიდგა.

- ლორა, ლორა, - ორჯერ გავიმეორე მისი სახელი, - ძალიან კარგი სახელი გქონიათ, მაგრამ ჩემთან რა სათხოვარი გაქვთ, ეს ჯერ არ გითქვამთ.

- ჰოოოოო, არადა, მთავარი ეგ არის, - დაიბნა ლორა, მაგრამ, მაინც გააგრძელა, - სამი დღის წინ, შევიტყვე თუ არა, რომ ჩემს მშობლიურ ქალაქში ჩამოდიოდით, გადავწყვიტე, როგორმე თქვენამდე მომეღწია და ინტერვიუ გამეკეთებინა. გთხოვთ, უარს ნუ მეტყვით, თორემ რედაქციაში აღარ შემიშვებენ. დამიჯერეთ, სამი დღეა, რედაქტორი მოსვენებას არ მაძლევს და, თუ თქვენთან ჩაწერილ ინტერვიუს არ მივუტან, სამსახურიდან გაგდებით მემუქრება.

- ჟურნალისტური ეშმაკობაა, - გავიფიქრე ჩემთვის. - ამ ქალაქში რომ მოვხვდებოდი, სამი დღის წინ, ამის შესახებ, მე თვითონ არ ვიცოდი და ყოველივე ეს, ამ გოგონას ან მის რედაქტორს, საიდან დაესიზმრებოდათ? ტანითა და ასაკით არც ისე დიდია, მაგრამ მაგრად გაქნილი ვინმე ჩანს. მე მგონი, ამისგან, მართლა მაგარი ჟურნალისტი დადგება, - დავასკვენი მე.

- ლორა, უმჯობესი იქნება, ასე მოვიქცეთ: თქვენ ახლა წადით და ინტერვიუ სხვა დროს, ხვალ ან ზეგ ჩავწეროთ.

- ხვალ ან ზეგ როგორ, თქვენი დაცვა თქვენამდე არ მომიშვებს და დავრჩები ხელცარიელი.

- რა დაცვა? - გამიკვირდა მე.

- თქვენი პირადი დაცვა, ამ შენობის გარეთ რომ დგას. ამბობენ, თქვენი დაცვის შიშით, თქვენამდე ვერც ერთი სულიერი არსება ვერ მოაღწევსო.

ლორას ასეთ შეფუთულ ტყუილზე, მართლა გულიანად გამეცინა. მაგრამ იგი თავისას მაინც არ იშლიდა და მეხვეწებოდა, ინტერვიუზე უარი არ მითხრათო.

- ერთი ეს მითხარით, თუ ასეთი ძლიერი დაცვა მყოლია, მაშინ, ახლა როგორღა მოაღწიეთ ჩემამდე?

- შემოვიპარე! შემოვიპარე!

- ხვალისთვის გადავდოთ და პირობას გაძლევთ, ჩემთან შემოპარვა აღარ დაგჭირდებათ.

- დაცვა? - გაუკვირდა მას.

- დაცვას მე გავაფრთხილებ და პრობლემა აღარ შეგექმნებათ. მოვრიგდით?! ხვალ იყოს, ოღონდ ერთი პირობით. არავითარ შემთხვევაში ბიზნესზე, საბანკო სექტორზე და ქველმოქმედებაზე საუბარი არ უნდა გვქონდეს. სხვა რაზეც გნებავთ, მკითხეთ.

- ბატონო დენის, გთხოვთ, დღეს იყოს, ძალიან გთხოვთ!

- არა, დღეს არ შემიძლია!

- სულ რამდენიმე შეკითხვა მექნება, მინიინტერვიუ გავაკეთოთ.

(მცირე ფიქრის შემდეგ): - რახან არ მეშვებით, რა გაეწყობა, გავაკეთოთ ინტერვიუ, ოღონდ მხოლოდ ორიოდე შეკითხვით შემოვიფარგლოთ. - ვთქვი მე და იმ აივნისკენ წავედი, სადაც, რამდენიმე ხნის წინ მე და რუფა ვისხედით.

მივედით აივანთან და მე ისევ ჩემს ძველ ადგილას, უზარმაზარ ქოთნის კიდეზე ჩამოვჯექი.

- აქ ჯობია, ხალხი ნაკლებად დადის, მეტი სიწყნარეა და ხელსაც არავინ შეგვიშლის, - ვუთხარი ლორას და მის შეკითხვებზე საპასუხოდ მოვემზადე.

- კი, ნამდვილად აქ ჯობია, - თავის მხრივ აშკარად ვერ დაფარა კმაყოფილება ლორამ და ჩემს მარჯვენა მუხლზე ჩამოჯდა, - ასე ხომ არ შეწუხდებით? - მკითხა ყოველი შემთხვევისთვის და თან დიქტოფონი მოიმარჯვა.

- ამ ეტაპზე ეგ ძალიან უმნიშვნელო საკითხია, - ვუპასუხე უკომპლექსო გოგონას და ღვინო მოვსვი.

- დავიწყოთ? - მკითხა ლორამ?

- დავიწყოთ, ოღონდ კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, ინტერვიუ უნდა იყოს ძალიან მოკლე და სულ რამდენიმე შეკითხვისგან უნდა შესდგებოდეს. რაც მთავარია, არავითარ ბიზნესზე, საბანკო სექტორზე და ქველმოქმედებაზე შეკითხვები არ უნდა დაისვას. გასაგებია?

- გასაგებია! - დამამშვიდა მან.

- მაშინ, დავიწყოთ!

- საიდან მოდიხართ?

- ამქვეყნიური ჯოჯოხეთიდან.

- სად მიდიხართ?

- ამქვეყნიურ სამოთხეში.

- როგორ ფიქრობთ, ადამიანს ყველაზე მეტად რისი უნდა ეშინოდეს?

- ისე არ წავიდეს ამქვეყნიდან, რომ რაიმე ღირებული არ დატოვოს.

- მაინც რის დატოვებას გულისხმობთ?

- იმის დატოვებას, რაც საუკუნეებს გაუძლებს და არ გაუფასურდება.

- ასეთ საქმედ რა მიგაჩნიათ?

- ის, რასაც ადამიანის გონება შექმნის.

- და თქვენ, ასეთი რამ უკვე შექმნილი გაქვთ?

- მე რომ ასეთი რამ შექმნილი მქონდეს, თქვენ ახლა, არა ჩემი დაცვის უძლეველობის, არამედ ჩემი ქმნილების შესახებ გეცოდინებოდათ.

- რა არის იმისთვის საჭირო, რომ ყველა ადამიანმა ღმერთის არსებობისა იწამოს?

- ადამიანები უკვე დიდი ხანია დავობენ, ჯერ კვერცხი გაჩნდა თუ ქათამიო?! მოდით, ჩვენც ღმერთის არსებობას, ასეთ ბრიყვულ ჭრილში ნუ შევხედავთ, თორემ დედამიწაზე მომრავლდნენ ადამიანები, რომლებიც სრულ გაურკვევლობაში ჩავარდნილან და ერთ მარადიულ შეკითხვას სულ უფრო და უფრო მწვავედ უტრიალებენ: მაგალითად, ის (ღმერთი) რომ დაგეხმაროს, ჯერ უნდა იწამო, თუ ის (ღმერთი) რომ იწამო, ჯერ უნდა დაგეხმაროს?

- ამაზე ნამდვილად არ მიფიქრია, - გადმომხედა ლორამ და განაგრძო: - გჯერათ, რომ ოდესმე ღმერთს იხილავთ?

- სამწუხაროდ, ადამიანთა უმეტესობას ღმერთი ღრუბლებში მჯდარი თეთრწვერა მოხუცი ჰგონია, მოხუცი, რომელიც კეთილ ადამიანებს ყველა მიწიერ სურვილს აუსრულებს და საჭიროების შემთხვევაში, ციდან ფოჩიან კანფეტებსა და ოქრო-ვერცხლის ზოდებს გადმოუყრის. ფუჭი მოლოდინია ყოველივე ეს, ფუჭი მოლოდინი, რადგან ღმერთი არ არის ის არსება, რომლის ჩასმაც ერთი კონკრეტული სახის ადამიანში, თუნდაც კეთილ მოხუცში შეიძლება. მე თუ მკითხავთ, ღმერთი - ეს უფრო განუზომელი ენერგია ანუ ძალაა, რომელიც ამ სამყაროს ასაზრდოებს და არა ღრუბლებში მჯდარი ერთი კეთილი მოხუცი. რაც შეეხება ღმერთის ხილვას, ვფიქრობ, მას ვერც ერთი მოკვდავი ადამიანი ვერ იხილავს, ვერც ამქვეყნად და ვერ იმქვეყნად. ადამიანმა შეიძლება მხოლოდ ღმერთის ძალა შეიგრძნოს და არა ღმერთი იხილოს.

- თქვენ თუ გიგრძნიათ ღმერთის ძალა?

- მიგრძნია!

- როდის და როგორ?

- ცხოვრებაში მქონია შემთხვევები, როცა ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდნილვარ, რომ საშველი არსაიდან ყოფილა, მაგრამ რა სახით, როგორ, რანაირად, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს და მომხდარა ისე, რომ ჩემ გარშემო, რაღაც უდიდესი ძალისა თუ ენერგიის არსებობა მიგრძნია. დიახ, მიგრძნია უდიდესი ძალის არსებობა და ჩემი გამოუვალი მდგომარეობაც, მეტ-ნაკლებად შემსუბუქებულა.

- გიმარხულიათ?

- არა, არასოდეს.

- რატომ?

- მე ვთვლი, რომ მარტო მარხვა, ჩემს ცხოვრებაში დაგროვილ შავ ლაქებს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩამომწმენდს, რადგან მარხვამდე უამრავი რამ არსებობს, რაც ადამიანმა უნდა შეასრულოს ან გაითვალისწინოს მაინც. მე რომ ახლა ვიმარხულო, მერწმუნეთ, ეს თავის მოტყუება და კუჭის უაზროდ წვალება იქნება, რაც, ვფიქრობ, ღმერთთან არათუ არ დამაახლოებს, არამედ ბრიყვულ ილუზიებში ჩამაგდებს.

ლორამ დიქტოფონი მარცხენა ხელში გადაიტანა, მერე მარჯვენა ხელით ჩანთიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, იქიდან ერთი ღერი ამოაძვრინა, პირში ჩაიდო, სანთებელა აანთო, სიგარეტს მოუკიდა და ძალიან ღრმა ნაფაზი დაარტყა.

მე ლორას ხელით ვანიშნე, დიქტოფონი გამორთეთ - მეთქი. მანაც წითელ ღილაკს თითი დააჭირა, დიქტოფონი გამორთო და გაოგნებულმა შემომხედა: - რატომ? - მკითხა იმედგაცრუებულმა.

- ლორა, არ გეჩვენებათ, რომ თქვენ ახლა, ამ ინტერვიუში, ძალიან დიდ დროს ღმერთზე და საერთოდ, რელიგიაზე საუბარს უთმობთ?

- მერედა, რა არის ამაში ცუდი, თანაც რა კარგ თემაზე ვიყავით მისულები; მარხვა, ხორციელ საკვებზე უარის თქმა და ადამიანის სულიერი გაჯანსაღება.

- თქვენ თავად თუ გიმარხულიათ?

- მე დღესაც მარხვაზე ვარ! - მომიგო ლორამ და ამაყად გადმომხედა.

- იმიტომაც ხართ ასეთი კარგი გოგონა, - შევაქე ლორა და მისი სიგარეტიდან ჩემკენ წამოსული კვამლი ხელით გავფანტე.

- მოგეწონეთ? - მორცხვად თავი დახარა ლორამ?

- გამოგიტყდებით და ძალიან მომეწონეთ.

- გმადლობთ ბატონო დენის. ისე, იქნებ მითხრათ, აქ სად ცხოვრობთ?

- მე დროებით ამ სახლში, აი, იმ ოთახში ვცხოვრობ. - ლორას ჩემი აივანი თითით ვაჩვენე.

- რა კარგია?! - გაუხარდა მას.

- ჰოდა, ამიტომაც, ჩემო მშვენიერო ლორა, რადგან ჩვენ ასე გავუგეთ ერთმანეთს, მე თქვენთან ერთი ასეთი შემოთავაზება მექნება.

- რა შემოთავაზება?

- ხომ ხედავთ, აქ რამდენი ხალხი ტრიალებს და თან მოსვენებას არ გვაძლევენ. გინდათ, ასე მოვიქცეთ: ავიდეთ ჩემთან ოთახში, განვმარტოვდეთ და ეს, ისედაც ლამაზი დღე, კიდვ უფრო გავალამაზოთ. თორემ, სიმართლე გითხრათ, აქაური საზოგადოება მაინცდამაინც არ მომწონს, - ვუთხარი ლორას და მუხლზე ხელი დავადე.

მან ჯერ დარბაზისკენ გაიხედა, მერე მე შემომხედა და თავდახრილმა მითხრა:

- დიდი სიამოვნებით, მაგრამ სადღაც აქ მამაჩემი დაბორიალობს და რომ დამინახოს თქვენს ოთახში შესული ან იქიდან გამოსული, გაგიჟდება. მოდით, სხვაგან შევხვდეთ ერთმანეთს. მაგალითად, რესტორანში დამპატიჟეთ.

- ძალიან კარგი, მე ისედაც სასტუმროში ვაპირებ გადასვლას და რესტორნის შემდეგ, იმ სასტუმროს განახებთ, სადაც ვიცხოვრებ. თანახმა ხართ?

ლორამ მორცხვად ისევ თავი ჩაღუნა და მერე თანხმობის ნიშნად, რამდენჯერმე თავი დამიქნია.

- თანახმა ვარ, ოღონდ დღეს ვეღარ მოესწრება. ხვალ, ზეგ, ან როცა თქვენ მოისურვებთ, მაშინ იყოს, ოღონდ დღეს არა, - მითხრა მან, ჩანთიდან რაღაც ნაბეჭდი პატარა ფურცელი ამოიღო და გამომიწოდა.

- ეს რა არის?

- ჩემი სავიზიტო ბარათია, მანდ ჩემი ყველანაირი კოორდინატებია მითითებული. როცა დამიკავშირდებით, სადაც მეტყვით, იქ გავისეირნოთ.

ლორას სავიზიტო ბარათი გამოვართვი და ვიგრძენი, რომ ამ პატარა ფურცელს ძალიან მძაფრი, მაგრამ, ამავე დროს სასიამოვნო სუნამოს სურნელი ასდიოდა. სავიზიტო ბარათი გულის ჯიბეში ჩავიდე და კმაყოფილმა ხელები გავშალე:

- ასე არ ჯობია?! აბა, ის რა იყო, ლამის გული რომ გამიწვრილეთ, მარხვაო, ღმერთის ძალაო და ასეთები! - წარმოვთქვი აშკარად გამოგონილი უდარდელობით, ლორა გულში ჩავიკარი და დაველოდე, ჩემს ნათქვამზე მას რა რეაგირება ექნებოდა.

მან კიდევ ერთი სიგარეტი ამოიღო, აღელვებულმა მოუკიდა, ისევ ღრმა ნაფაზი დაარტყა და მხოლოდ ამის შემდეგ მიპასუხა:

- არა, ბატონო დენის, მარხვა და სულიერება, მაინც აუცილებელია.

- რა თქმა უნდა, ჩემო პატარავ, აუცილებელია, მაგრამ ერთი რამ, რატომ გავიწყდებათ?

- რა მავიწყდება?

- თქვენ ის გავიწყდებათ, რომ მხოლოდ ხორცეულის ჭამაზე უარის თქმა, ადამიანის მიერ სამოთხისკენ მიმავალ გზაზე გამოწერილი საგზური, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გახდება. მერწმუნეთ, თუ ადამიანმა მარხვის გარდა, კიდევ უამრავი რელიგიური ვალდებულება არ შეასრულა, მხოლოდ ცხოველური საკვების არმიღება, დიეტას დაემსგავსება და არა მარხვას.

- მე ვცდილობ, ყველაფერი ნელ-ნელა შევასრულო და ჩემი მარხვაც ამას ემსახურება, - მითხრა ლორამ და სიგარეტი ქოთანში ჩააფერფლა.

- ბოლოდან დაგიწყიათ, ბოლოდან!

- რას ნიშნავს, ბოლოდან?

- მარხვის დაწყებამდე, ჯობდა, ჯერ სიგარეტისთვის დაგენებებინათ თავი, მერე ასეთი მოკლე კაბა, ოდნავ მაინც დაგეგრძელებინათ და ბოლო-ბოლო, ჩემი მუხლიდან სავარძელზე, ან თუნდაც ჩემ გვერდით, ამ ქოთნის კიდეზე მაინც გადმომჯდარიყავით.

-აუცილებლად გავითვალისწინებ და აღარც სიგარეტს მოგაბოლებთ ცხვირში და აღარც ასეთ მოკლე კაბას ჩავიცვამ. რაც შეეხება თქვენს მუხლზე ჯდომას, ამაზე, მით უმეტეს ბოდიშს გიხდით, - მიპასუხა ლორამ და ფეხზე წამოდგა.

წამოვდექი მეც და ცარიელი ღვინის ჭიქის წასაღებად მაგიდისკენ წავედი.

- ბატონო დენის, რომ იცოდეთ, მიტევება ყველაზე დიდი და აუცილებელი უნარია, რაც ადამიანს უნდა გააჩნდეს.

- ეჰ, ჩემო ლორა, გაფრთხილებთ, მარტო სხვათა მიტევების იმედად ნუ იქნებით, თორემ ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩაიგდებთ თავს.

- თქვენ ხომ მომიტევებთ იმ ცოდვებს, რაც ჩემში დაინახეთ?

- მერე, მე რომელი სულიერი მოძღვარი მნახეთ, რომ ჩემგან ცოდვების მიტევებას ითხოვთ? ისე, ლორა, თქვენთან ერთი თხოვნა მექნება.

- რა თხოვნა? - აშკარად გამოცოცხლება დაეტყო მას.

- გთხოვთ, ჩვენი შეხვედრა მარხვის დღეს არ დაამთხვიოთ, თორემ, შეიძლება ჩვენ შორის რაღაც მოხდეს და ჩვენს ისედაც ცოდვილ სულს, კიდევ ერთი ცოდვა რომ დაემატება, მერე ყოველივე ამას, მე კი არა, თავად ყველაზე მოწყალე მოძღვარიც ვეღარ მიგიტევებთ.

- დამცინით?

- სხვათა შორის, სულაც არ გავხართ სასაცილო გოგონას.

- აბა, ვის ვგავარ? - მკითხა ლორამ და გამომცდელად ამომხედა.

- თქვენ, ამ ცხოვრების ქალს გავხართ... ისეთ ქალს, რომელიც სასურველი მიზნის მისაღწევად ყველაფერზეა წამსვლელი და რომელსაც რელიგია და ბიბლია ზრდასრული ადამიანებისთვის განკუთვნილი, ერთი ლამაზი ზღაპარი ჰგონია.

- დიდი მადლობა შეფასებისთვის, - მითხრა ლორამ და წასასვლელად მოემზადა.

- მიდიხართ? - ვკითხე, ცოტა არ იყოს, ჩემივე გულახდილობით განაწყენებულმა და მივხვდი, რომ ამ გოგონას ძალიან ცუდად მოვექეცი.

- წავედი ახლა სახლში, თორემ უამრავი საქმე მაქვს. იმედია, ოდესმე გაგახსენდებით და დამირეკავთ მაინც. რომ იცოდეთ, არც ისეთი ქარაფშუტა ვარ, თქვენ რომ გგონიათ. თუმცა, თუ ოდესმე გაგახსენდით და ჩემთან შეხვედრას მოინდომებთ, ამაში თავადვე დარწმუნდებით. ახლა კი ნახვამდის და უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ასეთი საინტერესო საუბრისთვის. გამოგიტყდებით, ჩემთვის მართლაც სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა და თქვენთან გატარებული დროის ეს მცირე მონაკვეთი. - ასე დამემშვიდობა ლორა და გასასვლელისკენ წავიდა, მაგრამ, მერე ისევ მობრუნდა, ჩემთან ახლოს მოვიდა, თვალი თვალში გამიყარა და მკითხა:

- ძალიან გთხოვთ, მითხრათ და ამას არავის ვეტყვი, თუ საჭიროა, სიცოცხლის ბოლომდე საიდუმლოდაც შევინახავ. თქვენ მართლა ბიზნესმენი ხართ თუ ...

- რა თუ? - ვკითხე ღიმილით.

- ... თუ ფილოლოგი, ჟურნალისტი, ფილოსოფოსი, პედაგოგი, მწერალი, პოეტი, ან თუნდაც ჩვეულებრივ ტანსაცმელში გადაცმული და ხალხში შემოპარული სასულიერო პირი?

- რა, ბიზნესმენს არ ვგავარ?

- საუბრით არ გავხართ!

- ასე საიდან ასკვნით?

- ბიზნესმენები და ბანკირები სულ ბანკებზე, კრედიტებზე, ფულზე, ქველმოქმედებაზე, წლიურ ბრუნვაზე და ნაღდ მოგებაზე საუბრობენ, მაშინ, როცა, თქვენ ამ თემაზე საუბრისგან არა მარტო თავი შეიკავეთ, არამედ წინასწარ გამაფრთხილეთ, რომ ამაზე არ ვილაპარაკოთო. თუმცა, რაც არ ვიცი, იმაზე თავს ვერ დავდებ და ამიტომაც გკითხეთ.

-ლორა, ვეცადოთ, რომ სალაპარაკო თემა ჩვენი შემდგომი შეხვედრებისთვისაც შემოვინახოთ. ასე არ აჯობებს?

- ნეტავ ჩვენი შემდგომი შეხვედრა შედგეს და თანახმა ვარ, სულაც ხმისამოუღებლად ვისხდეთ. - გამიღიმა ლორამ, მერე ლოყაზე მსუბუქად მაკოცა და გასასვლელისკენ წავიდა.

წავიდა ლორა და თითქოს მარტო დავრჩი, მაგრამ მშვენივრად ვხვდებოდი, რომ ეს არ იყო ის მიტოვება, რომელსაც მამაკაცები ქალებისგან, ასე მწარედ განვიცდით ხოლმე. მე კმაყოფილი ვიყავი იმით, რომ ჩემმა აქტიურობამ შედეგი გამოიღო და დღის ან ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, თავისუფლად შემეძლო, ლორა, ისევე როგორც მერი, მომენახა და უკან, ჩემთან მომებრუნებინა. თუმცა,

ისიც კარგად მესმოდა, რომ ყოველივე ეს, არა იმდენად ჩემში ჩასახლებული ხელმოცარული ადამიანის, არამედ რუფას მიერ გამოგონილი, საქმოსანი მამაკაცის დამსახურება უფრო იყო. ვხვდებოდი ამ ყველაფერს და სურვილი მამოძრავებდა, რომ ეს ნეტარების წუთები, როცა შენთვის ყველაფერი ადვილია, რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ისიც ცხადი იყო, რომ ამ ნეტარი წუთების გაგრძელება, ისევე როგორც მისი შექმნა, არავითარ შემთხვევაში ჩემზე არ იყო დამოკიდებული და უნდა შევგუებოდი, რომ სულ მალე, ისევ პირვანდელ სახეს დავუბრუნდებოდი. ასეთ გამოგონილ სამყაროში ჩემი მოგზაურობა კიდევ იმით იყო საინტერესო, რომ ამან კიდევ უფრო ცხადად დამანახვა ადამიანთა სახე, იმ ადამიანთა სახე, რომელთათვისაც ცხოვრებაში მხოლოდ აკვიატებული მიზანი არსებობს და არაფერი სხვა, აკვიატებული მიზნის გარდა... და რომლებსაც, ამ მიზნის მისაღწევად, თუ დასჭირდათ, ყველაფერზე წასვლა და საკუთარ სულთან ერთად სხეულის გაყიდვაც შეუძლიათ, თანაც ისე, რომ ყოველივე ამას, ღვთისგან ბოძებული სასიყვარულო ურთიერთობა დაარქვან.

მერისა და მისი ბრიყვი მეუღლის მდგომარეობა გასაგებია: ქალი მზად არის, ცხოვრების ხელახლა ასაწყობად, ნებისმიერ საქმოსან მამაკაცს ლოგინში დაუწვეს, მაშინ, როცა, მისი მეუღლე თავს იტყუებს და უცხო მამაკაცთან განმარტოებით წასწრებულ მეუღლეზე ცოცხალი თავით არ იჯერებს, რომ იქ რაიმე ისეთი ხდება და მისმა მშვენიერმა მეუღლემ, შეიძლება ოდესმე უღალატოს. სიბრიყვე და მეტი არაფერი, აშკარა სიბრიყვე, შეიძლება ყოველივე ამას, ასე უწოდოს ადამიანმა.

ახლა აღარ ღირს იმაზე დროის ფუჭად დაკარგვა, მაგალითად, უმშვენიერეს მერის, რომ სცოდნოდა, მე არა ვინმე დიდი საქმოსანი, არამედ უცხო ქვეყანაში ბედის საძიებლად გადახვეწილი, ერთი ხელმოცარული ადამიანი ვიყავი, იგი მერეც ასეთივე ნეტარებით აღივსებოდა ჩემ მიმართ, თუ ამპარტავნულად ცხვირს აიბზუებდა და ზემოდან გადმომხედავდა? ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, რაც არის ამის პასუხი და მერი როგორც მოიქცეოდა, ისევე, როგორც, ვითომ რელიგიით დაინტერესებული და მომარხულე, სინამდვილეში კი საკუთარ ასაკთან შედარებით მაგრად გაქნილი ლორა. გოგონა, რომელსაც ყოველგვარი ტაქტის გარეშე დავცინე და მინიშნებებით სექსუალური ურთიერთობა შევთავაზე, ოღონდ თან დავამატე, ყოველივე ეს, არასამარხვო დღეებში უნდა მოხდეს - მეთქი. მაგრამ, ჩემგან ასეთი აგდებული დამოკიდებულების მიუხედავად, იგი წონასწორობიდან არ გამოსულა და მაინც ჯიუტად ცდილობდა იმ მიზნის მიღწევას, რასაც რუფამ, ქალის მიერ მამაკაცში დანახული პერსპექტივა დაარქვა. აბა, ერთი წამით წარმოვიდგინოთ, ლორასთვის არა ვინმე დიდი ბიზნესმენი, არამედ ერთი ჩვეულებრივი, თუნდაც განათლებული, მაგრამ ხელმოცარული ახალგაზრდა მამაკაცი ვყოფილიყავი და მისთვის, ისეთივე შეურაცხმყოფელი რამ მეთქვა, რაც ახლახანს ვკადრე, იგი, როგორ მოიქცეოდა? ეჭვიც არ მეპარება, რომ ატეხდა წივილ-კივილს, ყველაფერს თავზე დამამხობდა და შეიძლება ჩემთვის ეჩივლა კიდეც, ღირსება შემილახაო. მოკლედ, ყველაფერი დღესავით ნათელი იყო: რომ არა რუფას მიერ ჩემ შესახებ შეთხზული ზღაპრები, დარწმუნებული ვარ, მერისა და ლორასთვის, მერე უკვე, არა ასე სასიამოვნოდ მოსაუბრე პიროვნება, არამედ ერთი ვიღაც უინტერესო ადამიანი ვიქნებოდი და ისინი არა მარტო ყურს არ დამიგდებდნენ, არამედ გვერდითაც არ

მომისხდებოდნენ. მაგრამ, სწორედ ამაშია იმ მატერიალური დაინტერესების ხიბლი, რისი დაუფლების იმედითაც, მე ამ ქალებისთვის, ლამის ოცნების მამაკაცი გავხდი. მაგრამ არც მერისა და არც ლორას საქციელი ჩემთვის სიურპრიზი და რაღაც ახალი აღმოჩენა ნამდვილად არ ყოფილა. უბრალოდ, ამ პატარა სპექტაკლმა, დადგმამ თუ გნებავთ, შოუმ კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმ ჭეშმარიტებაში, რომ დედამიწაზე ადამიანთა ძალიან დიდი ნაწილისათვის, ვიმეორებ, ძალიან დიდი ნაწილისათვის და არა ყველასათვის, ამქვეყნად ყველაფერი იყიდება, უბრალოდ, ფასს გააჩნია.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ლორას წასვლის შემდეგ ახალი აღმოჩენის სურვილმა შემიპყრო. თუმცა, სიმართლე რომ ვთქვა, სრულიად უცხო ადამიანებისგან, ჩემ მიმართ ზომაზე მეტად გამოჩენილი აქტიურობა, რასაც ისინი, რატომღაც ყურადღებას ეძახდნენ, ნამდვილად არ მსიამოვნებდა. ამიტომაც იყო, რომ დარბაზის შუაგულში შეჭრას თავი ავარიდე და კედელთან დავდექი, მაგრამ ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანები აქაც მოდიოდნენ და ათასგვარ იდეასა თუ საქმეს მთავაზობდნენ. მე, ბუნებრივია, ამ ადამიანების შემოთავაზებებს სერიოზული სახით ვისმენდი და შიგადაშიგ შენიშვნებსაც ჩავურთავდი ხოლმე. რაც დრო გადიოდა, დარბაზი სიგარეტისა და ალკოჰოლის სუნით სულ უფრო და უფრო იჟღინთებოდა. აი, როგორც იქნა, ორატორები სხვადასხვა ენებზე ლაყბობას მორჩნენ და მუსიკაც ჩაირთო... ზოგი ცეკვავს, ზოგი ერთმანეთში საუბრობს, ზოგიც რომელიმე სვეტს მისჩერებია და კითხვით ირთობს თავს. მუსიკა, ცეკვა, სიგარეტის კვამლი, ალკოჰოლი, დატრიალდა დარბაზი, ყველაფერი ერთმანეთში აირია და მე სადღაც დარბაზის ბოლოსა და დერეფანს შორის, წითლად თმაშეღებილ, მაღალ ქუსლებზე შემდგარ და შავ კაბაში ჩაცმულ გოგონას ვხედავ. - მშვენიერია! საუცხოოა! დიდებულია! - აღმომხდა მე, - მაგრამ, ეს ხომ სუზია, იმ გიჟპოეტას მართლაც მშვენიერი მეუღლე, საკუთარმა მეორე ნახევარმა, ძალით რომ წაათრია?!

იგი კედელს ზურგით იყო მიყრდნობილი, ცალი ფეხი ასევე კედელზე ჰქონდა მიდებული და ერთ ხელში ჭიქა, ხოლო მეორეში - სიგარეტი ეჭირა. მის სიახლოვეს არავინ იდგა. - ნეტავ მისი თავქარიანი მეუღლე სად არის, უკვე სამოთხის საგზურებს ხომ არ არიგებ? - გავიფიქრე და სუზის მიმართულებით დავიძარი.

მივდივარ წინ, გავცდი ადამიანთა რამდენიმე ჯგუფს და:

- უკაცრავად, ფსიქოლოგებზე რა აზრის ბრძანდებით? - მეკითხება აჭრელებულ პიჯაკში გამოპრანჭული მამაკაცი.

- აფერისტები არიან, რაღა ფსიქოლოგები და რაღა მკითხავები. ისინი ადამიანის ტვინში სუსტ უჯრედებს პოულობენ და ცარიელი სიტყვების რახარუხით, ზემოქმედებას ახდენენ. მათი იარაღი, ბევრი ლაპარაკით ადამიანების ტვინში შეღწევა და მათი გაბრუებაა.

- არ გეთანხმებით, კატეგორიულად არ გეთანხმებით! - გაცხარდა უცხო მამაკაცი.

- მერედა, ვინ დაგამალათ, რომ გინდათ თუ არა, უნდა დამეთანხმოთო?

ფსიქოლოგი მამაკაცი კიდევ რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ მე მას ვემშვიდობები და გზას ვაგრძელებ. მივდივარ, მივდივარ, მივდივარ, ისეთი

შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს დარბაზს ბოლო არ უჩანს... და, აი, ლინდა, დიახ, ლინდა, გადამეხვია და გადამკოცნა.

- ლინდა, ძალიან კარგი გოგო ხარ და ძალიან მიყვარხარ, იმიტომ, რომ რუფას მეგობარი ხარ. ახლა, თუ არ გეწყინება, გზა უნდა გავაგრძელო.

- საით გაგიწევია? - მომაძახა მან.

- აქ, სადღაც, ერთი გიჟპოეტა სამოთხის საგზურებს არიგებს და მეც იქ მივდივარ, იქნებ რაიმე ხეირი ვნახო.

- ჰოოოოოოოოო, მაშინ სამოთხეში შევხვდებით! - დამემშვიდობა და ხელით კოცნა გამომიგზავნა.

- შევხვდებით, აუცილებლად შევხვდებით, თუ მანამდე საჯოჯოხეთო ცოდვამ არ მომისწრო! - დავემშვიდობე ლინდას, მეც ხელით კოცნა გავუგზავნე და გზა განვაგრძე.

- ბატონო დენის, საით მიგიჩქარიათ? - მკითხა დაახლოებით ჩემი ასაკის მამაკაცმა.

- იქით! - გავიშვირე ხელი დარბაზის ბოლოსკენ.

- ბატონო დენის, ერთი რამ მინდა გთხოვოთ და იმედია, ცუდად არ გამიგებთ.

- თუ ცუდად მთხოვთ, ცუდად გაგიგებთ, - ვუთხარი მე და მის წინ დავდექი.

- აი, ის კათოლიკე გოგონა რომ დაგდევთ, რუფა ჰქვია, მე მგონი, თავს გაბეზრებთ, არა? რა უნდა, რას გადაგეკიდათ, ვერ გამიგია. ამ ქალაქში და მთლიანად ამ ქვეყანაში უმეტესობა მართლმადიდებლები ვართ, მაგრამ აქ, ზოგიერთ კათოლიკესაც შეხვდებით და ერთ-ერთი, სწორედ ეს ოჯახია...

- მოიცათ, მოიცათ, თქვენ, მე მგონი, ძალიან გაუტიეთ! - ლაპარაკი შევაწყვეტინე ახლადგაცნობილ მამაკაცს და უახლოეს სვეტთან ავაყუდე.

- არა, ბატონო დენის, უბრალოდ, თქვენ მე ვერ გამიგეთ!

- ძალიანაც კარგად გაგიგეთ და ამიტომ, ახლა მისმინეთ, - ვუთხარი მე და მისი ჰალსტუხის ბოლო მარჯვენა ხელის მტევანზე დავიხვიე, ხოლო მარცხენა ხელი ყელში მოვუჭირე.

მას სახე წამოუწითლდა და თვალები დასკდომამდე დაებერა.

- ბატონო დენის, მე იმიტომ არ მითქვამს, რომ გაბრაზებულიყავით. - ამოიოხრა მან.

- მაშ ასე, კარგად მისმინეთ და დაიხსომეთ: ჯერ ერთი - ის გოგონა ანუ რუფა, მე კი არ დამდევს, არამედ მე დავდევ მას, მეორე - კათოლიკობა ჩემთვის, წითლად შეღებილი ამკრძალავი ნიშანი არ არის და მესამეც - მე ახლა ათამდე ვითვლი და თქვენ რომ კიდევ ამ დარბაზში დაგლანდოთ, გეფიცებით ყველაზე ძვირფასს, მერე უკვე საკუთარ თავზე პასუხს აღარ ვაგებ და ყველაფერი თქვენს თავს დააბრალეთ.

- ცდუნდები, შენ უეჭველი ცდუნდები! - გავიგონე ნანდოს ნაცნობი ხმა.

- დამეკარგე აქედან, თორემ! - მუშტი მოვუღერე მე.

ნანდომ ამის საპასუხოდ ხარხარი ატეხა. მერე დარბაზისკენ შებრუნდა და ისევ თავის საქმე გააგრძელა, ოღონდ, ამჯერად უფრო ომახიანად და შემზარავად. იგი ხან წელში მოხრილი და ხელებით მუხლებზე დაყრდნობილი, ხანაც წელში გაშლილი ხარხარებდა... ხარხარებდა ომახიანად და შემზარავად.

ჩემთვის ძალიან ამაზრზენი იყო ყოველივე ამის ცქერა და ამიტომ მის უკან დავდექი და როცა ნანდო მოიხარა, რათა კიდევ ერთხელ გულიანად გადაეხარხარა, რაც ძალი და ღონე მქონდა, ერთი ისეთი წიხლი ვუთავაზე, რომ იატაკზე რამდენიმე მეტრის გასრიალების შემდეგ, იგი უახლოესი მაგიდის ქვეშ თავით გაეკვეხა.

ახლა უკვე მე ვხარხარებდი, ოღონდ არა ისე ომახიანად, როგორც ნანდო.

- ამას არ გაპატიებ! - მომაძახა ფეხზე წამომდგარმა და ჩემდა გასაკვირად, ისევ ცეცხლოვან წრედ იქცა.

მე მას კიდევ ერთხელ მოვუღერე მუშტი და ისევ სვეტთან მივბრუნდი, მაგრამ, როგორც ჩანს, ათ წამზე მეტი გასულიყო და ის მამაკაციც, ათ წამთან ერთად აორთქლებულიყო.

ამის შემდეგ, ვაგრძელებ გზას და მოცეკვავე გოგონათა გუნდი მაქცევს წრეში. ისინი ცეკვავენ, კისკისებენ და მხიარულობენ.

- ვიცეკვოთ? - მეკითხება ერთ-ერთი.

- ეს წიგნის პრეზენტაციაა თუ დისკოთეკა? - ვკითხულობ მე.

- ორივე, ირივე! - მპასუხობს სამეჯლისო კაბაში გამოპრანჭული გოგონა და თან თავდავიწყებით ცეკვას აგრძელებს.

-ციდან ჩამოფრენილო ანგელოზებო, გამატარეთ, თორემ, როგორც ვატყობ, თქვენ მე სამოთხეს დამაკარგვინებთ! - ვამბობ მე და გოგონების წრეს ჯიუტად ვარღვევ.

როგორც იქნა, გავცდი მოცეკვავე გოგონებს და სუზიმდეც მივაღწიე.

იგი ისევ ისე იდგა, მარჯვენა ფეხი კედელზე მიეყრდნო, ერთ ხელში სიგარეტი ეჭირა, მეორე ხელიდან კი შამპანურს წრუპავდა. დამინახა თუ არა, გამიღიმა და შამპანურის ჭიქა მაღლა ასწია.

- მაინც მომაგენით? - მკითხა მან და სიგარეტი მაგიდაზე დადებულ საფერფლეში ჩააჭყლიტა.

- თქვენ ვინ გითხრათ, რომ გეძებდით?

- რა, დავიჯერო, არ მეძებდით? - ნაწყენი ხმით მკითხა სუზიმ.

- ასეთი საიდუმლოებების გამხელა არ მჩვევია! - ვუპასუხე მე და მაგიდიდან ღვინის ჭიქა ავიღე.

- საწყენია, არადა, ძალიან გამიხარდებოდა, თუ გავიგებდი, რომ თქვენ მე მეძებდით.

- მაშინ საიდუმლოს ფარდას ავხდი და გეტყვით: დიახ, გეძებდით.

- აკი, არაო?

- თქვენ რა, ხუმრობა არ იცით?

- მომწონს, როდესაც საქმიანი ადამიანები ხუმრობენ, - მითხრა სუზიმ და ახალ სიგარეტს მოუკიდა.

- კიდევ რა მოგწონთ? - ვკითხე მე.

- აი, ის ყვავილი, - მომიგო სუზიმ და ხელი მაღლა, აივანზე დადგმულ საყვავილისკენ გაიშვირა.

- ეგ ყვავილი ველური ორქიდეაა, მართლაც ძალიან ლამაზია! - დავასკვენი მე.

- სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ვიცოდი, ეგ ყვავილი ველური ორქიდეა თუ იყო. ჰოდა, მაგ თაიგულს თუ ჩამომიტანთ ... - დინჯად დაიწყო სუზიმ, მაგრამ მერე გაჩერდა.

- თუ მაგ ველურ ორქიდეას თაიგულს ჩამოგიტანთ, რა, თქვენს მეუღლეს ჩემთვის სამოთხის საგზურს დასტყუებთ? - ვცადე ხუმრობა.

-ნეტავ მაგის ბჟუტურს რა ყურს უგდებთ, დაბერდა და სულ მთლად დაუსტვინა, - სუზიმ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიიტანა და გადაატრიალა.

- სამაგიეროდ, თქვენ ხართ ძალიან ახალგაზრდა და ძალიან ლამაზი, - ვუთხარი სუზის და სახეზე ჩამოშლილი თმა ხელით უკან გადავუწიე, რის შემდეგაც, მან გაოცებული თვალებით შემომხედა და მკითხა:

- ძალიან ხომ არ ჩქარობთ?

- რომ არ ვჩქარობდი, ამიტომაც დამასწრო თქვენმა მეუღლემ, - ვუპასუხე სუზის და მასთან კიდევ უფრო ახლოს მივედი.

- ჩემზე ზუსტად ოცდაათი წლით უფროსია, - თქვა გულდაწყვეტილმა.

- თქვენ შორის მართლაც ძალიან დიდი სხვაობა ყოფილა და თავის დროზე ამდენს არ ფიქრობდით?

- მაშინ არ ვფიქრობდი, ახლა უკვე ვფიქრობ.

- და რას აპირებთ?

- კიდევ ერთი ჭიქა შამპანურის დალევას!

- იქნება! - დავაიმედე მე. მერე მიმტან გოგონას სინიდან შამპანურით სავსე ფუჟერი ავიღე და სუზის მივაწოდე. მან შამპანური მოსვა და ისევ სიგარეტს მოუკიდა.

- რამდენიმე საათის წინ, თქვენმა მეუღლემ რომ ჩემგან ძალით გაგარიდათ, გული ძალიან დამწყდა, - ვუთხარი მე.

- მეც! - მიპასუხა მან.

- დღეს საღამოს რას აპირებთ? - ვკითხე სუზის.

- ჯერ არ ვიცი! - იყო პასუხი.

- შეხვედრა რომ შემოგთავაზოთ, უარს ხომ არ მეტყვით?

აქ სუზი კარგა ხნით ჩაფიქრდა და პასუხის გაცემას არ ჩქარობდა.

- რას ფიქრობთ? - ვკითხე მისი დუმილით შეწუხებულმა.

- ველურ ორქიდეას როდის ჩამომიტანთ?!

- ახლავე! - ვთქვი მე და აივნის ქვეშ დავდექი. ჩემდა ბედად, იმ ადგილზე ხალხი არ იდგა და მეც ქოთანზე შევდექი, მერე ოდნავ ზემოთ ავიწიე, მოაჯირს ხელი ჩავავლე, კიდევ ზევით ავიწიე, მოაჯირს გადავევლე და აივანზე აღმოვჩნდი. მივედი საყვავილესთან, იქიდან მთელი თაიგული ამოვიღე და ისევ უკან დავბრუნდი. კვლავ მოაჯირს გადავევლე, დავდექი ქოთნის პირზე და უკვე დაბლა ვიყავი.

- ეს თქვენ! - ვუთხარი სუზის და თაიგული გავუწოდე, მაგრამ იგი აშკარად დაფეთებული სულ სხვაგან იცქირებოდა.

- ჩემი მეუღლე მოდის, დამალეთ ყვავილები, თუ არა და, ვითომ ჩემთვის არ არის... მოვიდა უკვე!

მე ამ დროს, სუზისთვის გაწვდილი ხელი, რომელშიც ყვავილების თაიგული მეკავა, ჰაერში გამიშეშდა.

- ბატონო დენის, რატომ წუხდებოდით, ჩემს მეუღლეს ყვავილები ისედაც არასოდეს აკლია. ბოლოს და ბოლოს, მე თავად ყვავილების ქვეყნიდან -

ჰოლანდიიდან ვარ წარმოშობით, თუმცა, სუზის დაფასებისთვის, მაინც მადლობელი ვარ, - მითხრა მარკომ და ყვავილებს დაყნოსა.

- ბატონო მარკო, ყვავილების მირთმევის გარდა, მე აქ კიდევ ერთი საქმისთვის მოვედი.

- რა საქმისთვის? - დაინტერესდა იგი.

- სამოთხის საგზური უნდა გამომიწეროთ.

- ესე იგი, ჩემს პოეზიას უნდა გაეცნოთ?

- რა თქმა უნდა!

- სამწუხაროდ, ჩემი წიგნები, ახლა თან არ მაქვს წამოღებული, მაგრამ პირობას გაძლევთ, რომ ხვალვე ყველა ჩემს წიგნს გამოგიგზავნით.

- ძალიან დამავალებთ, ბატონო მარკო, ძალიან.

- ჰო, დავალებაზე გამახსენდა, მე ახლა ლექსების ახალ კრებულზე ვმუშაობ და მის გამოსაცემად, თუ ფინანსებით დამეხმარებით, სამოთხის არა ერთ, არამედ ორ საგზურს გამოგიწერთ, - ამჯერად უკვე ძალიან საქმიანი იერით მითხრა მარკომ და სუზის გადახედა.

- აუცილებლად დაგეხმარებით! - დავაიმედე მე, - ოღონდ თქვენთან კიდევ ერთი თხოვნა მექნება.

- რა თხოვნა?

- ახლა სუზისთან, სულ ცოტა ხნით მარტო დამტოვეთ, - ვუთხარი მარკოს.

- რახან ასე გულახდილად მთხოვთ, მე ხელს არ შეგიშლით. აი, იქ დავდგები, ჩემი ლექსების სვეტთან და საუბარს რომ მორჩებით, დამიძახეთ და გეახლებით. მაშ ასე, იქით დავდგები და დაგელოდებით, შევთანხმდით? ისე, ძალიან გამახარეთ, ჩემს კრებულს რომ დააფინანსებთ. ხომ იცით, ტირაჟი რაც შეიძლება დიდი უნდა იყოს, რომ ბევრმა ადამიანმა წაიკითხოს და შესაბამისად, ბევრი ადამიანი მოვახვედროთ სამოთხეში. ხომ თანახმა ხართ? - კიდევ ერთხელ მკითხა მარკომ და ღვინის ჭიქით მანიშნა, მომიჭახუნეო.

- რა თქმა უნდა! - ღიმილით ვუპასუხე მე და ჩემი ჭიქა მივუჭახუნე.

ამის შემდეგ მარკო წავიდა და მოშორებით დადგა, მე კი ისევ ყვავილები მეჭირა ხელში.

- ეს თქვენ! - ვუთხარი სუზის და თაიგული კვლავ გავუწოდე.

- დენის, უხერხულია, რადგან მარკო ძალიან ეჭვიანია და ახლა აქეთ იცქირება.

- ეს ყვავილები თქვენ გეკუთვნით და გამომართვით! - გავუმეორე სუზის.

- დაგვინახა, მე მგონი ყველაფერს მიხვდა, უხერხულია, უხერხული, გესმით, ახლა აქ, ჩემთვის ძალიან უხერხულია.

- ეს თაიგული უნდა გამომართვათ! - ამჯერად უკვე კატეგორიულად ვთქვი.

- მე მერიდება და თქვენ არ გერიდებათ? - მკითხა სუზიმ.

- ერთი ეს მითხარით, ვისი უნდა მერიდებოდეს, ვისი? - კითხვაზე კითხვითვე ვუპასუხე სუზის და ყვავილების თაიგული სახესთან ახლოს მივუტანე.

- ჩემი უნდა გერიდებოდეს, დენის, ჩემი! - მომესმა უკნიდან და კინაღამ გული გამიჩერდა.

ყვავილები დაბლა დავუშვი, უკან შევბრუნდი და მივხვდი, იმ მომენტში, მიწა რომ გამსკდომოდა და ჩავეტანე, ის მერჩივნა, რადგან ჩემ წინ რუფა იდგა.

- დენის, ველური ორქიდეა ჩემი საყვარელი ყვავილია და ნუთუ, ეგ ყველაფერი მე დამიკრიფე?! - გაოცებული სახით შემომხედა რუფამ.

მე თავი დავხარე და ხმას არ ვიღებდი.

- აბა, მოწყვეტილი ყვავილები არ მიყვარსო, რომ ამბობდი?! თუმცა, სიყვარულს რას გაუგებ ჩემო დენის. როცა ადამიანი გიყვარს, შეიძლება მისი გულის მოსაგებად ისეთი ნაბიჯიც გადადგა, რაც მაინცდამაინც არ გსიამოვნებს. ეს არის ნამდვილი სიყვარული, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ, ჩემო სიხარულო, - მითხრა რუფამ, ხელები კისერზე მომხვია და თავი მკერდზე მომადო.

- რუფა, რა გეწყინა ჩემგან, ეს ხომ თამაშია, რომლის უფლებაც თავადვე მომეცი?!

- არაფერი, დენის, სრულებით არ მწყენია, უბრალოდ, თამაშის უფლება კი მოგეცი, მაგრამ, თუ გახსოვს, მე შენ ისიც გითხარი, ოღონდ არსებობს წითელი ხაზები, რომელთა გადაკვეთაც არ შეიძლება - მეთქი.

- მერედა, მე ხომ ეს წითელი ხაზები არ გადამიკვეთია?

- ისე, სხვათა შორის, რომ ამბობდი, მე იმ ქალთან საქმეს არ დავიჭერ, რომლის მეუღლესთანაც ჭიქა მიმიჭახუნებია, ან საქმიანი ურთიერთობის დაწყებას ვაპირებო, ტყუილი ყოფილა, რადგან აქ, ამ დარბაზში, შენი შესრულებით სულ სხვა სურათი ვიხილე. თუმცა, ეს ხომ მართლა თამაში იყო, ამიტომ, ვფიქრობ, რომ უკვე დროა, ეს თამაში დასრულდეს და სულ სხვა განზომილებაში გადავიდეთ.

- როგორ, ეს თამაში დასრულდა? - ვკითხე რუფას.

- შენზე ლეგენდები მე შევთხზე და ამ ლეგენდებს წერტილიც თავადვე უნდა დავუსვა. ასე რომ, შეგიძლია ჩათვალო, თამაში დასრულებულია.

- საწყენია, ძალიან საწყენი! ნეტავ კიდევ გაგრძელებულიყო. ასე მცირე დროში, მხოლოდ მოგონებები დამრჩა და სხვა არაფერი. სამწუხაროდ, ვერაფერი ვერ მოვასწარი. - მართლაც გულდაწყვეტილმა ჩავილაპარაკე.

- რა ვერ მოასწარი, სუზის, მერისა და ლორას ლოგინში შეტყუება რომ ვერ მოასწარი, ამას მსაყვედურობ? ესე იგი, შენ ვიღაც კახპებთან ლოგინში უნდა გეკოტრიალა და მე, ამ ყველაფრისთვის მშვიდად მეცქირა?

მივხვდი, რომ რუფასთან სისულელეს ვწუწუნებდი და იგი გულში ჩავიკარი.

- დენის, ამ თამაშმა მეც ისე გამომათაყვანა, რომ სულ დამავიწყდა მეთქვა, რა სასიამოვნო, მართლაც გაზაფხულის სურნელი აგდის. ძალიან მომწონს ეს სუნი.

- ალბათ ყვავილებიდან გადმომივიდა, - ამაყად ვთქვი მე და დავფიქრდი, - ნეტავ, მართლა რისი სუნია, მეც რომ ასე მძაფრად ვგრძნობ და რუფამაც რომ აღნიშნა? თუმცა, როგორ არ ვიცი, ეს ხომ ის სუნია... ლორა, მის მიერ დატოვებული სავიზიტო ბარათი, - გამახსენდა უცებ და ხელი გულის ჯიბისკენ გავაპარე, რათა ფაქტები მომესპო, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

- დენის, ეს რა არის? - მკითხა რუფამ და ჩემი გულის ჯიბიდან ამოღებული სავიზიტო ბარათი დაატრიალა.

- განსაკუთრებული არაფერია, რუფა, მხოლოდ სავიზიტო ბარათია.

- ლორა ანტიჩი. - ღიმილით წაიკითხა რუფამ, მერე ურნასთან მივიდა, ლორას მიერ ნაჩუქარი სავიზიტო ბარათი ნაკუწებად აქცია და შიგ ჩაუძახა.

- ეგოისტი არ გეგონო, დენის, მაგრამ ეგეთი გოგოები შენთვის არ მემეტება.

- ჩემთვის მხოლოდ შენ მემეტები! - ვუთხარი რუფას და კიდევ ერთხელ ჩავიხუტე.

- სამწუხაროდ ჩემი საქმე დამთავრებულია, ისე, როგორც ეს თამაში. - სინანულით მითხრა რუფამ და თავი ჩაღუნა, მერე უცებ თავი ასწია, გამოცოცხლდა, თვალები გაუბრწყინდა, ხელკავი გამიკეთა და მაგიდასთან მიმიყვანა.

- მაშ ასე, ჩემო მწვანეთვალება ჟურნალისტო, თამაში დასრულებულია, მაგრამ ამით ყველაფერი არ დასრულებულა. ახლა შენ გაემგზავრები იქ, სადაც ამ თამაშზე ბევრად ამაღელვებელი სიტუაცია დაგხვდება.

- სად? - ვერ მივხვდი რუფას ნათქვამს.

- შენ ახლა წარმოსახვით და რეალურ სამყაროს შორის იმოგზაურებ. იმოგზაურებ მხოლოდ შენ და არავინ შენ გარდა, რადგან იქ მხოლოდ შენ იქნები მოგზაური, ხოლო სხვა, დანარჩენი ადამიანები ადგილობრივები იქნებიან.

- რა იყო, რუფა, რაღაც დროის მანქანის მსგავსი ხომ არ გამოგიგონია?

- ჰო, დროზე გამახსენდა, დროს ნუ ვკარგავთ, თორემ ეს ყავა თუ გაცივდა, არაფერი გამოგვივა, - თქვა რუფამ და მაგიდიდან ძალიან მაღალი შუშის ჭიქა აიღო, რომელსაც ცხელი ორთქლი და ყავის სასიამოვნო ოხშივარი უხვად ასდიოდა.

- გამომართვი ეს ჭიქა, ოღონდ ფრთხილად, ძალიან ცხელია და არ გაგივარდეს.

რუფას ჭიქა გამოვართვი და ჩვენ ისევ ჩვენს ძველ და ნაცნობ ადგილას, აივნის ქვემოთ დადგმულ, დიდ ქოთანთან მივედით.

- აი, აქ, ისევ ჩვენს საყვარელ ადგილას დაჯექი! - მითხრა რუფამ.

მე უზარმაზარ ქოთნის კიდეზე ჩამოვჯექი და ჭიქა ორივე მუჭში მოვიქციე. რუფა ჩემ წინ მუხლებზე დაეშვა და იდაყვებით მუხლებზე დამეყრდნო, მერე მან ორივე მაჯაზე ხელები მომკიდა და მკითხა:

- დაიღალე?

პასუხად არაფერი მითქვამს, მხოლოდ თავი დავიქნიე.

- ახლა დაისვენე, ოღონდ თვალები დახუჭე და ისე. ნუ გეშინია, საბოლოოდ ყველაფერი მაინც კარგად იქნება. შენ კიდევ უამრავ გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომასა და ზამთარს მოესწრები: გაზაფხულობით შენი საყვარელი ვარდის სურნელი დაგატკბობს, ზაფხულობით ბუნებისგან უდიდეს სითბოსა და სილაღეს იგრძნობ, ყვითელი შემოდგომა მუდამ შენი გულის მესაიდუმლე იქნება და არასოდეს გიღალატებს, ხოლო ზამთარი უსპეტაკესი ფანტელებით დაგასაჩუქრებს, ისეთი ფანტელებით, შენ რომ გიყვარს და ოცნებობ. შენი სიცოცხლე დიდხანს, ძალიან დიდხანს გაგრძელდება. უამრავ წელიწადის დროსთან ერთად, უამრავ ქარტეხილსაც იხილავ. მოესწრები ცუდსაც და კარგსაც, მაგრამ ნურაფრის შეგეშინდება, რადგან „ის“ ყოველთვის შენთან არის, არასოდეს მიგატოვებს და მუდამ შენს ნაკვალევზე მოგყვება. ახლა დახუჭე თვალები და დაისვენე, ისე, როგორც არასოდეს დაგისვენია. აქ შემოდგომაა, მაგრამ მანდ გაზაფხულია, ბუნება ყვავის და შენს საყვარელ ვარდის ხეივანში დასეირნობ. აქედან არაფერი გახსოვს, აღარაფერი გადარდებს, ხარ ბედნიერი, ძალიან ბედნიერი...

ამ დროს გონებაში, თითქოს რაღაც ბინდი ჩამომაწვა და მეც წავედი სადღაც შორს, ლაღად და მშვიდად. მე აღარ მესმოდა რუფას სიტყვები, ან როგორ გავიგებდი, როცა უკვე აქ აღარ ვიყავი. თითქოს ჩემს სხეულს მოვწყდი და სადღაც გავფრინდი, მაგრამ ეს არ იყო ცის უსასრულობაში ფრენა. მე ვიგრძენი, როგორ მოვწყდი საკუთარ სხეულს და როგორ შეირყა სამყარო... მერე ნელ-ნელა ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში დაბრუნდა და მე ისევ საკუთარ სხეულში აღმოვჩნდი, ოღონდ ვიყავი იქ და არა - აქ. მე აქ აღარაფერი მესაქმებოდა და აქაური აღარაფერი მახსოვდა - არც რუფა და არც ვინმე სხვა, რადგან მე იქ სრულიად განსხვავებული პიროვნება ვიყავი.

მამ, ვარ იქ და არ მახსოვს არაფერი აქაური, ან რა უნდა მახსოვდეს, რადგან ვიცი, რომ სადაც ახლა ვიმყოფები, იმ ქვეყანაში და სამყაროში დაბადებულ-გაზრდილი ადამიანი ვარ. ვცხოვრობ, ვტკბები, მიყვარს ამქვეყნიური დიდება და ყველაფერი, რაც ამ ქვეყნად დიდებასთან კავშირშია. ჩემთვის ლამაზი და მშვენიერია სამყარო, გარემოცვასაც, სადაც მე ვცხოვრობ, სახეზე მუდამ ღიმილი დასთამაშებს. არაფერი უჩვეულო და გაუგებარი ამაში არაფერი არ არის, ვარ ერთი დიდი ჩინოვნიკი, ანუ სახელმწიფო მოხელე და ის ქვეყანა, რომლის ერთ-ერთი მმართველიც მე ვარ, დედამიწის ზურგზე ყველაზე ლამაზ, სამართლიან და ხალხისთვის ყველაზე მისაღებ ადგილად მიმაჩნია. ყველაფერი, რაც ამ ქვეყანაში ხდება (და რატომღაც მგონია, რომ კარგის მეტი არაფერი ხდება), ჩემი გონებისა და მარიფათის დამსახურება მგონია. მიყვარს ყველა და ყველაფერი, ვეტრფი სამყაროსა და სიცოცხლეს. კმაყოფილი ვარ, როგორც საკუთარი ბედის, ისე მთლიანად ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით. გარემოცვა, რომელიც გვერდიდან არ მცილდება, ბედნიერია. პირადი დაცვისა და ესკორტის თანხლებით დავდივარ ჩემი მშობლიური ქალაქისა და მთლიანად ქვეყნის მოვლილ ქუჩებში, ვტკბები აღმშენებლობითა და შემხვედრი ადამიანების ბედნიერი სახეებით. თუმცა, ქვეყანაზე ბოროტ ძალებსა და ენებს რა გამოლევს?! ისინი ჭორაობენ და სამწუხაროდ, ეს ჭორები ჩემამდეც აღწევს: ჭორიკნები ჭორაობენ, რომ ამ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ დიდ კაცს, საკუთარი გარემოცვა მხოლოდ წინასწარ შერჩეულ ხალხს ახვედრებს და მხოლოდ მოვლილ ქუჩებში ატარებს, ჰოდა, ამიტომაც ეჩვენება ამქვეყნად ყველაფერი ასე ლამაზი და დიდებულიო.

რა ვქნა, არ ვიცი. არადა, გარემოცვა მთხოვს, ამ დაუნახავებსა და არამზადებს პასუხი გაეციო. მეც სხვა რა გზა მაქვს, ვემზადები პასუხის გასაცემად და რჩევისთვის ჩემ ზემდგომ, მთლად დიდ კაცთან შევდივარ....

...რჩევები მიღებულია, გამოვდივარ მთლად დიდი კაცის კაბინეტიდან, ჩამოვდივარ პირველ სართულზე და გარს უამრავი ჟურნალისტი და ტელეკამერა მეხვევა: ყველა ყაყანებს, ყველა აქტიურობს, ყველას შეკითხვის დასმა და წინ დგომა უნდა.

- ბატონო დენის, - მომმართავს ერთ-ერთი ჟურნალისტი, - ხალხი თვლის, რომ ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო და უფრო უარესდება მდგომარეობა, იზრდება უმუშევრობა, სიღატაკე, კრიმინალი. რას იტყოდით, რას უპასუხებდით იმ იმედგაცრუებულ ხალხს, რომელმაც თქვენ აგირჩიათ?

- ჩემო ტკბილო ხალხო, - დავიწყე მე, - ნუ გავიწყდებათ, ჩვენ რა მდგომარეობაში ჩავიბარეთ ეს ქვეყანა, რა იყო ის, წინა ხელისუფლების

პირობებში და რა არის ახლა... ხალხო, უმადურები ნუ იქნებით, ძალიან გთხოვთ, ძალიან.

- ბატონო დენის, ხალხი ამბობს, ჩვენ შვება არ გვიგრძნია და ჩვენი მდგომარეობა დღითიდღე სულ უფრო და უფრო უარესდებაო, თქვენ კიდევ ამტკიცებთ, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად არის და პროგრესი სახეზეაო. საინტერესოა, რომელს დავუჯეროთ, - ხალხს თუ რამდენიმე ჩინოვნიკსა და მის გარემოცვას? - მეკითხება სხვა ჟურნალისტი.

- თქვენ რომელი ტელევიზიიდან ბრძანდებით? ჰოოოოო, ახლა უკვე ყველაფერი გასაგებია. ცრუ ინფორმაციებს ნუ ავრცელებთ და ხალხის სახელით ნუ ლაპარაკობთ, რადგან მე ძალიან კარგად ვიცი ჩვენი ხალხის პოზიცია და ისიც კარგად ვიცი, თქვენ ვისი მოგზავნილებიც ხართ.

- ბატონო დენის, ქვეყანაში კიდევ უფრო იმატა ძარცვა-ყაჩაღობამ, უმუშევრობამ და კორუფციამ, ამავე დროს, იზრდება მიგრაცია, ხალხი გმინავს და ქვეყნის საზღვრებს აწყდება, იმ იმედით, რომ იქნებ აქედან როგორმე გააღწიონ და სადმე დასავლეთისკენ გაიქცნენ. ამის შემდეგ, თქვენ კიდევ ამტკიცებთ, რომ ქვეყანაში აღმშენებლობა მიდის და ხალხმა შვებით ამოისუნთქაო?!

- მე სულ სხვა ინფორმაციას ვფლობ: ქვეყანაში არც ძარცვა-ყაჩაღობა გაზრდილა, არც უმუშევრობა და კორუფციაზე ხომ საერთოდ ლაპარაკიც არ არის. რაც შეეხება თქვენ მიერ ნახსენებ მიგრაციას, თქვენ ჟურნალისტები ხართ და უნდა გესმოდეთ, რომ მიგრაცია არა მარტო ჩვენისთანა ქვეყნებიდან, არამედ ჩვენზე ბევრად ძლიერ სახელმწიფოებიდანაც ხდება. მაგალითად, ტკბილი და გამაძღარი ქვეყნებია ბალტიისპირეთის სამივე სახელმწიფო, მაგრამ ვიცით, რომ იქიდან ხალხი კიდევ უფრო უკეთესი ცხოვრებისთვის საბერძნეთში ან კვიპროსზე მიდის, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებში დაბალი ცხოვრების დონეა? საბერძნეთიდან და კვიპროსიდან, ვიცით, რომ ხალხი გერმანიაში, საფრანგეთში ან შვეიცარიაში მიდის საცხოვრებლად, მაგრამ, მიდის განა იმიტომ, რომ საბერძნეთი და კვიპროსი ჩამორჩენილი ქვეყნებია, არამედ იმიტომ, რომ ადამიანის ბუნებაა ასე მოწყობილი, მას სულ უფრო და უფრო მეტი უნდა. ბევრი გერმანელი, ფრანგი ან შვეიცარიელიც მინახავს, რომლებიც საცხოვრებლად კანადაში ან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადადიან, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ გერმანია, საფრანგეთი და შვეიცარია სიღარიბით სულს ღაფავდნენ? მეგობრებო, მერწმუნეთ, ასეა ჩვენი ქვეყნის შემთხვევაშიც, და თუ ვინმე აქედან მიდის, განა იმიტომ მიდის, რომ აქ ხალხს უჭირს ცხოვრება, არამედ იმიტომ, რომ იქ შედარებით უკეთესი პირობები ელით. სულ ეს არის და ეს, თქვენ კიდევ ვიღაც ჭორიკნების ხმებს აჰყოლილხართ და ურცხვად ამტკიცებთ, რომ ამ ქვეყნიდან მიგრაცია გაიზარდაო. სირცხვილია ყოველივე ეს და ხმას არ უნდა იღებდეთ.

ამის შემდეგ უკვე აღელვებული ჩინოვნიკის იერს ვიღებ და ჟურნალისტთა ამალას გვერდს ვუქცევ. - დაუნახავები და მოგზავნილები! - ვფიქრობ ჩემთვის და დაცვის თანხლებით გარეთ გავდივარ, სადაც (ოღონდ ჩემგან ცოტა მოშორებით) ტრანსპარანტებმომარჯვებულ ადამიანებს ვხედავ. როგორც წესი, მე არ ვკითხულობ რა წერია ტრანსპარანტებზე, არ ვუსმენ რას ამბობენ მეგაფონში და სასწრაფოდ დაჯავშნულ მანქანაში ვჯდები.

- რას ითხოვენ? - უკვე მანქანაში მოკალათებული ვეკითხები ჩემს თანაშემწეს.

- პურსა და სიცოცხლეს! - მპასუხობს ის.

- ხელს თუ გაანძრევენ, პური ექნებათ, ხოლო თუ ჭკუით იქნებიან, მაშინ მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ შეექმნება. - უკვე აშკარად გაბრაზებული ვამბობ მე, ხოლო ჩემი თანაშემწე მხრებს იჩეჩს და მორიდებით იღიმება.

- მივდივართ? - მეკითხება მძღოლი, რომელიც ჩემი ბიძაშვილია.

- დიახ, რეგიონებში მივდივართ! - ვპასუხობ მძღოლს.

- წავედიიით! - ამბობს მძღოლი და მანქანას ძრავს.

წინ ესკორტის მანქანა, უკან ესკორტის მანქანა, გზას, რომელზეც ჩვენ უნდა გავიაროთ, პოლიცია კეტავს, რათა რაიმე პრობლემა არ შეგვექმნას და არ შევფერხდეთ. მივდივართ და აშკარად განვიცდი, რადგან არ ვიცი, იქ რა მდგომარეობა დაგვხვდება, ან ხალხი რა სიურპრიზებს მოგვიწყობს. ვღელავ, მაგრამ, როგორც ჭეშმარიტ პოლიტიკოსს შეშვენის, ამ მღელვარებას ცოცხალი თავით არ ვიმჩნევ. თუმცა, ჩემს მღელვარებას, მძღოლი მაინც ამჩნევს და მეუბნება:

- აქვე, გზად, ერთი მიტოვებული ეკლესიასავით ვიცი, სადაც ხალხი არ იქნება, ამიტომ, უსიამოვნებებიც არ არის მოსალოდნელი, ჰოდა, ხომ არ აჯობებდა, შეგვეარა და პირჯვარი მაინც გადაგვეწერა?

- ვითომ გვიშველის? - ვპასუხობ მე.

- თუ გვიშველის, ხომ კარგი, თუ არა და, მეორედ აღარ შევალთ! - ამბობს მძღოლი.

- კარგი, შევიაროთ, ოღონდ თუ ის მიტოვებული ეკლესიაა, იქ სანთელი არ იქნება, ამიტომ, რომ გავჩერდებით, შენ, - მივმართავ ჩემს თანაშემწეს, - სხვა მანქანებში, ვინმეს სანთელი სთხოვე, იქნებ წამოღებული აქვთ?!

ჩვენი მანქანა და ესკორტი გზიდან უხვევს და ერთ კლდის (რომლის წვერზეც აღმართული ეკლესია მოჩანს) ძირისკენ მიემართება. ვჩერდებით, გადმოვდივართ მანქანებიდან და კლდის მარჯვენა ფერდიდან ამავალ საცალფეხო ბილიკს ვადგებით. მივდივარ და მომყვება მთელი ამალა. როგორც იქნა, წვალებითა და ქოშინით ეკლესიამდეც ავდივართ. ტაძარში ჯერ დაცვა შედის, მერე - მე. ბნელა, მაგრამ ადამიანთა სილუეტებისა და ფრესკების გარჩევა მაინც შეიძლება. კედელთან მიდგმულ ხის ჯვართან მექანიკურად მივდივარ და თანაშემწე სანთელს მაწვდის - აანთეო. მეც ვანთებ სანთელს, პირჯვარს ვიწერ და ვლოცულობ, თუმცა, ვლოცულობო, ვამბობ, თორემ საკუთარი პრობლემებით გულდამძიმებული ჩემთვის ვბუტბუტებ. - ნეტავ, რა უნდა ამ ხალხს, რატომ არიან ასეთი დაუნახავები? ღმერთო, მე ხომ ჩემი ხალხისა და ქვეყნისთვის კარგი მინდა. რატომ არ მიფასებენ, რატომ?

- დიდება თქვენს მობრძანებას უფლის სახლში! - მესმის ხმა.

ვიხედები იქით, საიდანაც ეს ხმა მესმის და მღვდლის ანაფორაში გამოწყობილ მამაკაცს ვხედავ.

- ჩვენ ეს ადგილი მიტოვებული ეკლესია გვეგონა და თურმე შევმცდარვართ! - ამბობს ჩემი მძღოლი.

- ეკლესია, შეიძლება ადამიანებმა მიატოვონ, მაგრამ უფალი არასოდეს მიატოვებს მას, - გვეუბნება სასულიერო პირი.

- თქვენ ამ ეკლესიის მღვდელი ხართ? - ინტერესდება ჩემი თანაშემწე.

- მე ამ წმინდა ტაძრის ბერი, მამა მიქაელი გახლავართ, - გვეცნობა მამაო.

- ჩვენ კი, თუ შევხედავთ, რომ აქ მოსვლის შემდეგ, ჩვენი საქმეები უკეთესობისკენ წავიდა, თქვენი მრევლი გავხდებით და სულ აქ, თქვენთან ვივლით ხოლმე, - ამაყად ამბობს ჩემი თანაშემწე.

- შვილებო, თქვენ, სულიერ მოძღვართან ეკლესიაში მისვლა, პოლიკლინიკაში ექიმთან მისვლა ხომ არ გგონიათ, სადაც, თუ ექიმი ტკივილს გაგიყუჩებთ, სხვა დროს, ისევ იქ მიდიხართ, თუ არადა, სხვა ექიმს რომ აკითხავთ ხოლმე? - ძალიან მშვიდი, მაგრამ, აშკარად უკმაყოფილო ტონით გვეუბნება ბერი.

ჩემი თანაშემწე ხვდება საკუთარ შეცდომას და დამნაშავესავით თავს ხრის.

- გვაპატიეთ, მამაო, აწი, ხმას აღარ ამოვიღებთ, თორემ, როგორც ვატყობ, შეიძლება თითოეულ ჩვენს სიტყვაზე შემოგვედავოთ. - ვცდილობ სიტუაციის განმუხტვას.

- თქვენი უმეცრება, მარტო თქვენივე სიტყვებიდან არ ჩანს.

- კიდევ რაში ჩანს? - ვინტერესდები და მთელი ტანით, ახლაღა ვბრუნდები მამაოსკენ.

- შენ, შვილო ჩემო, სანთლის ანთებისა და პირჯვრის გადაწერის დროსაც კი გეტყობა, რომ შენთვის ძალიან შორეული და უცხოა ეს საქმე. ეს რიტუალი, შენ, ალბათ, მხოლოდ კამერების წინ პოზიორობისას, ან გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილს თუ გახსენდება ხოლმე, - პირადად მე მეუბნება მამაო.

- აქ ახლა კამერები სად არის? - კითხულობს ჩემი დაცვის უფროსი.

- კამერები არ არის, სამაგიეროდ არის გამოუვალი მდგომარეობა.

- თქვენ რა იცით, რომ გამოუვალმა მდგომარეობამ მოგვიყვანა? - ამას უკვე ჩემი მძღოლი კითხულობს.

- რომ არა თქვენი გამოუვალი მდგომარეობა და „მაინც ვცდი, იქნებ მიშველოს“, მხოლოდ ამ პრინციპით თქვენი ამ წმინდა ტაძარში შემოსვლა, დარწმუნებული ვარ, თქვენ ასე მოუქნელად არც სანთელს აანთებდით და არც პირჯვარს გადაიწერდით.

- რას გვერჩით, მამაო, რა დაგიშავეთ, ვილოცებთ და წავალთ. - თავს ისაწყლებს ჩემი მძღოლი.

- თქვენ ფიქრობთ, რომ თუ აქ ერთ სანთელს აანთებთ და ილოცებთ, ღვთის წინაშე საკუთარ ვალს პირნათლად მოიხდით და ამ დაღმართზე წელგამართულები დაეშვებით?

- აბა, სხვა ვის წინაშე უნდა მოვიხადოთ საკუთარი ვალი, თუ არა უფლის წინაშე? - ალალად ვინტერესდები მე.

- ვალი შეიძლება მეზობლის, მეგობრის ან ბანკის გქონდეთ, უფალი კი მევახშე არ არის. თუ დაადგებით უფლის გზას, ხომ კარგი, ამით საკუთარ სულს გადაირჩენთ, თუ არადა, ისე გაწამდებით, რომ სიკვდილი, რასაც ახლა ასე გაურბიხართ, სანატრელი გაგიხდებათ. ისე, თუ მაინცდამაინც ვალის გადახდაზე მიდგა საქმე, ჯობია, ეგ ვალი ხალხს გადაუხადოთ, რომელთა დანახვისაც, კეთროვანივით რომ გეშინიათ.

ამ სიტყვებით, მამაო, თითქოს ყველაზე მტკივნეულ წერტილზე მაჭერს ფეხს, მაგრამ, ვცდილობ არ შევიმჩნიო, თუმცა, იგი ისევ თავისას აგრძელებს:

- ისე, თქვენ არც პირველები ხართ და არც უკანასკნელნი... ასეა, რაც თავი მახსოვს.

- რას გულისხმობთ, მამაო? - ისევ მე ვინტერესდები.

- ასეა, როცა ხელისუფლება საკუთარ ხალხსა და სიმართლეს შორდება, ის განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებთან შეხვედრას გაურბის და კლდის წვერზე ადამიანებისგან ნახევრადმიტოვებულ ტაძრებიდან, ღმერთისთვის ხმის მიწვდენით ცდილობს თავის გადარჩენას. თორემ ხელისუფლება, რომელიც მართალია ღვთისა და ადამიანთა წინაშე, საკუთარ ხალხს კი არ უნდა ემალებოდეს და ციცაბო კლდეებზე ხოხვაში კი არ უნდა კარგავდეს ძვირფას დროს, არამედ ზუსტად იქ უნდა ჩნდებოდეს, სადაც ზღვა ხალხი და ზღვა სიყვარულია. ეჰ, შვილო ჩემო, თქვენ რომ ჭეშმარიტ რწმენაში იყოთ, მაშინ მშვენივრად გეცოდინებოდათ ის, თუ ყოველივე ამისთვის, რა მკაცრი სასჯელი გელით უფლისგან, მაგრამ თქვენ ხომ ის ადამიანები ხართ, რომელთაც უფლის სახლში მოსვლა, ერთი დიდი ჩინოვნიკის კაბინეტში შესვლა გგონიათ, სადაც პროტექციით, თვალის პაჭუნითა და ათასგვარი მამაძაღლობებით მიზანს ყოველთვის აღწევთ.

- თქვენ საერო ცხოვრებისგან განმარტოვებული ხართ და არა მგონია, ჩვენი აქ მოსვლის მიზეზზე ან ხალხის სატკივარზე რაიმე იცოდეთ.

- დიახ, საერო ცხოვრებას მოწყვეტილი ბერი ვარ, მაგრამ უფლის წყალობით, იმდენი ძალა, ენერგია და უნარი ნამდვილად მაქვს, რომ ხალხის მაჯისცემას აქედანაც მივუგდო ყური და ადამიანების სატკივარი გამოვიცნო. მე ახლა, როგორც მიწიდან, ისე ციდან კვნესისა და გოდების მეტი არაფერი მესმის, მაგრამ არავინ იფიქროს, რომ მიცვალებულების ხმაზე ვლაპარაკობდე. მიცვალებულებზე ზრუნვა ჩემი საქმე არ არის და არც არავის ვურჩევ, ამ უნაყოფო საქმით დაკავდეს. მე ცოცხალი ადამიანების ბედი მაინტერესებს და ვწუხვარ, რომ, როგორც მიწიდან, ისე ციდან სწორედ მათი გოდების ხმა მესმის. და რაოდენ სამწუხაროა ჩემთვის, რომ ხალხის კვნესა-გოდების მიზეზი ვინც არის, ერთ-ერთი მათგანი ამ წმინდა ტაძარში შემოსულა და ახლა ჩემ წინ დგას.

- მამაო, ასეთი ლაპარაკი არ გეკადრებათ, არა. - ვბრაზდები და ხელი მიკანკალებს.

- რასაც თქვენ ჩადიხართ, ის რაღას ჰგავს? - კითხვაზე კითხვითვე მპასუხობს ბერი და აგრძელებს, - თქვენი დღევანდელი მდგომარეობა მგლის ხროვის წანწალს მაგონებს, რომელიც ადამიანებთან პირდაპირ კონტაქტს გაურბის და ველური მიზნის მისაღწევად შემოვლით გზებს იყენებს. შენ ახლა წმინდა ტაძარში ხარ და მოდი, ერთხელ, ცხოვრებაში ერთხელ მაინც თქვი სიმართლე...

- მე ტყუილები არ მჩვევია, - ვაწყვეტინებ მამაოს.

- საქმეც მაგაშია, შენ და კიდევ შენისთანებს, გგონიათ, რომ ტყუილები არ გჩვევიათ. არადა, თქვენ მთელი თქვენი დღე და მოსწრება ლაპარაკობთ არა იმას, რაც სიმართლეა, არამედ იმას, რაც მხოლოდ თქვენ გაწყობთ და ხედავთ არა იმას, რაც რეალობაა, არამედ იმას, რაც მხოლოდ თქვენ გინდათ, რომ დაინახოთ. მაშ, თუ მე ვტყუი და თქვენ მართალი ადამიანები ხართ, - რატომ არის ქვეყანა ძაძებით შემოსილი, გაუთავებლად რატომ მესმის კვნესა-გოდების ხმა და დღითიდღე რატომ იზრდება თქვენით უკმაყოფილო ადამიანების რიცხვი?

- რაც შეგვიძლია, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, უბრალოდ, ისინი არიან დაუნახავები, - ვამბობ მე.

- შვილო ჩემო, რასაც ახლა შენ ამბობ, ამ სიტყვების შემდეგ, ნუთუ ღვთის სასჯელის კიდევ არ გეშინია? - მეკითხება მამაო და პირჯვარს იწერს.

- ნეტავ რა ვთქვი ისეთი, რომ ღვთის სასჯელის მეშინოდეს?

- რომ ვერ ხვდები, საქმეც მაგაშია. ესე იგი, შენ, ამ ქვეყნის ერთი დიდი გამაძღარი ჩინოვნიკი, ფიქრობ, რომ სიმართლე მხოლოდ იმ რამდენიმე ასეულ, თუნდაც ათასეულ ადამიანშია, რომლებიც სახელისუფლებო მწვერვალზე არხეინად წამოკოტრიალებულან, ხოლო ის მილიონობით ადამიანი, რომლებიც თქვენივე უნამუსობით უმძიმეს ყოფაში ჩავარდნილან, თურმე ისეთი დაუნახავები არიან, რომ კარგსა და ცუდს, თეთრსა და შავს ვერ არჩევენ. შვილო ჩემო, ნუთუ მართლა ვერ ხვდები, ამით რამხელა ცოდვას იკიდებ მხრებზე? გეკითხები და გამეცი პასუხი: როგორ შეიძლება სიმართლე მხოლოდ რამდენიმე, გამაძღარ ჩინოვნიკში და მის გალაღებულ გარემოცვაში ვეძიოთ, ხოლო ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში ჩავარდნილ მილიონობით ადამიანს კი ცრუპენტელა და მატყუარა ვუძახოთ?

- ??? (ხმას არ ვიღებ და ვდუმვარ)

- სიმართლეს ამბობენ, - ჩაილაპარაკა ბერმა, - ჰო, რამდენიმე მილიონი, გაბოროტებული ადამიანი გიშლით ხელს, თორემ თქვენ ისეთი ანგელოზები ყოფილხართ, რომ თურმე მაგ ბინძურ ფეხებს, მიწაზე არ ადგამთ. ხომ არ გვირჩევდით, ეს მილიონობით ცრუპენტელა, გაბოროტებული და თქვენით უკმაყოფილო ადამიანი, ამ ქვეყნიდან, სადმე სხვაგან გაგვესტუმრებინა და მთელი ეს ტერიტორია, რამდენიმე ათასი, კარგად ნასუქი და მოთავისე ჩინოვნიკისთვის დაგვეტოვებინა? ამიტომაც მიკვირს, რომ განსაცდელის ჟამს, კიდევ ამ წმინდა ტაძარში მოსვლას ბედავთ, სანთელს ანთებთ, მაგ დაბრმავებული თვალებიდან ყალბ ცრემლებს ღვრით და უფალს შველას სთხოვთ. რომ იცოდეთ, იმავე უფალს, თქვენ მიერ შეუარცხყოფილი და დაჩაგრული ხალხიც სთხოვს დახმარებას, და როგორ ფიქრობთ, განკითხვის ჟამს, უფალი, ვის მხარეს დაიჭერს, - მიწიერი დიდებით შემოსილი და კარგად ნასუქი ჩინოვნიკების, თუ ამ ჩინოვნიკების მიერ ატირებული და დამცირებული ადამიანების?

ბერი კიდევ უფრო ახლოს მოდის ჩემთან და მიმეორებს:

- გამეცი პასუხი: როგორ ფიქრობ, ვის მხარეს დაიჭერს უფალი, - შენ მხარეს, რომელმაც მთელი შენი ცხოვრება სრულ სიამტკბილობაში გაატარე, თუ შენივე უნიათობით გაღატაკებული იმ ადამიანების, რომელთაც ცხოვრება ჯოჯოხეთად აქვთ გადაქცეული?

- არ ვიცი! - ვპასუხობ მე.

- როცა შენს კარიერასა და სიმდიდრეს საფრთხე ემუქრება, თურმე მაგ დროს, ეკლესიას რომ უნდა მიმართო, ეს ხომ კარგად იცი?

- საფრთხე რა შუაშია, მამაო, გზად აქეთ მოვხვდით და ამოვიარეთ.

- ამიტომაც გითხარი, რომ ზოგიერთებს მოძღვართან წმინდა ტაძარში მისვლა, ერთ დიდ ჩინოვნიკთან კაბინეტში შესვლა ჰგონიათ, - მეთქი. ამოიარა, ილოცებს და წავა, - ამბობს უკმაყოფილო ბერი.

- მაშ, როდის და როგორ უნდა შევიდე ეკლესიაში?

- ეკლესიაში სინანულით, ოღონდ შენ მიერ ჩადენილ ცოდვათა სინანულით უნდა შეხვიდე და უფალს ამ ცოდვების მიტევება შესთხოვო. მაგრამ, კარგად ვიცი, რომ შენ და კიდევ ბევრი შენისთანა, ღვთისგან არა ცოდვათა მიტევებას, არამედ ცხოვრების გზაზე მწვანე შუქის ანთებას ითხოვთ. ასე რომ, აქ, არა სათხოვნელად, არამედ ცოდვების მისატევებლად უნდა ამოხვიდე და აქედან არა ამაყი, არამედ თავმდაბალი უნდა წახვიდე.

- ამიერიდან ასე მოვიქცევი! - ვამბობ და მამაოსთან ძალიან ახლოს მივდივარ, შემდეგ მის წინ მუხლს ვიყრი და ხელზე ვემთხვევი.

- ამ სიკეთეს, ბარემ ერთი სიკეთეც დაამატე და უკვე თამამად შემეძლება იმის თქმა, რომ უფლისკენ კიდევ ერთი ადამიანი შემოვაბრუნე.

- კიდევ რა უნდა ვქნა? - ვკითხულობ გაოცებული.

- გაიძვრე ეგ ჩინოვნიკის მანტია, ყველა პრივილეგიაზე, რომელიც სხვა ადამიანებისგან უსამართლოდ განგასხვავებს, უარი თქვი და მერე იმ ხალხის გვერდით დადექი, სიმართლისა და ლუკმა-ჰურის საძებრად, ქუჩაში რომ არის გამოსული. თუ ასე მოიქცევი, შემიძლია უფლისკენ სრული შემობრუნება მოგილოცო.

ვდუმვარ და ვერაფერს ვამბობ, რადგან რასაც ვფიქრობ, ძალიან ძნელი სათქმელია.

- რა გადაწყვიტე? - ფიქრებში წასულს მესმის ბერის ხმა.

- ასე ვერ მოვიქცევი, მამაო.

- რატომ ვერ მოიქცევი, მითხარი, შვილო ჩემო, ოღონდ სრული სიმართლე მითხარი, თორემ თუ რაიმეს დამიმალავ, იცოდე, ერთ ცოდვას, მეორე, უფრო უარესი ცოდვა დაემატება.

- მე რომ ჩინოვნიკის მანტია გავიძრო და ყველა ამქვეყნიურ პრივილეგიაზე უარი ვთქვა, მაშინ, მეც იმ ადამიანებივით უნდა გამიჭირდეს ცხოვრება და მერე რაღა ვქნა, საკუთარი ოჯახი სიღატაკისთვის გავწირო? ვიცი, რომ ვტყუი, ისიც ვიცი, რომ ამისთვის, შეიძლება უმძიმესი სასჯელი მივიღო, მაგრამ მე დღეს სხვაგვარად ვერ მოვიქცევი, არ ვარ ამისთვის მზად და იმიტომ. თუმცა, არ ვიცი, რა იქნება ხვალ, ან ზეგ და შეიძლება ეს ნაბიჯი გადავდგა კიდეც, ოღონდ დღეს ამას ვერ შევძლებ. შეიძლება ოდესმე ასეც მოვიქცე, მანამდე კი მინდა, რომ აქ აღსარებაზე მოვიდე ხოლმე, ოღონდ თქვენ თუ მიმიღებთ? - ვამბობ ფეხზე წამომდგარი და ისევ მუხლებზე ვიჩოქებ.

- რაც ახლა შენ ილაპარაკე, აღსარების დროს ამაზე მეტს ვეღარაფერს იტყვი, ამიტომ, მე გაძლევ კურთხევას შენს საქმეში, ოღონდ იმ იმედით, რომ შენ აქედან სინანულით წახვალ, ის აღარ იქნები, რაც უწინ იყავი და შენთვის სრულიად უცხო ადამიანებსაც ისე გაუფრთხილდები, როგორც საკუთარ თავსა და ოჯახის წევრებს უფრთხილდები.

ბერი მეტს არაფერს მეუბნება, უკან ბრუნდება და სიბნელეში უჩინარდება. მერე მე გამოვდივარ ტაძრიდან და თანმხლებ პირებთან ერთად დაღმართზე ფრთხილად ვეშვები. ყველანი ვსხდებით მანქანებში და გზას ვაგრძელებთ.

ვნახულობ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონულ ცენტრებსა თუ უბრალოდ ქალაქებს, ზოგან ახალ საქმეს ვჩარხავ, ზოგან ანგარიშს ვიბარებ, მაგრამ ყველაზე

ცხადი და ნათელი მაინც ის არის, რომ ხალხის უკმაყოფილებას, არც რეგიონებში უჩანს ბოლო.

ვბრუნდებით უკან და ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში დგება. პრესა აჭრელებულია განრისხებული ადამიანების ფოტოებით, რომლებიც ჩემი და ჩემზე დიდი ჩინოვნიკის ფიტულებს წვავენ. თუმცა, ყოველივე ამას, არა მარტო პრესიდან, არამედ საკუთარი თვალითაც ნათლად ვხედავ. ერთხელ ხალხის ბრბო გზას გვიკეტავს და ჩემი დაჯავშნული მანქანის ჩამუქებული შუშებიდან კარგად ვხედავ, ადამიანები როგორი ნეტარებით წვავენ ჩემი და ჩემზე დიდი ჩინოვნიკის ფიტულებს. მერე უკვე განრისხებული ადამიანების მიერ ჩემი და ჩემზე დიდი ჩინოვნიკის ფიტულების წვა, ჩასასვენებელში ჩაწვენა და თეატრალიზებული შოუების გამართვა, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი რამ ხდება. მეც ყოველივე ამას ვეგუები და ყოველგვარი ემოციის გარეშე ვხვდები. ვიტან შეფურთხებას, ლანძღვას, გინებას, მაგრამ საჯაროდ არავის ხელს არ ვუბრუნებ, წყენას მხოლოდ გულში ვინახავ და შურისძიებისთვის შესაფერისი მომენტის დადგომას ველი. ვებრძვი მტრებს, შიგადაშიგ ვიცილებ არასასურველ თანაგუნდელებს, რომლებიც უკვე კონკურენციას მიწევენ და ჩემს კარიერას საფრთხეს უქმნიან. ამგვარ ბრძოლაში გადის დღეები, კვირები, თვეები და წლები... უდიდესი პოლიტიკოსი! ასე ამბობენ ჩემზე, პოლიტიკურ წრეებში ჩასმული საკუთარი თანამოაზრენი და სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულ პიროვნებად მასახელებენ. ერთხელ წლის პოლიტიკოსის ტიტულსაც ვეუფლები. სამაგიეროდ, - ეშმაკის მოციქული! ასე მამკობს გამწარებული საზოგადოება და ჩემსა და იმ კიდევ უფრო დიდი ჩინოვნიკის ფიტულებს კვლავაც წვავენ, თუმცა, რაც დრო გადის, ფიტულების წვასა და ჩასასვენებლების თეატრალიზებულად გამოსვენების პროცესებს, აშკარად ის ეფექტი ეკარგება, როგორიც ადრე ჰქონდა, რადგან საზოგადოება ნელ-ნელა ეგუება, რომ ყოველივე გაშლილ მინდორში ქარის უაზროდ დევნას ჰგავს და მეტს არაფერს.

ცხოვრება გრძელდება, ხალხის უკმაყოფილებასთან ერთად, მათი უიმედობაც იზრდება. მე ძველებურად, დღისით ისევ ენერგიულად ვორატორობ, ხოლო ღამით აღვირახსნილ ცხოვრებასთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, არასასურველი ადამიანების გვამებზე გადასვლასაც არ ვთაკილობ. ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ ამ უკანასკნელს, ანუ არასასურველი ადამიანების გვამებზე გადასვლას, საკუთარი ქვეყნის გადარჩენისთვის ბრძოლას ვეძახი. ვცხოვრობ, ვტკბები, ვმოგზაურობ, სადაც საჭიროა დავფრინავ, სადაც საჭიროა - დავდივარ, ოღონდ, თუ დავდივარ, ისეთი ნეტარებითა და მოხდენილი ნაბიჯებით დავდივარ, რომ ადამიანები ჩემზე ამბობენ, მიწაზე ფეხს არ ადგამსო. როცა ვლაპარაკობ, ჩემი საუბარი ღუღუნს ჰგავს და გარემოცვაც, რომელიც მუდამ გარს მახვევია, ისე ყლაპავს ჩემი ბაგეებიდან გარდმოსულ თითოეულ სიტყვას, თითქოს სულიერი მოძღვრის ქადაგებას უსმენსო. სახის კანიცა და თითებიც ზუსტად ისეთივე ფაქიზი და ცხიმიანი მაქვს, ჭეშმარიტ ჩინოვნიკს რომ შეეფერება. პოზირებასთან ერთად, უბრალო ჩახველებაც ჩინოვნიკური გამომიმუშავდა. მომწონს ასეთი ცხოვრება და სხვაგვარად საკუთარი თავი ვერ წარმომიდგენია. დიახ, ვერ წარმომიდგენია და არც ვფიქრობ იმაზე, რომ ერთ დროს, შეიძლება ყველაფერი დასრულდეს და არა მარტო ამქვეყნიურ უფსკრულადწოდებულ უმდაბლეს საფეხურზე ჩავარდნა, არამედ ბევრ საქმეზე პასუხისგებაც მომიწიოს. მოკლედ,

ვტკბები ამ ცხოვრებით და საწინააღმდეგო აზრის, არათუ, მხოლოდ არ გათვალისწინება, არამედ გაგონებაც არ მსურს. ამიტომ, ვინც ჩემთვის მიუღებელ რჩევას მაწვდის, ყველას მტრად ვიკიდებ და წიხლებით ვდგები, ხოლო, ის, ვინც მლიქვნელურად კუდს მიქიცინებს და ჩემი სუფრიდან დატოვებული ნარჩენებით კმაყოფილდება, ყველას სულში ვიხუტებ. არჩევნები ახლოვდება, აქტიურობა პიკს აღწევს. მოწინააღმდეგე მხარე ამბობს, - ან ახლა, ან არასდროს! მე ვამბობ, - ეს არჩევნებიც გადავაგოროთ და მერე ყველას გავუსწორდებით! თუმცა, მეც და ჩემზე დიდი ჩინოვნიკიც, კარგად ვხვდებით, რომ გამარჯვება გაგვიჭირდება, ის კი არა და, როცა სიტუაციას რეალურად ვაფასებთ, აშკარაა, რომ სასტიკი დამარცხებისთვის ვართ განწირულნი, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ, როცა ძალაუფლება ჩვენს ხელშია, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. ვიცით და არ გვესწავლება, რომ ასეთ დროს ნაცნობი მეთოდებისა და ხერხების გამოყენებაა საჭირო. მიბარებს ის დიდი ჩინოვნიკი და საარჩევნოდ, სწორედ ამ ჩვენთვის კარგად ნაცნობი ხერხებისა თუ მეთოდების ამოქმედებას მთხოვს. თან, ყოველი შემთხვევისთვის ამატებს, ხომ იცი, ნებისმიერი საშუალებით, თუნდაც სისხლის ფასადაც უნდა გავიმარჯვოთ, თორემ ჩვენს ადგილზე სხვები მოვლენ და ქვეყნის თავდაყირა დაყენების გარდა, ჩვენ ყველას პასუხისგებაში მიგვცემენ, ამიტომ დასაკარგი მართლაც რომ ბევრი რამ გვაქვს და ვიბრძვით ბოლომდეო. ისე, მას რომ არ ეთქვა, მეც კარგად ვიცოდი, რომ ბოლომდე ბრძოლა იყო საჭირო.

მერე ყველაფერი უსწრაფესად ვითარდება. ბრძოლა, როგორც დასაშვები, ისე დაუშვებელი მეთოდებით, ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსისა თუ უპირატესობის გამოყენება და გამარჯვება ჩვენია. ამ გამარჯვების აღსანიშნავად, ჩვენი ქვეყნის შავად მოქუფრულ ცას ფერადი ფეიერვერკი ანათებს, მაგრამ ცხოვრებაში პირველად ვხვდები და ფარულად ვაღიარებ, რომ ეს ის გამარჯვება და ფეიერვერკებია, რომელსაც არა პატიოსან ბრძოლაში, არამედ მხოლოდ თავის გადასარჩენად, ნებისმიერი მეთოდების გამოყენებით, რომ აღწევენ ხოლმე. მესმის ყოველივე და კიდევ ერთხელ მახსენდება ბერთან ნათქვამი საკუთარი სიტყვები, უფრო ზუსტად, თავის მართლება: „ვიცი, რომ ვტყუი, ისიც ვიცი, რომ ამისთვის, შეიძლება უმძიმესი სასჯელი მივიღო, მაგრამ მე დღეს სხვაგვარად ვერ მოვიქცევი, არ ვარ ამისთვის მზად და იმიტომ.“ დიახ, მახსენდება ჩემი სიტყვები და სირცხვილის გრძნობის მატებასთან ერთად, საკუთარი თავიც მძულდება, მაგრამ იქვე ვხვდები, რომ თავის გადარჩენისთვის, ამ დაწყევლილ ბრძოლაში ისე ვარ ჩართული, რომ უკან დასახევი გზა, ნამდვილად აღარ მრჩება.

მაშ ასე, გამარჯვება მოპოვებულია, - საზოგადოება განრისხებული. ოპონენტები ისევ ძველებურად ამბობენ, ქვეყანა მუქ ფერებში და ძაძებშია შემოსილიო. მე ამ მუქ ფერებსა და ძაძებს, ბუნებრივია, ვერ (უფრო არ) ვხედავ, თუმცა, ძალიანაც რომ მოვინდომო, ვერც დავინახავ და ვერც შევიგრძნობ, რადგან, სადაც მივდივარ (უფრო მივყავარ), ყველგან ელიტარული საზოგადოების გაცისკროვნებული, გალაღებული და გაღიმებული სახეები მხვდება. მაგრამ, ვატყობ, რომ მე უკვე ის აღარ ვარ, რაც უწინ ვიყავი და ჩემი ქვეყნის, ვითომ სრულიად განათება-გალაღების, უწინდელივით აღარ მჯერა... აღარ მჯერა და ამიტომაცაა, რომ უამრავი კითხვის ნიშანი იყრი თავს. მაგალითად, როგორ უნდა დაიძლიოს, ესა თუ ის პრობლემა? ცხადია, მე მარტო ვერას გავხდები, სხვა ჩინოვნიკებთან კი, რომ დავიწყო იმის მტკიცება, რომ თურმე ჩვენს ქვეყანაში არც

ისე კარგად ყოფილა საქმე, როგორც ჩვენ გვგონია, ვიცი, ამაზე იმხელა პრობლემები შემექმნება, რომ უეჭველი საკუთარ კარიერასთან დამშვიდოებება მომიწევს. მეც სხვა რა გზა დამრჩენია, მორჩილად მივყვები ამ ცხოვრების ბინძურ დინებას და სადაც საჭიროა თვალს ვხუჭავ, ხოლო, სადაც საჭიროა, არტისტული აღფრთოვანებით გავცქერი გარემოს. მოკლედ, ამქვეყნიური მასშტაბებით უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგან მაქვს ყველაფერი, რასაც მოვისურვებ და ვაკეთებ ყველაფერს, რაც ჩემს გულს უხარია... მაგრამ თავში აზრად, ისევ იმ ბერთან მისვლა მომდის. ავალ და ვნახავ, საინტერესოა, რას მეტყვის?!

ასეც ვიქცევი. იგივე ამალითა და რამდენიმე მანქანით, კვლავ მონასტრის გზას ვადგავართ. ვჩერდებით კლდის ძირთან, გადმოვდივართ მანქანებიდან, ფეხით კლდის მარჯვენა ფერდამდე მივდივართ და, - მარტო შენ, შენ და შენ ამომყევით, დანარჩენები აქ დარჩით! - ვიძლევი ბრძანებას.

მაღალ კლდეზე გაკეთებულ საცალფეხო ბილიკს მხოლოდ ოთხნი მივუყვებით და როგორც იქნა, ავდივართ ტაძრამდე.

- თქვენ გარეთ დამელოდეთ! - ვამბობ და თავად ტაძარში შევდივარ.

ის ერთ-ერთ ფრესკასთან მიდგმულ სკამზე თავჩაღუნული ზის... მამჩნევს თუ არა, უმალ პირჯვარს იწერს, ამბობს, დიდება შენს მობრძანებასო და ფეხზე დგება. მერე საკურთხეველივით მოწყობილ, ერთ პატარა ოთახში გადის, მაგრამ მე მანიშნებს, მომიცადეო. ცოტა ხანში გამოდის და ფერად ქაღალდში შეფუთულ, რაღაც ნივთს მაწვდის.

- ეს რა არის, მამაო? - მიკვირს მე.

- ეს საჩუქარი ჩემგან, შენ და იმას! - მპასუხობს ბერი და საჩვენებელ თითს ზევით სწევს.

- ვინ იმას? - ვცდილობ დაზუსტებას.

- შენ და ამ ქვეყნის მთლად უფროსს! - მპასუხობს ის, - ოღონდ აქ არ გახსნა. ჩადი, წადი სახლში და იქ გახსენი. ვფიქრობ, ეს ნივთი, შენ და შენს ხელმძღვანელს ძალიან გამოგადგებათ, რადგან თქვენზეა ზედგამოჭრილი. ახლა კი კარგად იყავი და უფალი ისე გფარავდეს, როგორც ამას იმსახურებ! - ამბობს ბერი და მაშინდელივით სიბნელეში უჩინარდება.

მე გამოვდივარ ტაძრიდან, ვეშვები დაბლა, მაგრამ სახლამდე რა მომათმენინებს, იქვე, გზის პირას, კლდიდან დაგორებულ დიდ ლოდზე ვჯდები და გულისფანცქალით ვიწყებ ბერის მიერ ნაჩუქარი შეკვრის გახსნას... შეკვრას ჯერ ერთი კუთხიდან ვახევ ქაღალდს, მერე მეორე კუთხიდან, ამის შემდეგ ფერად ქაღალდს მთლიანად ვაძრობ და... უცებ, ვშეშდები, რადგან ხელში ორი ნიღაბი მრჩება, ზუსტად ისეთი ნიღაბი, მოტინგიცო ელემენტები მასკარადებზე, ან მსახიობები, სპექტაკლებზე რომ იკეთებენ ხოლმე. „ვფიქრობ, ეს ნივთი, შენ და შენს ხელმძღვანელს ძალიან გამოგადგებათ, რადგან თქვენზეა ზედგამოჭრილი.“ მახსენდება ბერის სიტყვები და თავს ვხრი.

მერე მახსოვს, თვალთ მიბნელდება და ყველაფერი ბურუსში ეხვევა...

მე ისევ წავედი, სადღაც შორს, ლაღად და მშვიდად, თან აღარაფერი მახსოვდა, ან როგორ უნდა მხსომებოდა, როცა იქ აღარ ვიყავი. თითქოს ჩემს სხეულს მოვწყდი და სადღაც გავფრინდი, მაგრამ ამჯერადაც ეს არ იყო ცის უსასრულობაში ფრენა. მე ვიგრძენი, კვლავაც როგორ მოვწყდი საკუთარ სხეულს

და როგორ შეირყა სამყარო... მერე, ნელ-ნელა ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდა და მე, უწინდებურად საკუთარ სხეულში აღმოვჩნდი.

თვალები ძალიან მძიმედ გავახილე და ვიგრძენი, რომ თავბრუ მეხვეოდა. რამდენი ხანი ვიჯექი ასე, არ ვიცი, მაგრამ დიდი დრო რომ გასულა, იმით მივხვდი, რომ დარბაზი უკვე, თითქმის ცარიელი იყო და მხოლოდ რამდენიმე ადამიანი ტრიალებდა, რომლებიც მაგიდებს ალაგებდნენ. ჩემდა გასაოცრად, ყავის ჭიქა, რომელიც ხელში მეჭირა, ისევ ცხელი იყო და მას კვლავაც ორთქლი და ყავის ოხშივარი ასდიოდა.

ჩემ წინ, მუხლებზე დაშვებულმა რუფამ ყავის ჭიქა გამომართვა და ფეხზე წამოიწია.

- რას იტყვი, დენის, გული ხომ არ დაგწყდა? - მკითხა უკვე ფეხზე წამომდგარმა.

მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

- ახლა არ მითხრა, ბევრი საქმე დამრჩა გასაკეთებელიო, თორემ გულიანად ვიცინებ, - მითხრა რუფამ.

- რატომ, რუფა, ვიყავი სახელმწიფო მოხელე, ვაკეთებდი უამრავ საქმეს და ქვეყნის აღმშენებლობაში ვიღებდი მონაწილეობას. ეს რა, ცოტაა? - ვთქვი და მეც ფეხზე წამოვდექი.

- დენის, სამწუხარო ის არის, რომ შენ იქ, იმ სამყაროში არაფრით განსხვავდებოდი იმ მედროვე ჩინოვნიკებისგან თუ არამზადებისგან, რომლებმაც შენი საყვარელი სამშობლო ჩაგიბნელეს და სრულიად უცხო მიწაზე გადასახვეწად გაგიხადეს საქმე.

- არ გეთანხმები, არა!

- არ დაგავიწყდეს, რომ შენ იქ, გაჭირვებული ადამიანებისა და მათხოვრების მიმართ ისეთივე გულმოწყალე და ალალი აღარ ყოფილხარ, როგორიც ახლა, აქ ხარ. და თუ შენ იქ, ვინმეს მაინც ეხმარებოდი, ამასაც მხოლოდ კამერების წინ პოზიორობისთვის და მორიგი ფარისევლური ნაბიჯების გადადგმისთვის აკეთებდი. ამავე დროს, ისიც გაიხსენე, რომ შენ იქ, როცა საჭიროდ თვლიდი, საკუთარი ინტერესების დასაცავად, არც სიყალბეს ერიდებოდი და გვამებზეც გადადიოდი, რასაც, რატომღაც საკუთარი ქვეყნის გადარჩენისთვის ბრძოლას ეძახდი. ასე რომ, ჩემო კარგო, ამქვეყნიურ ცდუნებას ვერ გაუძელი, ვერა, და თავს დავდებ, რომ იგივე ცდუნებას, ვერც ვერავინ გაუძლებს.

- რუფა, ჯერ ერთი, სადაც მე ახლა ვიმოგზაურე, ეგეც ისეთივე თამაში იყო, როგორც წინა ნომერი, და მეორეც, მე მგონი, ჩვენ ვთანხმდებით იმაში, რომ იყო ადამიანი, არ ნიშნავს - იყო სრულყოფილი არსება. თანაც, არა მგონია, შენ გესწავლებოდეს ის, თუ ყველა ადამიანში რა დოზით არის ჩადებული ყოველივე ამქვეყნიურის ანუ ცხოვრებისეულის სიყვარული. თავად ქრისტეც კი, რომელიც განკაცდა და დედამიწაზე კაცობრიობას ადამიანის სხეულით მოევლინა, ჯვარცმის შიშით, წამიერად, მაინც შედრკა და უფალს შეევედრა, მამაო ჩემო, თუ შესაძლოა, ამარიდე ეს სასმისიო. მაგრამ, ბოლოს მაინც, რადგან მესია იყო და არა ჩვენისთანა ადამიანი, გამოერკვა და უფალს ისე შეევედრა, როგორც უნდა შეევედრებოდა, - აღსრულდეს ნება შენი, არა როგორც მე მსურს, არამედ, როგორც შენო. ჰოდა, რუფა, თუ თავად სრულყოფილი ქრისტეც კი, წამიერად მაინც შემდრკალა და მასში, რაღაც ადამიანურს უმძლავრია, რატომ გიკვირს, რომ იგივე

ადამიანურმა გენმა, ნებისმიერ ჩვენგანსაც საკუთარი კვალი დაამჩნიოს და ხანდახან თავგზა აურიოს?

- მე რომ არაფერი მიკვირს და ძალიან კარგად მესმის შენი, ახლა, ამიტომაც დაგტრიალებ თავს და სანამ კიდევ ფეხზე ვდგავარ, მინდა, ყველაფერი ცხადად დაგანახვო. თუმცა, მეტი რაღა უნდა დაგანახვო, რაც საჩვენებელი იყო, ყოველივე საკუთარი თვალით იხილე, ხოლო დასკვნა, თავად უნდა გამოიტანო.

- და შენ, ჩემში რა დასკვნა გამოგაქვს?

- შენ ჩემი საოცნებო მამაკაცი ხარ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ოდესმე მომენტი რომ ჩაგივარდეს, შენც ზუსტად ისეთივე გულქვა და ცივსისხლიანი არსება გახდები, რომელთაც ახლა ვერ იტან და რომელთა მიმართაც ზიზღს ვერ ფარავ. ჩემო კარგო, დაიხსომე, რომ დედამიწაზე მცხოვრები ნებისმიერი ადამიანის მსგავსად, შენც ყველაფერზე წამსვლელი პიროვნება ხარ, ოღონდ ამისთვის შესაფერისი სიტუაცია უნდა შეგექმნას. ეჰ, დენის, ჩემო ძვირფასო, რა არის ამაში გაუგებარი, რომ ადამიანები რაც უფრო ზევით საფეხურზე მიიწევენ, მით უფრო გულქვა, შეუწყნარებლები, სისხლისმსმელები და შუბლგასქელებული მლიქვნელები ხდებიან. ეს არის კოდი, რომელიც ყველა ჩვენგანში ზის და რომელიც მხოლოდ შესაფერისი სიტუაციის დროს მოდის მოქმედებაში. ზოგი ვარდება მსგავს სიტუაციაში და ამ კოდის გახსნის შემდეგ, მასში ის ველური მხეცი იღვიძებს, რომელზეც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, ზოგი კი ისე მიდის ამ ქვეყნიდან, რომ არც ამაზრზენ გარემოში ვარდება და შესაბამისად, ის ველური კოდიც, რომელიც მასში ჩაბუდებულ მხეცს აღვიძებს, გაუხსნელი რჩება. ახლა კი ცოტა ხნით უნდა გავიდე, თორემ, რაღაც თავი ამტკივდა და სისუსტეს ვგრძნობ, - მითხრა რუფამ და ერთ-ერთ აივნისკენ ამავალ კიბეს აუყვა.

დარბაზი უკვე დაცარიელებული იყო, მხოლოდ ეზოდან ისმოდა კისკისი და ხმამაღალი ლაპარაკი. მე იქვე, ჩემთვის კარგად ნაცნობ ადგილას ჩამოვჯექი, თავი ჩავღუნე და ფიქრებში წავედი, მაგრამ უცებ ნაცნობმა ხმამ გამომარკვია:

- ხომ გითხარი, ცდუნდები - მეთქი, და რატომ არ გინდა, რომ დამეთანხმო?

თავი ავწიე და ჩემ წინ ნანდო იდგა, რომელიც ამჯერად ძალიან მშვიდი და სერიოზული მომეჩვენა. მე ფეხზე წამოვდექი და მის წინ დავდექი.

- აიხედე ზევით! - მითხრა მან.

ზევით ავიხედე და ახლაღა შევამჩნიე, რომ ამ მაღალი სასახლის სახურავი სანახევროდ გადახდილი იყო, ხოლო ძალიან მაღლა, იქ, სადაც ჭერი და შემდეგ სახურავი იწყებოდა, უზარმაზარი სვეტისა თუ პირამიდის მსგავს ნაგებობას მოვკარი თვალი.

- ის რა არის? - გაოცებულმა ვკითხე ნანდოს.

- ამ შენობის თავზე აღმართული ის პირამიდა ცაში ადის და იქ იკარგება, ხოლო იქ ასვლა რჩეულთა ხვედრია.

-მერე, მაგ პირამიდაზე ასვლაში რა აზრი დევს? - კვლავ გაოცებულმა ვიკითხე.

- ვინც მაგ პირამიდის ოქროსფერ მწვერვალზე მოექცევა, ღმერთისგან სასწაულს იხილავს! - მიპასუხა ნანდომ, მერე გადაიხარხარა და ზუსტად იმ არამზადას დაემსგავსა, როგორიც მე მახსოვდა.

- მე ავდივარ, შენც ხომ არ ამოხვალ, ერთი ვნახოთ, რა შეგიძლია, - თქვა მან და ჯერ უზარმაზარ ქოთნიდან ამოზრდილ ველურ მცენარეებს ჩამოეკიდა,

შემდეგ აივანზე ახტა, ხოლო იქიდან კიდევ უფრო ზევით, ზევით და ზევით დაიწყო სვლა.

მეც მივყევი, შედარებით მძიმედ, მაგრამ, მთავარია, რომ მივყევი. ჩავებღაუჭე მცენარეებს, მერე აივნის მოაჯირს, მერე ისევ მცენარეებს, ისევ მოაჯირს და ავდივარ ზევით. დაღლას ვგრძნობ და ხელები ისე მებერება, თითქოს ეს-ესაა დასკდებაო, მაგრამ არაფერს ვიმჩნევ. სულ ზევით და ზევით მივიწევ. ავიხედე, ნანდო უკვე შენობის სახურავზეა და გამომწვევად იცინის. სახურავამდე მეც ავაღწიე და პირამიდას ავხედე. ის იმაზე უფრო უზარმაზარი მომეჩვენა, ვიდრე დაბლიდან ჩანდა. მას წვერი მართლაც არ უჩანდა და ცის სიღრმეში იკარგებოდა.

- წავედი! - დაიძახა ნანდომ და პირამიდის კედელს შეახტა... ის სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევდა.

პირამიდის კედელს მეც შევახტი და მწვერვალისაკენ ასვლა დავიწყე... სულს ვეღარ ვითქვამ, ხელები მებერება და მეღლება, მაგრამ, ვიცი, რომ რახან წამოვიწყე, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ეს საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო. ასეც ვიქცევი და ძალიან მძიმედ, მაგრამ დამაჯერებლად, სულ უფრო და უფრო მაღლა მივიწევ. პირამიდის კედლებიდან ქვები იმსხვრევა და დაბლა ცვივა. მინდა დაბლა ჩავიხედო და გავიგო, რამდენით ამოვედი ზევით, მაგრამ ვხვდები, რომ ასეთ დროს მნიშვნელოვანი ის კი არ არის, თუ რა მანძილით ამოვედი, არამედ მნიშვნელოვანია ის, თუ რა მანძილი დამრჩა პირამიდის მწვერვალამდე. ცოტა ხნით შევჩერდი, რათა სული მოვითქვა, მაგრამ დაბლა ჯიუტად არ ვიცქირები. პირამიდის კედელზე სახითა და მკერდით ვარ მიყრდნობილი, გაშლილი ხელებით ლოდებს ვარ ჩაბღაუჭებული. რატომღაც იმის შიშს, რომ შეიძლება ფეხი დამიცდეს და დაბლა ჩავვარდე, საერთოდ არ ვგრძნობ. არადა, უიღბლოდ ერთი პატარა ფეხის დაცდენა და ალბათ, სულს დაბლა დანარცხებამდევე განვუტევებ. ვიცი, ძალიან დიდ სიმაღლეზე ვარ ამოსული და ვფრთხილობ ისე, როგორც არასდროს, რადგან ჩემი ეს ახირება, შეიძლება სიცოცხლის ფასადაც დამიჯდეს. მაგრამ ღმერთისგან ბოძებული სასწაულის ხილვის მოლოდინი, იმდენად დიდია ჩემში, რომ არაფერს ვეპუები და ჯიუტად ზევით მივიწევ. მივბობღავ და ოფლი ღვრად ჩამომდის... ვიცქირები ზევით და ნანდო უკვე კარგა მანძილით მისწრებს, თან დაბლა იცქირება, რათა დარწმუნდეს, მივყვები თუ არა. ხელებიდან უკვე სისხლი მდის და საცაა ძალა გამომეცლება, მაგრამ, მაინც არ ვჩერდები... ერთი, ორი, სამი, მერე ისევ ერთი, ორი, სამი, კიდევ ერთი, ორი, სამი, მივიწევ ზევით და გუნებაში თვლას ვიწყებ, მაგრამ რას და რატომ ვითვლი, მეც არ ვიცი. აჰა, კიდევ შემრჩენია ძალა, ავდივარ, ავდივარ და როგორც იქნა, პირამიდის ოქროსფერი, მზესავით მანათობელი მწვერვალიც გამოჩნდა. კმაყოფილი ნანდო დაბლა იცქირება. მეც ვუახლოვდები მას და გუნებაში, წინასწარ იმ ადგილს ვარჩევ, პირამიდის რომელ მხრიდან უნდა დავუდგე მწვერვალს.

აი, უკვე პირამიდის მწვერვალზე ვიმყოფები და ხელებით ოქროსფერ ლოდებს ვარ ჩაბღაუჭებული. ნანდო, რომელიც ჩემზე ერთი ლოდით მაღლა დგას, პირამიდის წვერს ზურგითაა მიყრდნობილი. - უკვე ამოვედი, რა ბედნიერებაა, - გავიფიქრე გულში. ახლა უკვე დაბლა ჩახედვაც შეიძლება. ასეც ვიქცევი. ჩავიხედე დაბლა და ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს მთელი

დედამიწა ჩემი თვალთახედვის არეში იყო მოქცეული და მას გადავყურებდი. ვხედავდი შენობებს, ადამიანებს, ცხოველებს, ოკეანეებს, ზღვებს, ნაკადულებს, ტყეებს, მინდვრებს, ბაღებს და მოკლედ ყველაფერ იმას, რაც ამ სამყაროს ალამაზებს და მისი სიცოცხლისთვის აუცილებელია.

- რას იტყვი? - მკითხა ნანდომ.

- რა სილამაზეა! - აღფრთოვანება ვერ დავფარე მე.

- დარწმუნებული ხარ? - გაოცებულმა შემომხედა ნანდომ.

- რა ვთქვი გაუგებარი, მომწონს ყველაფერი, რაც ქვემოთ არის - მეთქი!

- ახლა კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ბრიყვი ხარ, ბრიყვი!

- შენ ცოტა ენას კბილი დააჭირე, თორემ... - დავემუქრე ნანდოს და ოდნავ ზევით აწევა გადავწყვიტე.

- აქ, ჩემ გვერდით მეტი ადგილი აღარ არის. ასე რომ, ტყუილად მოძვრები. ისე, ნუ დარდობ, ორთავე პირამიდის ოქროსფერ მწვერვალზე ვართ, - თქვა მან და დაბლა ჩაიხედა.

- მართლაც საოცარი სილამაზეა! - კვლავ აღმომხდა მე.

- ჰმ, სილამაზეა, - გამომაჯავრა ნანდომ, - იცი, ეს რომელი სამყაროა? ეს ის სამყაროა, სადაც საკუთარი ადგილი ვერ მოგინახავს და აღმა-დაღმა დაიარები. ეს, იცი, რომელი ადამიანები არიან? ეს, ის ადამიანები არიან, შენ რომ მედროვე ნაძირლებს ეძახი და არარაობებად ნათლავ. აი, ეს, ის სამყაროა და ეს, ის ადამიანები არიან, რომელთაც შენ ახლა ზემოდან დასცქერი და რატომღაც ამბობ, რა სილამაზეაო. ძალიან მაინტერესებს, რატომ იმას არ ითვალისწინებ, რომ შორიდან, შეიძლება, ნეხვიც შთამბეჭდავად მოგეჩვენოს, მაგრამ მიხვალ ახლოს და ისე აქოთდები, თავი ბოსელში ან ძროხის უკანალში გეგონება. ასე რომ, ადამიანმა ზედაპირული დასკვნები არასოდეს არ უნდა გააკეთოს და არავინ და არაფერი შორიდან არ უნდა შეაფასოს.

- ეეეეეეეე, ვიღაც შავი მაგი ხარ თუ ყვავის სკინტლი, მე აქ შენი სისულელეების მოსასმენად არ ამოვსულვარ! - შევუბღვირე ნანდოს.

- ახლა მნიშვნელოვანი ის კი არ არის, შენ რისთვის ამოხვედი, არამედ მნიშვნელოვანი ის არის, თუ მე რისთვის ამოვედი აქ! - კბილებიდან გამოსცრა ნანდოს.

- სიმართლე გითხრა, სულ არ მაინტერესებს, შენისთანა ნაძირალა რისთვის ამობობღდება აქ, - მივაძახე მე და ლოდს კიდევ უფრო კარგად ჩავებღაუჭე.

- არ გაინტერესებს, მაგრამ ამას ახლავე შეიგრძნობ, - ისევ კბილებიდან გამოსცრა ნანდომ და ლოდს მუშტი დაარტყა, - მე შენ ხომ დაგემუქრე, ამას არ გაპატიებ - მეთქი? ჰოდა, ახლა შურისძიების დრო დადგა, დაემშვიდობე ამ სამყაროს, შენ რომ ხან გძულს და ხანაც ძალიან მოგწონს. დაემშვიდობე ყოველივე იმას, რასაც ქვემოთ ხედავ და ჯოჯოხეთში შესასეირნებლად მოემზადე.

მისმა ასეთმა ლაპარაკმა, იმდენად გამომიყვანა წონასწორობიდან, რომ მისთვის იქვე საკადრისი პასუხის გაცემა მომინდა. ამიტომ, ოდნავ ზევით ავიწიე და ჩემ ზემოთ მდგარ ნანდოს ერთი ხელით ფეხში ვწვდი, თან ისე, რომ მეორე ხელით ლოდს ვიყავი ჩაბღაუჭებული. ვწვდი ფეხში, მაგრამ მან ჰაერში, რაღაც აკრობატული ნახტომი შეასრულა და ფეხი გაითავისუფლა. მე ახლა მეორე ხელით ვცადე იგივეს გაკეთება, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. უცებ ნანდომ ისეთი

გადაიხარხარა, რომ ლამის პირამიდა შეირყა და მე ძლივს შევიმაგრე თავი. მერე ნანდომ ზემოდან მარცხენა ხელში ფეხი ისე ჩამაზილა, რომ საკუთარი ძვლების ტკაცატკუცი გავიგონე, მაგრამ ლოდიდან ხელის აღება, ჩემთვის დაბლა ჩამოვარდნას და უეჭველ სიკვდილს ნიშნავდა. გავმწარდი, მაგრამ ლოდს ხელს მაინც არ ვუშვებდი, და ნანდომ ამჯერად უკვე მეორე ხელში ჩამაზილა ფეხი და კვლავ საკუთარი ძვლების ტკაცატკუცის ხმა გავიგონე. თუმცა, ლოდს მაინც არ ვუშვებდი ხელს და ზევით აწევას ვლამობდი, რადგან იმ ეშმაკის მოციქულისთვის, ფეხში ხელი წამევლო და დაბლა ჩამომექაჩა, მაგრამ ყოველივეს უცებ დაესვა წერტილი, როცა ჰაერში აკრობატული შეხტომის შემდეგ, ნანდო ორივე ფეხით ჩემს ორთავე ხელზე დახტა, რის შემდეგაც ვიგრძენი, თუ როგორ შეირყა პირამიდა, როგორ ჩამოინგრა ის ლოდი, რომელზეც მე ვიდექი და დაბლა დავეშვი... მოვფრინავ და მომაქვს ყველაფერი, რასაც ვეხები. პირამიდიდან ცვივა დიდი ლოდები თუ პატარა ნამსხვრევები. ვენარცხები პირამიდის დამრეც კედელს და დაბლა მოვფრინავ... გამოვცდი პირამიდას და ახლა უკვე გზად აივნებს, მოაჯირებსა თუ უზარმაზარი ქოთნებიდან ძალიან მაღლა ამოზრდილი მცენარეების ტოტებს ვეხლაუჭები და დიდ ტკივილს განვიცდი, მაგრამ გონებას მაინც არ ვკარგავ, თუმცა, ვფიქრობ, რომ ან ახლა დასრულდება ყველაფერი, ან - ახლა. მშვიდობით დედამიწავ, მშვიდობით! მოვფრინავ, მოვფრინავ, მოვფრინავ, ხოლო მანძილი ჩემსა და დედამიწას შორის სულ უფრო და უფრო მცირდება...

...და, აი, დავენარცხე თუ არა დედამიწას, ყველაფერი შავმა ნისლმა გადაფარა და ცნობიერებაც დავკარგე.

გონზე რომ მოვედი, დარბაზის იატაკზე ვიწექი, ხოლო რუფა ჩემ წინ ჩამუხლულიყო და საფეთქლებს მიზილავდა. მივხვდი, რომ გადავრჩი და სიკვდილ-სიცოცხლესთან თამაშიც დასრულებულიყო.

- ჩემი ბრალია, არ უნდა ამეშვი! - ჩაილაპარაკა რუფამ და ხელები თავზე გადამისვა.

მე ნელ-ნელა წამოვიწიე, მერე რუფას მხარზე ხელით დავეყრდენი და ფეხზე წამოვდექი. რუფამ თავზე, მკერდზე და მხრებზე ორივე ხელი ისე გადამისვა, თითქოს მსინჯავსო.

- ხომ არაფერი გტკივა? - მკითხა ბოლოს.

- ტკივილით არაფერიც არ მტკივა, უბრალოდ, ამ სიმაღლეზე, ტყუილად რომ ავედი, გული მწყდება, - ვუპასუხე მე.

- რატომ გგონია, რომ ტყუილად ახვედი?

- თუ ამ პირამიდის წვერზე ახვალ, ღმერთის სასწაულს იხილავო. მეც ავედი, მაგრამ სასწაულისმაგვარიც კი არ მიხილავს, - ვთქვი უკმაყოფილომ და რუფას თავზე გადავუსვი ხელი.

- ადამიანო, ამხელა ცათამბჯენის სიმაღლიდან გადმოვარდი, მაგრამ, მაინც ცოცხალი გადარჩი და კიდევ შენ ამბობ, ღმერთის სასწაული ვერ ვიხილეო? - მიპასუხა რუფამ და თავი მკერდზე მომადო.

კარგახნით ვიდექით ასე, ხმას არც მე ვიღებდი და არც - ის, ხოლო სხეულში ენითაუწერელი სითბო მეღვრებოდა.

ბოლოს, დუმილი რუფამ დაარღვია:

- დენის, მე უკვე ძალიან ცუდად ვარ! - დაბალი ხმით მითხრა მან.

სიმართლე რომ ვთქვა, მე, იმ წუთას, რუფასგან ყველაფერს მოველოდი, მაგრამ ასეთ რამეს რომ იტყოდა, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ვითომ ვერაფერს მივხვდი, ძალიან უდარდელი პოზა დავიჭირე, რუფას ღამის წყვდიადივით შავ თმაზე ხელი გადავუსვი და ალერსიანად ვუპასუხე:

- დაისვენებ ჩემო ლამაზო და ყველაფერი კარგად იქნება. აი, შენ ნახავ, თუ ასე არ მოხდება.

მან ძალიან ნაღვლიანი თვალებით ამომხედა, ცოტა ხნით ასე მიცქირა და შემდეგ სინანულით თავი გადააქნია.

- არა, დენის, არა, მე არც დასვენება და უკვე ვერანაირი წამალი ვეღარ მიშველის. ჩემი სიცოცხლე დასასრულისკენ მიექანება. შენ კარგად იცი, მე რაც მჭირს.

- არაფერიც არ ვიცი. - უნამუსოდ ვიცრუე მე და საკუთარი თავისვე შემრცხვა.

- იცი, დენის, იცი. მე ამისთვის ლინდა დავტუქსე კიდეც, რომ ენა ვერ გააჩერა და ყველაფერი გიამბო. თუმცა, ადრე თუ გვიან, ჩემი მდგომარეობის შესახებ, მაინც უნდა გაგეგო. თავიდანვე კი, იმიტომ არ გითხარი, რომ ... - აქ რუფა გაჩერდა და წამით გაირინდა.

- ჰო, რატომ არ მითხარი, მით უმეტეს, რომ ამ ამბავს, თურმე არავის უმალავ, - ვკითხე მე.

- შენ შეიძლება ვერ გამიგო, მაგრამ, მაინც გეტყვი. როცა ქალს მამაკაცი მოსწონს, ის ცდილობს, რომ მას ყველაფერი კარგი დაანახვოს, რაც მასშია, ცუდზე კი არ ესაუბროს. ყოველივე ეს, პატარა, ქალური სიკეკლუცეა, რომელსაც, გამოგიტყდები და ვერ მოვერიე.

- მერე, რა სიცოცხლის დასრულებაზე ლაპარაკობ, როცა, დღეს, განუკურნებელი სენი, ფაქტიურად აღარ არსებობს და მედიცინა უდიდეს სასწაულებს ახდენს. ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება და გპირდები, რომ მე არასოდეს მიგატოვებ.

- ვიცი, დენის, რომ შენ ახლა ცდილობ, გული გამიკეთო, მაგრამ ძალიან კარგად ვხედავ, რაც მჭირს. ჩემდა სამწუხაროდ, თავად ექიმებიც ვეღარ მაძლევენ იმედს, რადგან ჩემი სისხლი სითეთრის მორევისკენ საოცარი სისწრაფით მიექანება. ახლაც, ისე ცუდად ვარ, რომ ვდგავარ და თავი მისკდება, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ვცდილობ, არაფერი შევიმჩნიო და კვლავ აქტიური ცხოვრებით ვიცხოვრო. არ მინდა, ეს სნეულება გარეგნულად დამეტყოს, მაგრამ შინაგანად უკვე სრულიად დათრგუნული ვარ. ვგრძნობ, რომ ამ წელს ვეღარ გავატან. არადა, დარწმუნებული ვარ, ათი, ოცი ან ოცდაათი წლის შემდეგ, ეს დაავადება უკვე განკურნებადი იქნება და ძალიან ბევრი ადამიანის სიცოცხლე გადარჩება. მე კი, სამწუხაროდ, დღეს არაფერი მშველის. ძალიან მწყდება გული, რომ შენ სწორედ მაშინ გიპოვე, როცა უკვე ჩემი დღეები დათვლილია. ალბათ ესეც უფლის ნება იყო და ვცდილობ, ამასაც ისე შევეგუო, როგორც საკუთარ აღსასრულს. შენ კი, ახლა უნდა ადგე და წახვიდე, ოღონდ არავითარ შემთხვევაში დასავლეთისკენ. შენ, ისევ შენს სამშობლოში უნდა მიბრუნდე. მერწმუნე, დადგება დრო, როცა იქ იქნები საჭირო და მერე მე გამიხსენებ.

- ახლა, როცა შენ გიპოვე, ავდგე და ისევ იმ ქვეყნის გზას დავადგე, სადაც მეძავებს, მხოლოდ ბუნებაღა თუ გადაურჩათ შეურყვნელი და საიდანაც, გულნატკენი რომ წამოვედი?! - გულდაწყვეტილმა ვთქვი მე.

- დენის, დამიჯერე, შენ უნდა წახვიდე. ჩვენ, რაც უფრო დიდხანს ვიქნებით ერთად, მერე, მით უფრო მტკივნეული იქნება ჩვენი ერთმანეთთან განშორება. არადა, ვატყობ, ეს სულ მალე მოხდება. მე კი არ მინდა, რომ შენ მე დავრდომილი და შემდეგ სიკვდილისგან ძლეული მიხილო. მსურს, რომ შენს მეხსიერებაში ზუსტად ისეთი სახით შემოვრჩე, როგორითაც ახლა ვარ, და არა ისეთი დამჭკნარი ვარდივით, შენ რომ გეზიზღება და სიკვდილს გაგონებს. წადი, დენის, წადი, აიღე შენი ჩანთა, საგზალსა და თანხას, რაც გზად გჭირდება, ბორა მოგცემს, შენ მაგაზე ნუ დარდობ, ოღონდ, პირობა მომეცი, რომ აქედან პირდაპირ შენს სამშობლოში წახვალ და არსად სხვაგან.

- თუ მაინც ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში ყოფნა მიწერია, არ ჯობია, ეს ჯოჯოხეთი აქ, შენთან ერთად გადავიტანო? რუფა, იცი შენ, მე იქ რა მელის?

- ძალიან კარგად ვიცი, რაც გელის, მაგრამ შენი გზა, მაინც იქ მიდის, შენს სამშობლოში. მე არ მოგატყუებ და არ გეტყვი, რომ შენს სამშობლოში ვინმე წითელ ხალიჩებს დაგიგებს და ვარდების თაიგულით შეგეგებება. ასე არ მოხდება. ის კი არა, ვიცი, შენი ბედის ბორბალი იმაზე უარესად და სწრაფად დაიწყებს უკან ტრიალს, ვიდრე აქამდე ტრიალებდა. იქ შენ, ისეთი განსაცდელი გელის, რაც დღემდე არასოდეს გქონია. მოვა დრო, რომ სახიდან ღიმილი გაგიქრება და შავი ნისლი დაგფარავს. დარჩები მარტო, სრულიად მარტო და ნუგეში რა არის, ისიც არსაიდან გექნება. ადამიანები შენთვის სრულიად გაუცხოვდებიან, ვინაიდან ვერავინ ვერ შეგიცნობს. დაეცემი და ვეღარ წამოდგები, რადგან უბრალოდ ხელის წამშველებელი არავინ გეყოლება. ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნება, რომ შენ გარშემო ყველა და ყველაფერი გაიყინა, არავის სჭირდები და ყველასთვის უცხო ხარ. დამიჯერე, სადაც კი მიხვალ, ყველგან უცხოდ იგრძნობ თავს, ვინაიდან ვერსად სითბოსა და ალერსს ვერ იპოვი. ამქვეყნიური უიღბლობით დაღლილსა და გულგატეხილს, თითქოს რწმენაშიც რყევები გაგიჩნდება და ჯანმრთელობაც გაგიუარესდება. დაიღლები და ვერ მოისვენებ, მოგწყინდება და ვერ განიტვირთები, მოგენატრება და ვერ იპოვი. ამქვეყნად, რა განსაცდელიც არსებობს, ყოველივეს გამოცდი და გადაიტან. ყველაფერი, რისი იმედიც გექნება, შენ თვალწინ დაიმსხვრევა. სხვის ტყუილს დაიჯერებენ, შენს სიმართლეზე კი პასუხს გაგებინებენ. სიმშვიდე მოგენატრება, მაგრამ ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში ჩავარდნილი, ამას ვერ შეიგრძნობ. ასე, ზამთრის ყინვაში, ან ზაფხულის ხვატში უნუგეშოდ დარჩენილს ცრემლი გაგიშრება და შენი სიცოცხლე სიკვდილს დაემსგავსება. გახსოვდეს, ყოველივე ეს, არა ერთ ან ორ წელიწადს, არამედ უფრო დიდი ხნის მანძილზე გაგრძელდება. ეჰ, მე კი გაფრთხილებ, მაგრამ იმდენად დაითრგუნები, რომ, რასაც ახლა, წინასწარ გეუბნები, ყველაფერი გადაგავიწყდება და ღრმა დეპრესიას მიეცემი. იქნები ასე, უნუგეშოდ მიტოვებული, დიდხანს, ძალიან დიდხანს, ვიდრე შენს თავზე მშვიდობის ცისარტყელა არ გამოანათებს, და, აი, მერე რაც მოხდება, ყოველივე ღვთის ჭეშმარიტი სასწაული იქნება, იმაზე უფრო დიდი სასწაული, ვიდრე ამ პირამიდის ოქროსფერ მწვერვალიდან შენი გადმოვარდნა და უვნებლად გადარჩენა. მოკლედ, გამოჩნდება ის დიდი ხნის ნანატრი ძალა, რომელსაც წლობით ელოდი.

თუმცა, რა ფორმით, ან რა სახით გამოჩნდება, ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ იცოდე, რომ შენთვის უდიდესი სასწაული მოხდება და გამოჩნდება ის, ვინც (ან რაც) ფეხზე წამოგაყენებს, განუგეშებს და ტკივილებს დაგიამებს, ხოლო შემდეგ, ქონითა და ძვლებით გამოტენილ, ყველა იმ მოსიარულე ტომრებს, მთელი შენი ცხოვრების მანძილზე რომ გულს გირევდნენ, შენს ფერხთით დაამხობს. მერე შენ შეგეძლება, მათ წიხლებით შესდგე და შური იძიო, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, შენ ისე არ მოიქცევი, როგორც ამას წარმოსახვით მოგზაურობისას თუ თამაშისას აკეთებდი, რადგან, რეალურად ეს შენში არ ზის. შურისძიება, ისევე, როგორც მკვლელობა, ძარცვა და მლიქვნელობა შენი ხელობა რომ არ არის, ამიტომაც მოგივლენს უფალი ამ უდიდეს სასწაულს, რომლის მოლოდინშიც, ნებისმიერი სახის განსაცდელის გადატანა და შენ წარმოიდგინე, ახალგაზრდული წლების განიავებაც კი ღირს. აი, ეს არის, რაც გელის და რისი თქმაც შენთვის მინდოდა. ახლა კი გემშვიდობები ჩემო მეგობარო, სამწუხაროდ, სამუდამოდ, რადგან...

მე რაღაცის თქმა დავაპირე, მაგრამ რუფამ საჩვენებელი თითი ტუჩებზე დამადო, მერე ჩემთან ძალიან ახლოს მოვიდა, ოდნავ ფეხის წვერებზე აიწია და შუბლზე მაკოცა.

- დიდი მადლობა, დენის, შენ კიდევ ერთხელ დამარწმუნე, რომ, თურმე, ამ ქვეყანაზე, ყველა ადამიანი ნაძირალა არ ყოფილა.

რუფას ხელი მხარზე გადავხვიე და ასე, შუშის დიდ კარამდე მივედით, საიდანაც ოქტომბრის მოკრიალებული ცა მოჩანდა.

- რუფა, ერთმა დღე-ღამემ, რომელიც ამ ქვეყანაში შენთან ერთად გავატარე, მთელი ჩემი ცხოვრება გადაწონა, რადგან ასეთ განსაცდელში, როგორშიც მე აქ აღმოვჩნდი, ჯერ არასდროს ვყოფილვარ და ასეთი მოულოდნელი სითბო, რომელიც შენ მაგრძნობინე, არასდროს არავისგან არ განმიცდია. საოცარია, რომ გიპოვე იქ, სადაც არ გეძებდი... კარგი, რახან ასე გულით მთხოვ, არ გაგაწბილებ და წავალ, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული იყავი, რომ ამქვეყნად, რამდენიც არ უნდა ვიცოცხლო, ეს ერთი დღე-ღამე, რომელიც შენთან დავყავი, ჩემთვის ყველაზე ფაქიზი და მტკივნეულად გასახსენებელი იქნება. რუფა, მე ძალიან ბედნიერი ვიყავი შენთან, მიხაროდა შენ გვერდით ყოფნა და რაღა დაგიმალო, მეგონა, რომ სულ ასე ვიქნებოდით, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ყოველივე ერთი პატარა გაელვება გამოდგა, გაელვება, რომელმაც წამიერად თვალწინ ჩამიქროლა და გულში უდიდესი ტკივილი დამიტოვა.

ამის შემდეგ, რუფას წინ დავდექი. დამშვიდობების ნიშნად, მას ჯერ ხელზე, შემდეგ შუბლზე ვაკოცე და მერე გულში ჩავიკარი.

უცებ კარის ხმა გავიგონე და...

- გენიალური იყო, მაესტრო! გენიალური! - მოემესმა სრეჩკოს ნაცნობი ხმა.

კარისკენ შებრუნებულმა, ჯერ სრეჩკოს მოვკარი თვალი, ხოლო შემდეგ, მაესტროც გამოჩნდა.

- მართლაც გენიალური გამოვიდა! - დაამატა მაესტრომ და ჩემკენ წამოვიდა, - ხვალვე დასის ხელმძღვანელს ვნახავ და სცენარისთვის ჩემს გეგმას გავაცნობ. მე მგონი, უკმაყოფილო არ დარჩება. ამ ნაწარმოებს კი, რომელიც სულ მალე დაიწერება, დაერქმევა - „ცდუნება ანუ გზააბნეული მგზავრი აღმოსავლეთიდან“.

მე ახლაღა მივხვდი, თუ რაში იყო საქმე და რას გულისხმობდა რუფა, როცა მეუბნებოდა, ლიტერატურული ნაწარმოების შექმნაში უნდა დაგვეხმაროო. მივხვდი ამ ყველაფერს და, რომ არა მასთან განშორებით გამოწვეული ტკივილი, ერთი გულიანად გადავიხარხარებდი, მაგრამ არც სიცილისა და არც ლიტერატურულ ნაწარმოებზე საუბრის ხალისი ნამდვილად არ მქონდა და ამიტომ თავი ჩავღუნე და დადუმება ვარჩიე.

- ხოლო თქვენ, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, მეგობარო! – ახლა უკვე პირადად მე მომმართა მაესტრომ.

- რისთვის? - ვკითხე გაოცებულმა.

-იმისთვის, რომ ერთი მშვენიერი ნაწარმოების შექმნაში დაგვეხმარეთ. დანარჩენი უკვე ჩემზე და ჩემს დამხმარეებზეა დამოკიდებული. თქვენს თავს გადახდენილ ამბებს, მწერლის კალამი ფურცლებზე გადაიტანს და კიდევ ერთი მშვენიერი ნაწარმოებიც შეიქმნება.

- მაინც რა ნაწარმოები იქნება?

- სათაური უკვე მოგახსენეთ, ხოლო ამ ნაწარმოების მთავარი გმირი იქნებით თქვენ და ყველაფერი, რაც ამ ქვეყანაში გადაგხდათ, ჯერ ფურცლებზე, შემდეგ კი ამ დარბაზის ერთ-ერთ სვეტზე მხატვრულად აისახება.

- თქვენ რა იცით, მე აქ რა გადამხდა?

- ვიცი, მეგობარო, ვიცი, ისიც ვიცი, რომ ჩემი რუფა ძალიან გულდაწყვეტილია თქვენთან განშორებით, მაგრამ...

აქ მაესტრო შეჩერდა და მისი თვალები ცრემლით აივსო. მერე მე უკან მივიხედე და დარბაზის ბოლოში, რუფა დავინახე. იგი ზუსტად იმ ადგილას იჯდა, სადაც მე და ის ვისხედით ხოლმე. მას ხელები სახეზე ჰქონდა აფარებული.

- თქვენი ნებართვით, მე ახლა წავალ და უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, ასეთი შინაარსიანი მასპინძლობისთვის, - ვუთხარი მაესტროს და იმ ოთახიდან გამომავალ აივნისკენ ავიხედე, სადაც ჩანთა და ქურთუკი მქონდა დატოვებული.

- მე უბედნიერესი ადამიანი ვიქნებოდი, თქვენ რომ ჩვენთან დარჩენილიყავით, მაგრამ, ხომ იცით, მეგობარო, ეს ცხოვრება ყოველთვის ისე არ არის მოწყობილი, როგორც ჩვენ გვსურს და ვოცნებობთ.

შემდეგ მაესტრო ჩემთან ახლოს მოვიდა, გადამეხვია და მერე ვიღაცას გასძახა:

- აბა, ჩვენს მეგობარსა და ჩვენი ნაწარმოების მთავარ გმირს, ჩანთა, ქურთუკი და საგზალი ჩამოუტანეთ.

მაესტროს ბრძანება და კიბეზე ბორას გამოჩენა ერთი იყო. მას ჩემი ქურთუკი და ჩანთა მოჰქონდა.

როცა ქურთუკი ჩავიცვი და სპორტული ჩანთა მხარზე გადავიკიდე, მაესტრომ ჩემი ქურთუკის გამობერილ ჯიბეზე მიმანიშნა:

- ეს, ჩემო მეგობარო, არა მარტო თქვენს ქვეყნამდე, არამედ იმის იქით წასასვლელადაც გეყოფათ, მაგრამ, პირობა მომეცით, რომ თქვენ, უეჭველი იქ დაბრუნდებით, საიდანაც მოდიხართ.

- გპირდებით! - ვთქვი მე და კარისკენ წავედი, მაგრამ სანამ შენობას დავტოვებდი, უკან მივიხედე, რათა, კიდევ ერთხელ, თუმცა, ამჯერად უკვე უკანასკნელად დამენახა ის ადამიანი, რომელთან განშორებამაც გულში ისეთი ტკივილი დამიტოვა, წლების მანძილზეც რომ არ ყუჩდება და არ იკურნება.

დიახ, მივიხედე უკან და დავინახე, ერთ-ერთი აივნის ქვეშ, როგორ გადაიწია ფარდა, თავჩაღუნული და თითქოს ფრთებჩამოყრილი რუფა, როგორ შევიდა იქ, მერე იგი, როგორ დაიჩოქა ღვთისმშობლის ხატის წინ, როგორ ჩაეხუტა ამ ხატს, როგორ წასკდა მას თვალებიდან ცრემლები და როგორ დაიწყო მან ლოცვა. მერე იმავე ოთახიდან მგალობელთა გუნდის საოცარი ხმა შემომესმა. ისინი „ავე მარიას“ გალობდნენ. გალობდნენ ტკბილად და სევდიანად, თანაც ისე, რომ გეგონებოდათ, უკანასკნელად გალობენ და მთელი თავიანთი ვედრება, ამ ერთ გალობაში უნდათ ჩაატიონო.

ვტოვებდი შენობას და თან „ავე მარიას“ ჰანგები მიმყვებოდა. შენობის შემდეგ, ეზოდან გამოვედი, ხოლო მერე იმ ბაღის გზას დავადექი, სადაც წუხელის, მე და რუფა მოვსეირნობდით. მივდიოდი თავჩაღუნული და ვგრძნობდი, რომ უკვე ის აღარ ვიყავი, რაც გუშინ, გუშინწინ, ან იმის წინ. ამ ერთ ღამეში, მე სრულიად შევიცვალე და საკუთარ თავში ბევრი რამის გადაფასებასთან ერთად, ბევრ საგანს, მოვლენასა თუ პიროვნებას უკვე სულ სხვა, შედარებით გამოცდილი ადამიანის თვალით შევხედე. ამ ერთი დღე-ღამის დამსახურებით, მე მივიღე და განვიცადე ის, რაც, შეიძლება მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ მიმეღო და განმეცადა. დიახ, სწორედ ამ ქალაქში გატარებული ერთი დღე-ღამის წყალობით, დავრწმუნდი, რომ მიუხედავად ჩვენს სამყაროში არსებული უამრავი ბოროტებისა თუ სისასტიკისა, ადამიანმა სითბო და მზრუნველობა, შეიძლება არა საკუთარ სამშობლოში, არამედ სწორედ იქ იპოვო და შეიგრძნო, სადაც ყველაზე ნაკლებად ელი მას. და რაც მთავარია, არ არის გამორიცხული, რომ განწირულ მდგომარეობაში ჩავარდნილს, სრულიად უცხო ხალხში და სამყაროშიც კი, შეიძლება გამოგიჩნდეს ადამიანი, რომელმაც მთელი შენი განვლილი ცხოვრება ისე გადაწონოს, რომ მერე მასთან განშორება, მოურჩენელ ტკივილად გექცეს.

ამ დედამიწაზე დაკარგული, მაგრამ ერთი გულისხმიერი ადამიანის მიერ გადარჩენილი მგზავრი, ჩემთვის უცხო ქვეყანაში თავჩაღუნული მივაბიჯებდი და ვფიქრობდი: - დედამიწა ჩვენი საერთო სახლია და ამიტომაც, ვალდებულნი ვართ, ნებისმიერ გზააბნეულ და არა მარტო გზააბნეულ უცხოტომელსაც კი, მიუხედავად მისი ეროვნებისა, რელიგიური, პოლიტიკური თუ ცხოვრებისეული შეხედულებებისა, მოვეპყრათ ისე, როგორც ყველაზე ახლობელ ადამიანებს ვეპყრობით ხოლმე. ასე, ჯერ ერთი, იმიტომ უნდა მოვიქცეთ, რომ არავინ იცის, მსგავს, გამოუვალ მდგომარეობაში, ვინ როდის და სად ჩავვარდებით, და მეორეც, - ვინ იცის, იქნებ ამ უცხოტომელის ცხოვრების წიგნში, ძალიან ლამაზი ფერებით გაჯერებულ, საინტერესო ფურცელს ვქმნით?!

* * *

კითხვის დასრულების შემდეგ, დენისი ნერვიულად ფეხზე წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. გარეთ გაზაფხულის შხაპუნა წვიმით გაჯერებული დილა-საოცრება თენდებოდა და მისი საყვარელი ვარდის ხეივანი თავისთან უხმობდა. თუმცა, აშკარა იყო, რომ იმ მძიმე განწყობის (რომელიც ამ დილამ აჩუქა) ლამაზ ფერებით მოხატვა, ამჯერად უკვე მის საყვარელ ვარდის ხეივანსაც აღარ შეეძლო. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა და თითქოს სისხლი გაეყინა. ნამდვილად არ ელოდა, ეს დილა ასე თუ დაიწყებოდა. თავით ფანჯრის სახელურს მიეყრდნო და ცოტა ხნით თვალები დახუჭა, მაგრამ გრძნობდა, რომ ის მწველი მოგონებები, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა და რასაც ყველაზე მეტად გაურბოდა, სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა. თვალი რომ გაახილა, ფანჯარა გამოაღო და წუთით გაირინდა. სულ მალე ოთახი, მაისის ვარდთან ერთად დედამიწაზე წვიმად მოვლენილმა, გაზაფხულის დამათრობელმა სურნელმა აავსო... ხოლო, როცა მან დილის ნოტიო ჰაერთან ერთად, ეს სურნელიც ღრმად ჩაისუნთქა, უმალ იგრძნო, რომ რუფაზე ფიქრმა ისე შეახსენა თავი, როგორც დიდი ხნის წინ მიყუჩებულმა, მაგრამ შემდეგ ისევ განახლებულმა ტკივილმა.